ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

ნოდარ ჭყონია, ცირა ჭყონია, ლიანა ჭყონია

რედუპლიკაცია სიტყვათწარმოების უმნიშვნელოვანესი ხერხი ენაში

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2015

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

ვ უ ძ ღ ვ ნ ი თ
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 80 წლის იუბილეს

წიგნი განკუთვნილია ფართო მასებისათვის - ყველა იმათთვის, ვისაც უყვარს მშობლიური ენა, „ვეფხისტყაოსანი“, პოეზია და პროზა, ვისთვისაც წიგნი ცხოვრების თანამგზავრია. წინამდებარე ნაშრომი დიდ სარგებლობას მოუტანს ახალგზდა პედაგოგებს, პოეტებსა და მწერლებს. რედუპლიკაციის საკითხები ძირითადად გაშუქებულია ოთხი ენის (ქართული, თურქული, ინგლისური, რუსული) შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

რედაქტორი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი მამია ფაღავა

რეცენზენტები:
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი ომარ მემიშიში

ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი ნანა სტამბოლიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირ. პროფესორი ზეინაბ გვარიშვილი

© ნ. ჭყონია, ც. ჭყონია, ლ. ჭყონია, 2015

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-22-691-5

თავი პირველი
(წინასიტყვაობის მაგიერ)

სიტყვათწარმოება და რედუპლიკაციის რაობა

§ 1. სიტყვათწარმოება როგორც ენათმეცნიერების ახალი დარგი.

სიტყვათწარმოება, როგორც ენათმეცნიერების დარგი, ჩამოყალიბდა XX საუკუნის 40-50-იან წლებში. ამ პერიოდისათვის დეტალურად მუშავდებოდა სინქრონიული სიტყვათწარმოების მნიშვნელოვანი პრობლემები, დგინდებოდა ამ ახალი დარგის ადგილი ლინგვისტურ დისციპლინებს შორის. ხოლო 60-70-იან წლებში სიტყვათწარმოების სინქრონიული თეორია დაადგა შემდგომი განვითარების გზას (Современный русский язык, 1981 : 133).

როგორც ცნობილია, სიტყვათწარმოების საკითხები თავდაპირველად იხილებოდა მორფოლოგიასა და ლექსიკოლოგიაში. მეცნიერება სიტყვათწარმოების შესახებ მეოცე საუკუნისათვის გახდა სრულიად ახალი დამოუკიდებელი დარგი, რომელსაც აქვს თავისი შესასწავლი ობიექტი, კვლევის მეთოდები და ხერხები.

სიტყვათწარმოების საკითხები შეიძლება ორი მიმართულებით ვიკვლიოთ: სინქრონიული და დიაქრონიული მიმართულებით.

სინქრონიული სიტყვათწარმოება (ანუ დერივაცია) გულისხმობს თანამედროვე ენებში სიტყვათა წარმოების ხერხებსა და საშუალებებს. ხოლო დიაქრონიული (ისტორიული) სიტყვათწარმოება აკვირდება, როგორია ენაში ნაწარმოები სიტყვები, რომელია მონათესავე სიტყვებს შორის სიტყვის ძირი და რომელია ამ ძირისაგან ნაწარმოები სიტყვები, ე. ი. რომელია მათ შორის უფრო ადრინდელი ფორმა და რომელი - უფრო გვიანდელი წარმონაქმნი. ამიტომ როგორც სინქრონიული, ასევე დიაქრონიული სიტყვათწარმოების კვლევისას საჭიროა

ვიცოდეთ, რას ნიშნავს ცნებები „ნაწარმოები ფუძე“ და „მაწარმოებელი ფუძე“.

ნაწარმოები ფუძე (производная основа) არის სიტყვის ისეთი ფუძე, რომელიც იწარმოება სხვა ფუძისაგან, მაგ., სიტყვა „წყალ-ი“ არაწარმოებული ფუძეა, რომლისგანაც შეგვიძლია ვაწარმოოთ ახალი სიტყვები სხვადასხვა ფუძით: წყლიან-ი, წყალდიდობა, წყალქვეშა, წყალგამტარ-ი და მისთანები (შდრ. რუს. вод-а, водн-ый, водян-ой, наводнени-е, подводн-ый).

ამგვარად, წყალ-ი (вода) უმარტივესი არაწარმოებული, ანუ მაწარმოებელი ფუძეა, ხოლო წყლიან-ი, წყალდიდობა, წყალქვეშა, წყალგამტარ-ი ნაწარმოები ფუძეებია (производные основы), რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ მაწარმოებელ ფუძესთან წყალ-ი. ისეთი სიტყვები, რომლებიც იწარმოებიან ერთი და იმავე მაწარმოებელი ფუძისაგან და აქვთ ერთი საერთო ძირი, ეწოდება მონათესავე სიტყვები. ზემოშემთხვევაში „წყალ-ი“ და მისგან ნაწარმოები სიტყვები წყლიან-ი, წყალდიდობა, წყალქვეშა და წყალგამტარ-ი მონათესავე სიტყვებია.

მაწარმოებელი (არაწარმოებული) ფუძე უფრო მარტივია თავისი ფორმითა და შინაარსით, ვიდრე ნაწარმოები ფუძეები (შდრ. წყალ-ი და წყლიან-ი; თხილ-ი და თხილნარ-ი; სწავლა და ნასწავლ-ი; ჩონგურ-ი და მეჩონგურე; რუს. вод-а – водян-ой; гор-а – горн-ый, нагорн-ый; თურქ. deve, „აქლემი“ - deveci „აქლემების გამრეკი“; filozof - „ფილოსოფოსი“ და - filozofluk „ფილოსოფოსობა“; გერმ. enden „დამთავრება“ და endlich „დაბოლოს“; (das) Denken „აზროვნება”, (das) Bedenken „ფიქრი“ და სხვა.

ცალკეული ენებისათვის დამახასიათებელია სიტყვათწარმოების როგორც სპეციფიკური, კერძო, ასევე ზოგადი ხერხებიც. მაგ., ქართულ ენაში კაუზატივის ფორმები (გავაკეთებინე, დავახატვინე, გავაჭრევინე და მისთ.) შეიძლება ჩაითვალოს სიტყვათწარმოების სპეციფიკურ ხერხად; ასევე რუსულ ენაში, ე.წ. პოსტფიქსაცია (он занимает-ся „ის მეცადინეობს“; они учат-ся „ისინი სწავლობენ“; какой-то „რომელიღაც“) სიტყვათწარმოების კერძო ხერხებია. ხოლო რაც შეეხება სუფიქსაციას, პრეფიქსაციას,

კომპოზიციას (ლათ. compositio - „შედგენა, დაკავშირება“ - რთული სიტყვის წარმოება) და მისთანები, წარმოადგენენ სიტყვათწარმოების ზოგად ხერხებს (დაწვრ. იხ. Русская грамматика, 1980 : 133-134).

§ 2. რედუპლიკაციის რაობა

ვ. ფ. ჰუმბოლდტი თავის ნაშრომში **«О возникновении грамматических форм и их влиянии на развитие идей»** აღნიშნავს, რომ „აზროვნება, რომელიც წარმოებს ენის საშუალებით, მიმართულია ან გარე მატერიალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ან თავის თავზე, ე. ი. სულიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ითვალისწინებს რა ამ ორმხრივობას, ცნებები უნდა განსხვავდებოდეს ნათლად და განსაზღვრულად, რაც მეტ შემთხვევაში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღინიშნებიან მოცემულ ენაში გრამატიკული ფორმები“ (Гумбольдт, 1984; 344; ხაზი ჩვენია, - ავტ.). სიტყვები და მათ შორის გრამატიკული მიმართებები ადამიანის წარმოდგენაში ორი სრულიად სხვადასხვა არსისაა: ერთია ენის ნამდვილი საგნები, მეორე კი - მათ შორის მიმართებები, მაგრამ მეტყველება შესაძლებელია მხოლოდ მათი ურთიერთზემოქმედების წყალობით (იქვე, 331-332), რომ გრამატიკული ფორმების გარეშე შეუძლებელია როგორც მეტყველება, ისე გაგებინებაც. ამ მიმართებით, როგორც „მეტწილად უფრო განვითარებული ენები“, ასევე „ნაკლებად განვითარებული ენებიც“ იყენებენ გრამატიკული ფორმების „საერთო (ზოგად) გამომხატველ ხერხებს“. ამიტომ სიტყვათწარმოების ხერხი ანუ სიტყვის ძირებზე ნიშნადი მარცვლების მიერთების საშუალებები (აგლუტინაცია), როგორც ნამდვილი გრამატიკული ფორმებისა, ეტყობა, უნდა იყოს „საყოველთაო“ (იქვე, 335, ხაზი ჩვენია, - ავტ.).

ასეთ გრამატიკულ საშუალებებად ვ. ფ. ჰუმბოლდტი თვლის შემდეგ ხერხებს:

1. სიტყვაზე ნიშნადი მარცვლების მიერთება (ანუ პრეფიქს-სუფიქსური სიტყვათწარმოება);

2. სიტყვაზე არანიშნადი ელემენტების დართვა (ანუ ფლექსიური მონაცვლეობა);

3. ხმოვანთა გადასვლები (მონაცვლეობა) სიტყვებში;

4. სიტყვის შიგნით თანხმოვანთა მონაცვლეობა;

5. ურთიერთდამოკიდებული სიტყვების უცვლელი წყობა წინადადებაში და

6. რედუპლიკაცია (იქვე, 335-343).

წინამდებარე ნაშრომის განსახილველ პრობლემას წარმოადგენს რედუპლიკაცია სხვადასხვა ტიპის ენებში. **რედუპლიკაცია** (ლათ. dublicatus „გაორმაგებული“), იგივეა, რაც გემინაცია (ლათ. geminare „შეუღლება, გაორკეცება, გაორმაგება“), ნიშნავს ერთი და **იმავე ბგერის ან ერთი და იმავე მარცვლის, ან ერთი და იმავე სიტყვის თუ სიტყვათა შეხამებების, ან მთლიანი წინადადების გაორკეცებას.**

ბგერათა (როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა) რედუპლიკაციას ადგილი აქვს მეტწილად ყველა ენაში. ქართულ ენაში ხმოვანთა გაორკეცება სიტყვის თავში ან ბოლოში გვექნება მაშინ, თუ სიტყვა იწყება იმავე ხმოვნით, რომელი ხმოვნითაც მასზე დართული აფიქსია, მაგ., აბამს - ააბამს, ათეთრებს - გაათეთრებს, აშენებს - გადააშენებს, აკავშირებს - დააკავშირებს, ეჭვობს - ეეჭვება, *ამებლობა - მაამებლობა, ექვსი - მეექვსე, ეტლი - მეეტლე, იჩქმალება - მიიჩქმალება, იძინებს - მიიძინებს, გენია - გენიის, ია - იის, კონფერენცია - კონფერენციის, ავსტრია - ავსტრიის, ხე - ხეები, კლდე - კლდეები და მისთანები.

თუ თანხმოვნიანი აფიქსის მიერთება ხდება სიტყვის ძირზე, რომელიც იწყება ან მთავრდება იმავე თანხმოვნით, მაშინ ხდება თანხმოვანთა გაორმაგება (რედუპლიკაცია), მაგალითად: ვარჯიში - ვვარჯიშობ, ვარაუდი - ვვარაუდობ, ბინდი - ბინდდება, ბოლნისი - ბოლნისს, ატამი - ატამმა, მათი - მათთვის, შიში - შიშში, თევზი - თევზზე და მისთანები.

გაორმაგებული ხმოვნები ან თანხმოვნები გვაქვს რთული სიტყვების გასაყართან, მაგალითად: გზააბნეული, ბეჭედდაკარგული, ბეჭედდასმული, დედააზრი, დედაარსი, ენაამოდგმული, ელექტროოფტალმია (მედიც.), ერთთვალიანი, ზურგგამაგრებული, ნახევარრკალი, სახნის-საკვები და მისთანები.

ორი ერთნაირი ბგერის შეერთებისას მათი საზიარო არტიკულაცია (იხ. ბგერის წარმოთქმის სამი მომენტი) გრძელდება უწყვეტლივ: აავსო, შეერთდა, ომმა, მათთან და მისთ. ამდაგვარი გზით ხმოვანთა გაორმაგების დროს წარმოიქმნება ჩვეულებრივ გრძელი ხმოვანი (aa = a-გრძელს, ee = e-გრძელს და ა.შ.). ორი ერთნაირი თანხმოვნის შეერთებისას კი ვღებულობთ ან რედუპლიკაციურ (გემინირებულ), ან გრძელ თანხმოვანს. ამ მიმართებით ენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

გრძელი თანხმოვანი გემინირებულისაგან იმით განსხვავდება, რომ მათი შეერთებისას იქმნება სრულიად ერთიანი, შერწყმული თანხმოვანი (ეს ხშულების დროს), რომელიც ერთიანი დაყოვნებით და გაგრძელებით წარმოითქმება (მათთვის, თითთან, ggონია და სხვა). ხოლო, როცა ხშულთა შენაერთში იგრძნობა მათი ორმაგობა, ორგვარი ბგერადობა, მაშინ გვაქვს საქმე გემინირებულ, ანუ გაორმაგებულ ხშულთან. ამიტომ ზოგ ენაში გვაქვს გრძელი ხშულები და ზოგშიც - გემინანტები (დაწვრ. იხ. ახვლედიანი, 1999 : 103-106).

ხშირია რედუპლიკაციური ბგერების გამოყენება რუსულ ენაში, მაგალითად: заасфальтировать „მოასფალტება“; коалиция (წარმოითქმება როგორც «каалиция») „კოალიცია“; наоборот (წარმოითქმება როგორც «наабарот») „უკუღმა“; пообедать (წარმოითქმება როგორც «паабедать») „სადილობა“; аббревиатура „აბრევიატურა“; балл „ბალი“; баллон „ბალონი“; баттерфляй „ბატერფლაი“; беззаботный „უზრუნველი“; гамма „გამა“; класс „კლასი“; пол-лимона „ლიმონის-ნახევარი“; программа „პროგრამა“; поддержать „მხარის დაჭერა“ და სხვა მრავალი. როგორც ვხედავთ, რუსული გემინირებული თანხმოვნებიანი სიტყვები

ქართულად გადმოიცემა ერთი თანხმოვნით. ამიტომ რუსულ ენაში თანხმოვანთა გემინაცია უფრო ხშირია, ვიდრე ქართულში.

რუსული ენის გაორმაგებულ თანხმოვნებს ქართულ და სხვა ენაში მეტწილად შეესაბამება ერთი თანხმოვანი. მაგალითად, თურქული ენის წარმომავლობის სიტყვებში იშვიათობაა რედუპლიკაციური ბგერების (ხმოვნებისა თუ თანხმოვნების) არსებობა. ამ ენაში გემინირებული ბგერები მეტწილად გვაქვს არაბული ენიდან შემოსულ სიტყვებში: mukataa „იჯარით მიცემა"; naaş „მიცვალებული", „ცხედარი"; naat „ხოტბა", „ქება"; sifatfiil „ზმნიზედა"; suur „გონება"; suuri „გაგებული"; minnet „წყალობა"; minnettar „მადლიერი"; okka „ოყა"; tutturmak „დაჭერინება"; diller „ენები" და ა. შ.

გერმანული ენა ასხვავებს გრძელ და მოკლე ხმოვან ფონემებს. ამიტომ გაორმაგებული ხმოვანი ჩვეულებრივ იძლევა გრძელ და არა გემინირებულ ხმოვნებს, მაგ., (der) Staat „სახელმწიფო"; Staatlich „სახელმწიფოებრივი"; (das) Beere „კენკრა"; (das) Beet „კვალი" და სხვა. მაგრამ გაორმაგებული ხმოვანი ზოგჯერ გერმანულ ენაში წარმოითქმება როგორც გემინირებული ხმოვნები. ეს მაშინ გვაქვს, როცა ისინი სიტყვის მორფემათა გასაყარში იყრიან თავს როგორც ორი სრულიად ერთნაირი ბგერა-ხმოვანი, მაგ., be|enden „გარდაცვალება"; be|erben „მემკვიდრეობის მიღება", Speise|eis „ნაყინი" და სხვა. მაგრამ თუ მორფემათა გასაყართ შორის პირველი შეიცავს გაორმაგებულ ხმოვანს, მაშინ ისინი გრძლად წარმოითქმებიან და არა როგორც გემინირებული ხმოვნები. მაგალითად: (die) Seeleute „მეზღვაურები" (შდრ. (die) See „ზღვა") და სხვა. (დაწვრ. იხ. Шишкова და სხვები, 1977 : 20 და შმდგ.).

რაც შეეხება თანხმოვანთა გაორმაგებას გერმანულ ენაში, ისინი წარმოითქმებიან ჩვეულებრივ როგორც გემინირებული თანხმოვნები, მაგალითად: kommen „მოსვლა"; (die) Sonne „მზე"; (die) Sperre „ბარიერი"; (der) Vollbauer „გლეხი"; wollen „სურვილი" და მისთანები.

ინგლისურ ენაში ბგერათა რედუპლიკაციის სულ სხვა სურათი გვაქვს. მართალია, აქ წერილობით გამოიყენება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა გაორმაგება, მაგრამ ისინი ზეპირ მეტყველებაში იშვიათად წარმოითქმებიან როგორც გემინირებული ბგერები: ხმოვანთა გაორმაგება იწვევს გრძელი ხმოვანი ფონემების წარმოქნას, ხოლო თანხმოვანთა წარმოთქმისას საერთოდ არა გვაქვს გემინირებული თანხმოვნები. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივად გვესმის მხოლოდ ერთი თანხმოვნის წარმოთქმა. მაგალითად: bee (შდრ. [bi:] „ფუტკარი"; beet [bi:] „ჭარხალი"; bleed [bli:d] „სისხლის დენა"; baboon ზოოლ. „პავიანი"; მაგრამ: berry [beri] „კენკრა"; better „საუკეთესო"; kill [kil] „მოკვლა" და სხვა.

მარცვალთა და სიტყვათა გაორმაგების დროს სხვადასხვა ტიპის ენებში გვაქვს როგორც ზოგადი, ასევე სპეციფიკური ფორმები. ისინი ენაში ქმნიან ახალ ლექსიკურ ერთეულებს (ნებიერიძე, 1991 : 243-244).

უნდა აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერებაში რედუპლიკაციის შესახებ თეორიული ან პრაქტიკული მასალა იშვიათად თუ მოგვეპოვება. არადა ეს საკითხი ზოგადი ენათმეცნიერებისათვის საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ სხვადასხვა ენაში რედუპლიკაციის წარმოების სხვადასხვა ხერხებს ვაწყდებით, რომ ხმაბაძვითი სიტყვები, რედუპლიკაციური ფორმები, შორისდებულები და მისთანები ენის პერიფერიულ ლექსიკას შეადგენენო (ნებიერიძე, 1991 : 34-35). რედუპლიკაციური ფორმები არ უნდა ჩაითვალოს პერიფერიული ლექსიკის კატეგორიად, რადგან ისინი მთლიანი ლექსიკის საკმაო რაოდენობას მოიცავენ. ამიტომ წინამდებარე ნაშრომის მიზანია რედუპლიკაციური ფორმების საფუძვლიანი გაშუქება, როგორ გამოიყენებიან ისინი ენაში, მხატვრულ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით ქართულ პოეზიასა და პროზაში და ა. შ.

თავი მეორე

რედუპლიკაციური ფორმების ასახვა სხვადასხვა ტიპის ენათა ლექსიკონებში და მათი დაჯგუფება

§ 3. პირველი ჯგუფის რედუპლიკაციური ფორმები ქართულ ენაში

სტრუქტურული თვალსაზრისით სხვადასხვა ტიპის ენებში რედუპლიკაციური სიტყვა-ფორმები შეიძლება დავაჯგუფოთ და შემდეგ მოვახდინოთ მათი შედარებითი ანალიზი, რომლის დროსაც გამოვლინდება რედუპლიკაციური ფორმების პროდუქტიულობა, წარმომავლობა და ა.შ. განვიხილოთ რედუპლიკაციური ფორმები ქართულ, თურქულ, რუსულ და ინგლისურ ენებში. ჯერ განვიხილოთ ქართული ენის რედუპლიკაციური ფორმები.

პირველ ჯგუფში ვაერთიანებთ ისეთ რედუპლიკაციურ ფორმებს, რომლებიც იწარმოებიან მარცვალთა გაორმაგებით. გაორმაგებული მარცვალი ზოგჯერ სრულიად არ იცვლის თავის სახეს, ერწყმიან რა ისინი ერთმანეთს; ზოგჯერ ირთავენ სახელობითი ბრუნვის ნიშანს, ზოგჯერ კი - სხვა ხმოვნებსაც (ა, ო, უ), რომელთა საფუძველზე ვღებულობთ როგორც ფუძეთანხმოვნიან, ასევე ფუძეხმოვნიან სახელებს. ამგვარ რედუპლიკაციებს ჩვენ ვუწოდებთ აბსოლუტურ რედუპლიკაციებს.

აბსოლუტური რედუპლიკაციები ქართულ ენაში იწარმოებიან როგორც საზოგადო სახელებისაგან, ისე საკუთარი სახელებისაგან, მათ შორის გეოგრაფიული სახელებისაგანაც. ვიძლევით მათ ანბანის რიგზე:

ალალი, ალალია (მედ.); ბაბა, ბარიბარ, ბაჯბაჯა, ბაჯბაჯი, ბზუბზუ (სოფლის სახელია აჭარაში), ბულბული, ბუტბუტი, ბუყბუყი; გარგარი, გიგი (მამაკაცის სახელია), გიზგიზა,

გიზგიზი, გუზგუზა, გუზგუზი, გურგური; დაფდაფი, დიდი, დიდი (ფეხბურთელის გვარი), დოდო, დუდუ; ვარვარი, ვახვახი, ვიშვიში; ზაზა, ზეზე (დგომა), ზიზია, ზიკზიკა, ზიმზიმი; თავთავი, თამთამი, თახთახი, თითი, თუხთუხი, თქართქარი, თქლაფთქლაფი; კაკა (დიალექტური), კამკამა, კამკამი, კანკანი (ცეკვის სახეა), კასკასი, კატკატო (ბოტ.), კაშკაშა, კაშკაში, კაწკაწი, კაჭკაჭი, კეკე, კეწკეწი, კისკისა, კისკისი, კუკუ, კურკური, კუჭკუჭი; ლაკლაკი (იგივეა, რაც ყარყატი), ლალა, ლაპლაპა (რაც ლაპლაპებს, მბზინავი), ლაპლაპი (რისამე ზედაპირის ბზინვა), ლასლასი, ლაქლაქა, ლაქლაქი, ლაყლაყი, ლაწლაწი, ლახლახი, ლივლივი, ლიკლიკა, ლიკლიკი, ლილი (ქალის სახელი), ლიფლიფი, ლიცლიცი, ლუკლუკი, ლუღლუღი; მამა, მუმუ (ძაღლის სახელი); ნანა, ნარნარი, ნივნივი, ნუნუ, ნუნუა; ოლოლი, ოფოფი; პაპა, პილპილი; ჟივჟივი, ჟრიკჟრიკა, ჟრიკჟრიკი; რაზრაზი, რაკრაკა, რაკრაკი, რაცრაცი, რახრახა, რახრახი, რიკრიკა, რიკრიკი, როყროყა, როყროყი, როხროხა, როხროხი, რუკრუკი, რუხრუხი; სასა, სლუკსლუკი, სოსო; ტამტამი, ტარტარა, ტარტარი, ტარტარი (მითოლ.), ტერტერა, ტივტივა, ტივტივი, ტიკტიკა, ტიკტიკი, ტურტური, ტუსტუსი; ფაფა, ფაშფაშა, ფაცფაცი, ფახფახი, ფოფო, ფუსფუსა, ფუსფუსი, ფუხფუხი; ქათქათა, ქათქათი, ქანქანა, ქასქასი, ქაფქაფა, ქაფქაფი, ქექე! ქვითქვითი, ქინაქინა, ქოთქოთი, ქონაქონა (ბოტ.), ღადღადი, ღავღავი, ღაჟღაჟა, ღაჟღაჟი, ღუდღუდი; ყავყავი, ყაპყაპი, ყარყარა, ყაშყაში, ყივყივი, ყურყური; შიში; ჩაფჩაფა (აჭარულ დიალექტში), ჩაქჩაქა, ჩაქჩაქი, ჩახჩახა, ჩახჩახი, ჩიჩი, ჩიფჩიფა, ჩიფჩიფი, ჩიქჩიქი, ჩუმჩუმა, ჩუხჩუხა, ჩუხჩუხი; ცახცახა, ცახცახი, ცეცე (მწერი), ციმციმ, ციმციმა (მამაკაცის სახელი), ციმციმი; ძაგძაგი, ძაძა, ძეძეი, ძიგძიგი, ძუძუ; წამწამი, წკავწკავი, წკაპწკაპი, წუმწუმა; ჭაჭა, ჭახჭახი, ჭიკჭიკა, ჭიკჭიკი, ჭოჭო (დიალექტური), ჭუკჭუკი; ხამხამი, ხარხარი, ხასხასა, ხასხასი, ხაშხაში, ხახა, ხითხითა, ხითხითი; ჯაგჯაგი, ჯაყჯაყი, ჯიღჯიღი, ჯოჯო, ჯუჯუ.

შენიშვნა: ამ ჯგუფში ვაერთიანებთ შორისდებულის რედუპლიკაციებსაც, როგორიცაა: ჰაუ, ჰაუ, ქორო! ჰა, ჰა, ჰა, ჰა! ჰეი, ჰეი! ჰერი, ჰერი, ჰო, ჰო, ჰო!

განვიხილოთ, როგორ აისახა აბსოლუტური რედუპლიკაციები თურქულ, რუსულ და ინგლისურ ენებში და შევადაროთ ისინი ქართულთან.

§ 4. პირველი ჯგუფის რედუპლიკაციები თურქულ ენაში

პ ი რ ვ ე ლ ი ჯგუფის, ანუ მარცვალთა აბსოლუტური რედუპლიკაციები გვაქვს თურქულ, რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებშიც. ჯერ განვიხილოთ თურქულ ენაში, როგორია ამ მხრივ სურათი:

Agaragar „აგარ-აგარი"; avava „ძაღლის ყეფა"; baba „მამა"; barbar „ბარბაროსი"; bebe „ჩვილი ბავშვი"; bızbız „დაფდაფის ჩხირი"; bülbül „ბულბული"; cafcaf „ზარ-ზეიმი", „ბაქიბუქი"; cırcır (საბავშვო) „ჭრიალა"; cici (1) „ზიზი", „ზიზია"; cici (2) „ზიზილ-პიპილები"; civciv „ჟივჟივი", ჭიკჭიკი"; cimcime „საზამთროს ჯიშია"; cücük 1) „ჩანასახი"; 2) ამონაყარი, ყლორტი; 3) შიგნითა ნაწილი, გულგული; 4) წიწილა; çaça ზოოლ. „ქარსალა"; çeçe ზოოლ. „ცეცე"; çeçen „ჩეჩენი"; çekçek „ოთხბორბლიანი ხელის ურიკა"; çırçır 1) ჩიხრიხი: ბამბის საპენტი ფაბრიკა; 2) მინდვრის ჭრიჭინა; 3) გადატ. ყბედობა; „ბრწყინვალება", „ფუფუნება"; dede „პაპა"; dırdır „ლაქლაქი"; dudu „თუთიყუში"; düldül 1) თეთრი ჯორი, რომელიც მუჰამედ წინასწარმეტყველმა აჩუქა წინასწარ-მეტყველ ალის; 2) გადატ. ჯაგლაგი ცხენი; 3) გადატ. დანჯღრეული მანქანა, ჯაბახანა; farfara არაბ. „ლაქლაქა", „ღრიალა"; fıkırfıkır ხმაბაძვ. „თუხთუხი", „ჩუხჩუხი"; fırfır „ფურჩალა", „ფურფუშები"; fırılfırıl ხმაბაძვ. „ბზრიალ-ბზრიალი"; fırtfırt „განუწყვეტლად", წამდაუწუმ"; fısfıs „შხეფები"; fısılfısıl „ჩურჩულით; fısırfısır ხმაბაძვ. 1) „შრაშუნით"; 2) „ჩუხჩუხით"; fingirfingir ხმაბაძვ. „კეკლუცად", „კეკლუცობს"; firfir (i) არაბ. „მეწამული"; fokurfokur „თუხთუხი", „ბუყბუყი"; gaga „ნისკარტი"; gargara

„ყელში გამოვლება“; gırgır „გუგუნი“, „ყაყანი“; gulgule „ბუყბუყი“; gurgur (მუცელში) „ბუყბუყი“; haşhaş არაბ. ბოტ. „ხაშხაში“; havhav „ავ-ავ“ (ძაღლის ყეფა); hayhay „ჰაი-ჰაი!“ „კარგი, კარგი!“; heyhey (1) „ნერვიულობა“, „განცდა“; heyhey (2) „ღვინის დიდი თასი, კათხა“; hımhım „დუდღუნა“, „დუდღუნი“; horhor „რაკრაკი“, „ჩუხჩუხი“; hüthüt kuşu „ოფოფი“; jajha „ყბედი“, „ლაქლაქა“; jajhayi „ყბედობა“, „ლაქლაქი“, „ენის ტარტარი“; kahkaha არაბ. „ხარხარი“; karkara არაბ. წეროს სახეობა; keke (1) „ენაბლუ“; keke (2) „კავი“, „კაუჭი“; kınakına ბოტ. „ქინაქინა“; kuku „გუგული“; kumkuma არაბ. „კუმკუმა“; laklak(a) არაბ. 1) ყარყატის ნისკარტის კაკუნი; 2) ლაქლაქი, ყბედობა; lala „ლალა“; „ძიძა“; leblebi „ლაბლაბო“; lololo „ლაილაი“; mama „საჭმელი“, „საკვები“ (ბავშვის ენაზე); mazmaza არაბ. პირში წყლის გამოვლება“; meme „ძუძუ“, „ბიბილო“; mermer „მარმარილო“; mırmır (ჟარგ.) „ხულიგანი“; mızmız „ჭირვეული“, „ბუზღუნა“; minimini „პაწაწუნა“; papa „პაპი“; pehpeh „უჰ! ოჰ!“ (მოწოდების ნიშნად); pepe „ბლუ“; pisipisi „ფისო, ფისო!“; refref არაბ. 1) ქსოვილის სახეობა; 2) ქამრის ფოჩი; 3) ტოტებგაშლილი ხე; safsaf ბოტ. „ტირიფი“; sarsar არაბ. „გრიგალი“; 1) ავარა; 2) მაწანწალა; şarşar „(წყლის) რაკრაკი“, „ჩუხჩუხი“; şaşaa არაბ. „ბრწყინვა“, „კაშკაშა“, „ელვარება“; şıpşıp „ფლოსტები“; tamtam მუს. 1) ტამტამი; 2) ჩინური გონგი ორკესტრში; tantana არაბ. „დიდებულება“; tentene „მაქმანი“; tintin „უხმაუროდ“; usus ანატ. კუდუსუნი; üstüste „ზედიზედ“, „ერთმანეთის მიყოლებით“; velvele არაბ. ალიაქოთი, აურზაური; vesvese არაბ. ეჭვი, შიში, შფოთვა; yapyap უხმოდ, წყნარად, თანდათანობით; zemzem არაბ. მუსლ. „ზემზემი“ 1) (მექაში ქააბის მახლობლად ჭა); 2) ძალიან გემრიელი წყალი; zıpzıp 1) ნახერხით გატენილი ბურთი; 2) კენჭები (რომლითაც ბავშვები კენჭაობენ).

§ 5. პირველი ჯგუფის რედუპლიკაციები რუსულ ენაში.

რუსული ენის განმარტებით ლოექსიკონებში, აგრეთვე რუსულ-ქართულ ლექსიკონში (სამტომეული) საკმაოდ ბლომა-

დაა ასახული აბსოლუტური რედუპლიკაციები, რომლებიც წარმოშობილია მარცვალთა გაორკეცებით, ზოგი შორისდებულებისაგანაა ნაწარმოები, ზოგი ხმაბაძვითი სიტყვების საფუძველზე წარმოიშვნენ. ამავე ჯგუფში ვაერთიანებთ მარცვალთა ისეთ რედუპლიკაციებს, რომელთა ფუძე გართულებულია სხვადასხვა აფიქსებით. ისინი, როგორც ქართულში, ერთიან სიტყვა-ცნებას წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი იწერება ან დეფისით, ან ცალ-ცალკე:

Агар-агар აგარ-აგარი (ზღვის წითელი და წაბლისფერი წყალმცენარისაგან დამზადებული ნივთიერება).

Агу, агу შორისდ. აღუ, აღუ!

Ай, ай ვაი, ვაი.

Айе-Айе არ იბრ. ნახევრად მაიმუნის ჯიშის ძუძუმწოვარი ცხოველი.

Антанта ანტანტა (სამხედრო კავშირი).

Ау, ау! შორისდ. აუ, აუუ! (გადაძახილი, როცა ორი ადამიანი ერთმანეთს კარგავს).

Баба I საუბ. დედაკაცი.

Баба II ტექ. კუტი.

Баба III ბაბა (საფუარიანი ნამცხვარი).

Барбарис მრ. არ იხმ. კოწარობი.

Бай-бай ნანა: мальчик хочет бай-бай ბიჭს ნანა უნდა; დასაძინებლად მიდის.

Бац! Бац! ხმაბაძვ. ბათქ! ბათქ! Бац! Бац! – раздались выстрелы ბათქ! ბათქ! გაისმა სროლა.

Баю-бай, баюшки-баю, бай-баюшки-баю ნანა, ნანინა, იავნანა, იავნანინა.

Варвар ბარბაროსი.

Гага ზოოლ. სესხური.

Гу-гу: ни гу-гу ხმა არ ამოიღო, კრინტი არ დასძრა.

Динь-динь ხმაბაძვ. დინ-დინ, ძინ-ძინ; ნაუ-ნაუ (ზარის რეკვის ხმა).

Ей-ей შორისდ. ძვ. ღმერთმანი: იგივეა, რაც ей богу, не знаю! ღმერთმანი, არ ვიცი!

Еле: еле-еле ძლივს, ძლივძლივობით: Еле-еле душа в теле სული ძლივს უდგას, სულს ღაფავს (ფრაზეოლოგიზმია).

Канкан მრ. არ იხმ. კანკანი (ერთდაგვარი ცეკვაა).

Кис-кис შორისდ. ფისო-ფისო (რუსულ-ქართულ ლექსიკონში, ორთოგრაფიულში კი: ფისო, ფისო!).

Ку-ку ხმაბაძვ. გუ-გუ (რუსულ-ქართულ ლექსიკონში, ორთოგრაფიულში კი: გუგუ).

Мама დედა.

Ну-ну ანუ ну, ну 1. შორისდ. აბა: ну, ну вставай აბა, ადექი. 2. ნაწილ. კარგი, კარგი, ერთი კმარა: ну, ну, пошутил კარგი, კარგი, გეხუმრე; ну, ну, не сердись კმარა, ნუ ბრაზობ.

Няня 1. ძიძა; 2. მომვლელი (საავადმყოფოში); 3. დამლაგებელი ქალი (სკოლაში).

Папа მამა.

Тега-тега შორისდ. სოი-სოი, დოი-დოი (ბატების დაძახება).

То-то ნაწილ. საუბ. 1. სწორედ საქმეც ის არის: вот то-то и есть სწორედ ისაა. 2. აი, აი რატომ, ამიტომაც იყო: то-то и диво! აი საკვირველება!

Трух-трух ხმაბაძვ. ჩაქჩაქი.

Трюх-трюх ჩაქჩაქი, ჯაგჯაგი.

Тук-тук შემასმ. მნიშვნ. უკაკუნებს.

Тю-тю საუბ. შემასმ. მნიშვნ. ფაფუ, მორჩა გათავდა.

Тяв-тяв ხმაბაძვ. წკავწკავი.

Тятя კუთხ. მამა.

Фуфу ზმნს. საუბ.: на фуфу ცუდად, დაუდევრად, ზერელედ.

Ха-ха, ха-ха-ха ხმაბაძვ. ჰა-ჰა და ჰა-ჰა-ჰა.

Хи-хи ხმაბაძვ. ხი-ხი, ხითხითი.

Цаца 1. საუბ. ზიზია. 2. დიდი ვინმე.

Цеце ზოოლ. ცეცე.

Цып-цып შორისდ. ჯუჯუ-ჯუჯუ, წია-წია, ძიბა-ძიბა.

Чур-чура შორისდ. იგივეა, რაც чур: (შელოცვაში, თამაშში) განვედ: чур наше место свято განვედ ჩემგან, ეშმაკო! Чур меня! ხელი არ მახლო, არ მომეკარო! Чур, попалам! იცოდე ნახევარი ჩემია.

Гоголь ზოოლ. კოკონა.

Гогот 1. ყიყინი (ბატისა); 2. გადატ. ულაზათო ხარხარი, როხრობი, ხორხოცი.

Захихикать ახითხითება.

Клокот 1. თუხთუხი, ხაფხაფი: клокот воды в котле წყლის თხთუხი, ხაფხაფი ქვაბში; 2. გუგუნი, ბუყბუყი: море бурлит и клокочет ზღვა ბობოქრობს დაგუგუნებს.

Колокол 1. ზარი: звонить в колокол ზარის რეკვა; 2. ზარხუფი: водолазный колокол საყვინთო ზარხუფი.

Кохинхина კოხინხინა, კოხინხინური ქათამი.

Мямля საუბ. დონდლო, ზლაზნია, ზოზინა.

Пепел ფერფლი.

Скакалка სახტუნელა.

Так-таки ნაწილ. საუბ. მაინც.

Тетерев როჭო.

Тетеря მ. და მდ. იგივეა, რაც тетерев.

Тетёха ზორზოხი, დონდრობა.

Тётя დეიდა, მამიდა, ბიცოლა, ძალუა.

Тютюн თუთუნი.

Хохол ქოჩორი.

Хохолок კნინ. ქოჩორი.

Хохот ხარხარი.

Цап-царап შემასმ. მნიშვნ. ხუმრ. თათი, ხელი ჩაავლო, პირი სტაცა.

Цып-цып შორისდ. ЖУЖУ-ЖУЖУ, წია წია, ძიბა-ძიბა (ორთოგრაფიულში: წია-წია).

Чик-чирик ხმაბაძვ. ჭიკ-ჭიკ, ჟივ-ჟივ (ჭიკჭიკი, ჟივჟივი, - ავტ.).

Шушун ძვ. ელეგი. შუშუნი (ქალის სამოსელი რუსეთში).

შენიშვნა:

1. ქართულ ორთოგრაფიულ ლექსიკონში რედუპლიკაციური სიტყვა ფისო, ფისო! მძიმით გამოიყოფა ერთმანეთისაგან და არა დეფისით, ისე, როგორც ეს მოგვცა რუსულ-ქართულმა ლექსიკონმა.

2. სიტყვა „გუგუ" ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით იწერება ერთად და არა დეფისით.

3. სრულიად სამართლიანი შესატყვისი მოუნახა რუსულ-ქართულმა ლექსიკონმა რუსულ რედუპლიკაციურ სიტყვას чик-чирик, რომელიც თარგმნა ამგვარად: ჭიკ-ჭიკ, ჟივ-ჟივ და არა ჭიკჭიკი. რადგან რუსულში სახელობით ბრუნვაში ნულოვანი დაბოლოება გვაქვს, ამიტომ რუსული ფორმა ქართალად ითარგმნა ფუძის სახით. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულ ენაში სახელობითი ბრუნვის წარმოშობამდე სწორედ გვექნებოდა ამგვარი რედუპლიკაციური ფორმები: ჭიკ-ჭიკ, ხით-ხით, ხარ-ხარ, წკავ-წკავ და ა. შ., ე. ი. ისეთივე ფორმები, როგორიც გვაქვს რუსულ, თურქულ და სხვა ენებში.

§ 6. მარცვალთა რედუპლიკაციები ინგლისურ ენაში (პირველი ჯგუფი)

აბსოლუტურ მარცვალთა რედუპლიკაციები გვაქვს აგრეთვე ინგლისურ ენაშიც. როგორც ოთხმა სხვადასხვა ტიპის ენამ გვიჩვენა, მარცვალთა რედუპლიკაციები ყველა ენისთვის უნდა იყოს დამახასიათებელი და იგი უნდა ჩაითვალოს უნივერსალურ ხერხად, რადგან ისინი იქმნებიან ენაში ერთი და იმავე მარცვალთა გამეორების გზით, როგორც შორისდებულები ან ხმაბაძვითი სიტყვები. მაგალითები:

aye-aye აი-აი

barbarian ბარბაროსი.

barbarism ბარბაროსობა.

beriberi ბერი-ბერი, ავიტამინოზი.

berber ბერბერული ენა.

blah-blah სისულელის ლაპარაკი, როშვა, მიდებ-მოდება.

bon-bon (ფრანგ.) 1. კანფეტი; 2. უმნიშვნელო, ბანალური რამ.

boo-boo სულელური შეცდომა, მარცხი.

bulbul ბულბული.

cacao კაკაო.

cancan კანკანი (ცეკვის ერთ-ერთი სახე).

chi-chi (chichi) საქმის გაჭიანურება, გაჯანჯლება.

cuckoo გუგული, „გუგუს" ძახილი.

dada მამიკო.

fal-lal კაბის და ა.შ. მყვირალა, თვალში საცემი მორთულობა.

fanfare (მუს.) ფანფარა.

frou-frou 1. შრიალი; 2. ზიზილ-პიპილოები.

goo-goo I ამერ. კიცხ. რეფორმატორი.

goo-goo eyes II შეყვარებული თვალები.

ha-ha ჰა-ჰა!

he-he (hee-hee) ჰი-ჰი.

hubba-hubba ამერ. სლ. აი, ეს მესმის! კარგია!

oh-oh ოხვრა, ვიშვიში.

lablab ბოტ. ლაბლაბო.

la-la უხეირო, არც თუ ისე კარგი.

lu-lu საუცხოო, არაჩვეულებრივი.

murmur ჩურჩული.

nana (nanna) ბავშვ. ბებია, ბებო.

papa ამერ. ბავშვ. მამა, მამილო.

pepper პილპილი.

pom-pom (pompom) პომპონი (ქუდის ან ფეხსაცმლის მოსართავი ფაფუკი ბურთულა).

purpura პურპურა მედ. (კანქვეშა ან ლორწქვეშა წერტილოვანი სისხლჩაქცევა).

tartar თათარი.

tomtom ტამტამი (დაფი, დაფდაფი).

tsetse ზოოლ. მწერი-ცეცე.
vivid კაშკაშა.

§ 7. მეორე ჯგუფის რედუპლიკაციები ქართულ ენაში

მ ე ო რ ე ჯგუფში ვაერთიანებთ ისეთ აბსოლუტურ რედუპლიკაციებს, რომლებიც იწარმოებიან არა მარცვალთა გაორმაგებით (იხ. პირველი ჯგუფი), არამედ ფუძეთა გაორმაგებით: ერთი და იმავე სიტყვის რედუპლიკაციის დროს ვღებულობთ ერთიან შერწყმულ სიტყვას განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობით (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

რედუპლიკაციური ფორმის პირველ ნახევარს შეიძლება დაერთოს სახელობითი ბრუნვის ნიშანი, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია მეორე ნაწილისათვის (ხელ-ი-ხელ = ხელიხელ, თავთავიანი, ძველძველი), ან რედუპლიკაციური სიტყვის პირველი ნაწილი მიერთებულია მეორესთან თანიანი მრავლობითის -თა აფიქსით, ან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის (-ის) დართვით, ან კიდევ ფუძის სახით და სხვა. მაგალითები: არარა, ახალთახალი; ბეგთაბეგი, ბევრისბევრი, ბრძენთაბრძენობა (შდრ. ბრძენთა ბრძენი); გვერდიგვერდ, გვერდისგვერდ, გორიგორ; დაპირდაპირება, დაპირდაპირებული, დაჰპირდაპირებია, დაჰპირისპირებია; ერთადერთი, თავთავი, თავთავიანი, თავისთავად, თავისთავადი, თავისთავადობა, თვალთვალი, თინათინი; კაცურკაცობა; მალიმალ, მამაცთმამაცი, მზეთამზე, მრავალთმრავალი, მუზმუზელა, მჯობთამჯობი; ნათვალთვალეები, ნაწყვეტნაწყვეტობა; პაპისპაპა, პირაპირი, პირისპირ; რიგრიგობა; სიტყვასიტყვითი; უფალთუფალი; ფალავანთფალავანი, ფერადფერადობა; ქონაქონა ბოტ.; ქურუმთქურუმი; ღონისღონე; ყელყელა, ყელყელაობა; შვილთაშვილი, შვილიშვილი, შორიშორ და შორიშორს, შორიშორი; ცალცალკევდება, ცალცალკეობა, ცალცალკეული; ძალთაძალი, ძველისძველი, ძველისძველობა, ძველძველი; წმიდათაწმიდა, წყალწყალა; ხელიხელ (სულ 57 სიტყვა).

§ 8. მეორე ჯგუფის რედუპლიკაციები თურქულ ენაში

მ ე ო რ ე ჯგუფის რედუპლიკაციები თურქულ ენაში იგივეა, რაც ქართულში. აქაც გვაქვს სიტყვათა რედუპლიკაციები, რომლებიც ქმნიან ერთიან სიტყვას, ერთ ცნებას ანუ ჩვეულებრივად - ენობრივ ნიშანს. რედუპლიკაციის ეს სახეც თურქულში ეკუთვნის აბსოლუტურ რედუპლიკაციებს შიგადაშიგ ოდნავი ცვლილებებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის რედუპლიკაციების რიცხვი ძალიან ცოტაა თურქულში, რადგან გაორმაგებული სიტყვები აქ ხშირად ცალ-ცალკე იწერება:

anneanne დიდედა, ბებია (დედის დედა).

beraber 1. ერთად, ერთობლივად: ა) ამასთან ერთად; ბ) თან: beraberinde taşımak თან ტარება (თან ატარებს); 2. ერთნაირი; თანაბარი, ტოლი; 3. ერთნაირი, თანაბარი ანგარიში.

birbiri ერთმანეთი: birbirine bakılar ერთმანეთს გადახედეს; birbirine göz kırpılar ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს; günler birbirine kovalar დღეები ერთმანეთს მისდევს;

hepsi birbirinden güzel ყველანი ერთი ერთმანეთზე ლამაზები არიან.

birebir 1. ეფექტურად, ძლიერ მოქმედი; 2. შესაფერი, ზედგამოჭრილი.

cimcime 1. საზამთროს ჯიშია; 2. ნატიფი, სანდომიანი, ლამაზი.

daradar ძლივძლივობით, გაჭირვებით, ძლივს.

gargara 1. ყელში გამოვლება; 2. ყელში გამოსავლები საშუალება.

karkara ზოოლ. წეროს სახე.

köşköş მძიმე-მძიმედ.

kumkuma არაბ. 1. კუმკუმა; 2. გადატ. ჭურჭელი.

süssüz მოურთავი, მოუკაზმავი.

tentene მაქმანი.

yanyana გვერდიგვერდ, ერთმანეთის გვერდით.

yapyap უხმოდ, წყნარად, ნელა, თანდათანობით.

yekeyek ერთი ერთზე.

yiyi ჭამის მანერა.

zemzeme არაბ. 1. მელოდია; 2. ჰანგი, კილო, მოდულაცია.

როგორც მაგალითების რაოდენობა გვიჩვენებს, სიტყვათა რედუპლიკაციები, რომლებიც შერწყმულად გადმოიცემა, ძალიან ცოტაა თურქულ ენაში, რადგან ამ ჯგუფის სიტყვები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ისინი მეტწილად ცალ-ცალკე გადმოიცემა ამ ენაში.

§ 9. სიტყვათა რედუპლიკაციები რუსულ და ინგლისურ ენებში (მეორე ჯგუფი)

რუსულ ენაში სიტყვათა რედუპლიკაციები ძალიან ცოტაა, მაგრამ მაინც არის, ორთოგრაფიულად ისინი მხოლოდ დეფისით ან ცალ-ცალკე იწერებიან:

Давным-давно ძალიან დიდი ხანია.

День-деньской მთელი დღე, მთელი დღის განმავლობაში.

Мало-мальский მცირეოდენი, სულ ოდნავი.

Мало-мальски ზმნს. ცოტათი მაინც, ოდნავი მაინც.

Один на один პირისპირ (შეხვედრა), ხელდახელ.

Один-одинёшенек და один-одинёхонок და მდ. одна-одинёхонька მარტოდმარტო.

Перво-наперво ზმნს. პირველ ყოვლისა, უპირველესად ყოვლისა.

ინგლისურ ენაში და საერთოდ ინდოევროპულ ენებში სიტყვათა რედუპლიკაციები მეტწილად იწერება დეფისით და არა შერწყმულად, როგორებიც გვაქვს ეს ქართულ და თურქულ ენებში. ინგლისურ ენაში სიტყვათა რედუპლიკაციები საკმაოდ ბევრია. ერთადერთი სიტყვა შეგვხდა ინგლისურ ენაში, რომელიც იწერება შერწყმულად: nagnag 1. ვინმესთვის შარის მოდება (მოსდებს); ჩაციება, გადაკიდება; 2. გაუთავებლად შეწუხება (შეაწუხებს), ტკივილის მიყენება, ღრღნა.

მაგალითები:

ack-ack სამხ. 1) საზენიტო ქვემეხი; 2) საზენიტო არტილერია; 3) საზენიტო ცეცხლი.

a-go-go საუბ. 1) = discoteque; 2) მომცრო ღამის კლუბი-დანსინგი როკენროლის ანსამბლით ან ჩაწერილი პოპ-მუსიკით.

air-to-air „ჰაერი ჰაერი" კლასის რეაქტიული რაკეტა.

an-end არქ. 1. ბოლოსდაბოლოს; 2. ბოლომდე, განუწყვეტ-ლივ; 3. დაყუდებულად, აშვერილად.

arm-in-arm ხელიხელგაყრილი, ხელკავი.

blah-blah სისულელის ლაპარაკი, როშვა, მიდებ-მოდება.

buddy-buddy 1. მეგობარი, ძმაკაცი. 2. მლიქვნელი, ლაქუცა, პირმოთნე.

chin-chin 1. ხუმრ. მისალმება (ესალმება); ყოველივე საუკეთესოს სურვება. 2. საუბ. სადღეგრძელოს წარმოთქმა. 3. საუბ. 1) აუჩქარებლად, დინჯად საუბარი (საუბრობს, ესაუბრება); 2) უბრალო რამეზე ლაპარაკი.

chop-chop 1. ამერ. საუბ. ჩქარ-ჩქარა. 2. შორისდ. მნიშვნ. ჩქარა! სწრაფად! = თვალის დახამხამებაში აქ გაჩნდი.

chow-chow საუბ. 1. კომბინირებული, ნარევი რამ. 2. პიკული; სხვადასხვა ბოსტნეულის მწნილი.

coca-cola კოკა-კოლა.

fifty-fifty საუბ. 1) თანაბარი, თანაბრად, შუაზე გაყოფილი; 2) თანასწორი.

float-float ტივი, ბორანი.

gee-gee სლ. ცხენი.

go-no-go სპეც. რისამე გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული.

goody-goody ამერ. საუბ. ხაზგასმულად | გამაღიზიანებლად კეთილად განწყობილი, თავაზიანი, წესიერი და ა. შ. ადამიანი, პირფერი, ფარისეველი; მლიქვნელი.

ground-to-ground სამხ. „მიწა-მიწა" კლასის (მართული) რაკეტა.

half-half 1. ა) ორი თანაბარი ნაწილისაგან შემდგარი (ითქმის ნარევის და ა. შ. შესახებ. ბ) ტოლი. 2. სანახევრო, ნაწილობრივი.

hand-tohand ხელჩართული.

haw-haw ჰა-ჰა! (სიცილი (მხიარულების ან დაცინვის).

hula-hula ჰულა-ჰულა (პოლინეზიური ცეკვა).

hush-hush საუბ. ფარული, საიდუმლო, გახმაურება რომ არ შეიძლება.

one-to one 1. ცალსახა, ერთნიშნა; 2. მხოლოდ ორ ადამიანს შორის რომ მიმდინარეობს.

out-and-out 1.სრული, ყოვლისმომცველი, ტოტალური | საყოველთაო ომი; 2. მტკიცე, ურყევი; 3. აშკარა, ნამდვილი

out-and-outer 1. განუმეორებელი/იშვიათი ვინმე ან რამე; 2. ექსტრემისტი; რადიკალური შეხედულების მქონე ადამიანი; 3. გამოუსწორებელი არამზადა; 4. აშკარა ტყუილი/სიცრუე.

jaw-jaw საუბ. ხანგრძლივი საუბარი, გაუთავებელი ლაპარაკი / ხანგრძლივი დისკუსია, მსჯელობა.

jog-jog 1. ხშირი ბიძგებით, რყევით, ჯაყჯაყით; 2. ჩორთით.

lava-lava ლავა-ლავა, ერთგვარი ქვედატანი ან კაბა (პოლინეზიური ქალების ან მამაკაცების ან ბავშვების სამოსი).

muck-a-muck ამერ. საუბ. ქედმაღალი (ამპარტავანი), საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ადამიანი.

never-never საუბ. განვადებით ყიდვა ან გაყიდვა.

paw-paw 1. 1) პაპაია (ნესვის ხე); 2) პაპაია (ნაყოფი); 2. ამერ. ბოტ. აზიმინა.

pooh-pooh ფუ! (ზიზღის გამომხატველი შორისდებული).

so-and-so ესა და ეს; მავანი.

such-and-such მავანი.

talkee-talkee გაუთავებელი ლაყბობა.

through-and-through სრულიად, ბოლომდე, სავსებით.

§ 10. მესამე ჯგუფის რედუპლიკაციები ქართულ ენაში

მ ე ს ა მ ე ჯგუფის რედუპლიკაციები ქართულ ენაში სპეციფიკურია, რადგან მათი ნაწილები შეერთებულია „და“ კავშირით. სხვა ენები ამ ხერხს არ იყენებენ.

მესამე ჯგუფის რედუპლიკაციები ორთოგრაფიულად შეიძლება დავყოთ ორ ქვეჯგუფად: პირველ ქვეჯგუფს ქმნიან ისეთი სიტყვები, რომელთა კომპონენტები შერწყმულია ერთმანეთთან „და“ კავშირით (მაგ., გულდაგულ), ხოლო მეორე ქვეჯგუფში „და“ კავშირი განაცალკევებს რედუპლიკაციურ სიტყვებს ერთმანეთისაგან, რომლის შედეგად ვღებულობთ სამსიტყვიან შეხამებებს (მაგ., ასე და ასე).

მესამე ჯგუფის პირველი ქ ვ ე ჯ გ უ ფ ი ს სიტყვებია: ბაღდაბაღ; განდაგან (აჭარულ დიალექტში - განდაგანა), გულდაგულ; დღედადღე; თავიდათავი (თავისდათავად), თანდათან, თანდათანობა, თანდათანობით, თანდათანობითი, თვალდათვალ, თვედათვე; კარდაკარ, კვალდაკვალ; მაინცდამაინც; მოპირდაპირე; პირდაპირ, პირდაპირი, პირდაპირობა, პირდაპირობს; რადარანაირი; საგულდაგულო; უარდაუარ; ფეხდაფეხ; შიგადაშიგ, შრედაშრე; ცხენდაცხენ; ძალდაძალ; წამდაწამ, წინდაწინ, წინდაწინვე, წყალდაწყალ; ხანდახან, ხევდახევ, ხმალდახმალ.

მესამე ჯგუფის მეორე ქ ვ ე ჯ გ უ ფ ი ს სიტყვებს შეადგენენ შემდეგი სიტყვათშეხამებები: ამა და ამ (ადგილას), ამდენი და ამდენი, არა და არა, არამც და არამც, ასე და ასე, ახალი და ახალი; ბოლოს და ბოლოს; ვერა და ვერ, ვერა და ვერა, ვინ და ვინ; ზევით და ზევით; ისევ და ისევ, იქით და იქით; კიდევ და კიდევ, კვლავ და კვლავ; მარად და მარად, მეტი და მეტი; რა და რა; უკან და უკან, უკეთ და უკეთ.

სხვა ენებისათვის ზემოხსენებული რედუპლიკაციების ორივე ქვეჯგუფი არ არის დამახასიათებელი. შევადაროთ ზოგიერთი მაგალითი რუსულ და გერმანულ ენებს:

პირდაპირი: прямой – gerade (geradezu); დილდილობით: по утрам - morgens früh; წინდაწინ: заранее – im voraus (beizeiten); ხანდახან: иногда - manchmal და ა. შ.

§ 11. მეოთხე ჯგუფის რედუპლიკაციები ქართულ ენაში

მ ე ო თ ხ ე ჯგუფს შეადგენენ ისეთი რედუპლიკაციები, რომლებიც შეერთებულია დეფისით, მაგრამ ინდოევროპული ენები ამგვარ ფორმებს მაინცდამაინც ვერ აწარმოებენ (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). მოვიყვანთ დეფისით შეერთებულ სიტყვათა რედუპლიკაციების მაგალითებს ქართულ ენაში:

აგარ-აგარი, აგერ-აგერ, ადგილ-ადგილ, ათას-ათასი, ალა-ალა, ალაგ-ალაგ, ამდენ-ამდენი, არი-არალო, არი-არალე, ას-ასი, ასო-ასო, აღმართ-აღმართ, ახალ-ახალი, ახლო-ახლო; ბადე-ბადე, ბაზარ-ბაზარ, ბევრ-ბევრი, ბევრი-ბევრი, ბერი-ბერი (ავადმყოფობა), ბილიკ-ბილიკ, ბოლუქ-ბოლუქ, ბრიგინ-ბრიგინი, ბუდნა-ბუდნა (დათესვა), ბურჯღალ-ბურჯღალი, ბღუჯა-ბღუჯა; გალა-გალა, გამხდარ-გამხდარი, გან-გან, გარე-გარე, გასწვრივ-გასწვრივ, გასწორ-გასწორ, გვიან-გვიან, გრილო-გრილო, გრძელ-გრძელი; დაბალ-დაბალი, დაკა-დაკა, დასტა-დასტა, დაღმა-დაღმა, დაღმართ-დაღმართ, დელი-დელა, დიდ-დიდი, დიდი-დიდი, დილა-ოდილა, დილ-დილას, დრო-დრო, დუმ-დუმი, დუქან-დუქან, დღე-დღე, დღე-დღეზე; ეგერ-ეგერ, ეზო-ეზო, ერთ-ერთი, ეს-ეს არის, ის-ის იყო; ექვს-ექვსი; ვაი-ვაი, ვაკე-ვაკე; ზოლ-ზოლად; თავ-თავიანთი, თავ-თავისი, თბილ-თბილი, თეთრ-თეთრი, თემ-თემ, თერთმეტ-თერთმეტი, თექვსმეტ-თექვსმეტი, თვე-თვე, თითო-თითო, თითო-თითოჯერ, თქვენი-თქვენი, თხელ-თხელი, თხუთმეტ-თხუთმეტი; კარ-კარ, „კაფე-კაფე", კედელ-კედელ, კიბე-კიბე, კიდე-კიდე, (დიალექტური ქენარ-ქენარ), კივი-კივი ზოოლ., კიკლი-კიკლი (გამოცანაში), კილო-კილო, კიმპლა-კიმპლა, კლდე-კლდე, კონა-კონა, კოტრიალ-კოტრიალა, კოტრიალ-კოტრიალი, კუთხე-კუთხე,

კუნჭულ-კუნჭულ; ლამაზ-ლამაზი, ლიწინ-ლიწინი, ლუკმა-ლუკმა; მაგარ-მაგარი, მალ-მალ, მალე-მალე, მარცვალ-მარცვალ, მაღალ-მაღალი, მაღლა-მაღლა, მთა-მთა, მთელ-მთელი, მიზეზ-მიზეზ, მინდორ-მინდორ, მისხალ-მისხალ, მიწა-მიწა, მსუქან-მსუქანი, მსხვილ-მსხვილი, მუჭა-მუჭა; ნაბიჯ-ნაბიჯი, ნაგლეჯ-ნაგლეჯი, ნაკეც-ნაკეცი, ნაკვეც-ნაკვეცი, ნაკუწ-ნაკუწ, ნაკუწ-ნაკუწი, ნაპირ-ნაპირ, ნაფლეთ-ნაფლეთი, ნაწილ-ნაწილ, ნაწილ-ნაწილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ნაჭერ-ნაჭერ, ნაჭერ-ნაჭერი, ნახევარ-ნახევარი, ნახირ-ნახირ, ნება-ნება, ნელა-ნელა, ნელ-ნელა, ნოტო-ნოტო; ოდელა-დელა-დელა, ოთხ-ოთხი, ორ-ორი, ორ-ორჯერ, ოც-ოცი; პატარ-პატარა, პირად-პირადი; ჟღივ-ჟღივი; რაღაც-რაღაცები, რერა-ორერა, რვა-რვა, რია-რია, რირა-ორირა, რიხინ-რიხინი, როდის-როდის; სამ-სამი, სერ-სერ, სველ-სველი, სორო-სორო, სოფელ-სოფელ, სრე-სრე || სრელა-სრელა, სუქი-სუქი, სქელ-სქელი; ტალიკ-ტალიკი, ტაში-ტაში, ტეტ-ა-ტეტ (ფრანგ.), ტკბილ-ტკბილი, ტკიცინ-ტკიცინი, ტოლ-ტოლი, ტყე-ტყე, ტყუპ-ტყუპი; უბან-უბან, უკან-უკან, უცხო-უცხო, უჯრა-უჯრა; ფანტელ-ფანტელა, ფენა-ფენა, ფერად-ფერადი, ფერება-ფერებაში, ფეხ-ფეხ, ფეხ-ფეხა, ფთილა-ფთილა, ფიცარ-ფიცარ, ფურცელ-ფურცელ, ფურცელ-ფურცელი; ქედ-ქედ, ქვე-ქვე, ქვეშ-ქვეშ, ქორედ-ქორედი, ქუჩა-ქუჩა; ღამ-ღამ, ღამ-ღამე, ღელე-ღელე, ღერ-ღერ, ღიტი-ღიტი, ღობე-ღობე, ღრიჭინ-ღრიჭინი; ყავარ-ყავარ, ყანა-ყანა, ყირა-ყირა; შავ-შავი, შამფურ-შამფურ, შარა-შარა,შეღმართ-შეღმართ, შვიდ-შვიდი, შუა-შუა, შუკა-შუკა; ჩვენ-ჩვენი, ჩქარ-ჩქარა, ჩქარ-ჩქარი; ცალ-ცალი, ცალ-ცალკე, ცამეტ-ცამეტი, ცარიელ-ცარიელი, ცივ-ცივი, ცოტა-ცოტა, ცოტა-ცოტათი, ცხარე-ცხარე, ცხარ-ცხარე, ცხელ-ცხელი, ცხრა-ცხრა; ძირ-ძირ, ძლივს-ძლივს; წავალ-წავალა, წამ-წამ, წვრილ-წვრილი, წითელ-წითელი, წინ-წინ, წყალ-წყალ, წყება-წყება, წყვეტილ-წყვეტილ, წყვილ-წყვილი; ჭალა-ჭალა, ჭრელ-ჭრელი, ჭრიჭინ-ჭრიჭინი, ჭროღა-ჭროღა, ჭყივილ-ჭყივილი; ხამუშ-ხამუშ, ხევ-ხევ ზმნს., ხმელ-ხმელი, ხოშორ-ხოშორი, ხრიგინ-ხრიგინი, ხროვა-ხროვა, ხუთას-ხუთასი, ხუთ-ხუთი, ხშირ-ხშირი.

§ 12. მეხუთე ჯგუფის რედუპლიკაციები ქართულში

რედუპლიკაციის მეხუთე ჯგუფს ქმნიან ზმნიზედური რედუპლიკაციები, რომლებიც შეტანილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ცალკე სტატიად. ორთოგრაფიულად ისინი მეტწილად გადმოიცემიან ისე, როგორც ეს ხდება მეოთხე ჯგუფის რედუპლიკაციებისას, ე. ი. გაორმაგებულ სიტყვებს შორის ისმება ნიშანი „-„ (დეფისი). მაგრამ ამავე ჯგუფში გვაქვს ისეთი ზმნიზედური რედუპლიკაციებიც, რომლებიც ორთოგრაფიულად უკვე შერწყმული არიან ერთმანეთთან დეფისის გარეშე. ზმნიზედური რედუპლიკაციები იწარმოებიან სიტყვის ფუძეზე **-ით** და **-ად** სუფიქსების დართვით (გვაქვს გამონაკლისებიც: ალაგ-ალაგ, გვერდ-გვერდ, გვერდიგვერდ, გვერდი გვერდზე და მისთ.). ამგვარ ზმნიზედურ რედუპლიკაციურ ფორმებს სხადასხვა ენები სხვადასხვა ხერხით აწარმოებენ, მაგ., რუსული ენა აწარმოებს არსებითი სახელის მრავლობითი რიცხის მიცემით ბრუნვაში **„по“** წინდებულის გამოყენებით (**по ночам** ღამ-ღამობით) ან ზმნიზედური ფორმებით (**потихоньку** ჩუმ-ჩუმად და მისთანები). ქართულ ენაში ზმნიზედური რედუპლიკაციები საკმაოდ დიდ ჯგუფს შეადგენენ:

ალა-ალაგ; ბაკუნ-ბაკუნით, ბზრიალ-ბზრიალით, ბზუილ-ბზუილით, ბოლქვ-ბოლქვად, ბორიალ-ბორიალით, ბრიგინ-ბრიგინით, ბუჩქ-ბუჩქად; გლიჯინ-გლიჯინით, გრიალ-გრიალით, გუნდ-გუნდად; დასტა-დასტად, დაუხამხამებლად, დილ-დილით, დილდილობით, დუჟინ-დუჟინად, დღედღეობით, დღესდღეობით; ზევ-ზევ, ზლუქუნ-ზლუქუნით, ზოზინ-ზოზინით; თავისთავად, თავპირისმტვრევით, თემ-თემად; ირიბ-ირიბად; კეც-კეცად, კიაფ-კიაფით, კითხვა-კითხვით, კოტრიალ-კოტრიალით, კოშტ-კოშტად, კუნწულ-კუნწულად; ლაპარაკ-ლაპარაკით, ლუკმა-ლუკმად; მთელ-მთელად, მუჭა-მუჭად, მუხლ-მუხლად, მძიმე- მძიმედ, მწკრივ-მწკრივად; ნაგლეჯ-ნაგლეჯად, ნავარდ-ნავარდით, ნაკეპ-ნაკეპად, ნაკეც-ნაკეცად, ნატეხ-ნატეხად, ნაფლეთ-ნაფლეთად, ნაწილ-ნაწილებად, ნაწ-

ყვეტ-ნაწყვეტად, ნაჭერ-ნაჭრად; პროწიალ-პროწიალით; ჟამ-ჟამად; რიგ-რიგად, რიგრიგობით, სამ-სამად, სერ-სერად, სვენებ-სვენებით, სვეტ-სვეტად, სიტყვასიტყვით, სლუკუნ-სლუკუნით, სრიალ-სრიალით; ტირილ-ტირილით, ტოლ-ტოლად, ტრიალ-ტრიალით, ტრუხუნ-ტრუხუნით, ტუსტუსით, ტყუპ-ტყუპად; ფართო-ფართოდ, ფაცა-ფუცით, ფაცხაფუცხით, ფელიკ-ფელიკად, ფენა-ფენად, ფერებ-ფერებით, ფრუტუნ-ფრუტუნით; ქუშ-ქუშად; ღამ-ღამით, ღამღამობით, ღამღამით, ღერ-ღერად, ღვედ-ღვედად, ღიღინ-ღიღინით; ყვირილ-ყვირილით, ყურებ-ყურებით; შლიგინ-შლიგინით, შრიალ-შრიალით, ჩუმ-ჩუმად, ჩურჩულ-ჩურჩულით, ჩქეფ-ჩქეფად, ჩქრიალ-ჩქრიალით; ცალ-ცალკეულად, ცეკვა-ცეკვით, ცვარ-ცვარად, ცივ-ცივად, ცხრა-ცხრაობით, ძლივძლივობით; წალიკ-წალიკად, წვეთ-წვეთად, წვეთწვეთობით, წლითიწლობით, წმუტუნ-წმუტუნით, წკრიალ-წკრიალით, წრუპვა-წრუპვით, წრუპწრუპით, წრუწუნ-წრუწუ-ნით, წუთწუთობით, წურწურით, წყობა-წყობად; ჭიხვინ-ჭიხვინით, ჭყავილ-ჭყავილით, ჭყივილ-ჭყივილით; ხორა-ხორად, ხრიალ-ხრიალით, ხრიგინ-ხრიგინით, ხტუნვა-ხტუნვით, ხუმ-რობა-ხუმრობით, ხშირ-ხშირად; ჯარ-ჯარად, ჯგუფ-ჯგუფად, ჯელგა-ჯელგად, ჯერჯერობით, ჯოგ-ჯოგად.

ზმნური, ზმნიზედური და სახელური ფორმები გვაქვს ინგლისურ ენაში, თუმცა მცირე რაოდენობის. მაგალითად:

blah-blah-blah მდაბიოდ და ა. შ. ლაპარაკი და მისთანები.

fifty-fifty საუბ. 1. თანაბრად, შუაზე; 2. თანასწორად.

goody-goody ამერ. საუბ. ხაზგასმულად | გამღიზიანებლად... პროფესიული, ფარისევლური; მლიქვნელური.

hand-to-hand ხელჩართულად, ხელჩართულად ბრძოლა.

§ 13. მეექვსე ჯგუფის რედუპლიკაციები

მეექვსე ჯგუფის რედუპლიკაციები თითქმის ყველა ენაში მოგვეპოვება. ამ ტიპის ფორმები სიტყვათა შეხამებებია, რომლებიც რედუპლიკაციური ფუძეებისაგან არის შემდგარი.

ქართულ და სხვა ენებში ასეთი ტიპის რედუპლიკაციები ცოტა რაოდენობისაა, მათ შორის გვაქვს როგორც მარცვალთა, ისე სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციები, რომლებიც, მართალია, ცალ-ცალკე იწერებიან, მაგრამ მაინც ერთიან ცნებას წარმოადგენენ:

ამირთა ამირა, ბრძენთა ბრძენი, გვერდი გვერდზე, გული გულობს, დიდზე დიდი, დღე დღეს (მისდევს), დღითი დღე, ვიღაც ვიღაცები, თავის თავზე, თავისი თავი, თვიდან თვემდე, კიდით კიდე || კიდით კიდემდე, მისხის მისხი; მისხის მისხამდე, მეფეთ მეფე, ორად ორი, ორად ორჯერ, ოთხად ოთხი, უდროო დროს, ფეხი ფეხზე, ქუცი, ქუცი, მურია! შვილისშვილის შვილი, წლიდან წლამდე, წუთი წუთზე, ხელიდან ხელში, ხელი ხელს;

რუსულ ენაში მსგავსი ტიპის რედუპლიკაციები გვაქვს როგორც სიტყვათა შეხამებებისაგან შემდგარი, ასევე შორისდებულებებისაგანაც წარმოებულნი (იხ. § 3 და § 5).

თურქულ ენაში რედუპლიკაციურ სიტყვათა შეხამებები ორთოგრაფიულად გადმოიცემა ცალ-ცალკე ბრუნვათა სხვადასხვა ფორმებით. ისინი ამ ენაში საკმაოდ ბევრია:

akşamdan akşama ყოველ საღამოს.

ana baba დედ-მამა.

baş başa პირისპირ.

baştan başa კიდით კიდემდე, სულ მთლად.

bir günden bir güne დღიდან დღემდე.

birer სათითაოდ: birer birer თითო თითოდ (თითო-თითოდ, - ავტ.).

can cana ერთად, მეგობრულად.

can cana baş başa ა) ყველა თავის გასაჭირზე; ბ) წყნარად, მშვიდად.

car: car car ა) ყაყანი, ლაქლაქი, ჯაღჯაღი; ბ) ხმამაღლა, განუწყვეტლივ.

cart cart öter (ფრაზეოლოგიზმია): ა) ტკაცატკუცი გააქვს; ბ) ტრაბახობს.

ceste: ceste ceste ა) ცოტა-ცოტა, თანდათანობით; ბ) ნაწილ-ნაწილ: borcunuzu ceste ceste odersiniz ვალს ნაწილ-ნაწილ გადაიხდით.

cık: cık cık ჭიკჭიკი: cık cıkötüyor ჭიკჭიკებს.

cır: cır cır ჭრიჭინი: cır cır ötüyor ა) ჭრიჭინებს; ბ) გადატ. გაუთავებლად ლაპარაკობს: sabahtan akşama kadar cır cır öter დილიდან საღამომდე ლაქლაქებს.

cırt: ფხრიწ: cırt cırt yırtmak გაფხრეწა, გახევა; cırt cırt etmek (ჭახუნით, ტკაცუნით) გასკდომა, გაფხრეწა.

cıvıl cıvıl ჟივჟივ! ჭიკჭიკ! ჟივჟივი, ჟივილ-ხივილი, ჭიკჭიკი.

cıyak cıyak bağırmak ღრიალი, კივილი, წივილი.

cızır cızır ხმაბაძვ. ა) შიშხინი, ტკაცატკუცი.

cumbul: cumbul cumbul ა) ხმაბაძვ. წყლის შხაპუნი, თქაფუნი, ტლაშუნი; ბ) წყალწყალა: çorba değil, cumbul cumbul su შეჭამანდი კი არა, წყალწყალა რამეა.

çağıl: çağıl çağıl ხმაბაძვ. რაკრაკი, ჩხრიალი, ჩუხჩუხი; dere çağıl çağıl akıyor ნაკადული მირაკრაკებს, მიჩუხჩუხებს.

çatır 1) ხმაბაძვ. ჭახ!, ტკაც!, ჯახ!: çatırçatır ჭახაჭუხი, ტკაცატკუცი.

çift çift წყვილ-წყვილად.

çim çim უგულოდ, უხალისოდ.

çok: çok çok დიდი, დიდი (დიდი-დიდი, - ავტ.).

dalga: dalga dalga ტალღა-ტალღა|დ|: saçları dalga dalga serilmişti თმები ტალღებად (ტალღა-ტალღად) ეფინა.

damla damla ა) წვეთ-წვეთად; ბ) ცოტა-ცოტა.

fasla fasla არაბ. ალაგ-ალაგ, ადგილ-ადგილ, აქა-იქ.

faşır faşır ჩხრიალი, ჩუხჩუხი, რაკრაკი: sular faşır faşır akıyor წყალი მოჩუხჩუხებს.

Fena არაბ. 1) ცუდი, უხეირო, საძაგელი; 2) fena fena ცუდად, უხეიროდ, საძაგლად საშინლად; yağmur fena fena yağıyor საშინლად წვიმს.

fıs ხმაბაძვ. ა) ჩურჩული; ბ) ჭორი: fıs fıs konuşmak ჩურჩულით ლაპარაკი.

gacır: gacır gacır ღრაჭაღრუჭი, ღრაჭუნი.

gık ხმაბაძვ. gık gık კაკანი, კრიახი (კაკანებს, კრიახებს).

haldır: haldır haldır რახარუხი, ბრახაბრუხი: makıne haldır haldır işliyor მანქანა რახარუხით მუშაობს.

horul: horul horul ხვრინვა: horul horul uyuyor ძილში ხვრინავს.

ışıl: ışıl ışıl ელვარებით, კაშკაშით: ışılışıl ışımak ელვარება (ელვარებს), კაშკაში (კაშკაშებს).

içe(içi): შიგნითა საქმე: içeiçe ა) ერთმანეთში; ერთმანეთში მყოფი; iç içiye kutalar ერთმანეთში ჩადებული კოლოფები; ბ) ერთმანეთში გამავალი, მომიჯნავე, მოსაზღვრე: içe içıye oda ორი ერთმანეთში გამავალი ოთახი.

jaj, jaje აბდა-უბდა (აბდაუბდა, - ავტ.), მიდებ-მოდება.

kuçu kuçu (ბავშვის ენაზე) ძაღლის მოსახმობი.

lıkır lıkır imek რაკრაკით დალევა.

ne ... ne ... (diye) არც, არც: ne bana olsun ne ele არც მე, არც სხვას.

rap rap აწყობილი ფეხის ხმა: askerler rap rap geliyorlardı ჯარისკაცები ფეხაწყობილი მიდიოდნენ.

şakır: şakır şakır ა) ხმაბაძვ. შხაპუნით: yağmur şakır şakır yağıyor შხაპუნა წვიმა მოდის.

şıp şıp: damdan şıp şıp damlıyor სახურავიდან წყალი წკაპაწკუპით წვეთავს.

şıpır: şıpır şıpır წვეთწვეთად.

tak: tak tak, tuk ხმაბაძვ. 1) კაკ-კუკ; 2) ხმაურით, ბრახუნით, კაკუნით.

tek მარტო; ერთი; ერთადერთი: teke tek kavga (ფრაზეოლოგიზმია) ორთა ბრძოლა.

tık tık ტიკ! ტიკ! ხმაბაძვ. კაკუნი: saat tık tık ediyor საათი წიკწიკებს.

tıkır: tıkır tıkır ხმაბაძვ. 1) წკრიალი, ტაკა-ტუკი (ტაკატუკი, - ავტ.); შიშინი; 2) წკრიალით, წკრიალ-წკრიალით, ტაკატუკით; 3) რიტმულად: makne tıkır tıkır işliyor მანქანა რიტმულად მუშაობს;

çocuk tıkır tıkır cevap verdi ბავშვმა წკრიალა ხმით უპასუხა. tırtık tırtık უსწორმასწორო.

ucun ucun ძლივს, ძლივძლივობით.

vah ოხ! ვაი! vah! vah! pek yazık oldu ოჰ! რა სამწუხაროა! რა საწყენია!

ya: ya ..., ya ..., 1) ან ..., ან ..., ან: ya ben aldanıyorum, ya sen ან მე ვცდები, ან შენ.

yavaş: yavaş yavaş ნელა-ნელა, თანდათანობით.

yüz yüze gelmek ა) პირისპირ შეჯახება, შეხვედრა; 2) მარტო პირისპირ.

§ 14. კონტრასტული რედუპლიკაციები ქართულ ენაში (მეშვიდე ჯგუფი)

ქართულ ენაში, სხვა ენებისაგან განსხვავებით, გვაქვს ისეთი რედუფლიკაციური ფორმები, რომლებიც იწარმოება სიტყვათა ძირის გაორმაგებით, მაგრამ გაორმაგებულ ნაწილებს აქვს საპირისპირო მნიშვნელობები, რადგან ისინი ირთავენ იქითა და აქეთა მიმართულების ზმნისწინებს. ამგვარ რედუპლიკაციურ ფორმებს ჩვენ ვუწოდეთ კონტრასტული რედუპლიკაციები. წარმოების ეს ხერხი განსაკუთრებით დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის და იგი მეტად პროდუქტიულია. მოგვყავს ის ფორმები, რომლებიც დაფიქსირებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. კონტრასტული რედუპლი-კაციის ნაწილები ქართულ ენაში შეერთებულია ნიშნით „ – „ (დეფისი), რომლის საფუძველზე იქმნება კონტრასტული მნიშვნელობის ერთიანი სიტყვა.

წინამდებარე ნაშრომში ჩამოთვლილია ის ფორმები, რომლებიც განმარტებით ლექსიკონში დასახელებულია პირველ რიგში და არა ყველა ის ფორმა, რომლებიც ნაწარმოებია პირველი ფორმიდან (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

კონტრასტულ რედუპლიკაციებს ძირითადად აწარმოებენ შემდეგი ზმნისწინების ურთიერთმიმართება: ა- და ჩამო-, ა- და

და-, გა- და გამო-, გადა- და გადმო-, მი- და მო-, შე- და შემო-, წა- და წამო-. აღნიშნული ზმნისწინები უფრო პროდუქტიულია კონტრასტული რედუპლიკაციების წარმოებისას, ვიდრე ისეთები, როგორიცაა: მო- და წა-, ა- და ჩა-, ჩა- და ამო- და სხვ.

მოვიყვანთ კონტრასტულ რედუპლიკაციებს ანბანის რიგის მიხედვით:

აათვალიერ-ჩაათვალიერებს, აატარ-ჩამოატარებს, აბრანძულ-ჩაბრანძული, აგვხედ-დაგვხედავს, აგიწონ-დაგიწონია, ადიოდ-ჩადიოდა, ადი-ჩამოდის, აევლ-ჩაევლო, აეზომ-დაეზომა, აერ-დაერევა (|| აერევ-დაერევა), აეწეწ-დაეწეწა, აეწივ-დაეწია, აეწონ-დაეწონა, აეხედ-დაეხედა, ავარდ-დავარდა, ავირბენ-ჩავირბენ, ავუარ-ჩავუარე, ავწონ-დავწონი (შდრ. დროის სხვა ფორმებთან: ავწონ-დავწონიდი; ავწონ-დავწონე; ავწონ-დავწონო; ამიწონ-დამიწონია), აიარ-ჩაიარა, აირბენ-ჩაირბენს, აირ-დაირევა, აიწ-დაიწევს, ამავალ-დამავალი, ამვლელ-ჩამვლელი, ამოსუნთქვა-ჩასუნთქვა, ამრევ-დამრევი, ამყოლ-დამყოლი, ამწევ-დამწევი, ამწონ-დამწონი, ამხედ-დამხედა, არბენ-ჩამორბენა, არევ-დარევს, არეულ-დარეული, არეულ-დარეულობა, ასავალ-დასავალი, ასაფრენ-დასაფრენი, ასაღებ-დასაღები, ასაწევ-დასაწევი, ასდევ-დასდევს, ასდევ-ჩასდევს, ასვლა-ჩამოსვლა, ასუნ-დასუნავს, ასწევ-დასწევს, აწონ-დაწონის, აუარ-ჩამოუარა, აუარ-ჩაუარა, აუდ-ჩაუდის, აუვიდ-ჩაუვიდა, აუვლ-ჩამოუვლის, აუვლ-ჩაუვლის, აუზომ-ჩაუზომავს, აუთვალიერ-ჩაუთვალიერებია, აურ-დაურევს, აუსვ-ჩაუსვამს, აუწევ-დაუწევია, აუწეწ-დაუწეწავს, აუწონ-დაუწონია, აუხედ-დაუხედავს, აფრენ-ჩაფრენა, აფუშულ-დაფუშული, აქეთ და იქით, აქეთ-იქითა, აქეთ-იქეთკენ, აქეთურ-იქითური, აღმა-დაღმა, აღმართ-დაღმართი, აწევ-დაწევა, აწეულ-დაწეული, აწეწ-დაწეწა, აწეწ-დაწეწავს, აწეწილ-დაწეწილი, აწეწილ-დაწეწილობა, აწონ-დაწონა, აწონ-დაწონილი||აწონილ-დაწონილი, აწონ-დაწონის, ახედ-დახედავს, ახტი-დახტის, აჰყვებ-ჩაჰყვება, აჰყოლ-ჩაჰყოლია;

გაან-გამოაბამს, გააგორ-გამოაგორებს, გაათამაშ-გამოათამაშებს, გააჭენ-გამოაჭენებს, გადააბრუნ-გადმოაბრუნებს, გადაა-

თვალიერ-გადმოათვალიერებს, გადაატრიალ-გადმოატრიალებს, გადააწყვ-გადმოაწყობს გადაგორ-გადმოგორდება, გადაგორ-გადმოგორება, გადადებ-გადმოდება, გადადნობ-გადმოდნობა, გადაებრუნ-გადმოებრუნებინა, გადაეთვალიერ-გადმოეთვალიერებინა, გადაეტრიალ-გადმოეტრიალებინა, გადაეწყ-გადმოეწყო, გადაეხედ-გადმოეხედა, გადავწ-გადმოვწიე, გადაზიდვ-გადმოზიდვა, გადაიტან-გადმოიტანს, გადაიხარ-გადმოიხარა, გადაკეთება-გადმოკეთება, გადასატან-გადმოსატანი, გადასაყვან-გადმოსაყვანი, გადასვლ-გადმოსვლა, გადასხდ-გადმოსხდებიან, გადატან-გადმოტანა, გადატრიალ-გადმოტრიალდება, გაღმ-გამოღმა, გადაყვან-გადმოყვანა, გადაშალ-გადმოშალა, გადაშლ-გადმოშლა, გადახედ-გადმოხედავს, გადაჰყავ-გადმოჰყავს, გადებ-გამოდება, გადებ-გამოდებს, გადებ-გამოდებული, გადი-გამოდის, გაეგორ-გამოეგორებინა, გაეთამაშ-გამოეთამაშა, გაეთამაშ-გამოეთამაშებინა, გაეკრ-გამოეკრა, გაერბინ-გამოერბინა, გასეირნ-გამოისეირნა, გაეტარ-გამოეტარებინა, გაეფანტ-გამოეფანტა, გაექან-გამოექანება, გაექან-გამოექანებინა, გაექროლ-გამოექროლა, გაეყვან-გამოეყვანა, გაეწ-გამოეწიათ, გაეჭენ-გამოეჭენებინა, გაეხედ-გამოეხედა, გავარდ-გამოვარდება, გავიარ-გამოვიარე, გავიდ-გამოვიდა, გავივლ-გამოვივლი, გავიხედ-გამოვიხედე, გავლა-გამოვლა, გაზომ-გამოზომავს, გათამაშ-გამოთამაშება, გაიარ-გამოიარა, გაივლ-გამოივლის, გაინავარდ-გამოინავარდებს, გაირბენ-გამოირბენს, გაისეირნ-გამოისეირნებს, გაიფანტ-გამოიფანტება, გაიქნევ-გამოიქნევს, გაიქცევ-გამოიქცევა, გაიყვან-გამოიყვანს, გაიწევ-გამოიწევენ, გაიწევ-გამოიწევიან, გაიხედ-გამოიხედავს, გამვლელ-გამომვლელები, გარბი-გამორბის, გასაგზავნ-გამოსაგზავნი, გასთამაშ-გამოსთამაშებია, გასმა-გამოსმა, გასწევ-გამოსწევს, გაუარ-გამოუარა, გაუთამაშ-გამოუთამაშებს, გაუქროლ-გამოუქროლებს, გაქანდ-გამოქანდება, გაქცევ-გამოქცევა, გაღმელ-გამოღმელი, გაცვლა-გამოცვლა, გაძრომ-გამოძრომა, გაწევა-გამოწევა, გაწევ-გამოწევა, გახედ-გამოხედავს, გახედვ-გამოხედვა, გახმობ-გამოხმობა, გაჰკრავ-გამოჰკრავს;

ზედაწელ-ქვედაწელი, ზევით-ქვევით, ზემოურ-ქვემოური, ზერა-ქვერა, ზესკნელ-ქვესკნელი, იმერ-ამერი, იქიდან-აქიდან, იქით-აქეთ;

მიაბნ-მოაბნევს, მიავლ-მოავლებს, მიათვალიერ-მოათვალიერებს, მიალაგ-მოალაგებს, მიამტვრ-მოამტვრევს, მიანგრ-მოანგრევს, მიასწორ-მოასწორებს, მიატარ-მოატარებს, მიატრიალ-მოატრიალებს, მიაქრ-მოაქრობს, მიაწებ-მოაწებებს, მიაწყდ-მოაწყდება, მიაწყობ-მოაწრობს, მიბნევ-მობნევა, მიბნეულ-მობნეული, მიბრუნდ-მობრუნდება, მიბრუნ-მობრუნება, მიგლეჯილ-მოგლეჯილი, მიგლეჯ-მოგლეჯს, მიგრეხილ-მოგრეხილი, მიდგებ-მოდგება, მიდგმულ-მოდგმული, მიდგომ-მოდგომა, მიდებ-მოდება, მიდენ-მოდენა, მიდექ-მოდექი, მიდი-მოდიან, მიდი-მოდის, მიედებ-მოედება, მიეფანტ-მოეფანტა, მიეფარ-მოეფარა, მივათვალიერებ-მოვათვალიერებ, მივდექ-მოვდექი, მივიკითხ-მოვიკითხე, მივიხედ-მოვიხედე, მივლეწ-მოვლეწე, მითქმა-მოთქმა, მიიარ-მოიარა, მიივლ-მოივლის, მიიკითხავ-მოიკითხავს, მიიმალ-მოიმალება, მიინგრევ-მოინგრევა, მიირბენ-მოირბენს, მიისვ-მოისვამს, მიისწორ-მოისწორებს, მიიქნევ-მოიქნევს, მიიწევ-მოიწევს, მიიწ-მოიწევა, მიიხედ-მოიხედავს, მიიხრებ-მოიხრება, მიკერ-მოკერება, მიკეტ-მოკეტავს, მიკიბ-მოკიბავს, მიკიბ-მოკიბვა, მიკიბულ-მოკიბული, მიკლაკნილ-მოკლაკნილი, მიკონკილ-მოკონკილი, მილაგ-მოლაგდება, მილაგ-მოლაგებული, მილანძღ-მოლანძღავს, მილეწ-მოლეწილი, მიმავალ-მომავალი, მიმალულ-მომალული, მიმსვლელ-მომსვლელი, მიმტან-მომტანი, მიმტვრეულ-მომტვრეული, მიმყვან-მომყვანი, მინგრევ-მონგრევა, მინგრეულ-მონგრეული, მირბი-მორბის, მირეგვ-მორეგვავს, მირეგვ-მორეგვილი, მირევ-მორევა, მირეკ-მორეკავს, მისასვლელ-მოსასვლელი, მისახედ-მოსახედი, მისახვევ-მოსახვევი, მისახვევ-მოსახვევიანი, მისვლა-მოსვლა, მისწევ-მოსწევს, მისწი-მოსწია, მისწი-მოსწიე! მიტანილ-მოტანილი, მიტან-მოტანა, მიტარ-მოტარება, მიტრიალ-მოტრიალება, მიუარ-მოუარა, მიუკიბავ-მოუკიბავს, მისვ-მოუსვამს, მიუყრ-მოუყრიათ, მიუშლ-მოუშლის, მიუხვევ-მოუხვევს, მიფანტ-

მოფანტავს, მიფანტულ-მოფანტული, მიფხრეწ-მოფხრეწს, მიქრი-მოქრის, მიღრეცილ-მოღრეცილი, მიყვან-მოყვანა, მიყიდ-მოყიდის, მიყინ-მოყინავს, მიყრა-მოყრა, მიყრილ-მოყრილი, მიყრი-მოყრის, მიშლილ-მოშლილი, მიჩაჩულ-მოჩაჩული, მიცურ-მოცურავს, მიძრავ-მოძრავს, მიწექ-მოწექით, მიწვებ-მოწვება, მიწყნარდ-მოწყნარდება, მიჭრილ-მოჭრილი, მიხედ-მოხედვა, მიხვევ-მოხვევა, მიხვეულ-მოხვეული, მიხლაკნილ-მოხლაკნილი, მიხლა-მოხლა, მიხრა-მოხრა, მიხრილ-მოხრილი, მიხრი-მოხრის, მიხტომ-მოხტომა, მიჰყვებ-მოჰყვება, მომსვლელ-წამსვლელი, მყიდველ-გამყიდველი;

ყოფნა-არყოფნა; შეატრიალ-შემოატრიალა, შეაქან-შემოაქანებს, შეზიდვა-გამოზიდვა, შეიკუნტრუშ-შემოიკუნტრუშებს, შემოსავალ-გასავალი, შემოსასვლელ-გასასვლელი, შესასვლელ-გამოსასვლელი, შეჭრილ-შემოჭრილი, შეხლა-შემოხლა, შინაგან-გარეგანი;

ჩაზნექილ-ამოზნექილი, ჩაკრულ-ჩამოკრული, ჩამვლელ-ჩამომვლელი, ჩარეკვა-ამორეკვა, ჩასაცმელ-გასახდელი, ჩასვლა-ამოსვლა, ჩაუქროლ-ჩამოუქროლებს, (ჩემიან-შენიანობა);

წაგება-მოგება, წავა-წამოვა, წავედ-წამოვედი, წავიდ-წამოვიდნენ, წაისვ-წამოისვამს, წაიღ-წამოიღებს, წამსვლელ-წამომსვლელი, წამღებ-წამომღები, წანაგებ-მონაგები, წასვლა-წამოსვლა, წასმა-წამოსმა, წასწევ-წამოსწევს, წაღებ-მოტანა, წაღებ-წამოღება, წაღმა-უკუღმა, წაყვან-წამოყვანა, წაწევ-წამოწევა, წაწოლილ-წამოწოლილი, წაჯექ-წამოჯექი, წაჯექ-უკუჯექი, წაჯექუკუჯექობა, წაჰკრავ-წამოჰკრავს, წინ და უკან.

კონტრასტული რედუპლიკაციები გვაქვს ინგლისურ ენაშიც, მაგრამ ქართულთან შედარებით ძალიან ცოტა. ლექსიკონების მიხედვით დავაფიქსირეთ სულ რამდენიმე სიტყვა:

convexo-convexe I ამოზნექილ-ჩაზნექილი.

convexo-convex II ორმხვრივ ამოზნექილი.

crinkle-crankle I ზიგზაგი, მიხვეულ-მოხვეული.

crinkle-crankle II ზიგზაგისებური.

crinkum-crankum I საუბ. ჩახლართული, უცნაური რამ.

crinkum-crancum II უცნაური, ჩახლართული (ახლართულ-ჩახლართული, - ავტ.).

criss-cross 1. ჯვარი (დასმული წერა-კითხვის უცოდინარის მიერ ხელმოწერის ნაცვლად); 2. არეულობა, არეულ-დარეული რამ; 3. სპორტ. ბურთის დიაგონალური, ჯვარედინი მიწოდება.

giff-gaff 1. გაცვლა-გამოცვლა, ურთიერთგაცვლა. 2. შენიშვნების გაცვლა.

§ 15. აფიქსებით ნაწარმოები რედუპლიკაციები ქართულ ენაში (მერვე ჯგუფი)

აგლუტინაციურ ენებში გვაქვს ისეთი რედუპლიკაციური ფორმები, რომლებიც იწარმოებიან სიტყვის რედუპლიკაციურ ძირზე თავსართ-ბოლოსართების დართვით. მსგავსი რედუპლიკაციური ფორმები გვაქვს თურქულ ენშიც, თუმცა აქ მხოლოდ სუფიქსური ფორმებია. ორივე ენაში წარმოების ეს ხერხი ძალიან პროდუქტიულია.

ქართულ ენაში პრეფიქს-სუფიქსური რედუპლიკაციები შეიძლება ორ ქვეჯგუფად დავყოთ: პირველ ქვეჯგუფში ვათავსებთ მხოლოდ ზმნურ რედუპლიკაციებს. ასეთი ფორმები იწარმოებიან რედუპლიკაციურ ძირებზე პრევერბების - ა-, ამო-, გა-, და- (იშვიათად მო-), მი-, შე-, შემო-, ჩა-, ჩამო-, (წა- და წამო- იშვიათად) - დართვით. მაგალითად:

ააბაბანებს, ააბიბინებს, ააგიზგიზებს, ააგუგუნებს, ააგუზგუზებს, აალაპლაპებს, აატივტივებს, აატიკტიკებს, ააქოთქოთებს, ააცახცახებს, ააციმციმებს, ააძიგძიგებს, ააწკავწკავებს, ააჭიკჭიკებს, ააბაჯბაჯებს, აბაჯბაჯებდა, აკაწკაწებინებს, ალაპლაპებია, ალივლივდება, ამოილულღლულღებს, ამოტივტივდება, ამოჩუხჩუხდება, ასძიგძიგებია, აუცახცახდება, აუძიგძიგდება, აღაჟღაჟდება, აჭახჭახდება;

გააკაშკაშებს, გაალიცლიცებს, გააჩახჩახებს, გააშორიშორებს, გადააბულბულებს, გადაიხარხარებს, გადაიხითხითებს,

გავარვარდება, გაიკაშკაშებს, გაიკისკისებს, გალაპლაპდება, გაქათქათდება, გაღადღადდება;

დააგიზგიზებს, დააკამკამებს, დააკაწკაწებს, დააჯაყჯაყებს, დაბუტბუტებს, დაგდაგებს, დაეწკავწკავა, დაეჭახჭახა, დაეჭიკჭიკა, დალასლასებს, დაპირდაპირდება, დასჩურჩულებს, დაუპირისპირებს, დაურახრახია, დაუქაქანებს, დაუწკავწკავებია, დაუჭიკჭიკია, დაფუსფუსებს, დაჰგურგურებს;

მიბაჯბაჯებდა, მიგუგუნებს, მიდუდუნებს, მიზუზუნებს, მილასლასებდა, მილახლახებს, მირაკრაკებს, მირახრახებს, მიჩაქჩაქებს, მობარბაცებს, მობაჯბაჯებს, მობულბულებს, მოიტივტივებს, მოკამკამებს;

შეაჩაქჩაქებს, შეაცახცახებს, შებაჯბაჯდება, შეიჭახჭახებს, შემობაჯბაჯდა, შემოგუგუნებს, შემოზუზუნებს, შემოიჭიკჭიკებს, შემოლასლასდება;

ჩაიკისკისებს, ჩაიჭიკჭიკებს, ჩამოსწურწურებს, ჩამოჩუხჩუხებს, ჩარახრახდება, ჩაჩუხჩუხებს;

წაიბუტბუტებს, წაიდუდუნებს, წაილუღლუღებს, წაიჩიფჩიფებს, წამოიწკავწკავებს, წამოიჩურჩულებს, წაუსისინებს, და სხვა მრავალი;

პრეფიქს-სუფიქსური გზით იწარმოება აგრეთვე მეორე ქვეჯგუფის რედუპლიკაციები. ესენია სახელზმნის (საწყისისა და მიმღეობის) ფორმები, განსაკუთრებით ა- და ამო- (იშვიათად შე-, შემო- და სხვა) ზმნისწინების დართვით ნაწარმოები რედუპლიკაციები:

აბაბანება, აბიბინება, აგიზგიზება აგიზგიზებული, აგუგუნება, აგუგუნებული, აგუზგუზება, აგუზგუზებული, აკისკისება, ალაპლაპებული, ალაქლაქება, ალაქლაქებული, ალივლივება, ალივლივებული, ალუღლუღება, ალუღლუღებული, ამობიბინება, ამობიბინებული, ამოკაშკაშება, ამოკაშკაშებული, ამოტივტივება, ამოტივტივებული, ამოღაღანება, ამოღაღანებული, ამოჩუხჩუხება, ამოჩუხჩუხებული, ამოციმციმება, ამოციმციმებული, აპილპილება, აპილპილებული, არაკრაკება, არაკრაკებული, ატივტივებული, ატიკტიკება, ატიკტიკებული, აფუსფუსება,

აფუსფუსებული, აქაფქაფება, აქაფქაფებული, აქაქანება, აქაქანებული, აქვითქვითება, აქვითქვითებული, აქოთქოთება, აქოთქოთებული, აღაჟღაჟება, აღაჟღაჟებული, აღაღადება, აღაღადებული, აღაღანება, აღაღანებული, აღიღინება, აღიღინებული, აჩუხჩუხება, აჩუხჩუხებული, აცახცახება, აცახცახებული, აცერცეტება, აცერცეტებული, აციმციმება, აციმციმებული, აცუნცრუკება, აცუნცრუკებული, აძაგძაგება, აძაგძაგებული, აძუნძულება, აძუნძულებული, აწკავწკავება, აწკავწკავებული, აწუწუნება, აწუწუნებული, აჭახჭახება, აჭახჭახებული, აჭიკჭიკება, აჭიკჭიკებული, აჭუკჭუკება, აჭუკჭუკებული, ახარხარება, ახარხარებული, ახვიხვინება, ახვიხვინებული, ახითხითება, ახითხითებული, ახუხულავება, ახუხულავებული;

გადაკისკისება, გადაჩურჩულება, გალაპლაპება, გალაპლაპებული, გალასლასება, გასავსავება, გატუტუცება, გატუტუცებული, გაქათქათება, გაქათქათებული, გაღადღადებული, გაღაჟღაჟებული, გაღაღანება, გაღაღანებული, გაღუდღუდება, გაღუდღუდებული, გაყოყოჩება, გაყოყოჩებული, გაშეშება, გაშეშებული, გაჩახჩახება, გაჩახჩახებული, გაცეცება, გაცეცებული, გაწეწა, გაწეწილი, გაჭაჭანება, გაჭაჭანებული;

დაგიზგიზება, დაგიზგიზებული, დაგუგუნება, დაგუგუნებული, დაგუზგუზება, დაგუზგუზებული, დაქსაქსვა, დაქსაქსული, დაქუცმაცება, დაქუცმაცებული, დაშორიშორება, დაშორიშორებული, დაჩაჩანაკება, დაჩაჩანაკებული, დახვიხვინება;

მიფუჩეჩება, მიფუჩეჩებული, მიჩეჩება, მიჩეჩებული, მიცუნცულება, მიცუნცულებული, მოკამკამებული, მოკაშკაშებული, მოტივტივებული;

შემობაჯბაჯებული, შემოჩეჩება, შემოჩეჩებული, შემღაღადებელი, შეპირისპირება, შეპირისპირებული, შეჩეჩება, შეჩეჩებული; ჩაღიღინება; წაბუტბუტება.

§ 16. რედუპლიკაციურ ძირებზე სუფიქსების დართვა თურქულ ენაში (მერვე ჯგუფი)

თურქული ოჯახის ენები სუფიქსური წარმომავლობის ენებია. ამიტომ რედუპლიკაციურ ძირებზე ხდება სუფიქსების დართვა და არა პრეფიქს-სუფიქსებისა, როგორც ეს დავინახეთ ქართულ ენაში და ამას ვიხილავთ ქვემოთ რუსულ ენაში. სუფიქსური წარმოების ხერხი იმდენად ძლიერია თურქულ ენაში, რომ მათი არარედუპლიკაციურ სიტყვებზე დართვაც კი იძლევა რედუპლიკაციურ მნიშვნელობას სხვა ენის თარგმანში. მოგვყავს ორივე ხერხით ნაწარმოები რედუპლიკაციური ფორმები თურქულ ენაში:

ağlanmak წუწუნი (წუწუნებს); ağlayık მოწუწუნე; alacalı ჭრელი, ფერად-ფარადი; alçacık დაბალდაბალი (დაბალ-დაბალი, ავტ.); alıklık სისულელე, სიბრიყვე; anırtmak ბრალდ. აყროყინება; babacan გულთბილი, გულკეთილი; başak თავთავი; başlıbaşına დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე; benbencı თვითკმაყოფილი, თავდაჯერებული, ქედმაღალი, ამაყი; benbenlık თვითკმაყოფილება, მედიდურობა, სიამაყე; თვითდაჯერებულობა; birdenbire უცებ, მოულოდნელად, უეცრად, უცბად; birdibir ართურმა (თამაშის სახე); birebir 1) ეფექტურად, ძლიერ მოქმედი; 2) შესაფერი, ზედგამოჭრილი; cafcaflı 1) ღვლარჭნილი, მაღალფარდოვანი; cevbecev მარცვალ-მარცვალ, მისხალ-მისხალ, ნამცეცნამცეც; cırcırlık ყბედობა, ენის ტარტარი; cırıldamak1) ჭრიჭინი (ჭრიჭინებს); 2) გადატ. ლაქლაქი; 1) cücük ჩანასახი; 2) ამონაყარი, ყლორტი; 3) შიგნითა ნაწილი, გული, გულგული; 4) ბარტყი, წიწილა; çarnaçar ძალაუნებურად, გინდა, არ გინდა; daradar გაჭირვებით, ძლივს, ძლივძლივობით; debdebe ბრწყინვალება; ფუფუნება; derbeder 1) მოხეტიალე, მოყიალე; მაწანწალა; 2) დაბნეული, დაუდევარი; durdurma გაჩერება, დაყენება; duduk ნესტვი, დუდუკი; farfara არაბ. 1) ყბედი, ლაქლაქა; ტრაბახა, მკვეხარა, ბაქია; 2) მყვირალა, ღრიალა; farfaralık ყბედობა, ლაქლაქი; ferdâfert არაბ. ინდივიდუალურად, თითო თითოდ

(თითო-თითოდ, - ავტ.); gargara 1) ყელში გამოვლენა; 2) ყელში გამოსავლები საშუალება; gulgule 1) ბუყბუყი; 2) ალიაქოთი, აურზაური, გაწამაწია; ılıklık სითბო; janjanlı ლაპლაპა; karkara ზოოლ. წეროს სახეობა; kekelik ბლუობა; kekeme ბლუ, ენაჩლუნგი; keşakeş 1) ბრძოლა, შეხლა-შემოხლა; 2) გაუბედაობა; განცდა; keşmekeş 1) დაპირისპირება; 2) შეხლა-შემოხლა; kıkırtı ჩახითხითება; kumkuma არაბ. 1) კუმკუმა; 2) გადატ. ჭურჭელი; laflama ჭორაობა, ლაქლაქი; mazmaza არაბ. პირში წყლის გამოვლება; mızmızlık ბუზღუნი, ბურტყუნი, ჭირვეულობა, შარიანობა; nonoş პატარავ, პაწაწავ (ბავშვის მიმართ); pepelik ბლუობა, ენადაბმულობა; peyapey თანდათან, თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ; serseri 1) ავარა, უსახლკარო; 2. 1) მაწანწალა, მოხეტიალე; 2) როყიო, უცაბედი; serserilik ავარობა, მაწანწალობა; sertaser მთლიანად, ყველა, სულ მთლად, დიდიან პატარიანად (დიდიან-პატარიანად, ავტ.), თავიდან ბოლომდე; sımsıkı 1) უვიწროესი; უმჭიდროესი; 2) მაგრად, მჭიდროდ; sinsi ვერაგი, მზაკვარი, მუხანათი; sipsi 1) (მეზღვაურის) სასტვენი; 2) ზურნის სატუჩე; 3) ჟარგ. სიგარეტი; siyasiyat არაბ. 1) პოლიტიკა; პოლიტიკური საქმეები; 2) დიპლომატია, დიპლომატიური საქმეები; tantal ქიმ. ტანტალი; tantana არაბ. ჩინებულება, საუცხოობა, დიდებულება; tente 1) ტენტი; 2) კარავი, ფარდული; tırtık უსწორმასწორობა; ნასერი, ჭდე; ნაჭდევი, დაკბილული; tutuk 1) დამბლადაცემული; 2) ნელი; 3) მორცხვი; 4) ჩახლეჩილი (ხმა); 5) დაპატიმრებული; tütün ბოტ. 1) თუთუნი, თამბაქო; 2) ბოლი, კვამლი; üstüste ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით; vesveseli არაბ. დაეჭვებული; ფრთხილი; voyvo სირცხვილი! ფუი! ვაი სირცხვილო! zevzek 1) მოსულელო, ქარაფშუტა; 2) ყბედი, ლაქლაქა; zor zoru დიდი გაჭირვებით; zorzoruna ძლივს, ძლივ-ძლივობით, დიდი გაჭირვებით, ვაი-ვაგლახით (ვაივაგლახით, ავტ.).

§ 17. რედუპლიკაციურ ძირებზე აფიქსების დართვა რუსულ ენაში (მერვე ჯგუფი)

რუსული ენა მეტწილად პრეფიქსურ-სუფიქსური ენაა. მარცვალთა რედუპლიკაციის ფუძეზე ხშირად ერთვის პრეფიქს-სუფიქსები, რომლებიც უცვლიან სიტყვას მნიშვნელობას.

აღნიშნული ხერხი მაინცდამაინც არ არის რუსულ (და საერთოდ ფლექსიურ) ენებში ისეთი პროდუქტიული, როგორიც გვაქვს ეს აგლუტინაციურ ენებში. მაგალითები:

Гоготанье იგივეა, რაც гогот ყიყინი.

Гоготать 1. ყიყინი: гогочут гуси ყიყინებენ ბატები. 2. ხარხარი, როხროხი, ხორხოცი: чего ты гогочешь? რას ხორხოცობ?

Заквакать აყიყინება.

Захихикать ახითხითება.

Квакать ყიყინი: лягушка квакает ბაყაყი ყიყინებს.

Кваканье ყიყინი.

Клокотание თუხთუხი, ხაფხაფი: к. воды в котле წყლის თუხთუხი, ხაფხაფი ქვაბში. 2. გუგუნი, ბუყბუყი, ღრიალი, ქშენა: море бурлит и клокочет ზღვა ბობოქრობს და გუგუნებს, ზღვას გუგუნი გააქვს.

Клокотать იგივეა, რაც клокотание.

Колокольный ზარისა.

Колокольня სამრეკლო.

Колокольчик კნინ. ზარი, ზანზალაკი.

Кукарекать მამლის ყივილი.

Кукушка გუგული.

Мямлить 1. ლუღლუღი. 2. გადატ. ზლაზვნა, ზოზინი.

Пепелище გადაბუგული, გადამწვარი ადგილი.

Пепельница საფერფლე.

Пепельный ნაცრისფერი.

Скакание 1.ხტუნვა. 2. ჭენება.

Сюсюкание მრ. არ იხმ. მოჩლექა, ენის მოჩლექით ლაპარაკი.

Хихиканье მრ. არ იხმ. საშ. საუბ. ხითხითი.

Хихикать საუბ. ხითხითი.

Хихикнуть სრ. ერთგზ. წახითხითება.

Хохотать ხარხარი, ხითხითი.

Хохотун მ. მოხარხარე, მოხითხითე.

Хохотунья მდ. მოხარხარე, მოხითხითე; საუბ. ხითხითა, კისკისა (ქალი).

Шушукать 1. ჩურჩული. 2. შრიალი.

Шушукаться ჩურჩული.

§ 18. მეცხრე ჯგუფის რედუპლიკაციები ქართულ ენაში

მ ე ც ხ რ ე ჯგუფის რედუპლიკაციებს განეკუთვნება ისეთი რედუპლიკაციური ფორმები, რომლებზედაც დართულია სხვადასხვა სიტყვები, რის შედეგადაც ვღებულობთ რთულ სიტყვებს. ამგვარი სიტყვები სხვა ენებთან შედარებით საკმაოდ ბევრია ქართულ ენაში:

არათავისთავადი, არაპირდაპირ (არაპიდაპირი), არაპირდა-პირმოქმედი, ბაყბაყდევი, ბობოქარი, ბობოწვერი, ბულბულის-წვერი, გვირგვინქვეშ, გრძელწამწამიანი, გუგულისკაბა (მცენ.), ენატარტარა, ენაჭიკჭიკა, ვარდკაჭაჭა, თვალმოციმციმე, თვალ-ციმციმა, თვალ-წამწამი, თითისმაგვარი, თითისოდენა, თითის-ტარი, თითისტოლა, თმააჩეჩილი, იაჟუჟუნა, ლოყაღაჟღაჟა, ლოყებღაჟღაჟა, მამაცთმამაცი, მრავალთავთავიანი, მრავალთავ-თავიანობა, ოთხთითიანი, ორგოგორიანი, პილპილმოყრილი, პირდაპირპროპორციული, პირცმაცუნა, რადარანაირი, სიცილ-კასკასი, სიცილ-კისკისი, სიცილ-ხარხარი, სიცილ-ხითხითი, სქელთავთავა, ტანწერწეტა, ტანწერწეტი, ურთიერთპირისპირე-ბული, ფრთაფარფატა, ღანღალაგამოლეული, ღაჟღაჟლოყებიანი, ყელყარყარა, შავთავთავიანი, შავნაწნავებიანი, შავნაწნავიანი, შავფაფანაგიანი, შავხუჭუჭა, ციმციმ-კამკამი, ძუძუგამშრალი, ძუძუმარწყვა (ბოტ.), ძუძუთხილა (აჭარული დიალექტი), ძუძუმაყვალა, ძუძუ-მკერდი, ძუძუმწოვარა, ძუძუმწოვარი, ძუძუნასხლეტა, ძუძუნაწოვი, ძუძუნაჭამობა, ძუძუსთავი, ძუძუ-

შენაწოვარი, ძუძუძმა, წამწამ-წარბი, წამწამხშირი, წარბ-წამწამეები, წარბ-წამწამი, წელწერწეტა, წვერებცანცარა, წვერცანცარა, წუწუნ-ტირილი, ჭაჭანარევი, ჭიაკოკონა, ჭიკჭიკ-გალობა, ხაშხაშნაჭამი, ხახაამომშრალი, ხახაგამომშრალი, ხახადაღებული, ხახამშრალი, ხელიხელგადაბმული, ხელიხელგადახვეული, ხელიხელგაყრილი, ხელიხელსაგოგმანებელი, ხელიხელჩაკიდებული, ხითხით-კისკისი, ხილფაფა, ხმააკანკალებული, ხმამადიდი, ხმანარნარი, ხოხობ-მწყერი, ჯუჯუმკალი.

§ 19. მეცხრე ჯგუფის რედუპლიკაციები თურქულ ენაში

მ ე ც ხ რ ე ჯგუფის რედუპლიკაციებს თურქულ ენაში შეადგენენ იგივე რედუპლიკაციები, რომლებიც მოცემულია ქართული ენის მეცხრე ჯგუფში, ე. ი. აქაც რედუპლიკაციურ ფორმებს მიერთებული აქვს სხვადასხვა სიტყვები, რის საფუძველზე გვაქვს კომპოზიტები:

ağababa 1) მამა ბატონი; 2) პაპა.

ağaçkakan კოდალა.

ahubaba თეთრწვერა მოხუცი.

ahududu ბოტ. ჟოლო.

anneanne დიდედა, ბებია (დედის დედა).

babaanne ბებია (მამის დედა).

ballıbaba ბოტ. ჭინჭრის დედა (და არა ჭინჭრის მამა).

büyükbaba პაპა, ბაბუა.

cırcırböceği ზოოლ. ჭრიჭინა.

cicianne ბებიკო.

çaçaronluk ენაწყლიანობა; ლაქლაქი, სიტყვების რახარუხი, ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი.

çeşmibülbül ჭრელი მინის სახეობა (სტამბოლში მზადდებოდა).

darıfülfül შავი პილპილი.

giranbaba ფასეული, ძვირფასი, ძვირადღირებული (ძვირად ღირებული, - ავტ.).

guguçiçeği ბოტ. ცხვირსატეხელა.

fisifisiotu ბოტ. თაგვიყანა.

რაც შეეხება რუსულ და ინგლისურ და საერთოდ ინდოევროპულ ენებს, კომპოზიტები რედუპლიკაციების ჩართვით იშვიათი მოვლენაა. მეტწილად რედუპლიკაციური ფორმები ინდოევროპულ ენებში ირთავენ სხვადასხვა აფიქსებს, რომლის შედეგად რედუპლიკაციური ფორმები ღებულობენ განსხვავებულ ლექსიკურ მნიშვნელობებს. რუსულ ენაში ერთადერთი რთული სიტყვა შეგვხდა. ესაა Баба-яга (როკაპი, კუდიანი დედაბერი), რომელიც რუსულ ზღაპრებში გვხვდება (იხ. ამ მიმართებით § 17).

§ 20. კვაზი-რედუპლიკაციები ქართულ ენაში (მეათე ჯუგუფი)

მ ე ა თ ე ჯგუფის რედუპლიკაციები გვხდება თითქმის ყველა ენაში. მას ვუწოდებთ ჩვენ კვაზი-რედუპლიკაციებს. კვაზი (ლათ. quazi „თითქოს, ვითომდა“)- რედუპლიკაციების მეორე ნაწილი ჩვეულებრივ შედგება გაუგებარი ელემენტისაგან, დამოუკიდებლად იგი ცნებას ვერ გამოხატავს. კვაზი-რედუპლიკაციებს ზოგჯერ უწოდებენ „რითმულ“ რედუპლიკაციებსაც. ამგვარი ტიპის რედუპლიკაციები თავისი აგებულებით უფრო მყარია, ვიდრე სხვა ტიპისა. აქ რედუპლიკაციური ფორმები ერთმანეთთან შერწყმულია, ერთიანია, მთელი, განუყოფელი.

სხვა ენებისაგან განსხვავებით თანამედროვე ქართულში კვაზი-რედუპლიკაციები შერწყმულად გადმოიცემა, ძველში ამგვარი სიტყვები იწერებოდა დეფისით. თანამედროვე ქართულში კვაზი-რედუპლიკაციები საკმაოდ ბევრია, ვიდრე სხვა ენებში. მაგალითები:

აბრაკადაბრა, ავანჩავანი, ავანჩავანობა, ათადან-ბაბადან, ამერ-იმერი, არალე-თარალე, აყლაყუდა, აჩაბაჩა, აჭალბუჭულები, აჭიაბაჭია, ახალუხალი, ახალუხი, ახალუხიანი, ბათქაბუთქი, ბაიბუად (არ აგდებს), ბაიბური, ბაკიბუკი, ბალახბულახი,

ბარგი-ბარხანა, ბატიბუტი, ბაქიბუქი, ბაქიბუქობს, ბინდბუნდი (|| ბინდბანდი), ბრაგაბრუგი, ბრახაბრუხი, გოგი და მაგოგი, დარდიმანდი, დარდიმანდობა, დარდიმანდობს, დარდიმანდული, ედარდიმანდება, ეკენია-ბეკენია, ერთურთი, ვაი-უში, ზაპაზუპი, ზიგზაგი, თავთუხი, თქარა-თქური, თქაფათქუფი, თქლაფათქლუფი, თხლაშათხლუში, იდავიდარაბებს, იდარდიმანდებს, ინკოგნიტო, ინჩიბინჩი, იწილო-ბიწილო, კაკაკუკი, კანტიკუნტად, კისკასი, კისკასობს, კნატაკნუტი, კნაწაკნუწი, ლაწალუწი (|| ლაწილუწი), ლეგლუგა, მოჭმუჭნა, მოჭმუჭნის, მტლაშამტლუში, ნაყარ-ნუყარი, ნაჭამ-ნუჭამი, ნახრავნუხრავი, ოთლოთოთლო, ოღროჩოღრო, ოღროჩო-ღროიანი, ოჩოკოჩი, ოცობოდო, პაკაპუკი || პაკიპუკი, პამპულა, პანტაპუნტა, პარტყაპურტყი, პინგ-პონგი, ჟაპაჟუპი, ჟივჟავი, ჟღავიჟღუვი (ჟღავილ-ჟღუილი), (ჟღავჟღუვი), ჟღარაჟღური, რაკარუკი, რაკირუკი, რახარუხი, რიჟრაჟდება, რიჟრაჟებს, რიჟრაჟი; სააყალმაყალო, სადავიდარობა, სიგიჟმაჟე, სიკისკასე, სლაპასლუპი, სორტიმენტი, სხაპასხუპი, სხაპასხუპით; ტკაცა-ტკუცი, ტაშიტუში, ტკაცატკუცი, ტყაპატყუპი, ტყლაშატყლუში; ულტიმატუმი, უსწორმასწორო, უსწორმასწორობა, უჩინმაჩინი; ფალასფულასი, ფართიფურთი, ფართიფურთობა, ფართიფურთობს (შდრ. ფართიფურთობდა, ფართიფურთობდეს, უფართიფურთია), ფარჩაფურჩა, ფაჩაფუჩი, ფაჩიფუჩი, ფაციფუცი, ფაციფუცობა, ფაციფუცობს, ფაცხაფუცხით, ფახაფუხი, ფახაფუხობს, ფახიფუხი, ფახიფუხობს, ფლასტაფლუსტი, ფლასტიფლუსტი, ფხაკაფხუკი, ფხაჭაფხუჭი; ქარაქუცა; ღადაღუდა (ადგილი), ღაპაღუპით, ღიმღამი, ღრაჭაღრუჭი; ყალთაბანდი, ყალთაბანდობს, ყალთაბანდური; ყირამალა, ყლაპაყლუპი; შარიშური; ჩაკაჩუკი, ჩამიჩუმი, ჩახიჩუხი, ჩინმაჩინი, ჩქაფაჩქუფი, ჩხაკაჩხუკი, ჩხარაჩხური, ჩხარიჩხური; ცმაცუნა, ცოტამატი, ცუგცვანგი; ძაგაძუგი, ძაგიძუგი, ძონძმანი; წამდაუწუმ, წარამარა, წაღაწუღა, წიკომაკო, წკაპაწკუპი, წკარაწკური; ჭაპაჭუპი, ჭახაჭუხი, ჭახიჭუხი, ჭიამაია, ჭიაჭუა, ჭივ, ჭავ! ჭივ, ჭავ!, ჭივჭავი, ჭრაჭაჭრუჭი, ჭრელაჭრულა, ჭრელჭრული, ჭყაპაჭყუპი; ხაბაკხუბაკი, ხაბახუბა,

ხათქახუთქი, ხათქიხუთქი, ხარახურა, ხილხული, ხირხალი, ხირხატი (ნიადაგი), ხრაგახრუგი, ხრამახრუმი, ხრამიხრუმი, ხრაშახრუში, ხურდამურდა; ჯალაბჯულაბი, ჰაი-ჰუი.

§ 21. მ ე ა თ ე ჯგუფის კვაზი-რედუპლიკაციები თურქულ ენაში

თურქული ენა, მდიდარია კვაზი-რედუპლიკაციური ფორმებით. როგორც ირკვევა, თანამედროვე თურქულ სალიტერატურო ენაში კვაზი-რედუპლიკაციები ორთოგრაფიული კანონების შესაბამისად გადმოიცემა ორგვარად: შერწყმულად და ცალ-ცალკე:

abuk sabuk აბდაუბდა: აბდაუბდა ლაპარაკი.

abur sabur 1) არეულ-დარეული რამ, დომხალივით; 2) სისულელე, უაზრობა.

açıksaçık ნახევრად შიშველი, გაღეღილი.

alaca bulaca ჭრელაჭრულა.

alafranga ევროპული, დასავლური.

alan: alan talan, alan taran არეულ-დარეული.

alık salık 1. სულელი; 2. სულელურად, ბრიყვულად.

alım satım ყიდვა-გაყიდვა.

alışveriş აღებ-მიცემა.

apar topar 1. ფათაფუთით; 2. ალიაქოთი, ორომტრიალი.

bambum ბახ! ბუხ!

bır aşağı bir yukarı ქვევით-ზევით, ზევით-ქვევით, წინ და უკან: bir aşağı bir yukarı dolaşıp duruyor გამუდმებით წინ და უკან დადის.

bir o yana, bir bu yana ხან აქეთ, ხან იქით.

delidolu შატაბუტა, ქერქეტი, მოუსაზრებელი, ჩურჩუტი.

cangıl: cangılcungul ხმაბაძვ. ა) (ზარების ხმა), ნაუ-ნაუ! ბ) ზარების რეკვა, წკრიალი, წკარუნი, წკარაწკური.

cart curt (ფრაზეოლოგიზმი) თავის ქება, ტრაბახი, ბაქიობა.

cicili: cicili bicili ა) ზიზილ-პიპილებიანი ბ) ჭრელა-ჭრულა (ჭრელაჭრულა, - ავტ.).

çıtı: çıtı pıtı ა) პაწაწინა, ციცქნა; ბ) ნაზი, სასიამოვნო, სანდომიანი, არაჩვეულებრივი.

çıtpıt ტკაცუნა (სათამაშო), ტკაცატკუცი.

çarçur ფულის ფლანგვა, უმიზეზო ხარჯვა.

çat pat (ფრაზეოლოგიზმია): ძლივძლივობით, დიდი წვალებით: çat pat Almanca konşur ძლივძლივობით ლაპარაკობს გერმანულად.

çatra: çatra patra ძლივძლივობით, დიდი წყალობით.

dardağan გაფანტული, მიყრილ-მოყრილი, უწესრიგო, არეულ-დარეული.

delidulu 1. შატაბუტა, ქერქეტი, ჩურჩუტი; 2. გიჟი.

devsirmsiz მიყრილ-მოყრილი, მიმოფანტული.

fagfur ფაიფური.

gacur gucur ღრაჭაღრუჭი, ღრაჭუნი.

fasa fiso ჟარგ. სისულელე, აბდაუბდა.

hamhum ხმაბაძ. ლუღლუღი, დუდუნი, დუდღუნი.

hetepete ენის ბორძიკი, ბლუკუნი.

hık ცხინკ! (ცემინების გამომხატველი): hık da dese, mık da dese bu iş olacak ცხინკს იტყვის თუ მიკს, ეს საქმე გაკეთდება", რაც არ უნდა ითქვას, მაინც ასე იქნება. hık mık ძლივძლივობით (ფრაზეოლოგ.); hıkı mıkı yok ბევრი ლაპარაკი არ უნდა, უარი არ გავიგონო! (ფრაზეოლოგიზმი).

icik(-ği): iciği cicicigi, icikleri cicikleri ასავალ-დასავალი, გულის ნადები, ყველა წვრილმანი.

ıcık (-ğı): ıcığını cıcığını anlamak ასავალ-დასავლის გაგება (გაიგებს).

ıvır: ıvır zıvır ა) ცარიელი (უაზრო სიტყვები), ყბედობა; ბ) უაზრო, სულელური, არაფრის მთქმელი.

keşmekeş 1) დაპირისპირება; 2) შეხლა-შემოხლა.

kıvırzıvır უმნიშვნელო, წვრილმანი.

sıkıfıkı მჭიდროდ, ახლოს, ინტიმურად.

şakaşuka ხუმრობა, ენამახვილობა, მოსწრებული სიტყვა.

şakımak მღერა, ჭიკჭიკი, გალობა, ჟივჟივი, ჟღურტული.

şifşak ჟარგ. მომენტალურად, მაშინვე.
takatuka ხმაური, ბრახუნი, რახუნი.
taktuka ოთხკუთხედი საფერფლე.
tantun: tantuna gitmek ტყუილუბრალოდ, ამაოდ დაღუპვა.
zar zor ძლივძლივობით, ძლივს.
zikzak 1) ზიგზაგი; 2) ზიგზაგისებური.
tartura ჯარას ბორბალი.
üzenbezen სამკაული, მოსართავი.

§ 22. მ ე ა თ ე ჯგუფის კვაზი-რედუპლიკაციები რუსულ ენაში

რუსულ ენაში ქართულ და თურქულ ენებთან შედარებით როგორც კონტრასტული, ისე კვაზი-რედუპლიკაციები რიცხობრივად ნაკლებია. იმდენად არ არიან ისინი ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული, რომ ორთოგრაფიულად მათი სამგვარი დაწერილობა ხდება (შერწყმულად, დეფისით და ცალ-ცალკე). არაპროდუქტიულობის გამო ერთ ჯგუფში ვათავსებთ კონტრასტულ და კვაზი-რედუპლიკაციებს:

Абракадабра აბდაუბდა, უაზრობა.
Бухты-барахты მოუფიქრებლად, უეცრად, ანაზდად.
Ванька-встанька ვანკა-ვსტანკა, ადგაბიჭი.
Видимо-невидимо ზმნს. საუბ. უამრავი, აურაცხელი.
Волей-неволей ძალაუნებურად.
Выпукло-вогнутый ამოზნექილ-ჩაზნექილი.
Жду не дождусь მოუთმენლად ველი.
Пинг-понг პინგ-პონგი, მაგიდის ჩოგბურთი.
Такой-сякой ასეთი და ისეთი.
Там-сям აქა-იქ.
Тик-так ხმაბაძვ. წიკწიკი, ტაკატუკი.
Трын-трава შემასმ. მნიშვნ. кому-чему საუბ. არ ენაღვლება, ფეხებზე ჰკიდია: а всё ему трын-трава იმას კი ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია.
Туда-сюда აქეთ-იქით.

Тяп-ляп საუბ. ითქმის ჰაიჰარად, სახელდახელოდ.

Шурум-бурум მრ. არ იხმ. 1, კრებ. საუბ. ძველმანი, ძველ-ძველი, ძონძები, კონკები; 2. ქურდების არგო: თაღლითობა.

Шуры-муры არ იბრ. მხოლოდ მრ. საუბ. კურკური: - У неё с ним давно шуры-муры დიდი ხანია ეკურკურებიან ერთმანეთს.

Шушера მრ. არ იხმ. მდ. კრებ. საუბ. ნაყარნუყარი ხალხი, ვიგინდარები.

Экивок მიკიბულ-მოკიბული, ნართაული, გადაკრული.

§ 23. მ ე ა თ ე ჯგუფის კვაზი-რედუპლიკაციები ინგლისურ ენაში

ინგლისურ ენაში რუსულთან შედარებით კვაზი-რედუპლიკაციების რაოდენობა მეტია, მაგრამ უფრო ნაკლებია, ვიდრე თურქულ ენაში და კიდევ უფრო ნაკლები, ვიდრე ქართულში. აგლუტინაციური ენები უფრო თავისუფლად აწარმოებენ კვაზი-რედუპლიკაციებს, ვიდრე ფლექსიური. მაგრამ ქართული ენა ამ მიმართებით უფრო დახვეწილად გამოიყურება. მოგვყავს მაგალითები კვაზი-რედუპლიკაციებისა ინგლისური ენიდან:

abracadabra 1. აბრაკადაბრა, შელოცვა, მაგიური ფორმულა; 2. აბრაკადაბრა, აბდაუბდა, უაზრობა.

airy-fairy 1. ფერიელი, ნაზი; 2. წარმოსახვითი, არარსებული, არარეალური.

argy-bargy I საუბ. უპარტ. დიალ. 1. დავა, დაკა-დაკა; 2. გაცხოველებული დისკუსია, კამათი.

argy-bargy II დავა (დავობს), კამათი, შედავება.

arsy-varsy .. arsy-versy სლ. თავდაყირა, არეულ-დარეულად, დაუდევრად.

bombard I სამხ. ისტ. ბომბადი.

bombard II 1. დაბომბვა; 2. გადატ. შეკითხვების მიყრა; 3. დაბომბვა, დასესხება.

caricature 1. კარიკატურა; 2. დაცინვა, პაროდირება.

chit-chat საუბ. 1. მსუბუქი, საუბარი; 2. ხმები, მითქმა-მოთქმა.

chit-chaty ყბედი, ჭორაობის მოყვარული.

christ-cross მოძვ. დიალ. 1. ჯვარი, რომელსაც ხელმოწერის მაგივრად სვამენ წერა-კითხვის უცოდინარი; 2. დიალ. ანბანი

cinchonis ფარმაკ. ქინაქინისა.

contrabanda I 1. ა) კონტრაბანდა; ბ) კონტრაბანდული საქონელი; 2. ამერ. ჩრდილოელების განლაგებაში მოხვედრილი გაქცეული ზანგი.

contraband II კონტრაბანდისა, კონტრაბანდული.

Contraband III კონტრაბანდულ საქმიანობას ეწევა.

contrabandist კონტრაბანდისტი.

fible-fable დიალ. სისულელე.

fiddle-faddle I 1. ა) ჩვეულ. მრ. სისულელე, უაზრობა; ბ) ყბედობა, ლაქლაქი; გ) სულელური, უაზრო საქციელი; 2. უსაქმური, ყბედი; 3. შორისდ. მნიშვნ. სისულელეა!

fiddle-faddle II სულელური, უაზრო.

fiddle-faddle III 1. უაზრო წრიალი (წრიალებს), ფაციფუცი; 2. უაზროდ (ლაპარაკობს), ყბედობა, ლაქლაქი.

fuddy-duddy ამერ. 1. პედანტი; 2. მოძველებული შეხედულების მქონე ადამიანი, კონსერვატორი.

gibble-gabble უაზრო ლაპარაკი, ყბედობა, ლაქლაქი.

handy-andy ხელმარჯვე ადამიანი.

handy-dandy საბავშვო თამაში.

hanky-panky საუბ. სიცრუე; თაღლითობა.

hee-hav ვირის ყროყინი; 2. ხმამაღალი, უხეში სიცილი.

hill-billy I ამერ. საუბ. აგდებ. სოფლელი, გაუთლელი ადამიანი.

hill-billy II ამერ. საუბ. სოფლური, სოფლისა.

hob-nob I 1. ალალბედზე; 2. შინაურულად.

hob-nob II 1. არქ. 1. ერთად სმა, ქეიფი; 2. ვინმესთან მეგობრობა.

hocus-pocus 1. ფოკუსი; 2. მარჯვედ მოტყუება, გაცურება, თვალის ახვევა.

hoddy-doddy მოძვ. დიალ. 1. დაბალი, ჩასკვნილი; 2. დაბნეული, აფორიაქებული.

hodge-dodge I აგდებ. ნარევი, დომხალი.

hogge-dodge II 1. არევ-დარევა; 2. სხვადასხვა ელემენტების უწესრიგოდ არევა.

honky-tonk ამერ. სლ. 1. ღვინის სარდაფი, ლუდხანა; 2. იაფფასიანი კაზინო, (ღამის) კლუბი | საცეკვაო დარბაზი.

hub-a-dub ხმაბაძვ. დოლის დაკვრის ხმა.

hubble-bubble ხმაბაძვ. ბუყბუყი; აბნეული, უთავბოლო ლაპარაკი.

huggar-muggar საუბ. 1. უწესრიგობა, არეულობა; 2. რისამე დამალვა, დაფარვა; 3. ზედს. მნიშვნ. უწესრიგო.

humpty-dumpty 1. ჰამფთი-დამფთი, საბავშვო ლექსების და მსუქანი პერსონაჟი; 2. კანდიდატი, რომელსაც არჩევნებში გამარჯვების შანსი არ აქვს.

hurly-burly I არეულობა, უწესრიგობა.

hurly-burly II არეულ-დარეული, უწესრიგო.

hy-spy „დამალობანა"-ს მსგავსი საბავშვო თამაში.

jim-jams 1. სლ. თეთრი ცხელება; 2. საუბ. მღელვარება, შიში; 3. საუბ. დეპრესია, უგუნურობა.

jingle-jangle წკარუნი, ჟღარუნი.

job-hop სამუშაო ადგილის შეცვლა.

job-hopper ვინც ხშირად იცვლის სამუშაო ადგილს.

lardy-dardy საუბ. მანერული, მეტისმეტად კოხტა.

maxi-taxi მრავალადგილიანი ტაქსი; ტაქსი, მიკროავტობუსი.

May-day პირველი მაისი; საპირველმაისო დღესასწაული.

mish-mash საუბ. ნარევი, დომხალი.

michty-machty შოტლ. დიალ. უწესრიგო, არეულ-დარეული.

namby-pamby I აგდებ. 1. სენტიმენტალობა, მანერულობა; ზედმეტად სენტიმენტალური, მგრძნობიარე, სტილი, სუსტი ხასიათი, ნაზი ადამიანი.

namby-pamby II 1. ზედმეტად სენტიმენტალური; 2. ნაზი, გაუბედავი, არავაჟკაცური.

niddle-noddle I თავს რომ აკანტურებს, თავკანტურა.

niddle-noddle II თავის კანტური (აკანტურებს).

zigzag ზიგზაგი, იკანკელი, ტეხილი ხაზი.

§ 24. რედუპლიკაციური ფორმების საფუძველზე ე-ნიანი და ი-ნიანი ვნებითის ფორმების წარმოება ქართულ ენაში (მეთერთმეტე ჯგუფი)

რედუპლიკაციურ ფორმათა ძირებზე დაფუძნებით შეიძლება ვაწარმოოთ ზმნის ვნებითი გვარის ე-ნიანი და ი-ნიანი ფორმები:

ებუტბუტება (ის მას), ედარდიმანდება, ედუდუნება, ეკურკურება, ელაქლაქება, ეპირისპირება, ეტიტინება, ექსაქსება, ეჩიჩინება, ეჩურჩულება, ეწეწება, ეჭიკჭიკება, ეჭმუჭნება, ეჯიჯღინება (სულ 14 მაგალითი).

იბარბაცებს, იბობოქრებს, იბუტბუტებს, იბუყბუყებს, იგიზგიზებს, იგუგუნებს, იდავიდარაბებს, იდუდუნებს, ივაივაგლახებს, ივარვარებს (შდრ. ივარვარებდა, ივარვარა, უვარვარია), ივახვახებს, ივიშვიშებს, იზუზუნებს, ითენთება, იკაკანებს, იკამკამებს, იკანკალებს, იკაშკაშებს, იკისკისებს, ილაპლაპებს, ილივლივებს, ილიკლიკებს, ილიცლიცებს, ილუღლუღებს, იპარპაშებს, იჟეჟება, იჟივჟივებს, ირაკრაკებს, ირიჟრაჟებს, ირახრახებს, იტივტივებს, იტიკტიკებს, იტიტინებს, იფუსფუსებს, იქაქანებს, იქექება, იქსაქსება, იღავღავებს, იღაღანებს, იღიღინებს, იღულუნებს, იყანყალებს, იყაყანებს, იყაშყაშებს, იყიყინებს, იყოყოჩებს, იყურყუმელავებს, იყურყუტებს, იჩანჩალებს, იჩერჩეტებს, იჩურჩულებს, იჩუხჩუხებს, იცახცახებს, იციმციმებს, იძიგძიგებს, იძუნძულებს, იწანწალებს, იწანწკარებს, იწეწება, იწკავწკავებს, იწუ-

წება, იწუწუნებს, იჭაჭანებს, იჭიკჭიკებს, იჭიჭყინებს, იჭმუჭნება, იჭუკჭუკებს, იხარხარებს, იხვიხვინებს, იხითხითებს (სულ 70 სიტყვა).

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, ზმნის ვნებითი გვარის ი-ნიანი ფორმები თავისი რაოდენობით 5-ჯერ აღემატება ე-ნიან ფორმებს.

თურქული ენა მაინცდამაინც ვერ აწარმოებს რედუპლიკაციურ ძირებზე დაყრდნობით ზმნის ფორმებს. ლექსიკონებში შეგვხდა მხოლოდ ხუთი მაგალითი, სადაც მარცვალთა რედუპლიკაციის ძირებზე დართულია ინფინიტივის მაწარმოებელი სუფიქსი -mak || -mek, რომლის შედეგად ნაწარმოებია ზმნის განუსაზღვრელი ფორმები, მაგალითად: fısfıslamak |მო|პკურება, შეშხეფება, hımhımlamak დუდღუნი, mızmızlanmak ჭირვეულობა, şaşakalmak გაშტერება, გაშეშება, üşüşmek მიც. თავმოყრა (თავს მოიყრის), მოგროვება.

ინდოევროპული ენები რედუპლიკაციურ ფორმებზე დაყრდნობით ვერ აწარმოებენ ზმნურ ფორმებს ისე, როგორც ეს ხდება ქართულ და თურქულ ენებში.

რაც შეეხება ქართულ ენაში მი- და მო- წინდებულების ურთიერთმიმართებას, ამის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, სადაც გამოვყავით ცალკე ჯგუფად კონტრასტული რედუპლიკაციები, როგორიცაა მიალაგ-მოალაგებს, მიეფარ-მოეფარება და მისთანები (იხ. § 14). გარდა ამისა, ქართულ ენაში, სხვა ენებისაგან განსხვავებით, რედუპლიკაციურ ფორმებზე დაყრდნობით კიდევ იწარმოება მიმღეობის (იშვიათად სახელური) ფორმები.

§ 25. რედუპლიკაციური ძირებისგან აფიქსების მეშვეობით ნაწარმოები სახელის, ზმნისა და მიმღეობის ფორმები ქართულ ენაში (მეთორმეტე ჯგუფი)

ქართულ ენაში რედუპლიკაციური ძირებისგან შეიძლება ვაწარმოოთ აფიქსების დართვით სახელური და ზმნური ფორმები.

თავსართ მო- და ბოლოსართ -ე-ს მეშვეობით (იშვიათად - მხოლოდ მ- თავსართის, მე- თავსართისა და -ე ბოლოსართის დართვით) იწარმოება სახელისა და მიმღეობის ფორმები:

მედუდუკე, მეთვალთვალე, მეძუძური, მზღვეველი, მობაჯ-ბაჯე, მობიბინე, მობუტბუტე, მოგიზგიზე, მოგიჟმაჟე, მოგუგუნე, მოგუზგუზე, მოდუდუნე, მოზუზუნე, მოთვალთვალე, მოკამ-კამე, მოკაშკაშე, მოკისკისე, მოლაპლაპე, მოლასლასე, მოლაქლა-ქე, მოლივლივე, მოლიცლიცე, მოლუკლუკე, მოპირისპირე, მოსამსახურე, მოსისინე, მოტივტივე, მოტიკტიკე, მოტიტინე, მოფარფატე, მოფუსფუსე, მოქათქათე, მოქაქანე, მოქვითქვითე, მოღაღადე, მოღიღინე, მოღუღუნე, მოყაყანე, მოჩანჩქარე, მოჩაქჩაქე, მოჩახჩახე, მოწანწალე, მოწანწკარე, მოწუწუნე, მოჭიკჭიკე, მოხითხითე, მქექავი, მღაღადებელი, მჩეჩელი;

უ- პრეფიქსისა (და იშვიათად -ო სუფიქსის მეშვეობით) იწარმოება მეტწილად ზმნური (იშვიათად სახელური) ფორმები:

უარარაო, უგვირგვინო, უგურგურებს, უთათუნებს, უთ-ვალთვალებს, უკაკუნებს, უკანკალებს, უწაკწაკებს, ულაპლაპებს, ულივლივებს, უპირდაპირებს, უსუსურობა, უტატანებს, უტურტურებს, უქაქანებს, უქირქილებს, უქსაქსავს, უღაჟღაჟებს, უღირღიტია, უყაშყაშია, უყელყელებს, უშეშებს, უჩიჩინებს, უჩურჩულებს, უჩუხჩუხებს, უციმციმებს, უძაგძაგებს, უძიგძი-გებს, უძუძური, უძუძურობა და სხვა მრავალი.

§ 26. ფონეტიკური პროცესებითა და სხვადასხვა აფიქსებით გამოწვეული მარცვალთა რედუპლიკაციების გართულებული ფორმები ქართულ ენაში (მეცამეტე ჯგუფი)

ქართულ ენაში გვაქვს მარცვალთა ისეთი რედუპლიკაციები, რომელთა ფუძის გართულება გამოწვეულია ფონეტიკური პროცესებითა და სხვადასხვა აფიქსების დართვით. თუ რედუპლიკაციურ ფუძეში ორი თანხმოვანი „რ“ არის, დისიმილაციის საფუძველზე ერთი „რ“ იცვლება ლ-თი, მაგ., ლიტერატურული ნორმაა ფორმა „გორგოლა“, რომელიც თავდაპირველად წარმოითქმებოდა როგორც „გორგორა“; ნორმირებულია როგორც ლიტერატურული სიტყვა „ხარხარი“, მაგრამ აჭარულ და გურულ დიალექტებში წარმოთქმავენ როგორც „ხარხალი“ და სხვა. დანარჩენ შემთხვევაში რედუპლიკაციურ ფორმებში იოლი შესამჩნევია თანხმოვანთა ცვლილებები:

ბარბაცა (რ||ც), ბარბაცი, ბომბორა (მ||რ), ბუმბული (მ||ლ), გვირგვინი (რ||ნ), გვირგვინიანი, გვირგვინოსანი, გოლგოთა, გურგური, ზანზალაკი, ზანზარებს, კანკალებს, კირკიტა (ფრინველი), კირკიტი (ჩხიკინი), კორკოტი, მარმაში, მაჩანჩალა, მაჩანჩალობა, მაწანწალა, მაწანწალობა, ნატახტარი, ნაშიმშილარი, ნაჩერჩეტები, ნაჩურჩულები || ნაჩურჩულევი, პამპასები, პარპალი (რ||ლ), პარპაში, პარპაშებს, პომპონი, პუმპულა, სამსალა, სინსილა, სუნსულებს, სუნსული, ტანტალი, ტანტალებს, ფამფალა, ფამფალებს, ფამფარა, ფანფარა, ფანფარონი, ფარფატა, ფარფატებს, ფარფაშებს, ფარფაში, ფუმფულა, ქანქარა, ქანქარი, ქირქილი, ქირქილებს, ქირქილი, ღირღიტა, ღირღიტი, ღურღუმი, ყანყალი, ყარყატი, ყარყაში, ყურყუტი; შიმშილი, ჩანჩალა, ჩანჩალი, ჩაქირქილება, ჩურჩული, ცანცალა, ცანცალებს, ცანცალი, ცანცარა, ცანცარებს, ცანცარი, ცერცეტი, ცუნცულა, ცუნცულებს, ცუნცული, ცუნცუხი (ძერძერუკი), ძუნძულებს, ძუნძული, წაჩანჩალება, წაცუნცულება, წაძუნძულება, წერწეტა, წერწეტი, წინწილი, წკანწკარი, წუნწუხი, ჭინჭილა, ხანხალი,

ხორხოცი, ხორხოცობს, ჯანჯალი, ჯანჯალობა, ჯანჯალობს და სხვა მრავალი.

ქართულ ენაში გვაქვს აგრეთვე ადამიანის გვარები, რომელთა პირველი ნაწილი შედგება მარცვალთა რედუპლიკაციისაგან, ხოლო მეორე ნაწილი შედგება სხვადასხვა ბგერებისაგან. ასეთი გვარებია:

ბობოხიძე, გეგეშიძე, გეგეჭკორი, გიგიბერია, გოგოლაძე, გოგოლიშვილი, გუგუშვილი, დუდუჩავა, თათარაშვილი, კაკაბაძე, კაკალაძე, კეკელიძე, კოკობინაძე, კუკულავა, მემიშიში, ტოტოჩავა, ქოქოლაძე, ჩაჩანიძე, წივწივაძე, წუწუნავა, ჭავჭავაძე, ჭეჭელაშვილი, ჭიჭინაძე და სხვა.

§ 27. რედუპლიკაციათა ბუდეების შესახებ ქართულ ენაში

რედუპლიკაციური ფორმები გრამატიკული ფორმების მიხედვით შეიძლება ბუდეებად დავალაგოთ. მოგვაქვს მაგალითისათვის რამდენიმე მათგანი:

ააგიზგიზებს, ააგიზგიზა, აუგიზგიზებია, აგიზგიზდება, აგიზგიზდა, აგიზგიზებულა, აგიზგიზება, აგიზგიზებული; გიზგიზებს, გიზგიზებდა, გიზგიზი, გიზგიზა; დააგიზგიზებს, დააგიზგიზა, დაუგიზგიზებია; დაგიზგიზება, დაგიზგიზებული, დაჰგიზგიზება, დაჰგიზგიზებდა; იგიზგიზებს, უგიზგიზია, მოგიზგიზე (სულ 22 ფორმა);

ააალაპლაპებს, ააალაპლაპა, აულაპლაპებია; ალაპლაპებდა, ალაპლაპდა, ალაპლაპებულა; ალაპლაპებია, ალაპლაპებოდა, ალაპლაპებული; გაალაპლაპებს, გაალაპლაპა, გაულაპლაპებია; გალაპლაპდება, გალაპლაპდა, გალაპლაპებულა; გალაპლაპება, გალაპლაპებული; ილაპლაპებს, ულაპლაპია; ლაპლაპა, ლაპლაპი; მოლაპლაპე; მოლაპლაპებს, მოლაპლაპებდა; ლაპლაპებს; ლაპლაპებდა, ლაპლაპებდეს; ულაპლაპებს, ულაპლაპებდა, ულაპლაპებდეს (სულ 30 სიტყვაფორმა);

აატივტივებს, აატივტივა, აატივტივოს, აუტივტივებია; ამოტივტივდება, ამოტივტივდა, ამოტივტივებულა; ამოტივ-

ივება, ამოტივტივებული; ატივტივდება, ატივტივდა, ატივტივებულა; ატივტივებს, ატივტივებდა, ატივტივა, უტივტივებია; ატივტივებული; იტივტივებს, იტივტივებდა, იტივტივა, უტივტივია; მოტივტივე; მოტივტივებს, მოტივტივებდა, მოტივტივებული; ტივტივა; ტივტივებდა; ტივტივებს, ტივტივებდა (იტივტივა, უტივტივია); ტივტივი და სხვა (სულ 30 სიტყვაფორმა);

აატიკტიკებს, აატიკტიკა, აუტიკტიკებია; ატიკტიკებდა, ატიკტიკდა, ატიკტიკებულა; ატიკტიკება (ატიკტიკებს); ატიკტიკებული; იტიკტიკებს, იტიკტიკებდა, იტიკტიკა, უტიკტიკია; მოტიკტიკე; ტიკტიკა; ტიკტიკებს, ტიკტიკებდა, ტიკტიკი (სულ 17 სიტყვაფორმა);

ააციმციმებს, ააციმციმა, აუციმციმებია; ამოციმციმდება, ამოციმციმდა, ამოციმციმებულა; ამოციმციმება, ამოციმციმებული; აციმციმდება, აციმციმდა, აციმციმებულა; აციმციმება, აციმციმებული; გაციმციმდება, გაციმციმდა, გაციმციმებული; იციმციმებს, იციმციმა, უციმციმია; ციმციმ; ციმციმებს, ციმციმებდა, ციმციმებდეს; ციმციმი (სულ 24 სიტყვა);

ააძიგძიგებს, ააძიგძიგა, აუძიგძიგებია; აუძიგძიგდება, აუძიგძიგდა, ასძიგძიგებია; აძიგძიგდება, აძიგძიგდა, აძიგძიგებულა, აძიგძიგებული; აძიგძიგება, აძიგძიგებს, აძიგძიგებდა, აძიგძიგებდეს; იძიგძიგებს, უძიგძიგია; ძიგძიგებს, ძიგძიგებდა, ძიგძიგი (სულ 19 სიტყვა);

ააჭიკჭიკებს, ააჭიკჭიკა, აუჭიკჭიკებია; აჭიკჭიკდება, აჭიკიკდა, აჭიკჭიკებულა; აჭიკჭიკება, აჭიკჭიკებული; აჭიკჭიკებს, აჭიკჭიკება, აჭიკჭიკებდეს (ააჭიკჭიკებს); ეჭიკჭიკება, ეჭიკჭიკებოდა, ეჭიკჭიკებოდეს; იჭიკჭიკებს, უჭიკჭიკია; მოჭიკჭიკე; ჩასჭიკჭიკებს, ჩასჭიკჭიკებდა, ჩასჭიკჭიკებდეს, ჩასჭიკჭიკა, ჩაუჭიკჭიკებია; ჭიკჭიკ-გალობა (სულ 24 სიტყვა);

აბაჯბაჯდება, აბაჯბაჯდა, აბაჯბაჯებულა; ბაჯბაჯა, ბაჯბაჯებს, ბაჯბაჯებდა, ბაჯბაჯებდეს, ბაჯბაჯი; იბაჯბაჯა, უბაჯბაჯია; მიბაჯბაჯდება, მიბაჯბაჯდა, მიბაჯბაჯებულა; მიბაჯბაჯებს, მიბაჯბაჯდება, მობაჯბაჯე (სულ 16 სიტყვა);

ათუხთუხდება, ათუხთუხდა, ათუხთუხებულა; თუხთუ-ხებს, თუხთუხებდა, თუხთუხებდეს; თუხთუხი; მოთუხთუხე (სულ 8 სიტყვა);

აკაშკაშდება, აკაშკაშდა, აკაშკაშებულა; ამოკაშკაშდება, ამოკაშკაშდა, ამოკაშკაშებულა; ამოკაშკაშება, ამოკაშკაშებული; გაეკაშკაშა, გაეკაშკაშოს; გაეკაშკაშებინა, გაეკაშკაშებინოს; გაკაშკაშდება, გაკაშკაშდა, გაკაშკაშებულა; დაჰკაშკაშებს, დაჰკა-შკაშებდა; იკაშკაშებს, უკაშკაშია; კაშკაშა; კაშკაშებდა, კაშკაშ-დებოდა, კაშკაშდებოდეს; კაშკაშებს, კაშკაშებდა, კაშკაშებდეს, კაშკაში; მოკაშკაშე, მოკაშკაშებული, მოკაშკაშე-მოელვარე (სულ 30 სიტყვა);

აკაწკაწებინებს, აკაწკაწებინა, უკაწკაწებია (დააკაწკაწები-ნებს); აკაწკაწებს, აკაწკაწა, უკაწკაწებია (დააკაწკაწებს); დააკაწკა-წებინებს, დააკაწკაწებინა, დაუკაწკაწებინებია; დააკაწკაწებს, დააკაწკაწა, დაუკაწკაწებია; კაწკაწი, უკაწკაწებს (სულ 16 სიტყვა);

ბუტბუტებს (ვბუტბუტებ, ბუტბუტებ), ბუტბუტებდა, ბუტ-ბუტებდეს; იბუტბუტა; უბუტბუტია; ბუტბუტი; დაბუტბუტებს, დაბუტბუტებდა; დაბუტბუტებდეს; ებუტბუტება, ებუტბუტებო-და, ებუტბუტებოდეს, ებუტბუტა; მობუტბუტე; მობუტბუტებს, მობუტბუტებდა; ჩაჰბუტბუტებს, ჩაჰბუტბუტებდა, ჩაჰბუტბუ-ტებდეს; წაბუტბუტება, წაიბუტბუტებს, წაიბუტბუტა, წაუბუტ-ბუტია და სხვა მრავალი (სულ 23 სიტყვა).

როგორც ბუდეთა სურათი გვიჩვენებს, რედუპლიკაციურ ფორმათა რაოდენობის მხრივ ყველაზე მეტი ფორმა მოეპოვება სიტყვებს: ლაპლაპი, კაშკაში და ტივტივი (სულ 30-30 სიტყვა), უფრო ნაკლებპროდუქტიულები არიან: თუხთუხი (8 სალექ-სიკონო სტატია), ბაჯბაჯი, კაწკაწი (16-16 სალექსიკონო სტატია), ტიკტიკი (17 სალექსიკონო სტატია), ძიგძიგი (19 სალექსიკონო სტატია), ბუტბუტი (23 სალექსიკონო სტატია), ციმციმი (24 სალექსიკონო სტატია) და ა. შ.

არანაკლებ მნიშვნელოვან რედუპლიკაციულ ფორმებს ქმნიან შორისდებულიანი წარმონაქმნები სხვადასხვა ენაზე.

ქართული ენა ქმნის არა მარტო გაორმაგებულ, არამედ გასამკეცებულ და გაოთხკეცებულ ფორმებსაც:

ავავ, ოლოლო!, ოჰოჰო, სუქი-სუქი! (გასუქდი!), ჰაი-ჰაი!, ჰაიჰარად, ჰარიარალი, ჰარიჰარალი, ჰაუ, ჰაუ, ქორო!, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!, ჰეი, ჰეი!, ჰერი, ჰერი, ჰო, ჰო, ჰო!, აჩუ-აჩუ!, ტა, ტა, ტა!, ტია-ტია, ყვა-ყვა, ყიჭი-ყიჭი, წიავ-წიავ, წია-წია, ჰაი-ჰუი, პა, პა, პა.

თურქულში გვაქვს: avava „ძაღლის ყეფა“, dehdeh „აჩუ-აჩუ!“, havhav ავავ (ძაღლის ყეფა), hayhay, hayhay „ჰაი-ჰუი“, pehpeh „უჰ! ოჰ!“.

თავი მესამე

რედუპლიკაციური ფორმების შეფასება და მათი ასახვა ბიბლიასა და ფსალმუნებში, ძველი ქართული ენის წყაროებში, ზღაპრებსა და ანეკდოტებში

§ 28. ქართული რედუპლიკაციების მიმართება თურქულ და სხვა ენებთან

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული და თურქული ენები მორფოლოგიური თვალსაზრისით აგლუტინაციური ენებია, სადაც აფიქსებს აქვთ ერთადერთი სტანდარტული მნიშვნელობა. ასე, მაგალითად, თურქულ ენაში -yor სუფიქსი აწმყო დროის მაწარმოებელი სუფიქსია; სუფიქსი -mak|-mek ინფინიტივის, -lar|-ler მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსი. აქ სუფიქსის ვარიანტებთან იმიტომ გვაქვს საქმე, რომ თურქულ ენაში აღინიშნება ისეთი ფონეტიკური მოვლენა, როგორიცაა სინჰარმონიზმი, რომლის მიხედვით უკანა რიგის ფუძისეულ ხმოვნებთან იხმარება -mak და -lar, ხოლო წინა რიგის ხმოვნებთან - -mek, -ler სუფიქსები: ben gidiyorum „მე მივდივარ“, sen gidiyorsun „შენ მიდიხარ“, o gidiyor „ის მიდის“ და ა. შ.; yazmak „წერა“ gelmek „მოსვლა“; masalar „მაგიდები“, pencereler „ფანჯ-რები“ და ა. შ. (შდრ. ქართ. სახლი - სახლ-ებ-ი, სახლ-ებ-მა, სახლ-ებ-ს ...,დროშა - დროშ-ებ-ი, დროშ-ებ-მა, დროშ-ებ-ს და ა. შ.).

შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ თურქული ენა რედუპლიკაციური ფორმების წარმოების მხრივ თითქოსდა უტოლდება ქართულ ენას, მაგრამ დეტალურმა განხილვამ და ამ ფორმების ერთმანეთთან შედარებამ დაგვანახა, რომ პირველი მათგანი საკმაოდ ჩამორჩება მეორეს (ქართულ ენას). გარდა ამისა, ქართულ ენაში რედუპლიკაციური ფორმები უფრო დახვეწილი და ნორმირებულია. ეს ნთქვამი ასე შეიძლება დავასაბუთოთ:

1. რედუპლიკაციური ფორმების ჩამოყალიბებას ქართულ ენაში დიდად შეუწყო ხელი სახელობითი ბრუნვის

დამკვიდრებამ. როგორც ცნობილია, ძველთა-ძველ ქართულში სახელობითი ბრუნვა არ არსებობდა. მის ნაცვლად გვქონდა წრფელობითი ბრუნვა, ე.ი. თავდაპირველად გვქონდა სახლ, ხელ, თავ და ა.შ., ახლა კი გვაქვს სახლ-ი, ხელ-ი, თავ-ი. სახელობითი ბრუნვის ჩამოყალიბებამ რედუპლიკაციური ფორმები: ჭიკ ჭიკ, კის კის და მისთანები შეაერთა და შექმნა ერთიანი სიტყვა ანუ მოგვცა ენობრივი ნიშანი: ჭიკჭიკი, კისკისი და ა.შ. ხოლო თურქულ ენაში კი სახელობითი ბრუნვა დღემდე ვერ ჩამოყალიბდა, რამაც ხელი შეუშალა ქართულის მსგავსად ანალოგიური ფორმების შექმნას. თანამედროვე თურქულ ენაში რედუპლიკაციურ ფორმათა უმრავლესობა იწერება ცალ-ცალკე: abuk sabuk აბდაუბდა, abur sabur არეულ-დარეული, can cana ერთად, მეგობრულად, cık cık ჭიკჭიკი, faşır faşır ჩხრიალი, ჩუხჩუხი და ა.შ.;

2. თურქულ ენაში რიცხვითი სახელებისაგან არ შექმნილა რედუპლიკაციური ფორმები, როგორიც გვაქვს ქართულ ენაში, მაგალითად: თითო-თითო birer; ოთხ-ოთხი dörder; ხუთ-ხუთი beşer; ექვს-ექვსი altışar; შვიდ-შვიდი yedişer; ათ-ათი onar; ორმოც-ორმოცი kırkar; ოთხმოც-ოთხმოცი seksener და ა. შ.;

3. თურქული ენა ვერ აწარმოებს კონტრასტულ რედუ-პლიკაციებს (იხ. § 14);

4. არ არის თურქულ ენაში „და“ კავშირით შეერთებული რედუპლიკაციები;

5. თურქულის ერთი და იგივე რედუპლიკაციური სახელო-ბითი ბრუნვის ფორმები ქართულ და სხვა ენებზე ითარგმნება ორგვარად: სახელობითი ბრუნვის ფორმით როგორც განსა-ზღვრება და მოქმედებითი ბრუნვის ფორმით როგორც ვითარების გარემოება: fırılfırıl ხმაბაძვ. ბზრიალ-ბზრიალი, ტრიალ-ტრიალი; fısılfısıl ჩურჩულით და სხვა.

ინდოევროპულ ენებთან შედარებით ქართული ენა გაცილებით უფრო მეტ რედუპლიკაციურ ფორმებს აწარმოებს. ეს გამოიხატება შემდეგში:

1. რუსული და სხვა ინდოევროპული ენები ვერ აწარმოებენ კონტრასტულ რედუპლიკაციებს. მაგ., რუსული ენა კონტრასტულ რედუპლიკაციებს სულ სხვადსხვა ხერხით გამოხატავს:

«Дайте мне сначала осмотреться здесь немного დამაცადეთ ჯერ ცოტა მივიხედ-მოვიხედო» (რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. მეორე, გვ. 606);

«Дерево упало поперёк дороги ხე გზის გარდი-გარდმო დაეცა» (იქვე, 608);

Мой друг походил по улице ჩემმა მეგობარმა ქუჩაში გაიარ-გამოიარა;

Люди скоро разошлись по домам ხალხი მალე წავიდ-წამოვიდა სახლებში.

Что ты ерундишь? რას მიედ-მოედები? რას ჩმახავ?

Она всё время ходит как заваруха იგი ყოველთვის დადის როგორც აწეწილ-დაწეწილი.

2. რუსულმა ენამ, როგორც თურქულმა, ვერ შექმნა რიცხვითი რედუპლიკაციები (ორ-ორი, სამ-სამი, ათ-ათი და მისთანები). რუსულ ენაში ამგვარი რედუპლიკაციები იწარმოება სულ სხვაგვარად, კერძოდ, по წინდებულის მეშვეობით და რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრალდებით ბრუნვაში ჩასმით: по двадцать рублей ოც-ოცი მანეთი და სხვა.

3. ქართულის რედუპლიკაციური ფორმები, როგორიცაა პატარ-პატარა, ცალ-ცალკე, შავ-შავი, ქათქათა და სხვა იწარმოება სხვადასხვა ხერხით (შდრ. ქართულის მრავალრიცხოვან რედუპლიკაციურ ფორმას რუსულში შეესაბამება არარედუპლიკაციური ფორმები. მაგალითად:

Бубнить ბუტბუტი;

Волокитчик ჯანჯალი (ადამიანი);

Ворковать ღუღუნი;

Вперевалку ბაჯბაჯით;

Врукопашную ზმნს. ხელდახელ;

Всколыхнуть აბიბინება: ветер всколыхнул ниву ქარმა ჯეჯილი ააბიბინა;

Гавкать საუბ. ყეფა, ღავღავი: гавкали собаки ძაღლები ღავღავებდნენ;

Дед 1. პაპა, ბაბუა; 2. მხ. მრ. წინაპარი, მამა-პაპა;

Дословный სიტყვასიტყვითი; Дрянь ხარახურა; Журчание რაკრაკი, ჩუხჩუხი;

Закудахтать აკაკანება;

Щебетать ჭიკჭიკი;

Играючи თამაშ-თამაშით და ა. შ.

ამგვარად, ქართული ენა რედუპლიკაციური ფორმების მიხედვით სხვა ენებთან შედარებით ყველაზე მდიდარი, მრავალფეროვანი, წარმატებული, ნორმირებული და დახვეწილი ენაა. ქართულ ენაში რედუპლიკაცია არის სიტყვათწარმოების უმნიშვნელოვანესი და საყრდენი ხერხი.

§ 29. ბგერათა რედუპლიკაცია როგორც სიტყვათწარმოების ზოგადი ხერხი

ბგერათა (როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა) გაორკეცებას, როგორც ჩანს, ადგილი უნდა ჰქონდეს ყველა ენაში. ქართულში ბგერათა გაორკეცება ძირითადად ხდება სიტყვის თავში ან ბოლოში. თუ სიტყვის მორფემა იწყება ან მთავრდება იმავე ხმოვნით, რომელი ხმოვანიც გვაქვს აფიქსის დასაწყისში ან ბოლოში, მაშინ მათი მიერთების შემთხვევაში ხდება ბგერათა გაორმაგება. მაგალითად: აბამს - ააბამს, აშენებს - ააშენებს, ათეთრებს - გაათეთრებს, აკავშირებს - დააკავშირებს, ეჭვი - მეეჭვება, ეტლი - მეეტლე, იჩქმალება - მიიჩქმალება, გენია - გენიის, კონფერენცია - კონფერენციის, ხე - ხეები და მისთანები.

თუ თანხმოვნიანი აფიქსის მიერთება ხდება სიტყვის ძირზე, რომელიც იწყება ან მთავრდება იმავე თანხმოვნით, მაშინ ხდება თანხმოვანთა გაორმაგება, მაგალითად: ვარჯიში - ვვარჯიშობ, ვარაუდი - ვვარაუდობ, ბინდი - ბინდდება, ბოლნისი - ბოლნისს, ქათამი - ქათამმა, მათი - მათთვის, შიში - შიშში, თევზი - თევზზე და მისთანები.

გაორმაგებული ხმოვნები ან თანხმოვნები გვაქვს რთული სიტყვების გასაყართან, მაგალითად: ბეჭედდასმული, ბეჭედდაკარგული, გზააბნეული, დედააზრი, ერთთვალიანი, ნახევარრკალი და სხვა.

ორი სრულიად ერთნაირი ბგერის შეერთებისას მათი საზიარო არტიკულაცია (იხ. ჭყონია, 2016, § „ბგერის წარმოთქმის სამი მომენტი“) გრძელდება უწყვეტლივ: აავსო, შეერთდა, ომმა, მათთან და მისთ. ამგვარი გზით ხმოვანთა გაორმაგების დროს, ამა თუ იმ ენაზე წარმოიქმნება ჩვეულებრივ გრძელი ხმოვანი. მაგრამ თანხმოვნების დროს კი წარმოიქმნება ან გაორმაგებული, ანუ რედუპლიკაციური (გემინირებული) ან გრძელი თანხმოვანი.

გრძელი თანხმოვანი გემინირებულისაგან იმით განსხვავდება, რომ მათი შეერთებისას იქმნება სრულიად ერთიანი თანხმოვანი (ეს ხშულების დროს), რომელიც ერთიანი დაყოვნებით და გაგრძელებით წარმოითქმება (მათთვის, თითთან, ბგონია და სხვ.), ხოლო როცა ხშულთა შენაერთში იგრძნობა მათი ორმაგობა, მაშინ გვაქვს საქმე გემინირებულ ანუ გაორმაგებულ ბგერებთან. ამიტომ ზოგ ენაში გვაქვს გრძელი ხშულები, ზოგში კი გემინანტები (დაწვრ. იხ. ახვლედიანი, 1999 : 103-106).

ხშირია რედუპლიკაციური ბგერების გამოყენება რუსულ ენაში, მაგალითად: Заасфальтировать „მოასფალტება“; Коалиция „კოალიცია“; (წარმოითქმება როგორც «каалиция»), пообедать „სადილობა“; (წარმოითქმება როგორც «паабедать»), пообещать „დაპირება“; аббревиатура „აბრევიატურა“; балл „ბალი“; баллон „ბალონი“; баттерфляй „ბატერფლაი“; беззаботный „უზრუნველი“; гамма „გამა“, класс „კლასი“; пол-лимона „ლიმონ-ნახევარი“; программа „პროგრამა“; поддержать „მხარის დაჭერა“ და სხვა.

წარმოთქმის შესაბამისად რუსულ ენაში მეტწილად გვაქვს რედუპლიკაციური, ანუ გემინირებული თანხმოვნები, ვიდრე ქართულ და სხვა ენაში.

საკუთრივ თურქული ენის სიტყვებისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი რედუპლიკაციური ბგერები (ხმოვნები თუ

თანხმოვნები). ასეთი მაგალითები მეტწილად გვაქვს არაბულიდან შემოსულ სიტყვებში: mukataa „იჯარით მიცემა“; naa.. „მიცვალებული“; naat „ხოტბა, ქება“; sifatfiil „ზმნიზედა“; suur „გონება“; suuri „გაგებული“; minnet „წყალობა“; minnetar „მადლიერი“; okka „ოყა“; tutturmak „დაჭერინება“; diller „ენები“; yattıkennar მათ. „ჰიპოტენუზა“ და ა. შ.

გერმანული ენა ასხვავებს გრძელ და მოკლე ხმოვან ფონემებს. ამიტომ გაორმაგებული ხმოვანი ჩვეულებრივ იძლევა გრძელ და არა გემინირებულ ხმოვნებს, მაგალითად: (der) Staat „სახელმწიფო“; staatlich „სახელმწიფოებრივი“; (das) Boot „ნავი“; (das) Moor „ჭაობი“; (die) Beere „კენკრა“; (das) Beet „კვალი“ და სხვა. მაგრამ გაორმაგებული ხმოვანი ზოგჯერ წარმოითქმება როგორც რედუპლიკაციური ხმოვნები. ეს იმ შემთხვევაში გვაქვს, როცა ისინი სიტყვის მორფემათა გასაყარში იყრიან თავს, მაგ., beenden „გარდაცვალება“; beerben „მემკვიდრეობის მიღება“ და სხვა. თუ მორფემათა გასაყართ შორის პირველი შეიცავს გაორმაგებულ ხმოვანს, მაშინ იგი გრძლად წარმოითქმის როგორც გრძელი ფონემა და არა როგორც გემინირებული ხმოვანი, მაგ., (die) Seelleute „მეზღვაურები“ (შდრ. (die) See „ზღვა“) და სხვა. (დაწვრ. იხ. Шишкин და სხვა, 1977 : 20 და შმდგ.).

რაც შეეხება თანხმოვანთა გაორმაგებას გერმანულ ენაში, ისინი წარმოითქმებიან ჩვეულებრივ როგორც გემინირებული თანხმოვნები, მაგალითად: kommen „მოსვლა“; (die) Sonne „მზე“; (die) Sperre„ბარიერი“; (der) Vollbauer „გლეხი“; wollen „სურვილი“ და მისთანები (გემინირებული თანხმოვნები წარმოითქმებიან ორ-ორი დაყოვნებით).

ინგლისურ ენაში ბგერათა რედუპლიკაციის სულ სხვა სურათი გვაქვს. მართალია, აქ წერილობით გამოიყენება როგორც ხმოვანთა, ასევე თანხმოვანთა რედუპლიკაციები, მაგრამ ისინი ზეპირ მეტყველებაში არ გამოითქმებიან როგორც გემინანტები: ხმოვანთა გაორმაგება იწვევს გრძელი ხმოვანი ფონემების წარმოქმნას, ხოლო თანხმოვანთა გაორმაგებისას არ გვაქვს გემინირებული თანხმოვნები, რადგან ამ შემთხვევაში გვესმის

მხოლოდ ერთი თანხმოვნის წარმოთქმა. მაგალითად: beer [bɪ:(r)] „ლუდი'; bleed [blɪ:d] „სისხლის დენა"; baboon [bebu:n] ზოოლ. „პავიანი"; root [ru:t] „ფესვი, ძირი" berry [berɪ] „კენკრა"; effect ['ɪfekt] „რეზულტატი, შედეგი"; kill [kɪl] „მოკვლა"; wollen ['wulin] „შალის ქსოვილი" და სხვა.

§ 30. რედუპლიკაციათა ფორმების ლექსიკური მნიშვნელობის შესახებ

რედუპლიკაცია ტექსტის სილამაზეა, დიდი მშვენებაა. ყოველ გამონათქვამს რედუპლიკაცია დიდ სილამაზესა და სიამოვნებას ანიჭებს. იგი მკითხველისათვის ხდება უფრო მიმზიდველი, ამაღლებული და მეტად სახალისო. შევადაროთ თურქულ ენაში ორი წინადადება ერთმანეთს: bilmen neden niçin o beni buldu? აღნიშნულ წინადადებაში, სადაც არა გვაქვს რედუპლიკაცია, იკითხება ჩვეულებრივი კითხვითი ინტონაციით. თუ ახლა იმავე წინადადებაში ჩავრთავთ რედუპლიკაციურ ფორმებს, წინადადება სულ სხვა სახეს და ელფერს მიიღებს: bilmen neden buldu, buldu da beni buldu! „არ ვიცი, რატომ იპოვა, იპოვა და მაინც მე მიპოვა!" არ ვიცი, მე რატომ გამომარჩია". კიდევ: can alacak yerinden vurdu „მტკივნეულ ადგილზე დაარტყა (გადატ.: სუსტი ადგილი მოუძებნა). მაგრამ: can cana baş başa "ყველა თავის გასაჭირზე" (ფრაზეოლოგიზმი) და ა.შ.

ზოგჯერ ერთი და იგივე რედუპლიკაცია მთლიან ტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობას ღებულობს:

მთვარიან ღამეში ისხდნენ ერთად მოხუცებული, ვაჟკაცი და ახალგაზრდა ჭაბუკი. მოხუცი გულდაწყვეტილი ღიმილით იგონებდა წარსულს და თანაც საიქიოზე იმედოვნებდა, ვაჟკაცი მომავალზედ ლაპარაკობდა, ხოლო ჭაბუკი აწმყოს სჯერდებოდა და მით კმაყოფილიც იყო. სამივე არკვევდა, თუ რას წარმოადგენდა ქალი?

- ქალი? ლამაზი ქალი? ოჰ! - წამოიძახა აღტაცებით ჭაბუკმა.

- ქალი? ლამაზი ქალი? ჰმ! - სთქვა საგულისხმოდ ვაჟკაცმა.

- ქალი? ლამაზი ქალი? ხე! ხე! ხე! ხე! ხე! ხე! - ჩაიცინა მოხუცმა.

ამის მეტი აღარა სთქვეს რა, შეხედეს ერთმანეთს და გაჩუმდნენ. ბოლოს კიდევ იკითხეს, თუ - რა თვეს შეედრება ქალიო?

- ქალი? ლამაზი ქალი? - მაისია! - წამოიძახა აღტაცებაში მოსულმა ჭაბუკმა: - იმის სიახლოვეს გული ვარდივით იშლება! მისი სუნთქვა მაისის ნიავზედ უტკბესად ხვდება მხურვალე გულს; ენა ბულბულივით ჭიკჭიკებს, სახე მთვარეს მოგვაგონებს და თვალები ვარსკვლავებს! დიახ! ლამაზი ქალი მაისსა ჰგავს! დიახ! ლამაზი ქალი მაისსა ჰგავს! - განიმეორა კიდევ და გაჩუმდა. ფიქრებმა წაიღეს.

- ქალი? ლამაზი ქალი? - აგვისტოა: - კისერზედ რომ დაგაწვება, დაგაჭერს, სიცხეს დაგაყენებს და ოფლადაც გაგწურავს, - აი, მაშინ კი მიხვდები, რომ აგვისტოა ქალი! - წარმოსთქვა ვაჟკაცმა.

- ქალი? ლამაზი ქალი? ხე! ხე! ხე! ხე! ქალი? - მარტია, მარტის დღეებსავით დაუდგრომელი. როგორც მარტში მზე ხან გამოიჭყეტს და ხან ღრუბელში ეხვევა, ისე ქალიც დღეში ათჯერ ხან გახალისდება და ხან მოიწყენს! მარტია, მარტია დედაკაცი! - ჩაილაპარაკა ხრინწიანის ხმით მოხუცმა და გაჩუმდა (აკაკი, 1985 : 235-236).

სამთა საუბარს უსმენდა ერთი ახალგაზრდა, რომელსაც დააინტერესა, ვინ იყო იმ სამში მართალი. ამბის გასაგებად მამასთან მივიდა და უთხრა მამას, რომ ცოლის შერთვას აპირებს. მამამ გააფრთხილა, რომ არჩევანში არ შემცდარიყო. შვილმა უთხრა მამას: „მე უნდა მდიდარი შევირთო!“

მამამ ეს აზრი არ მოიწონა, რადგან მდიდარმა ცოლმა არ იქნება, რომ ერთხელ მაინც არ წამოგაყვედროს თავისი სიმდიდრეო.

- მაშ ღარიბს შევირთავ!

ეს აზრიც მამამ დაუწუნა შვილს, - უნახავი რომ პატივს ნახავს, სულ გაგიჟდება, თავს ცამდინ აიწევსო.

- მაშ ჩემ ტოლს ვითხოვ!

- არ გამოგადგება! იტყვის: უკეთესის ღირსი ვიყავიო.

- მაშ როგორიღა შევირთო? ვინ მოვსძებნო?

- შენ სხვა ღირსებას ნუ ეძებ: შეირთე ის, რომელმაც შეგიყვაროს, - დაარიგა მამამ შვილი ... (იქვე, 236-237).

„ქალმა თუ ტრფიალი დაგიწყო, იცოდე, რომ გაცდენს და მოერიდე თუ გითხრას: მიყვარხარო, იცოდე, გატყუებს და მოშორდი. მაგრამ თუ იმისთანა ქალს შეხვდე, რომელიც ცხადად თვალის რიდებას დაგიწყებს და ჩუმ-ჩუმად კი ჭვრეტას, მიუახლოვდი იმას და დაუკვირდი: თუ სახე ვარდისფრად გაუწითლდეს, ენა დაებას, გულ-მკერდი აუღელდეს, გულის ძგერა გაიგონო და თვალებში ჯოჯოხეთი და სასუფეველი ორივე ერთად იხატებოდეს, გრწამდეს იმისი სიყვარული, შვილო, და ის შეიუღლე“ (იქვე, 237).

შვილს მოეწონა მამის რჩევა. იქორწინა და მალე დარწმუნდა, რომ ქალი, ლამაზი ქალი მისი ყოფილა!“

ცოლის შერთვის შემდეგ ცხოვრებამ დაანახა ბიჭს, რომ ქალი, ლამაზი ქალი არც მაისი ყოფილა, არც აგვისტო, არც მარტი და ბიჭმა დაასკვნა: „ქალი? ლამაზი ქალი? მცირე ხნობით მაისიც არის, აგვისტოცა და მარტიც; მაგრამ ხანგრძლივად, სიკვდილამდე, დაუბოლოებლად კი იანვარი ყოფილა, გინდ ანგარიშით შეგირთავს და გინდ სიყვარულით!“(იქვე, 238).

„და ვისაც უნდა ცოლი შეირთოს, თუ იანვარს ერიდება, მისთანა ქალი მოძებნოს, რომ მუშა იყოს და საქმე უჩინოს, თორემ უამისოდ, გინდა მზეთუნახავი ეთერიც იყოს, ისიც ჩემი ცოლისთანა გახდება და მაშინ მშვიდობით ამ ქვეყნის ბედნიერებავ! მშვიდობით!“ (იქვე, 238).

რედუპლიკაციური ფორმა, რომელი სიტყვისაგანაც არის ნაწარმოები, სულ სხვა ლექსიკურ მნიშვნელობას ღებულობს. მას სხვა სემანტიკური დატვირთვა აქვს, ვიდრე მის შესაბამის სიტყვას. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

სიტყვა „დაბლა“ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით პოლისემიურია: „1. ქვედა, ქვემო. დ. სართული. 2. ქვევით, ქვემოთ, ძირს“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული, 1986 : 165).

დაბლა-დაბლა - „თანდათანობით დაბლა (მნიშვნ. 2). თვითმფრინავი დ.-დ. ეშვება“ (იქვე, 165).

დიდი - „1. ჩვეულებრივზე დიდი (საპირისპ. პატარა, მცირე). დ. მდინარე... 2. მნიშვნელოვანი, საყურადღებო, ანგარიშგასაწევი. დ. ცოდნა... 3. ბევრი, ხანგრძლივი (დრო...). 4. მოზრდილი, უფროსი (ასაკით). 5. ღირსშესანიშნავი; ძლევამოსილი, დიადი. დ. სამამულო ომი. 6. გამოჩენილი, თვალსაჩინო (პიროვნება). დ. ენათმეცნიერი...“ (იქვე, 212).

დიდი-დიდი - „სულ დიდი, სულ ბევრი, ძალიან ბევრი რომ ვთქვათ, - ბევრი-ბევრი. დ.-დ. ხუთი კილოგრამი გამოვიდეს“ (იქვე, 212).

დიდ-დიდი - „დიდი და დიდი. დ.-დიდი ქვები“ (იქვე, 212).

ყვირილი - „ხმამაღლა ძახილი (ადამიანისა) || თავისებური ხმიანობა (ზოგი ცხოველისა, ფრინველისა)“ (იქვე, 466).

ყვირილ-ყვირილი - „ნაქწყვეტ-ნაწყვეტი ყვირილი; გაუთავებელი ყვირილი“ (იქვე, 466).

შავი - 1. ნახშირის ფერი; ამ ფერის საგანი... 2. სამგლოვიარო ტანსაცმელი ამ ფერისა. 3. შედარებით მუქი ფერისა. შ. კანი... 4. გადატ. ბოროტი, ავი, ცუდი და სხვ. „ (იქვე, 470).

შავ-შავი- „საკმაოდ შავი. შ.-შ. თვალები. - შ.-შ. ახალგაზრდა“ (იქვე, 470).

დარდი - „უსიამოვნო, შემაწუხებელი გრძნობა, გამოწვეული მძიმე მდგომარეობით, უბედურებით და მისთ.“

დარდიმანდი - „უზრუნველი, უდარდელი, ხელგაშლილი კაცი“ (იქვე, 186).

როგორც შედარება გვიჩვენებს, რედუპლიკაციური ფორმები, რომლებიც წარმოქმნილია ცალკეული სიტყვების გამეორების, გაორკეცების გზით, მათი ლექსიკური მნიშვნელობა უფრო

დაკონკრეტებულია და მონოსემიური. ხოლო ის სიტყვები, რომლებისგანაც შეიქმნა რედუპლიკაციური ფორმები, მეტწილად პოლისემიურია.

§ 31. რედუპლიკაციური ფორმები როგორც პოეზიის სილამაზე

რედუპლიკაციის ფორმათა მაგალითები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოეზიისათვის. პოეზიას ისინი უფრო ჰარმონიულს და ხატოვანს ქმნიან და ამასთან მკითხველს დიდ სასიამოვნო განწყობას უქმნიან. პატარებისათვის მეტად მიმზიდველია ჩვენთვის უცნობი ავტორის ლექსი, რომელიც დატვირთულია რედუპლიკაციათა ფორმებით. ამგვარ ლექსს ბავშვები ძალიან სწრაფად ეუფლებიან და ადვილად სწავლობენ. აი, ისიც:

ჩიტუნამ თქვა; გაზაფხული,
 როდის მოდის, როდის?“
სიომ ყურში ჩასჩურჩულა:
„მოდის, მოდის, მოდის!
ამწვანდება მინდორ-ველი,
ამწვანდება კორდი,
გაიხარეთ, ყმაწვილებო,
გაზაფხული მოდის!“

გ. ტაბიძის ლექსი „დროშები ჩქარა!“ იმიტომაცაა მეტად ძლიერი, რომ, იგი მიეძღვნა რევოლუციის პერიოდს და მასში აისახა ისეთი რედუპლიკაციური ფორმები, რომლებიც პოეტის მოწოდებას ამაღლებს და ამით ლექსს უფრო მიმზიდველს ხდის:

გათენდა. ცეცხლის მზე აენთო...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს - წყარო ანკარა ...
დროშები ჩქარა!
დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა.

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს ...
დროშები ჩქარა!
დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას ...
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები ... დროშები ჩქარა!

ნ. ბასილაძემ თავისი ნაშრომის „ერისა და ქვეყნის მსახურნი“ პირველსავე გვერდებზე მოათავსა ი. ნონეშვილის შესანიშნავი ლექსი „მასწავლებელი“, რომელიც დატვირთულია რედუპლიკაციებით, რაც ლექსს დიდ სილამაზეს ანიჭებს. მოგვაქვს ამ ლექსიდან მხოლოდ ორად ორი სტროფი:

„მასწავლებელი - დედის გულივით
მუდამ კეთილი, მუდამ ნეტარი.
მასწავლებელი - მასზე ძლიერი:
მასწავლებელი გავხდე ნეტავი.
.....
მასწავლებელი - ცოდნის ნათელით
უსწავლელობის დამმარცხებელი,
აი, რას ნიშნავს მასწავლებელი,
აი, რად გვიყვარს მასწავლებელი“ (ბასილაძე, 2015 :3-4).

მეტად საინტერესო რედუპლიკაციური ფორმები გამოიყენა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ ლექსში „გამოუთქმელი ლექსების ხსოვნას“. კითხულობ რედუპლიკაციურ სტროფს და პუშკინის ლექსს «Узник»-ს მოგაგონებს:

„თქვენ,
ალალ მგოსნის დარაჯად მდგარი,
თქვენ,
ალალ მგოსნის ერთგულად მცველი,
თქვენ იქ კვდებოდით,
სადაც ძევს ზღვარი,
იქ, სადაც პოეტს არ უდევს ხელი“ (აბაშიძე, 2013 : 9).

კიდევ გვინდა მოვიყვანოთ ირაკლი აბაშიძის ლექსებიდან მაგალითი, სადაც გვაქვს სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაცია:

„ახლა რომ იცი ყველაფრის ფასი;
ახლა რომ იცი ყველაფრის ყადრი;
ახლა რომ იცი ყველაფრის არსი;
ახლა რომ იცი ცოდვა და მადლი.
ახლა რომ იცი ყველაფრის ზომა;
ახლა რომ იცი ყველაფრის წონა;
ახლა რომ იცი ყველაფრის ზონა;
ახლა რომ იცი ყველაფრის წვდომა.
.....
ახლა რომ ხედავ საგმობს და საქებს;
ახლა რომ ხედავ ნათელს და ლაქებს;
ახლა რომ ხედავ საშველს და სარკმელს;
ახლა რომ ხედავ საგნებს და საქმეს -
სრულ ცხრაზე
ცისფერ
ეკრანთან ჩაგვთვლემს,
როგორც ცხელ გზებზე დაქანცულ აქლემს“ (იქვე, „ახლა რომ იცი“, 247).

პოეტი იოსებ გრიშაშვილი ირაკლი აბაშიძის მსგავსად თავის პოეზიაში საინტერესო რედუპლიკაციებს იყენებს. მოგვყავს ერთადერთი სტროფი მისი ლექსიდან „ნარგიზი“:

„ტოკავდა ... ტოკავდა პატარა ნარგიზი,
პატარა ნარგიზი, კოხტა და ფაქიზი;
ტოკავდა ... და მიკვირს, თუ რამ აატოკა,
ტოკავდა უქაროდ, ტოკავდა მარტოკა!“ (გრიშაშვილი, 2012 : 137).

ა. პუშკინის სამსტროფიანი ლექსის „Узник“ კულმინაციური წერტილები რედუპლიკაციური ფორმებითაა შემკობილი. ამას ვხედავთ ლექსის ბოლო სტროფში, რომელიც მის კულმინაციას წარმოადგენს, სადაც მოცემულია სიტყვათა და სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციები, რაც ლექსს ძალიან მიმზიდველს ხდის:

«Мы вольные птицы; пора, брат, пора!

Туда, где за тучей белеет гора,

Туда, где синеют морские края,

Туда, где гуляем лишь ветер... да я!..» (Пушкин, 1985 : 11).

მრავალი ლექსი აქვს ა. პუშკინს დაწერილი, სადაც ხშირად რედუპლიკაციურ ფორმებს ვაწყდებით, რომლებიც მკითხველს დიდ სიამოვნებას ანიჭებენ. მაგ., ლექსი «Ночь» ნაცვალსახელით იწყება და ნაცვალსახელით მთავრდება.

იშვიათად ნახავთ პუშკინის ლექსებს, სადაც არ იყოს რედუპლიკაციური ფორმები და გამოთქმები. სწორედ, ეს ხერხი დიდი პოეტების მიერ წარმატებულად არის გამოყენებული თავიანთ პოეზიაში. მოგვაქვს კიდევ ერთი სტროფი პუშკინის ლექსიდან „Туча“:

«Последняя туча рассеянной бури!

Одна ты несёшься по ясной лазури,

Одна ты наводишь унылую тень,

Одна ты печалишь ликующий день.» (Пушкин, 1985 : 28).

ალექსანდრე პუშკინის პოეზიასთან შედარებით მ. ი. ლერმონტოვის პოეზიაში უფრო ნაკლებადაა ასახული რედუპ-ლიკაციური ფორმები. იგი მეტწილად იყენებს სიტყვათა რედუპლიკაციებს, რომლებიც იწერება ცალ-ცალკე, აგრეთვე პოეტის შემოქმედებაში ვხედავთ წინადადებათა და სხვათა რედუპლიკაციებსაც. მაგალითად:

«Братец, братец, что ты видел?

Расскажи мне поскорей.»

- Ах! я свет возненавидел

И безжалостных людей.

და ისევ იგივე სტროფი ოდნავ შეცვლილი სახით:

Братец, братец! ты что ж видел?

Расскажи мне поскорей!

«Свет и я возненавидел

И изменчивых людей» (Лермонтов, 1979, «Два сокола», 50).

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნულ ლექსში ლერმონტოვი იყენებს ერთდროულად სიტყვათა და წინადადებათა რედუპლი-

კაციას, რაც ლექსს ძალიან ალამაზებს და სასიამოვნო საკითხავს ხდის. ახლა მოვიყვანოთ კიდევ ორი სტროფი სხვადასხვა ლექსიდან, სადაც არის მხოლოდ სიტყვათა და სიტყვათა შეხამებათა რედუპლიკაცია:

«Пишу, пишу рукой небрежной,
Чтоб здесь чрез много скучных лет
От жизни краткой, но мятежной
Какой-нибудь остался след» («В альбом», იქვე, 89);

«Сыны снегов, сыны славян,
Зачем вы мужеством упали?
Зачем?.. Погибнет ваш тиран,
Как все тираны погибали!..» («Новгород»,იქვე, 159).

ძალიან მიმზიდველად და ემოციურად იყენებს ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის პოეზიაში როგორც ბგერათა რედუპლიკაციებს, ასევე მარცვალთა, სიტყვათა, სიტყვათა შეხამებებისა და წინადადებათა რედუპლიკაციებს. მრავალფეროვანია რედუპლიკაციური ფორმების გამოყენების თვალსაზრისით მისი პოემები (იხ. Маяковский, 1981, том второй). ახლა კი მოგვაქვს ნაწყვეტი მაიაკოვსკის პატარა ლექსიდან «Ничего не понимают», სადაც გვაქვს ბგერათა, მარცვალთა და სიტყვათა რედუპლიკაციები:

«Вошел к парикмахеру, сказал – спокойный:
«Будьте добры, причешите мне уши.»
Гладкий парикмахер сразу стал хвойный,
Лицо вытянулось, как у груши.
«Сумасшедший! / Рыжий! - / запрыгали слова.
Ругань металась от писка до писка,
и до-о-о-о-лго / хихикала чья-то голова,
выдергиваясь из толпы, как старая редиска» (Маяковский, 1981, том первый, 6).

შვიდსტროფიანი ლექსი «Война объявлена» ძალიან დატვირთულია სიტყვათა და სხვათა რედუპლიკაციებით. მოგვაქვს ამ ლექსიდან მხოლოდ ორი სტროფი:

«Вечернюю! Вечернюю! Вечернюю!

Италия! Германия! Австрия!»
И на площадь, мрачно очерченную чернью,
багровой крови пролилась струя!
.....
С неба, изодранного о штыков жала,
слёзы звёзд просеивались, как мука в сите,
и подошвами сжатая жалость визжала:
«Ах, пустите, пустите, пустите! (იქვე, 64).

მაიაკოვსკის ლექსები «Левый марш (матросам)» (112-113), «Песня рязанского мужика» (118-119), «Баллада об одном короле и тоже об одной блохе» (120-121), «Последняя страничка гражданской войны» (132) და სხვა მრავალი, განსაკუთრებით მისი პოემები (იხ.Маяковский, 1981. Том второй) ყურძნის მტევნებსავით დახუნძლულია სხვადასხვა ტიპის რედუპლიკაციებით, რომლებიც მკითხველს დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

სიტყვათა და წინადადებათა რედუპლიკაციებს ხშირად იყენებს თავის პოეზიაში რუსი პოეტი სერგეი ესენინი:

«Он все сделает свободно,
Что другие не могли.
Он поэт, поэт народный,
Он поэт родной земли!» (Есенин, 1985, «Поэт», 21).

უსახელო ლექსში ესენინი ახდენს წინადადების რედუპლიკაციას, რომელსაც იძლევა იგი სტროფის დასაწყისში და მის ბოლოს. გარდა ამისა, რედუპლიკაციურ წინადადებაში პოეტი იძლევა სიტყვათა რედუპლიკაციასაც:

«О верю, верю, счастье есть!
Еще и солнце не погасло.
Заря молитвенником красным
Пророчит благостную весть.
О верю, верю, счастье есть» (იქვე, 53).

ხუთსტროფიან უსახელო ლექსში, რომლის ყოველი სტროფი ხუთი სტრიქონისაგან შედგება, ყოველ სტროფში მოცემულია წინადადებათა რედუპლიკაციები:

«Шагинэ ты моя, Шагинэ!
Потому, что я с севера, что ли,
Я готов рассказать тебе поле,
Про волнистую рожь при луне.
Шагинэ ты моя, Шагинэ».
Потому, что я с севера, что ли,
Что луна там огромней в сто раз,
Как бы ни был красив Шираз,
Он не лучше рязанских раздолий,
Потому, что я с севера, что ли» (იქვე, 85-86).

მომდევნო მესამე და მეოთხე სტროფებში ხდება პირველი სტროფის მესამე და მეოთხე სტრიქონების რედუპლიკაცია (იქვე).

ამ ლექსის ბოლო სტროფი წარმოადგენს ერთთაგვარ დასკვნას პოეტის ჩანაფიქრისა:

«Шагинэ ты моя, Шагинэ!
Там, на севере, девушка тоже,
На тебя она страшно похожа,
Может, думает обо мне...
Шагинэ ты моя, Шагинэ» (იქვე, 86).

სერგეი ესენინის ლექსები და პოემები, ისევე როგორც ვლადიმერ მაიაკოვსკისა, დატვირთულია რედუპლიკაციის სხვადასხვა ფორმებით.

რედუპლიკაცია პოეზიის ეშხი და სილამაზეა.

§ 32. რედუპლიკაციური ფორმების ასახვა ბიბლიასა და ფსალმუნებში

თუ ვიწამებთ იმას, რომ ენა ღმერთმა გააჩინა, მისცა მას განვითარების დასაბამი და საფუძველი, მაშინ უნდა ვიწამოთ ისიც, რომ ენის წარმოშობასთან ერთად წარმოიშვა სხვადასხვაგვარი ხერხი რედუპლიკაციური ფორმების გაჩენის და დამკვიდრებისა.

ახალი აღთქმის ტექსტებსა და ფსალმუნებში რედუპლიკაციური ფორმების უამრავი სახე გვაქვს. მოგვყავს „ახალი აღთქმიდან“ ზოგიერთი მაგალითი ყოველგვარი დაჯგუფების გარეშე. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შერჩეული მაგალითები ერთდაგვარი რჩევა-დარიგებაც იქნება ახალგაზრდობისათვის:

ერთი ჭაბუკი, რომელსაც საუკუნო სიცოცხლე უნდოდა, მივიდა იესო ქრისტესთან ცნობისათვის. იესომ მას განუმარტა, რომ სიცოცხლეში შესვლისათვის საჭიროა დაიცვა შემდეგი ცნებანი: „არა კლა, არ იმრუშო, არ იპარო, არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ.

პატივი ეცი მამას და დედას და შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1991 : 42).

1. „მოუხმო თორმეტს და დაიწყო მათი წყვილ-წყვილად დაგზავნა“ (იქვე, 79);

2. „ჩაეცვათ სანდლები და არ მოესხათ ორ-ორი მოსასახამი“ (იქვე, 79);

3. „მრავალი იყო მიმსვლელ-მომსვლელი და საჭმელადაც ვერ იცვლიდნენ“ (იქვე, 81);

4. „მაშინ უბრძანა მათ, ყველანი გუნდ-გუნდად დამსხდარიყვნენ მოლზე“ (იქვე, 81);

5. „დასხდნენ მწყობრად ას-ასად და ორმოცდაათ-ორმოცდაათად“ (იქვე, 81);

ერთ-ერთ მწიგნობართაგანს იესომ განუმარტა, თუ რომელი არის უპირველესი მცნება. იგი ამბობს: „პირველი არის ისმინე ისრაელო: უფალი, ღმერთი ჩვენი, უფალი ერთია“.

შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, ყოვლითა გულითა შენით, და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ეს არის პირველი მცნება“ (იქვე, 96);

1. „მრუდე გასწორდება და ოღროჩოღრო გზა მოსწორდება“ (იქვე, 115);

3. „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი“ (იქვე, 176);

4. „იყავით ერთმანეთის მიმართ სტუმართმოყვარე, წუწუნების გარეშე“ (იქვე, 308);

5. „ეცადეთ ყოველი ღონე იხმაროთ, რათა წარმოაჩინოთ თქვენს რწმენაში სათნოება და სათნოებაში - შემეცნება, შემეცნებაში - თავშეკავება, თავშეკავებაში - მოთმინება, მოთმინებაში - ღვთისმოსაობა“ (იქვე, 310);

6. „ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლისღება“ (იქვე, 417);

7. „დიდება შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდება შენდა!“ („ფსალმუნი და ლოცვანი“, 2009 : 278);

8. „მიხსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო“ (იქვე, 283);

9. „მიიქცენ მუნთქუესვე სირცხვილეულნი, რომელნი მეტყოდის მე: ვაშა, ვაშა! გალობდენ და იხარებდენ შენდამი ყოველნი, რომელნი გეძიებენ შენ, უფალო“ (იქვე, 290);

10. „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩუენ; წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩუენ; წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩუენ“ (იქვე, 278);

11. „უფალო, შეგვიწყალენ, უფალო, შეგვიწყალენ, უფალო, შეგვიწყალენ“ (იქვე, 279);

12. „ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო; ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო; ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო, ჩუენო, დიდება შენდა.“ (იქვე, 294);

§ 33. რედუპლიკაციური ფორმების ასახვა ძველ ქართულ პოეზიაში

ძველი ქართული პოეზია მოიცავს პერიოდს მეხუთე საუკუნიდან დაწყებული მეცამეტე საუკუნის დამდეგამდე, გარდა „ვეფხისტყაოსნისა“ (მის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბა-

რი). ძველ ქართულ პოეზიაში შესულია როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათის პოეტური ნიმუშები.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ძველ ქართულ პოეზიაში რედუპლიკაციური ფორმების ნაირსახეობა იმ რაოდენობით არ არის ასახული, როგორსაც ამას დავინახავთ „ვეფხისტყაოსანში“ ან მომდევნო საუკუნეების ლიტერატურულ წყაროებში. ეს იმას ნიშნავს, რომ მეხუთე-მეთორმეტე საუკუნეებში რედუპლიკაციური ფორმები ჯერ კიდევ არ იყო სრულად ჩამოყალიბებული. ასე, მაგ., იმ უამრავ მარცვალთა რედუპლიკაციებიდან, რომლებიც დამახასიათებელია თანამედროვე ქართული ენისათვის, ძველ ქართულ პოეზიაში გამოყენებულია მხოლოდ შემდეგი სიტყვები: მამა, წამწამი, სასა, შიში, დიდი, ღაღადი, კამკამი, ხასხასა და ნარნარი.

ძველ ქართულ პოეზიაში გამოიყენება მეტწილად სიტყვათა, სიტყვათა შეხამებათა და წინადადებათა რედუპლიკაციები. მოვიყვანოთ როგორც მარცვალთა, ისე სიტყვათა და წინადადებათა რედუპლიკაციების რამდენიმე მაგალითი:

1. „ესე ღმერთი ჩემი. ვადიდო ესე“ („გალობაი მოსეისი“, ძველი ქართული პოეზია, ტომი 1, 1979 : 46).

2. „დაეცა მათ ზედა შიში და წრწოლაი ...

ვიდრემდის წარვლოს ერმან შენმან, უფალო,

ვიდრემდის წარვლოს ერმან შენმან ამან, რომელ მოიგე“ (იქვე, 48);

3. „დღეს ღაღადებდა აბოი“ (ქებაი წმიდისა აბოისი“ (იქვე, 51)

4. „ბუნებაი, კაცთაი დანთქმული,

ბუნებაი კაცთაი და გადიდებდა! (იქვე, 67);

5. „პირდაპირ იხილავ საწადელსა“ (იქვე, 92);

6. „მოუხდეს ზედა, რა ზედი-ზედა ცხენს ლომი მელებს დაჯაბნებულად“ (ჩახრუხაძე, „თამარიანი“, იქვე, 229);

ჩახრუხაძე თამარ მეფის სახეს იდეალურად აღწერს. იგი მის სახეს მზესა და მომდინარე წყალს ადარებს, ხოლო თამარის ხმას მარცვალთა რედუპლიკაციით „ნარნარი“ გადმოსცემს:

7. „თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე-მცინარი, საჩინარი,
წყალი მქნარი, მომდინარი“ (იქვე, 232);

შემდეგ პოეტი აგრძელებს თამარ მეფის დახასიათებას სიტყვათა შეხამებების მეშვეობით:

8. „ეგე ნათელი! ეგე ნათელი
რა ნახოს, მზესა აქვს ბნელოვნებად“ (იქვე, 234);

9. „მჭვრეტნი ვიტყვითა, მჭვრეტნი ვიტყვითა“ (იქვე, 235);

10. „მანგლის პირთა, მანგლის პირთა ...
იგი ვარდ-გული, იგი ვარდ-გული, ...
ჯავარ მოწყალე, ჯავარ მოწყალე
თურქთა მრისხანედ შემრისხებარე“ („თამარიანი“: იქვე, 236);

11. „ფერად-ფერადი, მრავალი გვარი“ (იქვე, 245);

12. „მაშა, მეხელი, მაშა მეხელი“ (იქვე, 248);

13. „მით გააშენე, მით გააშენე ...
ღმრთივ გაბრწყინვებად და კამკამისად“ (იქვე, 249-250);

იოანე შავთელი „აბდულმესიანში“ იშვიათად იყენებს რედუპლიკაციის ხერხებს. მის პოემაში შეგვხდა რამდენიმე მაგალითი სიტყვათა და წინადადებათა რედუპლიკაციაზე. აი, ისინიც:

1. „მისგან ვითხოვდი, ართუ ვითხოვდი“ (იქვე, 289);

2. „ქრისტეს მხედარსა, მხნე ახოვანსა,
პირად-პირადად განშვენებულსა“ (იქვე, 291);

3. „მე, მონა შენი, - მე, მონა შენი,
ვგონებ ყოველნი შენთვის შექმნულად“ (იქვე, 298).

ამგვარად, ძველ ქართულ პოეზიაში რედუპლიკაციური ფორმები უხვად გამოიყენა ჩახრუხაძემ, დანარჩენმა კი - მეტ-ნაკლებად.

§ 34. რედუპლიკაციური ფორმების ასახვა ზღაპრებში, ანდაზებსა და ანეკდოტებში

რედუპლიკაცია სიტყვათწარმოების რომ უძველესი ხერხია, ამას ამტკიცებს ზღაპრებში მისი ასახვა. ქართულ ძველ ზღაპრებში ვხედავთ მარცვალთა და სიტყვათა რედუპლიკაციებს.

ყოველი ქართული ზღაპარი იწყება ასე: „იყო და არა იყო რა. მაგ., „იყო და არა იყო რა, იყო ერთი - მეფე, რომელსაც თორმეტი ქალიშვილი ჰყავდა" (გრიმები, 2013 : 14).

ვლადიმერ მაიაკოვსკის ერთ-ერთი ზღაპარი «Сказка о красной шапочке» ასე იწყება:

«Жил да был на свете кадет, В красную шапочку кадет был одет» (Маяковский, 1981. Том второй, 101).

ზღაპრების ტექსტები ხშირად შეიცავს სიტყვათა რედუპლიკაციას, მაგალითად:

1. „მე უჩინმაჩინის მოსასხამი მაქვს, - უთხრა მან მეფეს" (გრიმები, 2013 : 15);

2. „პრინცესებმა თვალები მოისრისეს, დაახამხამეს და ისევ მიმოიხედეს, თითქოს ახლახან გაიღვიძეს" (იქვე, 21);

3. „აღფრთოვანებული მეწაღე უფრო და უფრო მეტ ტყავს ყიდულობდა და დღითიდღე სულ უფრო ლამაზად შეკრილი ფეხსაცმელები ხვდებოდა" („ელფები და მეწაღე", იქვე, 23);

4. „ახლა მეტისმეტად მოხდენილები ვართ საამისოდ" (იქვე, 28);

5. „სარკევ, სარკევ, მითხარი ყველაზე ლამაზი ვინ არის" („ფიქრია", იქვე, 30);

6. „შვიდ-შვიდი პატარა თეფში, კოვზი და ფინჯანი ეწყო" (იქვე, 32);

7. „შენი აღსასრულიც მოვიდა, ჩაიხითხითა დედოფალმა და იქაურობას გაეცალა" (იქვე, 36).

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, ზღაპრების ტექსტი იმ ენითაა დაწერილი, რომელ პერიოდშიც დაიწერა იგი. ზღაპრის

რედუპლიკაციურ გამონათქვამად უშუალოდ ითვლება „იყო და არა იყო რა“ და მისთანები.

ქართულ და სხვა ანდაზებში ჩვეულებრივ აღბეჭდილია ხალხის შრომა და ჯაფა, ბრძოლა სხვადასხვა მიმართულებით, ხალხის სულიერი და კულტურული ცხოვრება. ამიტომ ბუნებრივია ყოველი ჩვენგანის ინტერესი ანდაზებისადმი.

ანდაზები, აფორიზმები და მყარი გამონათქვამები ალამაზებენ და ამშვენიერებენ ჩვენს მეტყველებას. ვისი მეტყველებაც მდიდარია ამ ერთეულებით, იმათი მეტყველება სრულფასოვანი და მიმზიდველია მსმენელთათვის.

ჩვენს ანდაზებში მრავალი სახის რედუპლიკაციაა ასახული. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი:

ავი ძაღლი იყეფს, იყეფს, დაიღლება და დადგება.

არც გავიქცევი, არც წავიქცევი.

ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

ახ, საქო, საქო, შენ ჩემო საქო, შე უვარგისო, მე როგორ გაქო.

ბაბუას შვილიშვილი ძველ დროს ასწავლიდაო.

გუგულის გუგუნი გაზაფხულს მოიყვანსო.

დილის ვაშლი გულზე ვარდი, დილის მსხალი გულზე შხამი.

ვაი თქმა და ვაი უთქმელობაო.

ვისაც რახარუხი ეჯავრება, მჭედლის დუქანში ნუ შევაო.

ზუზუნ-წუწუნი ქვრივისა და ბუზისა ორივ ერთიაო.

ეკალს თითო-თითო ამოიღებენო.

კაცია - მე ვწუნობ, კაცია - მე მწუნობს.

კედელ-კედელ იარეო - ოღონდ გამოიარეო.

კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო.

მეტისმეტი ჰოიში ხარს უკუღმა წაიყვანსო.

მიდის-მოდის გაბრიელი, კაცი არ ჰყავს მადლიერი.

მიზეზ-მიზეზ - დოს მარილი აკლიაო.

მიიხედე მოიხედე, ტანზე ისე გაიხადე.

მსხვილ-მსხვილი მენაფოტე მალ-მალე გარბოდა ტყეშიო.

ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა.

რაც არ გერგება, არ შეგერგება.

საუბარ-საუბარო, ეს დღე კი არ მოიპარო.

სული მწარეა, სული ტკბილია, სული სულს იცნობს.

სული სულს იცნობს და გული გულსო.

ტკაცატკუცი ბევრია, ნაკვერჩხალი კი არ ჩანს.

ფია-ფუა ყმაწვილსაო, დიდი ლუკმა შვილსაო.

ქათამმა ჩხრიკა-ჩხრიკა და თავისი დასაკლავი დანა გამოჩხრიკა.

შვილმა გული გაიარა, შვილიშვილმა გულის გული.

წვეთ-წვეთი წყალი ქვასაც გახვრეტსო.

ჰა ბურთი და ჰა მოედანიო და სხვა მრავალი (იხ. ქართული ანდაზები, 1959 : 4-94).

რედუპლიკაციები გვხვდება ანეკდოტებშიც. ხშირად რედუპლიკაციური ფორმები იმ შემთხვევაში გვაქვს, როცა კრიტიკას ექვემდებარება ესა თუ ის პიროვნება. მაგალითად:

- ამ კასეტაზე რა გაქვს ჩაწერილი?

- სიდედრის ლაპარაკი.

- კი მაგრამ, ასე საინტერესოს რას ამბობს?!

- არა, რას ამბობს, იმას არ აქვს მნიშვნელობა. მთელი კაიფი ისაა რომ, როცა მომინდება, მაშინ გავაჩუმებ!.. მომინდება - გავაჩუმებ!.. მომინდება - გავაჩუმებ! (იხ. სამედიცინო კალენდარი, 2015 წლის 8 მაისის უკანა გვერდი).

***

გურულს ეკითხებიან:

- რაფერ ხარ, ძამა?

- გლახად, ძამა, გლახად, ისე გლახად, შავი კატა რომ დამინახავს, სამჯერ იფურთხება (იქვე, 24 მაისის უკანა გვერდი).

თავი მეოთხე

„ვეფხისტყაოსანში“ რედუპლიკაციურ ფორმათა ასახვა

§ 35. რედუპლიკაციათა სიუხვე და ნაირსახეობა „ვეფხისტყაოსანში“

ზემოთ განხილულ რედუპლიკაციათა ჯგუფებს საფუძველი ჩაუყარა შოთა რუსთაველმა თავის „ვეფხისტყაოსანში“. პოემაში საკმაოდ ბლომადაა გამოყენებული მარცვალთა, სიტყვათა, სიტყვათა შეხამებებისა და სხვა სახის რედუპლიკაციები, რომლებიც ნაწარმოებს მთლიანად ხდის ძალიან მიმზიდველსა და შინაარსიანს.

დიდი ქართველი რუსთველოლოგი სარგის ცაიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შოთა რუსთაველმა უკვდავი ჰიმნი უმღერა ადამიანის უკეთილშობილეს გრძნობებს: მეგობრობასა და სიყვარულს“, რომ მან „შუა საუკუნეთა პოეზიის ისტორიაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა განამტკიცა სრულყოფილი ადამიანის ახლებური იდეალი“ (ქართული პოეზია, 1974 : 5).

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ხასიათდება რედუპლიკაციათა ნაირსახეობით. აქ შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ჯგუფები:

§ 36. ბგერათა რედუპლიკაცია (პირველი ჯგუფი)

ბგერათა რედუპლიკაციებს შოთა რუსთაველი თავის „ვეფხისტყაოსანში“ იყენებს ზოგჯერ თავისებურად, ზოგჯერ კი ხმოვანთა და თანხმოვანთა გაორმაგება ნორმის ფარგლებშია:

1. „იგი ტირს და არა ესმის მისგან, გაუუმეცარდა“ (წიგნი 3, 2010 : 20);

2. „განგებაა, სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდაც ასი“ (იქვე, 35);

3. „ამას შიგან წელიწადი სამი სამ თვედ მიიყარა“ (იქვე, 38);

4. „აბანოს ბანნა, აავსნა შესამოსვლისა ძღვნობითა“ (იქვე, 25&);

5. „თქვენ უბრძანეთ ჩემ მაგიერ უსენს, ქმარსა ფატმანისსა“ (იქვე, 267);

6. „ფრიდონ კაცნი დააბრუნნა მოსასხმელად აქლემისად“ (იქვე, 281);

7. „ძღვენი არა მაქვს, მმოწმობენ ფრიდონ და მისნი ყმანია“ (იქვე, 282);

8. „თქვეს: „ბოროტსა უმყოფოო, კეთილნია შენთვის მზანი!“;

9. „მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა რა თანა-შეესწოროსა“ (იქვე, 293);

10. „ადგა, ამყვა და წავედით, შევვლენით კარნი სრისანი“ (იქვე, 215);

შენიშვნა: თანხმოვანთა რედუპლიკაცია რუსთაველის ეპოქაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!
ხატაეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია,
აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია!“ (იქვე, 72).

§ 37. მარცვალთა რედუპლიკაცია (მეორე ჯგუფი)

მარცვალთა რედუპლიკაციას შოთა რუსთაველი ძირითადად იყენებს თავისი გმირების, პიროვნებების და სხვათა დასახასიათებლად, მაგ., თამარ მეფის სახეს იგი ასე აღწერს:

1. „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა“ (წიგნი 3, თბილისი, 2010 : 5). სხვა მაგალითები:

2. „აქვს მიჯნურობა ამისა, ვითა ბულბულსა ვარდისა“ (იქვე, 19);

3. „კოკობი და უფურჭვნელი ვარდი დაგხვდე დაუმჭნარი“ (იქვე, 28);

4. „ნესტან-დარეჯან მუნვე დგას, იგია მჭვრეტთა მზარავი, მისი წამწამთა ნიავი ქრის, ვითა ქარი არავი“ (იქვე, 283);

5. „ტარიელს პირსა ციმციმი ათქს უნათლესი ბაზმისა“ (იქვე, 284);

6. „მისი ციმციმი მზისაებრ ეფინებოდა არებსა“ (იქვე, 228);

7. „რა მიუვიდა მეფესა მახარობელი ჟამისა, | ვით გაეხარნეს, ვერ იტყვის ენა ერთისა წამისა; | თინათინს ღაწვთა ემატა ელვა შუქისა სამისა, | ბროლსა და ლალსა აშვენებს მუნ ჩრდილი წარბ-წამწამისა“ (იქვე, 282);

8. „ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია“ (იქვე, 8);

9. „მას თინათინის გონება ჰკვლიდის წამწამთა ჯარისა“ (იქვე, 12);

10. „კვლა წყალსა ასხამს, უშველის, ხმა ისმის მუნ წკანწკარისა“ (იქვე, 96);

11. „მამის ძმა და მამა-ჩემი, პაპა-ჩემმან გაყვნა ოდეს“ (იქვე, 115);

12. „მუხლთა უყრიდა, ტიროდა, თითითა ეხვეწებოდა“ (იქვე, 127);

13. „ტაბლაკსა ჰკრეს და გაისმა სიცილი თქართქარებისა“ (იქვე, 282);

14. „ბროლ-ბალახში გააღვაწეს და გიშერი აწამწამეს“ (288);

15. „ბროლი და ლალი შევიქმენ მე ულურჯესი ლილისა“ (იქვე, 76).

მარცვალთა რედუპლიკაციების გამოყენება იყო იშვიათი შემთხვევა როგორც ძველი ქართული პოეზიისათვის, ასევე იშვიათად გამოიყენებოდა იგი „ვეფხისტყაოსანში“. ეს იმას ნიშნავს, რომ მარცვალთა რედუპლიკაციები მეხუთე-მეთორმეტე საუკუნეებში ჯერ კიდევ სრულად არ იყო ჩამოყალიბებული.

§ 38. სიტყვათა რედუპლიკაცია (მესამე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფი)

„ვეფხისტყაოსანში“ ხშირია სიტყვათა რედუპლიკაციების გამოყენება. აქ ძირითადად სამი ქვეჯგუფის რედუპლიკაციები გვაქვს. პირველ ქვეჯგუფს ქმნიან ისეთი რედუპლიკაციები, რომელთა დროს გაორმაგებული სიტყვა ერწყმის ერთმანეთს, როგორც ერთი ცნება, ერთი სიტყვა ანუ ლინგვისტურად ერთი ენობრივი ნიშანი. ამ ჯგუფის სიტყვები ცოტაა „ვეფხისტყაოსანში“, რადგან ზოგიერთი მათგანი იმ დროს ჯერ კიდევ დეფისით იწერებოდა. მე-18-მე19 საუკუნეებში დეფისით შეერთებულმა ზოგიერთმა რედუპლიკაციებმა განიცადეს ორთოგრაფიული ტრანსფორმაცია, კერძოდ, დეფისი დაიკარგა და მოხდა მათი შეერთება, ერთად შერწყმა. „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვები: ხელის-ხელ, შორი-შორი, ზედა-ზედა, პირის-პირ, მეტის-მეტი, მეტის-მეტად, ბანის-ბანითა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში დეფისის გარეშე გადმოიცემიან როგორც ხელიხელ, შორიშორი, ზედიზედ (ლექსებში - ზედიზედა, რუსთაველთან - ზედა-ზედა), პირისპირ, მეტისმეტი, მეტისმეტად და სხვა. ხოლო ზოგიერთი მათგანი იწერება ცალ-ცალკე. ასეთებია: თავის თავს (რუსთაველთან - თავის-თავს), კიდით კიდე, მეფეთ მეფე, მეფეთ მეფეო. „ვეფხისტყაოსანში“ პირველი ქვეჯგუფის ამგვარი სიტყვებია დაფიქსირებული:

1. „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება“ (წიგნი 3, 2010 : 5);

2. „ერთმანერთი არ გავწიროთ, მაფიცო და შემომფიცო“ (იქვე, 126);

3. „არცა რა ვჰკადრეთ ხელდახელ, არცა თუ წავეკიდენით“ (იქვე, 229)“;

4. „შეიგენით, მიცემულვარ ჭირსა რასმე თანისთანსა“ (იქვე, 128);

5. „ვისთვის მე ხელი უცილოდ, მას ცრემლი ემალმალების“ (იქვე, 50).

შენიშვნა: 1. ისეთი ფორმები, როგორიცაა: ხელდახელ, ერთმანერთი) მე-5-12-ე საუკუნეებისათვის ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა და მე-18-19-ე საუკუნეებისათვის ეს პროცესი თითქმის დამთავრებულად ითვლებოდა.

2. „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება მხოლოდ ფორმა „ერთმანერთი“, რომელიც მრავალჯერაა გამოყენებული პოემაში. მე-19 საუკუნიდან უკვე გამოიყენება ახალი ფორმა „ერთმანეთი“, რაც თანამედროვე ქართული ენისათვის ითვლება ნორმად (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

3. პოემაში ისეთი სიტყვები, როგორიცაა თავის-თავის, კიდით-კიდე და მისთანები გადმოიცემოდა დეფისით, თანამედროვე ქართულში კი ასეთი რედუპლიკაციები იწერება ცალ-ცალკე (თავისი თავი, კიდით კიდე და მისთ.).

§ 39. სიტყვათა რედუპლიკაციის მესამე ჯგუფის მეორე ქვეჯგუფი

სიტყვათა რედუპლიკაციის მესამე ჯგუფის მეორე ქვეჯგუფს შეადგენენ ისეთი რედუპლიკაციები, რომლის დროსაც გაორმაგებული სიტყვები დეფისითაა შეერთებული. ამ ჯგუფის რედუპლიკაციები პოემაში მრავალრიცხოვანია:

1. „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები“ (წიგნი 3, თბილისი, 2010 : 6);

2. „განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი“ (იქვე, 7);

3. „თქვა ზედა-ზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა“ (იქვე, 12);

4. „პირის-პირ პირსა უჭვრეტდა, სავსე ლხინითა დიდითა“ (იქვე, 26);

5. „საჭურჭლენი გარდავნახენ თავის-თავის, კიდის-კიდე“ (იქვე, 87);

6. „ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიგულვანე!“ (იქვე, 89);

7. „ზურგით უთქს ჯარი ხადუმთა, დას-დასად, უბან-უბანი“ (იქვე, 91);

8. „მაშინვე ვიცან ავიჭერ, ჩქარ-ჩქარად გულ-გამკრთალია“ (იქვე, 94);

9. „დარჩომა და არ-სიკვდილი მას უმძიმდა მეტის-მეტად“ (იქვე, 96);

10. „დაიწყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად, დას-დასებისა“ (იქვე, 106);

11. „ზღვა-ზღვა ცურვა მომეწყინა, მით გამოვე ზღვისა პირსა“ (113);

12. „შემოირბევდა ზღვის პირ-პირ, მას თურე წყლული სტკიოდა“ (იქვე, 114);

13. „სხვანი გამექცეს, მიმართეს მათ-მათსა საქულბაგესა“ (იქვე, 118);

14. „ლაშქარნი ფრიდონს მეფედ და მიხმობდეს მეფეთ-მეფობით“ (იქვე, 119);

15. „აღარა ნახავს სოფელსა, ცეცხლი სწვავს ახალ-ახლები“ (იქვე, 132);

16. „ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები“ (იქვე, 198);

17. „ქვეშეთკე სრითა ტურფითა, კვლა ზედათ ბანის-ბანითა, დიდროვანითა ტურფითა, მრავლითა თანის-თანითა“ (იქვე, 207);

18. „მინდორ-მინდორ მოვდიოდით ჩვენ ღამესა დია ბნელსა“ (იქვე, 228);

19. „ქუშ-ქუშად გვეუბნებოდა, კუშტი, თავისა მკრძალავი“ (იქვე, 229);

20. „გზა-გზა ყოვნა აღარა მცალს, პატიმრად-ა იგი მთვარე“ (იქვე, 246);

21. „სჯობს, თუ შამბ-შამბ წავიარო“, - იგონებდა, იხედვი-და“ (იქვე, 248);

22. „დამოსნა ტურფა-ტურფითა, ერთმანერთისა მჯობითა“ (იქვე, 257);

23. „კვლა უცხო ფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები“ (იქვე, 290);

24. „მე თუ ზე-პირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იდუმალ ვა“ (იქვე, 79);

25. „დაწერა: „ფრიდონ მაღალო, სვე-სრულო მეფეთ-მეფეო“ (იქვე, 246).

§ 40. სიტყვათა რედუპლიკაციის მესამე ჯგუფის მესამე ქვეჯგუფი

სიტყვათა რედუპლიკაციის მესამე ქვეჯგუფში ვაერთიანებთ ისეთ რედუპლიკაციებს, რომლებიც როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ასევე თანამედროვე ქართულში იწერება ცალ-ცალკე - ან რედუპლიკაციური სიტყვები არის გვერდიგვერდ, ან ისინი ერთმანეთისაგან დაშორებულია. ამგვარი რედუპლიკაცია უმნიშვნელოვანესი ხერხია დიდი მგოსნისათვის, რომელიც იყენებს მას თითქმის პოემის ყველა სტროფში, რაც პოემას მეტად მიმზიდველსა და სასიამოვნოს ხდის (აღნიშნული ხერხი შემდგომში მეტად მოხდენილად გამოიყენეს აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ, ვაჟა-ფშაველამ და გალაკტიონ ტაბიძემ). მოგვყავს ამ რედუპლიკაციათა ნაწილი მაგალითებისა:

1. „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღრმთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“ (წიგნი 3, თბილისი, 2010 : 6);

2. „ყოვლსა მისთვის ხელოვნებდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს“ (იქვე, 7);

3. „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა, დათმოს წყრომა მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა“ (იქვე, 9);

4. „კაცნი წავიდეს, იარეს მართ ერთი წელიწადია, | მონახეს, ძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლა და კვლა დია“ (იქვე, 25);

5. „მზე თუ არ ვნახო, არ ვიცი, ვიარო ვითა და ვითა“ (იქვე, 77);

6. „შემავლო სახლი, ნაგები კეკლუცად ბანის ბანითა“ (იქვე, 78);

7. „შიგან ასრე გავერიე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;
კაცი ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი“ (იქვე, 85);

8. „აწ დავკარგე; რად არ გიკვირს, რად ცოცხალვარ, რად ვარ რეტად?“ (იქვე, 102);

9. „მეფე ბრძანებს: „ვიცი, ვიცი; მეტად კარგად შემიგნიან“ (111);

10. „ნავსა ჩავჯე, ზღვასა შევე, ზღვასა შიგან გავალაგდი“ (იქვე, 113);

11. „ცუდნი და ცუდთა ადგილთა თავისა დამაშრობელნი; | ვერა, ვერ ეცნა, ვერ იყვნეს ვერას ამბისა მბობელნი“ იქვე, 123);

12. „მეხვეოდეს, მაკოცებდეს, ატირდეს და ამატირეს“ (იქვე, 123);

13. „ერთმანერთი არ გავწიროთ, მაფიცო და შემომფიცო“ (იქვე, 126);

14. „კვლა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო“ (იქვე, 127);

15. „მან მიუგო: „უცხოს უცხო აგრე ვითა შეგიყვარდი?“ (იქვე, 127);

16. „რაგვარამცა დაგივიწყე, რაგვარამცა უკუმქარდი!“ (იქვე, 127);

17. „აჰა, ძმაო, მაშინდითგან აქა ვარ და აქა ვკვდები“ (იქვე, 125);

18. „ყმამან მდაბლად მოიკითხა, ზედა დასდვა პირი პირსა“ (იქვე, 129);

19. „მას ავთანდილ თაყვანი-სცა ლომთა ლომმან მზეთა მზესა“ (იქვე, 131);

20. „მაგრა ჰქონდა გულისათვის გული გულსა განაცვალი“ (იქვე, 132);

21. „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად;

კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად“ (იქვე, 134);

22. „სისხლმან და ცრემლმან გარევით ღაწვი ქმნის ღარად და ღარად“ (იქვე, 136);

23. „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,

გული - ჟამ-ჟამად ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მნდომელი,

გული - ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი,

ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი!“ (იქვე, 136);

24. „ვერ გავუტეხ ზენაარსა, ვერ გავსწირავ ხელი ხელსა“ (იქვე, 140);

25. „ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ (იქვე, 142);

26. „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!“ (იქვე, 144);

27. „მტერი მტერსა ვერა ავნებს, რომელ კაცი თავსა ივნებს“ (იქვე, 144);

28. „რა სიავე, რა სირეგვნე, რა შლუგობა, რა შმაგობა!“ (იქვე, 145);

29. „გული დადევ, დაიჯერე, ვერ წაგიტან, ვერა, ვერა!“ (იქვე, 148);

30. „ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო არვინ მივის შენგან კიდე, | შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე“ (იქვე, 154);

31. „საყვარელმან საყვარელი ვით არ ნახოს, ვით გაწიროს!

მისკენ მივალ მხიარული, მერე იგი ჩემ კერძ იროს,

მივეგებვი, მომეგებოს, ამიტირდეს, ამატიროს“ (იქვე, 166);

32. „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!“ (იქვე, 167);

33. „ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა სიტყვითა ვერა ვერითა“ (იქვე, 167);

34. „გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ-საქებელო სმენითა!“ (იქვე, 173);

35. „მას ღამესა ერთგან იყვნეს იგი ლომნი, იგი გმირნი“ (იქვე, 174);

36. „მო, ზუალო, მომიტანე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა“ (იქვე, 180);

37. „თავი თავსა შეუტაკა, გაურია ტვინი თმასა“ (იქვე, 208);

38. „თვითო და თვითო თვითოსა ქალაქსა ეფასებოდა“ (იქვე, 219);

39. „მშვილდოსანნი გასაგანნა, იტყოდიან: „შაბა, შაბა!“ (იქვე, 70)“;

40. „ცრემლით მითხრა: „შვილო, შვილო, ცოცხალ ხარ-ღა? სიტყვა თქვია!“ (იქვე, 67);

41. „ვეღარ გნახე საყვარელი მხიარული მხიარულმან“ (იქვე, 241);

42. „მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,

ერთმანერთსა ნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს“ (იქვე, 297) და სხვა მრავალი.

§ 41. სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაცია (მეექვსე ჯგუფი)

მე-19 საუკუნის პოეტები ხშირად იყენებენ სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციას, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ პროდუქტიული ხერხი იყო. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ეს ხერხი იშვიათობაა, პოეტი მას მაინცდამაინც არ იყენებს. მისი ძირითადი ხერხია სიტყვათა რედუპლიკაცია (იხ. § 40).

„ვეფხისტყაოსანში“ სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციური ფორმების რამდენიმე მაგალითი იქნა დაფიქსირებული. ეს ხერხი არაპროდუქტიულია შოთა რუსთაველთან. ვიძლევით ყველა მაგალითს:

1. „იგი სხვაა (შდრ. სხვა არის), სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“ (წიგნი 3, თბილისი, 2010 : 8);

2. „თუ არ შმაგი ხარ, დამეხსენ; შმაგი ხარ, მოდი ცნობასა“ (იქვე, 47);

3. „ზოგჯერ მათ ახლავს, ზოგჯერ მათ, არ იხმობს ხელმწიფობასა“ (იქვე, 291);

4. „შენმან მზემან, უშნოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი, | შენმან მზემან, ვერვის მიხვდეს, მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი!“ (იქვე, 242);

5. „არცა რა ცხადი ამბავი, არცა რა დასამალავი“ (იქვე, 229);

6. „მას ტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხის ტყავისა, | ვეფხის ტყავისა ქუდიცვე იყო სარქმელი თავისა“ (იქვე, 20);

7. „მას მოვშორდი, ვერ ვეახელ, ვერ ვისურვენ, ვერ ვასურვენ“ (იქვე, 162).

§ 42. კონტრასტული და რიცხითი რედუპლიკაციები (მეშვიდე ჯგუფი)

მეთორმეტე საუკუნეში კონტრასტული რედუპლიკაციების მაწარმოებელი ხერხი ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული იმ სახით, როგორიც გვაქვს თანამედროვე ქართულ ენაში. ამიტომ აღნიშნული ხერხი „ვეფხისტყაოსანში“ ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია. პოემაში აქა-იქ გვხვდება აგრეთვე კვაზი- და რიცხვითი რედუპლიკაციების კვალიც. შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ კონტრასტული, რიცხვითი და კვაზი-რედუპლიკაციები მეთორმეტე საუკუნისათვის უკვე იყო სიტყვათწარმოების „ახალი ხილი“.

კონტრასტული რედუპლიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ხერხი, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის, კერძოდ, მი- და მო-, შე- და გამო-ზმნისწინების დართვით (შდრ. მიხვეულ-მოხვეული, შესავალ-გამოსავალი და მისთანები), „ვეფხისტყაოსანში“ ამ ტიპის ფორმები გადმოიცემა იმავე მი და მო ზმნისწინებით (თანამედროვე ზმნისწინის მიმო-ს მნიშვნელობით), მაგრამ ზმნას კი არ ერწყმიან ისინი, არამედ მისგან ცალკე დგანან. მაგალითად:

1. „ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე მი და მო ძრწებოდა“ (წიგნი 3, თბილისი, 2010 : 47), (შდრ. სავარაუდოდ: „მიძრწ-მოძრწებოდა“);

2. „გული მი და მო მიარდა, კრთებოდა და მელალვოდა“ (იქვე, 72);

3. „ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა“ (იქვე, 98);

4. „უთხრა: „არ გიშლი, დიაცო, ფერთა მი და მო კრთოლასა“ (იქვე, 205);

5. „უმისჟამისოდ ცუდნია ჩემგან მი და მო რბენაო“ (იქვე, 277);

6. „ლაშქარი რბოდეს მი და მო, ქმნა სწადდა მათკე რებისა“ (იქვე, 282);

7. „ფერი ჰკრთა და გაუფიცხა შე- და გამო- გულმან კრთომა“ (იქვე, 288).

„ვეფხისტყაოსანში“, გარდა წინდებულებით გადმოცემული რედუპლიკაციებისა, გამოყენებულია ანტონიმურ სიტყვათა დაპირისპირების გზით კონტრასტული რედუპლიკაციები. მაგალითად:

1. „ვთქვი თუ: „რა იცის ამბავი, ნეტარ, ან იმან ან ამან?“ (იქვე, 69);

2. „იქით და აქათ მომიხდეს, ერთგნით ვერ მომერეოდეს“ (იქვე, 116);

3. „გაზრდილ-გამზრდელთა გაყრასა ჩვენ თავნი დავადარენით“ (იქვე, 124);

4. „მიიხედნეს, მოიხედნეს, ვინ გვიჭვრეტსო, სადა, ვინ-ა“ (იქვე, 211);

5. „უჩინოდ მივლენ-წამოვლენ მათითა ხელოვნებითა“ (იქვე, 230)'

6. „რა ერთმანერთი აუჩნდა მიგებულ-მოსაგებავთა“ (იქვე, 283);

7. „შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა“ (იქვე, 222);

„ვეფხისტყაოსანში“, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოგვეპოვება კვაზი- და რიცხვითი რედუპლიკაციებიც. ეს ხერხი რუსთაველის ეპოქაში ჯერ კიდევ სრულად არ იყო დამკვიდრებული. რამდენიმე მაგალითი მოვიპოვეთ პოემაში:

1. „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაში-მტლუში“ (იქვე, 9);

2. „გაძრცვილსა ტანსა ემოსეს ყარყუმი უსაპირონი“ (იქვე, 26);

3. „მოეხვია, გარდუკოცნა მას პირისა არე-მარე“ (იქვე, 286);

4. „რა ქაჯეთს შეხდა, ქმნილ იყო ოდენ ბინდ-ბანდი ბნელისა“ (იქვე, 237);

5. „შიგან ჩავხლტები კისკასად, ვეცემი მსგავსად ქარისა“ (იქვე, 260);

6. „ქალაქის კართა სამთავე - სამათას-სამათასები“ (იქვე, 231);

7. „გავიყოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები“ (იქვე, 262).

შორს გადახვეწილი ავთანდილი ღმერთს სთხოვს, რომ მიჯნურობა, მართალია, უფლის ნებაა, იგი ამკვიდრებს ყველა წესსა, მაგრამ ღმერთის წყალობით სიყვარული არ უნდა აღმოიფხვრას, არ უნდა დაიკარგოს, არ უნდა წაიშალოს ცხოვრებიდან. ამიტომ ავთანდილი და მისი მეგობრები ითხოვენ შეწევნას, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი. რუსთაველის გმირებს სწამთ უფალი და როგორც მორწმუნე ადამიანები მონა-მორჩილნი არიან უფლისა. აი, როგორ ლოცულობს მიჯნურისაგან შორს გადახვეწილი ავთანდილი. მისი ლოცვა რედუპლიკაციებითაა მოსილი:

„ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვენათ ზესსა,
შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,
ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!
ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,

შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე:

მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე გამარიდე!

თუღა დავრჩე, გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირ-ვიდე“ (წიგნი 3, თბილისი, 2010 : 154, „ლოცვა ავთანდილისა“).

ამგვარად, „ვეფხისტყაოსანში“ შესაბამისი შინაარსით გამოყენებულია მხატვრული შედარებები, ხატოვანი გამოთქმები, აზრის აფორიზმებად გამოკვეთის ხერხები, რედუპლიკაციათა მრავალსახეობა, მათი სრულფასოვანი ჯგუფები, რომლებიც პოემას მთლიანად ხდის მეტად მიმზიდველს, სტილურად დახვეწილსა და მაღალფარდოვანს.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ იქცა ქართველი კაცის (და არა მარტო ქართველი კაცის!) სიბრძნისა და გონიერების დიდ შედევრად, რომელიც მსოფლიო პოეზიის ოქროს ფონდში შევიდა.

მსოფლიოში არ გვეგულება ისეთი ნაწარმოები, რომანი, პოემა და მისთანები, რომლებიც შეიძლება გავუტოლოთ „ვეფხისტყაოსანს“. მას, უსიტყვოდ, ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში. უცხოელი, რომლის ენაზე იქნება ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“, გაცნობის შემთხვევაში ვერ მიიღებს ისეთ სიამოვნებას, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ ამას პოემის ორიგინალში კითხვისას. ამიტომ, სასურველია, უცხოელმა მხოლოდ იმისთვის უნდა ისწავლოს ქართული ენა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალში წაკითხვისას მიიღოს ისეთივე სიამოვნება, რასაც ამას განიცდის ქართველი მკითხველი.

დაბოლოს, „ვეფხისტყაოსანზე“ საუბარი გვინდა დავასრულოთ გალაქტიონ ტაბიძის სიტყვებით ლექსიდან „საუბარი ლირიკის შესახებ“: „პოემა ვეფხის | პოემაა | გრძნობის მზიურის, | სიყვარულისა, | თავდადების, | გმირობის, სიბრძნის, | მას იმეორებს | მკაცრი სვანი, | გმირი ხევსური, - | მთლად საქართველო, | როდესაც ის | შრომობს ან იბრძვის“ (ქართული პოეზია, ტ. 13. 1982 : 411).

თავი მეხუთე

რედუპლიკაციური ფორმები XVII-XVIII საუკუნეების პოეზიაში

§ 43. რედუპლიკაციური ფორმები თეიმურაზ პირველის და არჩილ მეორის პოეზიაში

XVII-XVIII საუკუნეების ქართული პოეზია გაამდიდრეს მხატვრულ-პოეტური სიტყვის ისეთმა ოსტატებმა, როგორებიც იყვნენ თეიმურაზ პირველი, არჩილ მეორე, ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი, ბესიკი, აგრეთვე ნიჭიერი პოეტები - იოსებ სააკაძე, მამუკა ბარათაშვილი, დიმიტრი სააკაძე, გოდერძი ფირალიშვილი და სხვები.

თეიმურაზ პირველის, არჩილ მეორის, დავით გურამიშვილის, ბესიკისა და იოსებ სააკაძის პოეზია საკმაოდ დატვირთულია რედუპლიკაციური ფორმებით, რომლებიც მკითხველს ანიჭებენ განსაკუთრებულ სიამოვნებას. ისინი თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის გამდიდრების საფუძველს ქმნიან და ამდენად, მათი პოეზია მეტად საყურადღებოა ზოგადი ლინგვისტიკისათვის.

ზემოაღნიშნული პოეტების მიმზიდველი სტილური პოეზია მნიშვნელოვანწილად მომდინარეობს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელიც საფუძველზე საფუძველია მთელი ქართული პოეზიისა.

მეტად საინტერესოა XVII საუკუნის ორი განსხვავებული ქართული მწერლობა, რომელიც წარმოდგენილია ორი ქართველი მეფის - თეიმურაზ პირველისა (1589-1663) და არჩილ მეორის (1647-1713) მიერ. ისინი იძლევიან ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებულ შეხედულებებს, რომლებიც აისახა იმდროინდელ ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში. მიუხედავად ამისა, ორივე მეფე ერთიანი სულით იბრძოდა ყიზილბაშურ-ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ. ისინი

ეწეოდნენ შეუპოვარ ბრძოლებს აღმოსავლელ დამპყრობლებთან. როცა მათ დაინახეს, რომ ქართველ ერს ემუქრებოდა გადაჯიშება, თეიმურაზიც და არჩილიც ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფოზე ამყარებდნენ დიდ იმედებს. ამიტომ ორივე ეწვია რუსეთის მეფეს მოსკოვში, თავისი ქვეყნის ამბავი აუწყა და ერთგულება დაუდასტურა (დაწვრ. იხ. ალექსანდრე ბარამიძე, „წინასიტყვაობა“, ქართ. პოეზია, ტ. 3, გვ. 5 და შმდგ.).

შემდგომში არჩილ მეფე მოსკოვის ერთ-ერთ სოფელში დასახლდა, სადაც გარდაიცვალა და დასაფლავებული იქნა მოსკოვის მიწაზე, დონის მონასტერში. ხოლო თეიმურაზი დაიღუპა ყიზილბაშების ტყვეობაში, შორეულ ასტარაბადში (იქვე, 5-6). არჩილ მეფესთან შედარებით ძალზედ რთული იყო თეიმურაზ მეფის ცხოვრებისეული პერიოდი. იგი ერთხანს ცხოვრობდა შაჰ აბას პირველის კარზე (1557-1628). მიუხედავად ამისა, აბასმა მაინც ვერ შეძლო თეიმურაზი მის ყაიდაზე „გაეწაფა“, რისთვისაც დიდი უბედურება დაატყდა თავს: წამებით დაუხოცეს შვილები, დედა, და, ახლობლები და თანამოაზროვნენი, აუოხრეს და გაუპარტახეს ქვეყანა (იქვე, 6-7).

თეიმურაზ პირველის პოეზია აშკარად ამჟღავნებს „სპარსოფილურ ტენდენციებს: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“, - ამბობს პოეტი. ხოლო არჩილი კი ანტისპარსული მიდრეკილების პოეტი-მოაზროვნეა: „მითქვამს ქართული ენითა, სხვა ენა არ ურევია“ (იქვე, 6).

ორ განსხვავებულ მოაზროვნეს ქართული პოეზიისა განსხვავებული რედუპლიკაციური ფორმები აქვთ, თუმცა თეიმურაზი თავის პოეზიაში იშვიათად იყენებს რედუპლიკაციურ ფორმებს. არჩილ მეორის პოეზია კი დატვირთულია ასეთი ფორმებით. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

§ 44. თეიმურაზ პირველის პოეზია და რედუპლიკაციური ფორმები

მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზ პირველი იშვიათად იყენებს თავის პოეზიაში რედუპლიკაციურ ფორმებს, მასში ჩვენ მაინც ვაწყდებით აქა-იქ რედუპლიკაციათა ნაირსახეობას. მის პოეზიაში გვხვდება მარცვალთა რედუპლიკაციები, სიტყვათა რედუპლიკაციების ნაირსახეობა (ორთოგრაფიულად) და კონტ-რასტული რედუპლიკაციები. ყველა ჯგუფის რედუპლიკაციებს ვიძლევით ერთ რიგში. მკითხველი იოლად გამოიცნობს რომელი სახის რედუპლიკაციასთან აქვს მას საქმე:

1. „ვაი, ჩემს სიმხნეს და ვახ-ვახ, შენთა ნაქმართა ძირები!“ („წამება ქეთევან დედოფლისა“, ტ. 3, გვ. 39);

2. „მათ ძოწის ფერთა ღაწვზედან წამწამი დაუჩრდილებსა“ (იქვე, ტ. 3, „ლეილმაჯნუნიანი“, გვ. 46);

3. „იკითხვენ ვითა ბულბული სურის, თუ ვარდსა ნახევ-დეს“ (იქვე, 47);

4. „ელვა, სხივნი და ციმციმნი, შუქისა მოვანებანი“ (იქვე, 83);

5. „ფრინველთაგან შემღერება, ჭიკჭიკი და ამოხმობა“ (იქვე, „ვარდბულბულიანი“, 101);

6. „მამა ხარ, სული ცხოველი, ძე თანაარსი ქებული“ (იქვე, „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, 120);

7. „ნეტარ, ხაშხაშის ყვავილი გენახოს ეგების არა“ (იქვე, 126);

8. „ჭკვიანი და გონიერი ერთმანერთსა გააბასე“ (ტ. 3, „წამება ქეთევან დედოფლისა“, 26);

9. „შეიყარნენ იქ მთიებნი, ყელი ყელსა გარდედების“ (იქვე, „ლეილმაჯნუნიანი“, 55);

10. „მოიყვანა შვილი-შვილი, დალოცა და ტკბილად წვარ-თა“ (იქვე, 93);

11. „შენთვის იწვის და ენთების, პირისპირ გიზის მზერა-დო“ (იქვე, „ვარდბულბულიანი“, გვ. 106);

12. „აღმოფრინდა სული, სულსა ჩემი თქვენს გამოეკიდა“ (იქცე, „მაჯამა“, გვ. 159);

13. „თვითონ შვენის და აშვენებს წალკოტსა, ბაღჩა-ბაღასა“ (იქვე, „გრემის სასახლე“, გვ. 171);

14. „შვიდსა თვემდე მოგახსენებ სასწაულსა მეტის-მეტსა“ (იქვე, „წამება ქეთევან დედოფლისა“, გვ. 40);

15. „ყმისა სწორი არვინა ჩანს, გვარად ერთ ხართ, არ თავ-თავად“ (იქვე, „ლეილმაჯნუნიანი“, გვ. 54);

16. „ფერად-ფერადი ჩემი ხმა ვერც სასმენელმან იტია“ (იქვე, ტ. 3, 1975 : 111, „ვარდბულბულიანი“);

17. „მე რაც ზნე მჭირს - თვითო-თვითო მართალი ვთქვა ყველა თვლითა“ (იქვე, „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, 124);

18. „შემოდგომამ ეგრე უთხრა: სტყუი ერთობ შარა-შარა“ (იქვე, 133);

19. „ბურთობენ კვირით-კვირამდი, ცხენთ აღარ შერჩეს ნალები“ (იქვე, 133);

20. „აწ ღვინო ეტყვის ბაგესა: „ტურფა ხარ მეტის-მეტადო“ (იქვე, მაჯამა“, გვ. 151);

21. „მინდოდა ქება-ქებასა სხვანიცა ბევრი წამერთო“ (იქვე, 161);

22. „ფრინვით სერნობდენ ხე-და-ხე, ვის ვისთან სთქმოდეს გულები“ (იქვე, ტ. 3, 1975 : 97, „ლეილმაჯნუნიანი“);

23. „დაფრინავს სრულა ხედახე, იძახის, კვნესის მწარესა“ (იქვე, 105, „ვარდბულბულიანი“);

24. „პირსა ხოკით ღაწვთა გლეჯით იქით-აქეთ ხელთა ხრანი“ („წამება ქეთევან დედოფლისა“, 28);

25. „მას არვინ ისმენს, ვარჩივე სოფლისა მიდ-მოდებანი“ („ლეილმაჯნუნიანი“, 43);

26. „მშვილდოსან-მობურთალობით კისკასად ვეფხებრ მხტომოდა“ (იქვე, 93);

27. „უზომოს სიხარულითა ვეღარ ზის, ზე-ქვე ხლტებაო“ („ვარდბულბულიანი“, 107);

28. „ენა ლოცვაზედ დამეშრო, სჯობდა ცუდ მიდ-მოდებასა“ („შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, 120);

29. „ნაყოფს იწყებს გამოსხმასა აღმოსავალ-დასავალი“ (იქვე, 130);

შენიშვნები: 1. თეიმურაზ პირველის პოეზიაში ერთადერთი მაგალითი დაფიქსირდა კვაზი-რედუპლიკაციაზე: „აშიყ-მაშიყნი რა ჟამად ერთმანერთს შეეყრებოდეს“ („ვარდბულბულიანი“, 110); 2. შოთა რუსთაველი იყენებს ფორმას „იქით-აქათ“, ხოლო თეიმურაზი - „იქით-აქეთ“. 3. ორგვარად იწერება რედუპლიკაციური ფორმა: „ხედახე“ და „ხე-და-ხე“. 4. თეიმურაზმა სიტყვა „შვილიშვილი“ გამოიყენა იმავე ბგერითი შემადგენლობით, როგორც იგი იხმარება თანამედროვე ქართულში. თადაპირველად ეს სიტყვა იწერებოდა როგორც „შვილის-შვილი“, ხოლო თეიმურაზთან გვაქვს შვილი-შვილი“. 5. თეიმურაზ პირველმა თავის პოეზიაში სპეციფიკური რედუპლიკაციებიც კი შეგვიქმნა: ზე-ქვე, აშიყ-მაშიყნი, ხე-და-ხე, ხედახე და მისთანები. 6. თეიმურაზის შემოქმედებაში არ შეგვხვედრია სიტყვათა შეხამებებისა და წინადადებათა რედუპლიკაციები.

§ 45. რედუპლიკაციური ფორმები არჩილ მეორის პოეზიაში

თეიმურაზ პირველისაგან განსხვავებით, არჩილ მეორე უფრო უხვად იყენებს თავის პოეზიაში რედუპლიკაციათა ნაირსახეობას. იგი აღიზარდა რუსთაველისა და თეიმურაზ პირველის პოეზიაზე, მაგრამ თავის პოეზიას მაინც თავისებური ელფერი მისცა, უფრო განსხვავებული და სპეციფიკური.

არჩილი თავის პოეზიაში ხშირად იყენებს მარცვალთა რედუპლიკაციას:

1. „მამავ, მშობელო ძისაო, გამომვლენელო სულისო“ („გაბასეება თეიმურაზისა და რუსთველისა“, ქართ. პოეზია, ტ. 3, 1975 : 177);

2. „შენ სიტყვა-დაუსაბამო, რომელ აღმოთქვა მამამა“ (იქვე, 177);

3. „ან ვარდის ბაღსა ბულბულის ნაყეფსა გავატევრევდე“ (იქვე, 185);

4. „რუსთველი მოკლის სიტყვითა მზესა ვით ათინათინებს“ (იქვე, 186);

5. „აწ შენი მქები უფროა, ბოლოს დროს ჰყოფენ ნანასა“ (იქვე, 192);

6. „ნუ ეჭვ მჯობდე, სიხარულით ცუდად იკრავ დაბდაბ შენ ნობს“ (იქვე, 195);

7. „არ მანებებ, ჰი გლახ, რა ვქნა, აღმოფხვრა არს წამწამ-თმისა“ (იქვე, 197);

8. „დაწერე და, ვირ არ ნახო, შენ არ მოჰკვდე, იყო ზეზე“ (იქვე, 208);

9. „მამა-პაპათ დანარჩომი დავიჭირე ოთხივ კუთხე“ (იქვე, 239);

10. „ტურფანი და ჭიკჭიკანი, ორნი ნორჩნი სამოთხისა“ (იქვე, 259);

9. „პორფირად მაცმევ ძაძასა, ტახტად დამიდგამ ბნელს ქოხსა“ (იქვე, 262);

10. „აწ შეიქნა ნადიმობა, არ თუ ცუდი რამ ტაკ-ტაკი“ (იქვე, 332);

11. „სხვა მათი მოკიდულობა ყვარყვარე ციხისჯვარისა“ (იქვე, 355);

12. „დაჯდა ტახტსა, მიულოცეთ ხმა-ნარნარი, კარგ-უსუ-ლი“ (იქვე, 387);

13. „მუნ გაფუფუნა შვებითა, არ იყო ურვით სულმთქმელი“ („გაბაასება კაცისა და სოფლისა“, იქვე, 429);

14. „შიში და ზარი დაადვა და დაგამონა ყოველი“ (იქვე, 429);

15. „ლოცვაზედ წასვლა გვინდოდეს, ქვე ჩაგვსვამ ზეზე ამყენსა“ (იქვე, 446);

16. „უსადილოდ გამაბრუნებ, შიმშილითა მაკარკარებ“ (იქვე, 458);

17. „კარგად ვანბობ, არ მიჯერებ, რად შექმნილხარ ვით ტერტერად?“ (იქვე, 462);

18. „ცუდსა სიტყვას იუქმებდი, ნუ გსურს ავი ტაკტაკია“ (იქვე, 470);

19. „ეგება ამით ისმინოთ საწვრთნელი, არ ბაყბაყითა“ (იქვე, 500);

20. „სტვენა, წრუწუნი, ძახილი გავაზის, იხვის მზვერობა“ („საქართველოს ზნეობა“, იქვე, 508);

21. „ვახ, ვახ, რა სანატრელია, მოყმე ასეთი მქცეველი“ (იქვე, 485);

22. „პალატი სავსე ლხინითა, ან ის სიცილი ხარხარ, და, | კვლავ ნადირობა, შექცევა, იძახდენ: „არის ხარ-ხარ, და“ (იქვე, 495);

23. „უწინ პატა-პატა სწავლებით ამ დიდრონს დააქადილებს“ (იქვე, 516);

24. „თვალთა უშვენის ციმციმი, ხანდისხან სამე რულია“ („სამიჯნურონი“, იქვე, 536);

25. „რა თასზედ გადმოესხმოდეს, კაშკაშით გაიცინებსა“ (იქვე, 537) და სხვა მრავალი.

არჩილ მეორის პოეზიაში როგორც მარცვალთა რედუპლიკაციები, ისე სიტყვათა რედუპლიკაციებიც პროდუქტიულია. რედუპლიკაციური ფორმები ზოგჯერ დეფისითაა შეერთებული, ზოგჯერ განცალკევებულად, ზოგჯერ რედუპლიკაციის პირველი ნახევარი მიერთებულია მეორე ნაწილთან სხვადასხვა ბრუნვის ნიშნების დართვით. აღნიშნული სამივე ჯგუფის რედუპლიკაციებს ვიხილავთ ერთად:

1. „კარგი კარგად მოუწონეთ, ცუდის მთქმელი მო დაბაქეთ“ („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, ქართ. პოეზია, ტ. 3, 1975 : 184);

2. „სამღვდელო ანუ საერო, მის-მის დროს რომელს მოჰქონდეს“ (იქვე, 187);

3. „დიდი იქნება ცილება, ზოგზოგი კარსაც განაძეს“ (იქვე, 190);

4. „ზოგთ თქვენი თქვან და ზოგთ ჩემი, მაგით ვინ დაგვიბინდარა“ (იქვე, 192);

5. „თვარამ ზანტმაც წყნარა-წყნარა მიაწიოს მან ძილამდის“ (იქვე, 199);

6. „მისთვის მიყვეს, რისთვის მიგმობ სიარულსა, კარ-კარ რებას“ (იქვე, 201);

7. „შენ მარტო ეგ გისწავლია, მე გიამბობ თითო-თითოს“ (იქვე, 211);

8. „მათ ტომთა იტყვის თვის-თვისად, ვინ ვიზედ მთავრებულისა, სიმშვიდეს, ხოლო სიცოფეს, ან ვინ-ვინ გააგულისა“ (იქვე, 212);

9. „ზოგ-ზოგნი დიდად იშვებენ, ზოგნია გამწარებითა“ (იქვე, 219);

10. „მერმე მითხრა წავიდეთო, ხელ-ხელს წამომატანებდა“ (იქვე, 238);

11. „შინაყმანი და მონანი ბევრ-ბევრად, დას-დასულნია“ (იქვე, 242);

12. „ეს სწადიან, ამომწყვიტოს თავ-შვილიან, გვარის-გვარა“ (იქვე, 274);

13. „მასრულებს ამოსაწყვეტლად ამოდ, წყნარად და ნელ-ნელად“ (იქვე, 275);

14. „წყნარ-წყნარა მოგვიახლა, იგი სადმე სიტყვა-რბილად“ (იქვე, 276);

15. „სხვაზედ რაზედამც ვიქადო, ვაბრალებთ ერთი-ერთსაო“ (იქვე, 279);

16. „პაპის მისის შვილის-შვილი აჰყოლია რად ის ჩემს მტერს“ (იქვე, 284);

17. „დამრჩა ოთხი შვილისშვილი: სამი ვაჟი, ერთი ქალიც“ (იქვე, 400);

18. „არც შვილის-შვილებს გიხსენებ, არა ვარ ავ სადევია“ (იქვე, 399);

19. „თავის თავისა უფალმან ბოროტს რად უწყე მფლობ-ლობა“ („გაბაასება კაცისა და სოფლისა“, იქვე, 432);

20. „ეგზომისა სიცრუვისგან წილს არ მიდებ, ადე, ადე“ (იქვე, 434);

21. „ყოველი ჩემი ნაყოფი ჟამ-ჟამად დაირჩიოო“ (იქვე, 456);

22. „ფერად-ფერად შეხამდებოდენ ერთმანეთისა ცდილობით“ (იქვე, 459);

23. „კიდევ მოაქვთ მოსამატი ზედი-ზედა, მალე-მალად“ (იქვე, 466);

24. „არ დამჯერდები ცოტ-ცოტას, ვაძლევ ვინც დამემონება“ (იქვე, 472);

25. „ბერებს დიდ-დიდი სახელო, სულ უმცროსთ აგერ ოქონა“ (იქვე, 475);

26. „მომტევლობაც ფრინველებისა ცალ-ცალკეა, სულ ნუ მწყერობს“ („საქართველოს ზნეობა“, იქვე, 505);

27. „არც შორი-შორ და არც სულა ახლო ერთმანერთს მიწყობა“ (იქვე, 508);

28. „ვის ეს სჭირს, ეს სჯობს კაბისას ჩაცმასა ახალ-ახლებსა“ (იქვე, 488);

29. „უცნობი მისი სახელით და მერმე გვარის-გვარითა“ (იქვე, 488);

30. „სული შთაგვბერა ცხოველი წყალობის მეტის-მეტებით“ (იქვე, 496);

31. „უცხო მდიდარი მის სადგომს მალ-მალე არ ნახოცაა“ (იქვე, 515);

32. „ზნეობა რამ დამესწავლა ხარისხ-ხარისხ ამვლელიო“ (იქვე, 523);

33. „თუ წამს მოსცილდეს, მრჩობლთავე ხშირ-ხშირად არუდუნებსა“ („გვამისა რვათა ასოთა“, იქვე, 524);

34. „ნუ აღგიტაცებს დიდება, ნუცა პირისპირ ქებანი“ (იქვე, 547);

და სხვა მრავალი.

არჩილ მეორემ თავის პოეზიაში თეიმურაზ პირველისაგან განსხვავებით გამოიყენა რიცხვითი რედუპლიკაციები, მაგალითად:

1. „ვინ ერთი ერთსა მოგიდგეს, დაემდურება მამა ძეს“ („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ (იქვე, 190);

2. „ათ-ათს გეტყვი მოსეს თქმულსა მცნებასა და წყლულებასა“ (იქვე, 211);

3. „მათ ოთხ-ოთხი შვილი ჰყვანდათ, ერთი დაკალ, მოდანითა!“ (იქვე, 393);

4. „გაუსინჯოთ, რას იტყვიან ერთი-ერთზედ, თუ რა ერთსა“ („გაბაასება კაცისა და სოფლისა“, იქვე, 424);

პოეტის პოეზიაში ვხედავთ აგრეთვე კონტრასტულ, კვაზი- და „და“ კავშირით შეერთებულ რედუპლიკაციებს:

1. „აქებს შვენება-სიტურფეს, სიფიცხე-კისკასობასა“ („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, იქვე, 186);

2. „ბაასობენ და გვადრიან, ვხედავ ხანდახან თვალ-სველსა“ (იქვე, 191);

3. „კვლავ ტურფა შესამოსელი ცუდ-მუდი არ ეძონძა და“ (იქვე, 234);

4. „კვლავ მხვეველს და მოთამაშეს იქით-აქათ მიმომყოლი“ (იქვე, 244);

5. „წყნარა-წყნარა მივჰყვებოდით, ცუდ-მუდს არას გაუვარდით“ (იქვე, 255);

6. „აქა-იქ დაიმალოდეს, ამაყად ვეღარ მყივანი“ (იქვე, 269);

7. „ანანურს ვიდეგ სამს წელსა, ვიარე აღმართ-დაღმართი“ (იქვე, 338);

8. „მალ წაუხდებათ რჩევისა მინაქარ-მათ-მონაქარი“ (იქვე, 355);

9. „შეიქნა ომი კისკასი, ვით მართებს იმერთ-ამერთას“ (იქვე, 357);

10. „რევაზ გავა ახალუხით, უმჯობესი სავარისი (იქვე, 393);

11. „მიხდომ-მოხდომა, ხმლისა კვრა პირისა, არა კოტესი“ (იქვე, 400);

12. „არა ვიცი აღმართ-დაღმართ კვლავ ადგილი სივაკისა“ („გაბაასება კაცისა და სოფლისა“, იქვე, 432);

13. „საპირდაპიროს მტერზედან ომი მოლამდეს ძლიერსა“ (იქვე, 459);

14. „წარამარაობ ყველასა, იტყვი რაც მოგეგონება“ (იქვე, 472);

15. „რასთვის ხელობ, რაზედ იტყვი, რას მიედებ-მოედები?“ (იქვე, 472);

16. „პირუტყვებრ ღმერთსა იცნობენ, სხვა სჯული მიდ-მოდებული“ (იქვე, 479);

17. „აქა-იქ სამ სიარულს, სასჯელსა, კვლავ დახამებას“ (იქვე, 523);

18. „ხელი სამუდმოდ განიპყრა არ ხანდახანა, სულ ზეზე“ („გვამისა რვათა ასოთა“, იქვე, 528).

შენიშვნები: 1. თეიმურაზ პირველმა თავის პოეზიაში სიტყვა „შვილიშვილი“ გამოიყენა იმ ბგერითი შემადგენლობით, რა შემადგენლობითაც იგი იხმარება თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, ოღონდ პოეტმა ორთოგრაფიულად სიტყვა „შვილიშვილი“ დაგვიწერა დეფისით (შვილი-შვილი). არჩილ მეორემ კი თავის პოეზიაში იგივე სიტყვა გამოიყენა ორგვარად: ორჯერ ფორმით „შვილის-შვილი“ (დეფისითაა შეერთებული) და ერთჯერ - „შვლისშვილი“ (უდეფისოდ). 2. სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციები გვაქვს არჩილთან და არ მოგვეპოვება თეიმურაზ პირველთან. 3. ორივე მათგანი არ იყენებს თავიანთ პოეზიაში წინადადებათა რედუპლიკაციებს. მხოლოდ ერდადერთი მაგალითი შეგვხდა წინადადებათა რედუპლიკაციაზე არჩილთან. ესაა: „ზოგმან ზოგი თქვა და ზოგმან ზოგი“ („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, ქართ. პოეზია, ტ. 3, 1975 : 272). 4. არჩილმა კონტრასტული რედუპლიკაცია „აქეთ-იქით“ გამოიყენა იმ ფორმით, რა ფორმითაც შოთა რუსთაველმა („იქით-აქათ“), ხოლო თეიმურაზ პირველი იმავე სიტვას თავისებურად იყენებს - „იქით-აქეთ“. 5. კონტრასტული რედუპლიკაციები ჩამოყალიბების პროცესშია შოთა რუსთაველთან, თეიმურაზ პირველთან ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული, ხოლო არჩილ მეფესთან ისინი უკვე

დამკვიდრებულად ითვლებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ კონტრასტული რედუპლიკაციები გვიანდელი წარმოშობისაა და ისინი ქართული ენისათვის სიტყვათწარმოების სპეციფიკურ ხერხს წარმოადგენენ.

§ 46. რედუპლიკაციური ფორმები ვახტანგ მეექვსის, მამუკა ბარათაშვილის, ბესიკის და სხვათა პოეზიაში

პოეტების - ვახტანგ მეექვსის, მამუკა ბარათაშვილის, დიმიტრი სააკაძის, თეიმურაზ მეორის, გოდერძი ფირალიშვილისა და ბესიკის პოეზიაში რედუპლიკაციური ფორმები უფრო ნაკლებადაა, ვიდრე სხვათა პოეზიაში. აღნიშნულთაგან ბესიკის პოეზია უფრო გამორჩეულია ამ მხრივ. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი თითოეული მათგანის პოეზიიდან:

1. „ვაი-ვაი, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი (აჯა - „თხოვნა, მუდარა“, - ავტ.) და!“ (ვახტანგ მეექვსე, „შეგონება“, ტ. 5, გვ. 137);

2. „ჯარ-მრავლობისა ყაყაჩო, ლალა, ხაშხაში, მეფეო“ (იქვე, „ლექს-ამბავი“, 140);

3. „თუ თხრობასა თხრობულობდე, თქვით თაყვანი თვითო-თვითო“ (იქვე, „ანბანთქება“, 207);

4. „ცბიერობაცა, ცანცალი, ცოდვა, ცაქცაქი ცარითა“ (იქვე, 211);

5. „ჭამოთ ჭირისთვის ჭმუნვანი ჭრიჭინაებრივ ჭაჭანი“ (იქვე, 212);

6. „ციმციმებს ბაგე, მსურს თვალი ვაგე, ტანი წერწეტი ზე აგებულად“ (მამუკა ბარათაშვილი, „რუსული ხმები“, ტ. 5, გვ. 223);

7. „ისარს ისვრიან წამწამთაგან, ხელთ უჭირავს სამალია“ (იქვე, „პოლეკის ხმა“, გვ. 228);

8. „ვახტანგ მიიხმო პირისპირ, სხვა უფლისწულთა სწორითა“ (იქვე, 230);

9. „წირვის მოსმენა ხშირ-ხშირად, ცხოვრება ბოლოს სულისა“ (დიმიტრი სააკაძე, „ბარათი დ.“, ტ. 5, გვ. 235);

10. „ღმერთი ზრახავდა პირისპირ, ჩვენ მისგან შევიწამეთა“ (თეიმურაზ მეორე, „დღისა და ღამის გაბაასება“, ტ. 5, გვ. 250);

11. „ნოესთან შევლენ კიდობნად ორ-ორნი დედალ-მამლობით“ (იქვე, 263);

12. „ადგილ-ადგილად, სახლ-სახლად ვრორინებ შენთვის აწ ესა“ (იქვე, 285);

13. „კიდევ იხვსა ბაზიერი ქორს მოუტევს ხელდახელა“ (იქვე, 389);

14. „ხმა ნარნარ, დიაღ, უხდების ბულბულსა ჭიკჭიკობანი“ (იქვე, „ყუმარზედ ზმალექსად თქმული“, გვ. 459).

მე-18 საუკუნის მწერალთა შორის ერთ-ერთი პირველთა-განია მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატი ბესარიონ გაბაშვი-ლი ანუ ფსევდონიმად წოდებული როგორც ბესიკი (1750-1791), „რომელიც უხვად თხზავდა პოეტურ მარგალიტებს და „რუსთველისებრ ხმატკბილობით“ აჟღერებდა თავის ლექსებს“ (ლევან მენაბდე, იხ.: ტ. 5, „წინასიტყვაობა“, გვ. 28).

ბესიკის ლექსს ახასიათებს ისეთი კომპოზიციური დახვეწი-ლობა, მეტაფორათა სიმრავლე და ნაირსახეობა, აგრეთვე სხვადასხვა სახის რედუპლიკაციათა ფორმების გამოყენება, რომლებიც ლექსს მეტად მიმზიდველს ხდის. მოგვაქვს უამრავ რედიპლიკაციურ ფორმათაგან რამდენიმე მაგალითი:

1. „ბულბული მოდის მწუხარებით ცრემლის დენითა“ (ბესიკი, „ბულბული მოდის მწუხარებით“, ტ. 5, გვ. 467);

2. „კოკობი ვარდი არ მიგიღებს თავის ნებითა“ (იქვე, 468);

3. „ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო! (იქვე, „ტანო ტატანო“, გვ. 468);

4. „გარს უდგენ თანისთანაო!“ (იქვე, „დედოფალს ანაზედ“, 471);

5. „შვიდნი ციურნი მოციმციმედ არ შეგადარე“ (იქვე, „მე შენი მგონე“, 475);

6. „სახე უსახო სავახვახო, - ეს განვიზრახეთ“ (იქვე, „ცრემლთა ისხარნი“, 477);

7. „ერთიერთის მიმდევარნი, ერთპირნი, | ორნი ერთის შესაპყრობლად მომბირნი” (იქვე, „შავნი შაშვნი“, 483);

8. „ვსთხოვე ზენასა, მადლის მფენასა, | შენი შემკობა მეფეთმეფეო!“ (იქვე, „ქება სოლომონ მეფისა“, 488);

9. „ხან დედა სცემდის, ხან შვილი, იძახდის ზედისზედასა“ (იქვე, „რძალდედამთილიანი“, გვ. 528);

10. „ქვე-ქვე გახედვით იხილა ქმარი გულ-ლახვარნამყოფი“ (იქვე, 530);

11. „ქმარს მომაკვდავი ეგონა ცხელ-ცხელი ცრემლი ყარა მან“ (იქვე, 531);

12. „მი და მო თვალთა აშეთებს კეტის ხელმონაკიდული“ (იქვე, 534);

13. „ტერტერამ მოხსნა სასწრაფოდ საბრალო ბერი ბებერი“ (იქვე, 538).

მე-18 საუკუნის პოეტურ საგანძურში შედის ლექსთა კრებული „ნარგიზოვანი“, რომელშიც გაერთიანდა 11 ლექსი. თითქმის ყველა ლექსში გვხდება რედუპლიკაციური ფორმები:

1. „თუ მაქვს უშენოდ წამი, | მტრად შემექნას „წამწამი“ (იქვე, „მთვარე ვნახე მავალი“, 549);

2. „თვალს თვალი უყვარს, გულს გული, ყელს ყელი დაემონების“ (იქვე, „ჩემი საყვარლის თვალები“, 552);

3. „სულთქმითა, ქვე-ქვე ჭვრეტითა მიხშირის ცრემლთა დინება“ (იქვე, 552).

ლექსის „მე ვითა ვთქვა შენი ქება“ ყოველი სტროფის ბოლოს ხდება ერთისა და იმავე სიტყვის რედუპლიკაცია. მოგვაქვს ამ ლექსის პირველი სტროფი:

1. „მე ვითა ვთქვა, აჰა, მზეო, შენი ქება!
გული ჩემი ამად ბნდება,
შენთა თვალთა, აჰა, მზეო, მენატრება
კოცნა ნაზისა-ნაზისა, პირი ნაზისა-ნაზისა,
ხალი ნაზისა-ნაზისა“ (იქვე, 559);

2. „დასრულდა ჩემი ჭირები,

ფერად-და-ფერად ხშირები“ (იქვე, „მიფიცავს შენი სახელი“, 560).

§ 47. რედუპლიკაციური ფორმები იოსებ სააკაძის პოეზიაში

მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მოღვაწე და განსწავლული მღვდელთმთავარი იოსებ სააკაძე ძირითადად სასულიერო-საეკლესიო მწერლობის სარბიელზე მოღვაწეობდა, თუმცა იგი არც საერო-მხატვრული ლიტერატურისაგან იდგა შორს. ი. სააკაძემ „60-ზე მეტი სტროფი ჩაამატა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში და შეთხზა პოემა „დიდმოურავიანი“, რითაც საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში“ (ლევან მენაბდე, „წინასიტყვაობა“ იხ. ქართ. პოეზია, ტ. 5, თბილისი, 1976 : 6).

იოსებ სააკაძე თავის „დიდმოურავიანში“ იყენებს როგორც ბგერათა, ასევე მარცვალთა და სიტყვათა რედუპლიკაციებს, ალაგ-ალაგ გვხდება აგრეთვე კონტრასტული და კვაზი-რედუპლიკაციები. ავტორი თავის პოეზიაში იშვიათად მიმართავს მარცვალთა რედუპლიკაციებს. რაც შეეხება სიტყვათა რედუპლიკაციებს, ისინი პოეზიაში „ხშირი სტუმარია“:

1. „რად დაგვიწყდა, აღარ გახსოვს ომი შარშანწინანდელი?“ (ტ. 5, 55);

2. „ყარჩიხანს რომე შევები, მის ჯარს რა დავსდევ შიშია“ (იქვე, 75);

3. „ზაზა ციციშვილს იცნობდით, როგორ გულსრული არია“ (იქვე, 45);

4. „შვილიშვილის დასადგინად, სანატრელად ან იმედად“ (იქვე, 40);

5. „ერიქალზედან ავიდნენ, ხუცესი წინწინ მვლელია“ (იქვე, 43);

6. „ზოგნი ხშირ-ხშირად ვდგებოდით, ზოგნი აქა-იქ თევითა“ (იქვე, 47);

7. „იმავ სიტყვას მოგახსენებ ხემწიფესა ზესთა ზესა“ (იქვე, 55);

8. „ტახტის პირს მიველ, თეთრს ჰქონდა სულ ახალ-ახალ ბუდები“ (იქვე, 71);

9. „ზოგჯერ მზის შუქი მოგხედავს, ზოგჯერ დაგფარავს ჩრდილია“ (იქვე, 61);

10. „ზოგ-ზოგი თოხარიკები, ზოგსა აქვს სიფიცხენია“ (იქვე, 61);

11. „რა შევსხედით წყნარა-წყნარა, ხიდის ბოლოს ჩაველ ნელა“ (იქვე, 64);

12. „მე ისევ გაღმა მეძებდეს, მაღნართა უბან-უბანსა“ (იქვე, 65);

13. „გზას დამიგდებდეს მებრძოლნი, პირისპირ ვერვინ მეფეთა“ (იქვე, 81);

14. „იმათგან ამან ფეშქაში თავთავად კვლავ მიირთვისა“ (იქვე, 89);

15. „ისივ გაბრუნდა, შეტყორცა რა ნახა ზედიზედისა!“ (იქვე, 91);

16. „აგრევ დედაჩემს მოუვა ტირილი მეტისმეტადო!“ (იქვე, 98);

17. „ხანდახან მამცა სოფელმან, საწუთრო მიქმნა დარადა“ (იქვე, 110);

18. „სად წავიდე, სად დავლახო აწ ქვეყნისა კიდით კიდე“ (იქვე, 115);

19. „ფრთხილობას გარდაიგდებენ, უფრო და უფრო გვიანო“ (იქვე, 124);

20. „ხემწიფეზე დამნაშავე ასო-ასოდ აიქნება!“ (იქვე, 128);

21. „მე გვერც აღარ მოგეწურვი, მალმალ გეტყვი მორევასა!“ (იქვე, 130);

22. „შუქურ მასკლავი დახვდების პირდაპირ შემომხედა-დო!“ (იქვე, 131).

შენიშვნა: 1. ზემოაღნიშნულ ჯგუფში გაერთიანებულია ყველა ტიპის რედუპლიკაცია (იხ. ზემოთ); 2. რედუპლიკაციური

ფორმის „ერთმანერთი“ გვერდით ჩნდება ახალი ფორმა „ერთმანეთი“, რომელიც თანამედროვე ქართულის ნორმად ითვლება: „რომელსაც სისქეს ჯარს მოვხვდი, ერთმანერთს შიგ აურევდი“ (იქვე, 51) და ახალი ფორმით: „ტკბილად ვნახოთ ერთმანეთი, არ სიტყვა ვთქვათ მუქარისა!“ (იქვე, 128); ამგვარად, სიტყვა „ერთმანეთი“ მკვიდრდება ახალი ფორმით უკვე მე-18-მე-19 საუკუნეების მიჯნაზე. 3. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იხმარებოდა ფორმა „ჩურჩური“, თანამედროვე ქართულში დისიმილაციის ნიადაგზე მივიღეთ ფორმა „ჩურჩული“.

იოსებ სააკაძის პოეზიაში საკმაოდ უხვად გვხდება კონტრასტული რედუპლიკაციები და უფრო ნაკლებად - კვაზი-რედუპლიკაციები. მოგვაქვს მაგალითები ჯერ კონტრასტულ და შემდეგ კვაზი-რედუპლიკაციებზე:

1. „ცხენთ ცურვა გაუადვილდა, გასვლა და გამოსულობა“ („დიდმოურავიანი“, 48);

2. „უსამართლოდ მაბეზღართა ვეღარ ვექმენ თავის ამსვლელ, აქანამდის შუქით ვიყავ, აწ, მზევ, იქმენ ჩემთვის ჩამსვლელ!“ (იქვე, 66);

3. „თეთრს მოგცემ ამდენს, კარამდი ვერ შესძლო მიტან-წაღება“ (იქვე, 71);

4. „ბედი წაღმა წაგრეხილი აწ უკუღმა დამეცარა“ (იქვე, 111);

5. „იგია მიმცემ-წამრთმევი, სხვა იმას გარე ვინ არსა“ (იქვე, 126);

6. „ამა სოფელმან მაბრძოლა აღმოსვლით დასავლეთამდი“ (იქვე, 131);

შენიშვნა: როგორც მაგალითები გვიჩვენებს, კონტრასტული რედუპლიკაციები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ენაში იმ ფორმით, რა ფორმითაც ეს ხერხი გვხდება თანამედროვე ქართულ ენაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე-17-მე18-ე საუკუნეებში ისეთი ფორმები, როგორიცაა: მიმცემ-წამრთმევი (ე. ი. დეფისით შეერთებული), სრულიად არ მოგვეპოვება პოეზიაში, პირიქით, ასეთი ფორმები იმ პერიოდისათვის ჩანასახ მდგომა-რეობაში იმყოფებოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ი. სააკაძის პოეზიაში არსებობს მცირე რაოდენობის მაგალითები კვაზი-რედუპლიკაციებზე. აი, ისინიც:

1. „ხნაშა-ხნუშისა ხმა არის, იმათ ვინ მიეფერება!“ (იქვე, 51);

2. „იბრძვიან ერთპირ ქართველნი, ხმა ისმის ჩახა-ჩუხისა“ (იქვე, 52);

3. „ქონებას ძვირფასს იღებენ, ცუდმუდსა გარდაჰყრიდიან“ (იქვე, 75);

4. „შევსძახე: „ცუდათ გაგიცვდა გლახ შენი ბაქი-ბუქარა!“ (იქვე, 91).

შენიშვნა: როგორც 1, 2, 4 მაგალითები გვიჩვენებს, მე-17-მე-18 საუკუნეებში კვაზი-რედუპლიკაციები მეტწილად იწერებოდა დეფისით, თანამედროვე ქართულში კი ისინი ერთ მთლიან (უდეფისო) სიტყვებს წარმოადგენენ.

§ 48. რედუპლიკაციური ფორმები დავით გურამიშვილის პოეზიაში

დავით გურამიშვილი (1705-1792) პირველი ქართველი პოეტია, რომელმაც თავისი შემოქმედების ძირითად თემად ავტობიოგრაფია გაიხადა და მის შემოქმედებას „დავითიანი“ უწოდა, რომელშიც შევიდა მისი ორი პოემა: პირველი ისტორიული ხასიათისაა და ეწოდა „ქართლის ჭირი“, ხოლო მეორეს - „ქაცვია მწყემსი“ ან როგორც თვით ავტორი უწოდებს „მხიარული ზაფხული“ (ქართ. ენციკლ., ტ. 3, 1978 : 310-311).

გურამიშვილის „დავითიანი“ არის „სიბრძნის საუნჯე - უნატიფესი გემოვნებისა და განსწავლულობის ძეგლი“ (ე. მაღრაძე, ქართული პოეზია, ტ. 4, 1975 : 8). „დავითიანი“ არ არის უბრალოდ ლექსთა კრებული, არამედ იგი არის სამშობლო ქვეყნისა და პირადი უბედობის გამო გადატანილი მწარე სიმართლე, „უცხოთა კარზე მყოფი პოეტის ავადმოსასმენი ოდისეა“ (იქვე, 9).

ძალიან მოკლედ, მაგრამ შინაარსიანად შეაფასა დავით გურამიშვილის შემოქმედება მეოცე საუკუნის გამოჩენილმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ: „ღრმა მწუხარება | მშობელ მხარის | და მისი შვილის | იყო გულწრფელი | მელოდია | გურამიშვილის“ (ქართული პოეზია, ტომი 13, თბილისი, 1982 : 412).

დავით გურამიშვილი თავის პოეზიაში იყენებს ყველა სახის რედუპლიკაციათა ხერხს, ამასთან ძალიან მოხდენილად და მიმზიდველად. ყოველი რედუპლიკაცია ანიჭებს მკითხველს დიდ სიამოვნებას:

1. „მე ამად ვჰყვი, ვჰყვირი და ვჰკივი,
ვერ განვარკვივი შენი კივკივი:
თბილი და ცივი ორივე მტკივი,
საით გავიქცე, რომ არ წავიქცე?!“ (ქართ. პოეზია, ტ. 4, 233);

2. „თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?!
თუ ხარ სიმაძღრე, რა არს შიმშილი?!
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?!
იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!“ (იქვე, 235).

დიდ პოეტს ყოველთვის ღმერთის იმედი აქვს, ღმერთს ევედრება, რომ უფალმა ყველაფერი გააჩინა და ამიტომ საჭიროა მსხვერპლის შეწირვა:

„ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო? - ღმერთი მაღალთა შინაო,
ვინცა შეამკო ქვეყანა, ღამე დღედ განაბრწყინაო;
ზღვით, ხმელით, ხითურთ, ბალახით მთა-ბორცვი აღმოფინაო,
ყოველი ნივთისაგანი მაშიგან განაჩინაო;
ჩვენ, კაცი, მიწა და წყალი შეგვზილა, აღგვადგინაო,
მოგვცა სიბრძნე და დაგვიდვა ქმნული ყოველი წინაო.
ჩვენც გვმართებს მსხვერპლი შევსწიროთ - დავით თქვა - იმისთვინაო“ (იქვე, 223)

ან კიდევ:

„არანანინას, თარანანინას“
ესე სჯობია, ღვთის სამკობია:
ალილუია!

ესე სჯობია, ღვთის სამკობია:

ალილუია, ალილუია, ალილუია!“ (იქვე, 204).

როგორც არჩილ მეფე, ასევე გურამიშვილიც თავის პოეზიაში მოხდენილად იყენებს ენაში უკვე დამკვიდრებულ კონტრასტულ რედუპლიკაციებს:

1. „აღიძრენ ერნი, იზრახეს ცუდისა მიდებ-მოდება“ (იქვე, 42);

2. „ხუცესი წირვით, ვაჭარი შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა“ (იქვე, 49).

დ. გურამიშვილის პოეზიაში უხვადაა გამოყენებული მარცვალთა, სიტყვათა და წინადადებათა რედუპლიკაციები:

1. „პაპის პაპა, ბებიანი, მამის მამა, დედის დედა,

მამა, დედა, ძმანი, დანი, ცოლი, შვილნი ზედი-ზედა“ (იქვე, 40);

2. „მეხარა, მე მით მეხარა, საჩრდილად იგ ქვე მეწოდა“ (იქვე, 42);

3. „საღმრთოს რომ ვერას გალობდეს, იმღერდეს „ხართა ლალასა“ (იქვე, 45);

4. „მინდა და სწავლის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამიყვია“ (იქვე, 48);

5. „გლახა კარის-კარ თხოვნითა, - შენ გწადს აწ რომელითა?“ (იქვე, 49);

6. „არ მისცეს ნება შეძვრისა წარბს, წამწამს, თვალის კილოსა“ (იქვე, 53);

7. „ბრმას თვალთ უხელდა, ცისცისად, არჩენდა ეშმაკიერსო“ (იქვე, 61);

8. „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!” („ჯვარცმის ამბავი“, იქვე, 63).

ლექსში „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“ ყოველი სტროფის პირველი და ბოლო სტრიქონების რედუპლიკაციაა. ისინი მთლიანი წინადადებებია. მოგვყავს ერთ-ერთი სტროფი მთლიანად:

1. „ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
შესამოსელი გაგხადეს, ქლამინდი მოგახვიესო!
ჯვარზედ გაგაკრეს, ხელ-ფეხთა ლურსმანი გაგიწიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!“ (იქვე, 68);

2. „მომკალ წინაწინ წავიდე, შენი ვახარო ევასა“ (იქვე, 66);

3. „სულს მიუძღვის ხორცთ ნაქნარი: ავსა ავი, კარგსა კარგი“ (იქვე, 78);

4. “ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“ (იქვე);

5. „მალ-მალ იკითხის ამბავი, ბრძნად მას მიუპყრა ყურია“ (იქვე, 85);

6. „შეიქნა წვევა ჩუმ-ჩუმად ვაზირთა, თანგანმზრახისა“ (იქვე);

7. „ვერა ბძანეთ ეგე რჩევა კაის ჭკუით, კაის მცნებით“ (იქვე, 86);

8. „არჩევდიან, არ მოსწონდათ ერთმანერთის ნავეზირი“ (იქვე, 88);

9. „თივა ცეცხლს ხვდა, ქარმან ჰქროლა, ალმან შექნა აწ გურგური!“(იქვე, 105);

10. „მე, ვით ორბსა, მდევს კირკიტა, დამტრიალებს, დამკისკისებს“ (იქვე, 106);

11. „ზოგი მოკლეს, ზოგი დასჭრეს, ზოგს წაგვარეს საყვარელნი“ (იქვე, 107);

12. „მე მზესა ვეძებ, თინათინ ყოველ-დღივ შუქს თვალის ჩინადა“ (იქვე, 117);

13. „დიდება შენდა, დიდება, სახით მზეთა-მზეო“ (იქვე, 121);

14. „აწ უმჯობესიც მომაგე პილპილად სავსე ტენითა“ (იქვე, 143);

15. „ხან ჩქარა და ხან წყნარადა, ხან ვერც დაძვრით, ხან კი რყევით“ (იქვე, 149);

16. „განძრახულობა არს მისი შამახიაზე ფარფარი“ (იქვე, 154);

17. „ათი-ათასი ათასთა განასრესინა ფეხითა“ (იქვე);

18. „სიკვდილმან უთხრა: ბერ-კაცო, ვისმინე, რაც იტარ-ტარე“ (იქვე, 237);

19. „ახლა კი გაქებ, სიკვდილო, მამწყინდა შენი ძაგება:

სენები სთქვი და გამხსენდა ცივებით აძაგძაგება“ (იქვე, 240);

20. „ჰაი, ჰაი, ეს საწუთრო რას ტყუის და რას უპირობს“ (იქვე, 242);

21. „მრავალს რიგს ფერად-ფერადსა თავს გხურავ, ტანზედ გაცმეო“ (იქვე, 246);

22. „მალ-მალე შაჰყვირა: ვამე, ვამეო!“ (იქვე, 266);

23. „ვისიცა მაქვს რიდი, | ან მე შიში დიდი, | გეტყვი ყველასა“ (იქვე, 269).

ამგვარად, დავით გურამიშვილის პოეზიას, მის შემოქმედებას ჩვენ მწერლობაში „განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უჭირავს“ იგი „ქართული პოეტური სიტყვიერებისა და ლექსის უდიდესი რეფორმატორია. თავისი უაღრესად ორიგინალური შემოქმედებითა და პოეტური აზროვნებით მან გაამდიდრა და გააფართოვა ჩვენი ეროვნული ლიტერატურის თვალსაწიერი. მისი შემოქმედებით ქართულ პოეზიაში ჭეშმარიტად ახალი ერა დაიწყო“ (ელგუჯა მაღრაძე, „დავით გურამიშვილი“; იხ. ტ. 4, გვ. 31-32).

თავი მეექვსე

რომანტიზმის მიმდევრები ქართულ პოეზიაში და რედუპლიკაციათა სპეციფიკურობა

§ 49. რომანტიზმის მიმდევრები ქართულ პოეზიაში

მე-18-მე-19 საუკუნეების ევროპის ლიტერატურასა და ხელოვნებაში გამოიკვეთა ერთ-ერთი მიმართულება რომელსაც ეწოდება რომანტიზმი (ფრანგ. romantisme): მისი წარმომადგენლები ცხოვრების სინამდვილის ობიექტურ ვითარებას გვიხატავდნენ იმდენად, რამდენადაც ისინი წინა პლანზე აყენებდნენ თავიანთ პიროვნულ გრძნობებსა და სუბიექტურ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი.

ასხვავებენ ორი სახის რომანტიზმს: პროგრესულსა და რეაქციულს. პირველი გამოხატავდა ეროვნულ და სოციალურ გამათავისუფლებელ იდეებს, მოუწოდებდა ხალხს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისაკენ. ხოლო მეორე მიმართულება რომანტიზმისა - რეაქციულის, - წარმომადგენლები უკმაყოფილო იყვნენ აწმყოთი, დაკარგული ჰქონდათ მომავლის რწმენა და იმედი. ამიტომ ისინი გატაცებული იყვნენ წარსულის იდეალებით (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 6, გვ. 454).

მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში გამოჩნდნენ პირველი რომანტიკოსები-პოეტები - ალექსანდრე ჭაჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვლი, რომლებმაც 1832 წლის ტრაგიკული ამბების შემდეგ ხმა აიმაღლეს და მომავლის რწმენით მოუწოდებდნენ ხალხს ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ (დაწვრ. იხ. გურამ ასათიანი „წინასიტყვაობა“, ქართ. პოეზია, ტ. 6, გვ. 5-24).

პირველ რომანტიკოსებს თავიანთ პოეზიაში გამოყენებული აქვთ წინა პოეტებთან შედარებით განსხვავებული და ამასთან სპეციფიკური რედუპლიკაციური ფორმები. ამ მიმართებით

საინტერესო იქნება განვიხილოთ რომანტიკოსების პოეზიაში ასახული რედუპლიკაციათა სახეები.

§ 50. რედუპლიკაციური ფორმები ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში

ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846 წ.წ.) რედუპლიკაციური ფორმები იმით გამოირჩევა, რომ იგი მეტწილად იყენებს სიტყვათა შეხამებებისა და წინადადებების (როგორც მარტივის, ისე რთულის) რედუპლიკაციებს. ასეთი რედუპლიკაციები ლექსის ყოველი სტროფის ბოლოს გვხდება. მაგალითად:

1. „ჰსაჯეთ: პყრობილმან უწყისა ტრფობა?
საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!“ („ვაჰ, დრონი, დრონი“, ქართ. პოეზია, ტ. 6, გვ. 29).

ლექსის „ეღების კარი გაზაფხულისა“ პირველ სტროფში 6 სტრიქონია, ხოლო მომდევნო 4 სტროფში - 7-7 სტრიქონი. ყოველი სტროფის ბოლოს მეორდება ორსტრიქონიანი რთული წინადადება: „ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა, | იგემეთ სიტკბო სიყვარულისა!“ (იქვე, 32-34).

ლექსში „უწყალო სენმან“ ყოველი სტროფის ბოლო სტრიქონის გამეორება ხდება: „რომ ბანოვანნი, მუნ მავანნი, ჰყო დაბზარულნი“ (იქვე, 42-43). ა. ჭავჭავაძის სხვა ლექსებშიც ასეთი რედუპლიკაციები ხშირია (იხ. 42-146). უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი რედუპლიკაცია მკითხველს მაინცდამაინც ვერ ანიჭებს დიდ სიამოვნებას.

წინადადებათა რედუპლიკაციის მაგალითების გვერდით, რომელიც ყოველი სტროფის ბოლოს მეორდება, პოეტი კიდევ იყენებს მარცვალთა, სიტყვათა და სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციებსაც. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

1. „სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?

ვინ არს რომე გულსა ტახტად ოხრვას, ხარკად არა გცემდეს?“ („სიყვარულო, ძალსა შენსა“, 35);

2. „ნუ ჰღუპავ თავსა, ნუ ღუპავ მაგა სენითა მწარითა!“ („მიკვირს, რად ჰსძრახვენ“, 61);

3. „ჭივჭავთ ჭივჭივი, ბულბულთ გალობა,
რაყიფთ აქვსთ ჩხუბი, ბასრვა, ბრჭალობა,
ერთმანეთისა დაუხვალობა“ („მოვედ ამ არედ შესამკობელად“, 89);

4. „სვემ მიწვიმა მანანა: | მომივლინა მან ანნა; | მას თან მოჰყვა მანანა. | მინანავა მან ნანა“ („სვემ მიწვიმა მანანა“, 113);

5. „ბედსა ჰგმობს წყევით, ჰგმობს წყევით“ („ნაზი ბენ ნაზის ხმაზე“, 135);

6. „კვლავ იძგერენ: ძალი ძალსა, ცოდნა ცოდნას დაეტოლა“ („ასპარეზთა შინა მორკინალთათვის“, 138);

7. „არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია შავ ღამესა“ („დუგა“, 140);

8. „ვინც გიხილოს, ინატვრიდეს, კვლავცა გნახოს, კვლავცა გნახოს“ (იქვე, 141);

ამგვარად, ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის პოეზიაში მეტწილად იყენებს წინადადებათა რედუპლიკაციებს, რაც ეს მისი სპეციფიკური ხერხია.

§ 51. რედუპლიკაციური ფორმები გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში

გრიგოლ ორბელიანი (1804-1883 წ.წ.) იშვიათად იყენებს თავის პოეზიაში რედუპლიკაციურ ფორმებს. მან ზოგიერთ ლექსში იგივე ხერხი გამოიყენა, როგორიც ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ე.ი. ლექსის ყოველი სტროფის ბოლოს მეორდება მთელი წინადადება. ასეა, მაგ., გარითმული ლექსი „მუხამბაზი“, რომელიც დაწერა პოეტმა ავლაბრის კაზარმაში 1833 წელს. ამ ლექსის ყოველი სტროფის ბოლოს მეორდება რთული წინადადება:

1. „მარამა დღეს არავისთვის მცალიან,

სალომესთან სადილად მეძახიან!“ („მუხამბაზი“, ქართ. პოეზია, ტ. 6, 1975 : 178-179);

ზემოაღნიშნულ გამონათქვამს პოეტი იმავე ლექსში რამდენიმეჯერ უცვლის სახეს, მაგ., ამგვარად: „დამეხსენით, დღეს მე არა მცალიან, | სალომესთან სადილად მეძახიან!“ (იქვე, 179).

მეორე „მუხამბაზი“ დაიწერა 1835 წელს რიგაში. პოეტი ყოველი სტროფის ბოლოს იმეორებს გამონათქვამს: „დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!“ (იქვე, 190-191).

დიდი მიმზიდველობითა და სიამოვნებით იკითხება ლექსი „მუხამბაზი“, რომელიც გრიგოლ ორბელიანმა დაწერა კოჯორში ყოფნისას 1861 წელს. ყოველი სტროფის ბოლოს პოეტი იმეორებს რთულ შერწყმულ წინადადებას, რომელიც ერთგვარ მისამღერს წარმოადგენს“: „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ, | თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!“ (იქვე, 204-205).

გრიგოლ ორბელიანი ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან განსხვავებით მთლიანი წინადადების რედუპლიკაციას ახდენს ლექსის დასაწყისში და დასასრულში. მაგ., ლექსი „კინტოს სიმღერა“, რომელი წინადადებითაც იწყება, იმავე წინადადებით მთავრდება. მოგვაქვს ლექსი მთლიანად, რადგან შიგადშიგ გვაქვს აგრეთვე რედუპლიკაციები, რომლებიც ლექსს მიმზიდველს ხდის:

„რა გინდა ჩემგან, არ დამეხსნები?
ვიწვი, მედება ეშხის ალები!
მინდა დაგწყევლო, - ენა არ მომდევს,
ვფიქრობ, გეჩხუბო, - გული არ მომდევს!
ვაი, ამ ცეცხლში როგორ გავები!
რა გინდა ჩემგან, არ დამეხსნები?“ (იქვე, 224).

ლექსში „სავათნავას მიბაძვა“ გრიგოლ ორბელიანი ყოველი სტროფის მეოთხე სტრიქონში იმეორებს გამოთქმას: „ხინიკო, ხინიკო!“ (იქვე, 180-182).

პოეტი თავის პოეზიაში აქა-იქ იყენებს სიტყვათა რედუ-პლიკაციებს და მხოლოდ ერთჯერ გამოიყენა კვაზი-რედუპლი-კაცია:

„რა ქვე-ქვევით გავსწევ ორთაჭალისკენ!
მტკვრის პირს, ჩარხთან, თავის ლაზათებითა,
სუფრა გაშლით, დამხვდნენ იქ დარდიმანდნი“ („დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“, იქვე, 203).

ასევე მიმზიდველია ლექსი „დროების ათი წლის იუბილე“, რომელიც შემკობილია რედუპლიკაციებით:

„ვერ ისწავლა მესხიმ წერა,
ვერა! .. ვერა!.
და არც ჰსჯერა,
რომ მან წერა,
ვერ ისწავლა, ვერა, ვერა!
ბუქნა: - ჰოო, ჰოო, ვერა! ვერა!“ (იქვე, 213).

დიდი ინტერესით იკითხება გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოვეს“, რომელშიც ძალიან უხვადაა რედუპლიკაციათა ნაირსახეობა. მოგვაქვს რამდენიმე მაგალითი:

„ღმერთო, გვისმინე,
მეფეს მოჰფინე
ძლევა, კურთხევა, მადლი ზეციერ!
ჩვენდა დიდებად,
ბედნიერებად,
მეფე გვიცოცხლე, მრავალ-ჟამიერ!
მრავალ-ჟამიერ!
მრავალ-ჟამიერ!“ (იქვე, 239).

დაბოლოს, მოგვაქვს გრიგოლ ორბელიანის ლექსი „მუხამ-ბაზი“ (1861 წ.), სადაც ლექსის ყველა სტროფის ყოველი სტრიქონის ბოლოს მეორდება გამონათქვამი „მნახე, ვინა ვარ!“:

„ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!

აბა მუშტის კვრივში მნახე, ვინა ვარ! (იქვე, 205).

§ 52. რედუპლიკაციური ფორმები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში

ნიკოლოზ ბარათაშვილის (1817-1845 წ.წ.) შემოქმედება ქართული რომანტიზმის მწვერვალია. საქართველო პოეტის ხანაში წარმოადგენდა მტრების მიერ დარბეულ, გაჩანაგებულ, გაპარტახებულ ქვეყანას. აწმყოს შენება ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო. და, სწორედ, ასეთმა გაუბედურებულმა საქართველომ შვა „მერანის“ ავტორი, მაღალი ინტელექტის, მდიდარი სულის, შეუზღუდავი პოეტური შთაგონების ადამიანი.

გალაკტიონ ტაბიძემ ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელი შემოქმედება მისი ერთი ლექსით შეაფასა და ამით ყველაფერი თქვა დიდმა პოეტმა დიდი პოეტის შესახებ: „როგორ მიჰქროდა | ის მერანი | ფაფარგაშლილი, | სავსე პათოსით | და გრძნეული, | ვით კორმორანი, | იკაწრებოდა | ხალხის ბედით | ბარათაშვილი, | იმ ხალხის, რომელს | თვალბედითი | სდევდა ყორანი“ (ქართული პოეზია, ტ. 13, „საუბარი ლირიკის შესახებ“, თბილისი, 1982 : 413).

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მწყობრ, ნათელ და ჰარმონიულ პოეტიკას ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაუპირისპირა მძაფრი, მღელვარე, წინააღმდეგობებით აღსავსე პოეტური შემოქმედება (დაწვრ. იხ. გურამ ასათიანი, „წინასიტყვაობა“, ქართ. პოეზია, ტ. 6, თბილისი, 1975 : 14-24).

ნ. ბარათაშვილი თავის პოეზიაში იყენებს მრავალი სახის რედუპლიკაციას, თავისებურად, მოხდენილად და გააზრებულად, რაც მის ლექსს დიდად მიმზიდველს ხდის. პოეზიაში გამოყენებულია მარცვალთა რედუპლიკაციები:

1. „ყაფლანც, სულდგმული აშიკობით, დაიღიღინებს“ („ღამე ყაბახზედ“, ტ. 6, თბილისი, 1975 : 259);

2. „ნელად მოღელავს მოდუდუნე, მტკვარი ანკარა“ („ფიქრი მტკვრის პირას“, იქვე, 260);

3. „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?“ (იქვე, 261);

4. „მოციმციმდი, მოდი, გამომედარე, | შენგან ბნელი გული გამომიდარე“ („ჩემს ვარსკვლავს“, იქვე, 263);

5. „ვარდსა და ბულბულს მოელხინარე, | პირმცინარითა | სინარნარითა | მგოსნის ყარიბს გულს ესხივმფენარე!“ („თავადს ჭ... ძის ასულს, ეკ...ნას“, 265);

6. „იტიკტიკე ენითა უსუსურის, | იტიკტიკე, ვიდრე ჟამი დაგხარის“ („ჩვილი“, იქვე 267);

7. „ხმა საკრავისა, ნელ ნარნარისა“ („...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“, იქვე, 267);

8. „ჟუჟუნა თვალნი, | გულთა მომკვლელნი, | მოცინარობენ; | პაწაწა ტუჩნი“ (იქვე, 268);

9. „არღა მევლება გარე წყარო, ცივი, კამკამი“ („სუმბული და მწირი“, იქვე, 279);

10. „ხრმალს ხელი იკრეს მამაპაპურად | და დაერივნენ თავისებურად!“(„ბედი ქართლისა“, იქვე, 295);

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის პოეზიაში ასევე მოხდენილად იყენებს სიტყვათა და სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციებს:

1. „ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი“ („ბულბული ვარდზედ“, იქვე, 251);

2. „ქეთევან, ნაქები გულით, | ნაქები მშვენიერებით!“ („ქეთევან“, იქვე, 254);

3. „თუმც უცხო, უცხო თემად იარე“ („ძია გ...სთან“, იქვე, 258);

4. „პირად-პირადად სეირნობდნენ, კეკლუც-მოსილნი“ („ღამე ყაბახზედ“, იქვე, 259);

5. „და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!“ („ფიქრი მტკვრის პირად“, იქვე, 261);

6. „არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ, | არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!“ (უსახელო ლექსი, იქვე, 273);

7. „ხან ძილსა იკრთობს, ხან სევდით ოხრავს, | ხანცა ყოველს სულს ამხიარულებს, | ხან სიკვდილს იწვევს, ხან შორით ოცნებს, | ხან ჰყვება სოფელს, ხან ცად მიფრინავს!“ (იქვე, 274);

8. „ყოველსა დაშთა შვილები, საშვილისშვილოდ ვაჟკაცნი!“ („ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-ს“, იქვე, 289);

9. „შენი გამჩენის ჭირიმე, შენი, | რომ გაგვაგონე კვლავ ხმა სალხენი!“ („ბედი ქართლისა“, იქვე, 294);

10. „დაჰკრეს ნაღარა, გულნი შეზარა | და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა. | ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა | ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა“ (იქვე, 294-295).

ნიკოლოზ ბარათაშვილი ზოგიერთი ლექსის ერთ სტრიქონზე იყენებს როგორც მარცვალთა, ისე სიტყვიერ რედუპლიკაციებს:

1. „ვით პეპელა | არხევს ნელა-ნელა“ („საყურე“, იქვე, 265);

2. „მიყვარს, მიყვარს, მე ტიკტიკი ჩვილის ყრმის“ („ჩვილი“, იქვე, 266).

მეტად საინტერესო და სასიამოვნო რედუპლიკაცია მოგვცა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის უკვდავ „მერანში“. ლექსი ასე იწყება და მთავრდება:

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!“ (იქვე, 280-281) და ბოლო ორი სტრიქონი თავდება ამგვარად:

„გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!“ (იქვე, 281).

ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის პოეზიაში რამდენიმე მაგალითი მოგვცა კონტრასტული და კვაზი-რედუპლიკაციებისა. კონტრასტული რედუპლიკაციის მხოლოდ ერთადერთი მაგალითი დავაფიქსირეთ, ისიც მი- და მო- ზმნისწინების დართვით; კვაზი-რედუპლიკაციის კი ორი მაგალითი შეგვხდა. ეს მაგალითებია:

1. „ოდეს ნიავი ლამაზს დალალებს

მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს“ (უსახელო ლექსი, იქვე, 285);

2. „დუმილი სუფევს მის არემარე!

მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე, ...“ („ბედი ქართლისა“, იქვე, 310);

3. „არ შეემსჭვალოთ მოკისკასეს, კეკელა ქალსა“ („ჩემთ მეგობართ“, იქვე, 277).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია თავისი რედუპლიკაციური ფორმებითა და მეტაფორული გამონათქვამებით არის „ადამიანის სულის უჭკნობი გამოსხივება, იგი დღემდე განაგრძობს თავის განუწყვეტელ ცხოვრებას და თავისი უშუალო ზემოქმედების ძალით ქართული პოეტური სიტყვის უკვდავებას გვიდასტურებს“ (გურამ ასათიანი, „წინასიტყვაობა“, იქვე, 24).

თავი მეშვიდე

მე-19 საუკუნის საქართველო და ქართული პოეზიის მიმდევრები

$ 53. საქართველოს საშინაო მდგომარეობა მე-19 საუკუნეში

მე-19 საუკუნე თავისი პოლიტიკური მოვლენებით, საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებით ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი პერიოდი იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში, საქართველოს ისტორიაში (დაწვრ. იხ. ქართ. პოეზია, ტ. 10, თბილისი, 1978 : 5-24). ამ საუკუნემ ქართველი ხალხის ბედი დააკავშირა რუსეთსა და რუს ხალხთან.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრისათვის უდიდესი საზოგადოებრივი მოვლენა იყო 1832 წელს მოწყობილი შეთქმულება, რომელიც მარცხით დამთავრდა. ამას მოჰყვა მრავალრიცხოვანი გლეხთა აჯანყებანი და 1861 წელს ბატონყმობის გადავარდნა.

40-50-იან წლებში მოხდა ცვლილებები ქართულ ლიტერატურაში. რომანტიზმი თანდათან უკანა პლანზე გადადიოდა და თავის ადგილს უთმობდა რეალიზმს, რამაც გამოიწვია საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სულიერ კულტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს იყო ქართული კულტურისა და ლიტერატურის ახლებური ხედვა. ეს ის პერიოდი იყო, როცა „ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით ფართოდ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა“ (ნოდარ ალანია, „წინასიტყვაობა“, იქვე, 7).

დიდი ქართველი რომანტიკოსების გვერდით მოღვაწეობდნენ ისეთი პოეტები, როგორიც იყვნენ რაფიელ ერისთავი, ივანე კერესელიძე, გიორგი ჭალადიდელი, ალექსანდრე ყაზბეგი, იოსებ ბაქრაძე, გრიგოლ აბაშიძე და სხვები, რომლებიც თავიანთ პოეზიაში წარმატებით იყენებდნენ რედუპლიკაციურ ფორმებს. მათი პოეზიის განხილვა რედუპლიკაციის შუქზე არანაკლებ

საინტერესოა. შევეცდებით მნიშვნელოვანი მაგალითები მოვიტანოთ თითოეული მათგანის პოეზიიდან, ზოგ შემთხვევაში რედუპლიკაციურ ჯგუფებს გამოვყოთ ცალ-ცალკე.

§ 54. რაფიელ ერისთავი და რედუპლიკაციურ ფორმათა ნაირსახეობა

რაფიელ ერისთავი (1824-1901) თავის პოეზიაში უხვად იყენებს რედუპლიკაციის მრავალსახეობას, რაც ლექსს ანიჭებს დიდ ხატოვნებას, ხდის მას მეტად მიმზიდველს და სასიამოვნოს. მის პოეზიაში გვხდება შემდეგი სახის რედუპლიკაციები:

პირველი ჯგუფი: მარცვალთა რედუპლიკაცია. რაფიელ ერისთავის პოეზიაში საკმაოდ ბლომადაა გამოყენებული მარცვალთა რედუპლიკაციები. მოვიყვანოთ მნიშვნელოვანი მაგალითები:

1. „დიდი კაცი ვარ თანამდებობით | და ხალხის მოვლაც ხომ მეყურება!..“ („ქრთამის წინააღმდეგ“, ქართ. პოეზია, ტ. 10, თბილისი, 1978 : 240);

2. „ჭიკჭიკობს და შეექცევა, | საქმეს არ იქს დასამდურავს“ („მერცხალი“, იქვე, 247);

3. „იკიდებენ მძიმე გოდრებს | სიცილით და ღიღინითა“ („რთველი“, იქვე, 251);

4. „მზე ჩავიდა. საწნახლიდან | მოწანწკარებს ტკბილი წყარო“ (იქვე, 251);

5. „პაწია ბიჭი, ჩჩვილი, ფუნთუშა | ხელს უცაცუნებს ძუძუებზედა“ („სურათი (სოფლის ცხოვრებიდან)“, იქვე, 263);

6. „ჩუმად ბუტბუტებს გულხელი: | - მომიკვდა ხარი გიშერა“ („თანდილას დარდი“, იქვე, 265);

7. „არ შემარჩინეს ზედაშე, | გოჭი, ქათამი, წიწილა, | არც საბუდარში კვერცხები, | გამომილიეს სინსილა!..“ („ბერუას ჩივილი“, იქვე, 266);

8. „მიწის პატრონიც მე მწიწკნის, | ჭინჭველაც ჩემი მტერია“ („სესიას ფიქრები“, იქვე, 268);

9. „ი დასაქცევმა სეტყვამა | კარს მომაყენა შიმშილი!..“ („ტეტიას მოთქმა“, იქვე, 269);

10. „ცა კამკამებდა ლურჯადა“ (იქვე, 269);

11. „და ფუტკარიც მიზუზუნებს | ყვავილისკენ თაფლისთვინა!..“ (იქვე, 271);

12. „კოდალა ხეს უკაკუნებს, | და მწყერჩიტა ცაში გალობს!“ (იქვე, 271);

13. „ან სად წავიღო, სად ჩავფლა | ე მამა-პაპის ძვლებია!..“ („მოხუცი ხიზანი ყმაწვილ მემამულეს“, იქვე, 274);

14. „ქედი ამომწვა მზე-ყინვამ, | ლაპლაპებს, როგორც გიშერი“ („რას შემომცქერი, ძმობილო?“, იქვე, 276);

15. „რა ისმინა დედოფალმა, | უცებ ზეზე წამოვარდა“ („ასპინძის ომი“, იქვე, 296).

მეორე ჯგუფი: სიტყვათა რედუპლიკაციები. რაფიელ ერისთავი თავის პოეზიაში იყენებს სიტყვათა ისეთ რედუპლიკაციებს, რომლებიც იწერება ერთად ან დეფისით:

1. „სიყრმითვე თვალთა კილონი | ერთმანეთს შესწებებოდა“ („ორჯერ დაბადებული“, იქვე, 233);

2. „რასა ჰგონებდა საბრალო, | ხელახლად დაბრმავდებოდა!“ (იქვე, 233);

3. „საურმეზე გოდრები დგას, | კალათს სცლიან ზედიზედა“ („რთველი“, 251);

4. „თავთავმა თავი დახარა, | ყველამ გალესა ნამგალი“ („თინიას მამითადი“, იქვე, 261);

5. „ურმით მიაქვთ საწნახლისკენ, | ნება-ნება, ჭრიჭინითა...“ („რთველი“, იქვე, 251);

6. „მარცვალს ამზადებ მსხვილ-მსხვილსა, | უფალმა ასე ბრძანაო!“ („ყანა“, იქვე, 258-259);

7. „ჰკრეს ბუკსა, დაფ-დაფი იკვრის, დიდი რამ როგორც ხალამი“ („ასპინძის ომი“, იქვე, 286);

8. „ვა-თუ რამე მარცხი შაჰხვდეს, ვა-თუ დავრჩეთ ჩვენ პირშავი?..“ (იქვე, 287);

9. „შვიდი დაკაფა ხმალ-და-ხმალ, რიგი ხანჯალზედ დგებაო!..“ (იქვე, 295);

10. „ამ დროს, მართლა, იქ მობრძანდა თვით ირაკლი გმირთა-გმირი“ (იქვე, 297);

მესამე ჯგუფი: ცალ-ცალკე ხმარებული სიტყვათა რედუპ-ლიკაციები. რაფიელ ერისთავის პოეზიაში გვხდება აგრეთვე სიტყვათა ისეთი რედუპლიკაციები, რომლებიც იწერება ცალ-ცალკე, შეიძლება ისინი არსებობდნენ ლექსში გვერდიგვერდ ან სხვადასხვა ადგილას განცალკევებული:

1. „- ვიცნობ, ვიცნობ მაგ შავთვალას, ...“ („მერცხალი“, იქვე, 247);

2. „აგერ, აგერ ყანებშია | „ჰოოპუმას“ იძახიან, | ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, | ქერს მორჩნენ და პურსა მკიან“ („ზაფხული“, იქვე, 248);

3. „ - ვაშა, ვაშა მუშა ხალხსა, | ღმერთმა იმათ გაუმარჯოს!...“ (იქვე, 250);

4. „ჩქარა, ჩქარა რთველი, თორემ | კოღო, ბუზი თავს დაჰბზუის“ („რთველი“, იქვე, 250);

5. „გაჰკრეს, გაჰკრეს ვენახს ხელი“ (იქვე, 251);

6. „ყურძენს სვლეპენ, იცინიან | და მოაბეს მხარი მხარსა“ (იქვე, 250);

7. „ცხელა და ცხელა, პაპანეგაა“ („სურათი (სოფლის ცხოვ-რებიდამ)“, იქვე, 263);

8. „აქა, მამილო! მამილო, აქა!“ - | დედა იძახის შვილის მაგივრად“ (იქვე, 263);

9. „ამაყოფს ცოლით, ამაყოფს შვილით, | ამაყოფს, რომ აქვს ბევრი ნამკალი...“ („სურათი“, იქვე, 264);

10. „რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, | რით მოვიცილო ჭირია!..“ („ბერუას ჩივილი“, იქვე, 267);

11. „მიწაა ჩემი დედ-მამა, | ჩემი და, ჩემი ძმობილი ...“ („სესიას ფიქრები“, იქვე, 268);

12. „არა და არა, ნათლიავ!.. | მენა აქა მაქვს სახლ-კარი“ („მოხუცი ხიზანი ყმაწვილ მემამულეს“, იქვე, 274);

13. „ცულს და ბარს მოვაქნევინე, | ვგრიხე და ვგრიხე წნელები“ („რას შემომცქერი, ძმობილო“, იქვე, 275);

14. „იბრძვის და იბრძვის ერისთვის, | ქვეყანას მისცემს შვებასა“ („კაცი ის არის“, იქვე, 278);

15. „ჰყვავის და ჰყვავის მუდმისად, ყინვისგან დაუმზრალია“ („ასპინძის ომი“, იქვე, 281);

16. „რაზმი და რაზმი დააწყეს, მიუჩინეს უფროსები“ (იქვე, 286);

17. „ჯარი შეჩერდა, მოუსხდა ვინ კლდესა, ვინ ქვას, ვინ ხესა...“ (იქვე, 287);

18. „დავერივნეთ! გავწყდეთ, გავწყდეთ!.. და შეიძრა ისევ ჯარი...“ (იქვე, 293);

19. „მტერი უხიდოდ დამხრჩვალი, მიაქვს და მიაქვს მტკვრის წყალსა“ (იქვე, 295);

20. „შეჰკივლა და შეიკივლა, იცრემლა და გულს იდარდა“ (იქვე, 296);

21. „ხალხმა ერთობ შემოსძახა: - ადღეგრძელოს! ადღეგრძელოს!

- გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

- ღმერთმა ხელი მოუმართოს!“ (იქვე, 298).

მეოთხე ჯგუფი: სიტყვათა შეხამებებისა და წინადადებათა რედუპლიკაციები. რაფიელ ერისთავი, გარდა სიტყვათა რედუპლიკაციებისა, თავის პოეზიაში იყენებს სიტყვათა შეხამებებისა და წინადადებათა რედუპლიკაციებსაც:

1. „მე ქრთამს არ ვეძებ, თქვენც კარგად იცით; | ამას არ უნდა კვეხნა და ფიცი.“(„ქრთამის წინააღმდეგ“, იქვე, 240); ლექსში „ქრთამის წინააღმდეგ“ აღნიშნული მთლიანი წინადადების რედუპლიკაცია ხდება ხუთჯერ, მაგრამ ოდნავ შეცვლილი სახით. აი ეს სახეები: 1. „მე ქრთამს არ ვიღებ, განა არ იცით? | თუ გსურთ, გარწმუნებთ მე ამას ფიცით!“ (იქვე, 241); 2. „ეს რა ქრთამია, განა არ იცით? | მოსაკითხია, გარწმუნებთ ფიცით!“ (იქვე, 241); 3. „ეს რა ქრთამია, განა არ იცით? | მოსაკითხია, გარწმუნებთ ფიცით!“ (იქვე, 242); 4. „ეს ქრთამს არა ჰგავს, რომ

შემოგფიცოთ... | ხომ შეგიძლიათ, თქვენც დაამტკიცოთ?..“ (იქვე, 242-243); 5. „ჯერ ქრთამს არ ვიღებ, განა არ იცით? | ხალხს არ დავჩაგრავ, გარწმუნებთ ფიცით“ (იქვე, 243).

დასკვნითი წინადადება გვაუწყებს იმის შესახებ, რომ პიროვნება, რომელზეც საუბარია ლექსში, ქრთამს არასოდეს იღებს. ამიტომ რედუპლიკაციურ ფორმებს შეცვლილი სახით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსში და პოეტის ეს ხერხი საინტერესო ჩანაფიქრია.

1. „კაცი ის არის, ვინც მამულს | გამოადგება შვილადა“ („კაცი ის არის“, იქვე, 278) და „კაცი ის არის, ვინც მამულს | ეტრფის და ეთაყვანება“ (იქვე, 279);

2. „ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა, | მიყვარს სამშობლოს მე დედაენა!“ („დედაენა“, იქვე, 244-245), - ლექსში ხდება ამ მთლიანი ტექსტის გამეორება ორჯერ. მაგრამ სხვა შემთხვევაში აქვე მოცემულია ამავე გამონათქვამის შეცვლილი სახე (იხ. იქვე, 44).

რედუპლიკაციური წინადადების ცვალებადობა ლექსს ხდის უფრო მიმზიდველს და შინაარსიანს.

1. „რას ჟღურტულებ ნეტა, ჩიტო? | - „ბერი ცხონდა, ბერი ცხონდა“ („მერცხალი“, იქვე, 248);

2. „ჩამოგვიცხა, ჩამოგვიცხა, | ქერს მორჩნენ და პურსა მკიან“, - სამჯერ ხდება გამეორება ამ წინადადებისა („ზაფხული“, იქვე, 248-250);

3. ძალიან მიმზიდველია ლექსი „სამშობლო ხევსურისა“, სადაც ლექსის ყოველი სამი სტრიქონის შემდეგ ხდება გამეორება გამონათქვამისა: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, | არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..“ (იქვე, 253-254);

4. ლექსის სათაური „ნეტა რას სტირი, დედილო? (აღა-მაჰმად-ხანის დროის)“ მეორდება ყოველი სტროფის დასაწყისში, გარდა ორი სტროფისა. მაგრამ პირველი სტროფის მთლიანი ტექსტის რედუპლიკაცია ხდება ლექსის ბოლო სტროფში, რომელიც ერთდაგვარ დასკვნასაც გულისხმობს:

„ნეტა რას სტირი, დედილო? -
რას ჩამომxდარხარ კერასა?
ასი მკრან გულში, მირჩევნის,
მტირალი ქალის ცქერასა!.. (იქვე, 255 და 256);

5. სიტყვათა შეხამების რედუპლიკაცია:

„ყანავ, შენ ჩემო ყანაო,
ნამი გიამა განაო!"...
„ყანავ, შენ ჩემო ყანაო,
ტურფავ და ლერწამტანაო" („ყანა", იქვე, 258);

6. ზოგიერთ ლექსში ხდება რედუპლიკაციურ გამონათქვამში ფორმების გადაადგილება:

„მამითადი ჰყავს თინიას,
დღეს არის მისი ლხინია,
ციბრუტივითა ტრიალებს
საწყალობელი თინია!.." (ლექსის „თინიას მამითადი" პირველი სტროფი, იქვე, 261) და ბოლო სტროფი:

„ციბრუტივითა ტრიალებს
საწყალობელი თინია,
მამითადი ჰყავს თინიას,
დღეს არის მისი ლხინია" (იქვე, 262);

7. მთლიანი სტროფის რედუპლიკაციას ახდენს რაფიელ ერისთავი ლექსში „გუთანი". ამას იგი აკეთებს ლექსის დასაწყისში და ლექსის ბოლოს. ეს სტროფია;

„გადი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო,
სახნის-საკვეთო, გაუსვი,
რომ კაჭაჭს ძირი უთხარო" (იქვე, 267 და 268);

8. ლექსში „ტეტიას მოთქმა" იგივე რედუპლიკაცია ხდება, რაც ლექსში „გუთანი":

„ნეტა რა წყალში ჩავვარდე,
რით გამოვკვებო ცოლ-შვილი?
ი დასაქცევმა სეტყვამა
კარს მომაყენა შიმშილი!.." (იქვე, 269 და 270);

9. ლექსში „რას შემომცქერი, ძმობილო?“ მთლიანი სტროფის გასამმაგება ხდება: დასაწყისში, შუაში და ბოლოში:

„რაც ვიყავ, ისევ ისა ვარ,
მიდგას მე კარგი ყანები,
გლეხად დამბადა უფალმა,
იმასაც ვეთაყვანები!...“ (იქვე, 275-276);

10. ლექსში „მევენახის სიმღერა“ რ. ერისთავი ახდენს მთლიანი სტროფის რედუპლიკაციას ლექსის დასაწყისში და მის ბოლოს:

„ვაზის ჭირიმე, ვაზისა,
უფლისგან კურთხეულისა,
წითელი ღვინის დედაა,
გამხარებელი გულისა“ (იქვე, 279 და 280).

რაფიელ ერისთავი თავის პოეზიაში იყენებს აგრეთვე კონტრასტულ და კვაზი-რედუპლიკაციებს. ერთადერთი მაგალითი დავაფიქსირეთ რიცხვით რედუპლიკაციაზეც:

1. „გადიან და გამოდიან,
უმადლიან ყურძნის რთველსა“ („რთველი“, იქვე, 252);
2. „გადი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ ბანი უთხარო“ („გუთანი“, იქვე, 267);
3. „და გრიალებდა წყეული,
მირეგვ-მორეგვა ხეხილი“ („ტეტიას მოთქმა“, იქვე, 270);
4. „მთლად ავთრთოლდით,
მახსოვს შენცა და მეცა...“ („სიმღერა“, იქვე, 276);
5. „წასწევენ და წამოსწევენ,
პანტასავით ცვივა მკვდარი“ („ასპინძის ომი“, იქვე, 294);
6. „ჩქაფაჩქუფით მოჩქრიალებს,
ქვევრი დახვდა უმაძღარი!..“ („რთველი“, იქვე, 252);
7. „ხვითქი გადასდის გულგაღეღილსა
და ახალუხიც არ მოსდევს მშრალი“ („სურათი (სოფლის ცხოვრებიდამ)“, იქვე, 263);
8. „სჭექს და მოქუხს ზარბაზანი, თოფების ტკაცა-ტკუცია“ („ასპინძის ომი“, იქვე, 287);

9. „ათას-ათასი ოსმალო, ლეკებს რომ ქართლზედ ამტერებს,
დასდევნებია მეფესა, მოჰსხმია ასპინძის სერებს“ (იქვე, 290).

ამგვარად, რაფიელ ერისთავმა თავის პოეზიაში თავისებურად გამოიყენა რედუპლიკაციური ფორმები. მის პოეზიაში უხვადაა მარცვალთა, სიტყვათა, სიტყვათა შეხამებების, წინადადებების, მთლიანი ტექსტის, კონტრასტული და ა.შ. რედუპლიკაციები. სხვა პოეტებისაგან განსხვავებით, იგი ახდენს რედუპლიკაციური ფორმების შიგადაშიგ გადაადგილებას, რითაც თავის პოეზიას ძალიან მიმზიდველს და სასიამოვნოს ხდის. განსაკუთრებით რაფიელ ერისთავის ლექსები მოსწონთ პატარებს. ამიტომ შეცდომა იყო, როცა დაწყებითი სკოლის ქართული ენის სახელმძღვანელოდან ამოიღეს რაფიელ ერისთავის ლექსები. პოეტის ლექსებს დიდი მონდომებით და ხალისით სწავლობდნენ ბავშვები.

§ 55. რედუპლიკაციური ფორმები გრიგოლ აბაშიძის პოეზიაში

როგორც რაფიელ ერისთავმა თავის პოეზიაში მოგვცა რედუპლიკაციათა ფორმების ნაირსახეობა, ასევე გრიგოლ აბაშიძემ (1866-1903) ქართული პოეზია გაგვილამაზა სხვადასხვა რედუპლიკაციური ფორმებით, რის საფუძველზე ყოველი ლექსი მიმზიდველი გახადა. პოეტი თავის პოეზიაში იძლევა რედუპლიკაციათა შემდეგ სახეებს:

მარცვალთა რედუპლიკაციები:

1. „ხმა განუწყვეტლად ვარდთ მიჯნური, სტვენდა ბულბული, საამო ხმებით იყო არე დატყვევებული“ (ქართ. პოეზია, 1978, ტ. 10 : 384);

2. „და იმის ნაცვლად იმავ კირწზედ მშვენიერება კუკური უცხო-ფოთლიანი აყვავებულა“ („ვარდი“, იქვე, 385);

3. „აღტაცებული ყურს უგდებს | მის მოტიტინე ენასა“ („ორი სურათი“, იქვე, 386);

4. „და სალომ-გმირი იმედით | ზედ დაღიღინებს ნანასა“ (იქვე, 387);

5. „ფრინველნი ტკბილად გალობენ, | აჭიკჭიკებენ ენასა“ (იქვე, 387);

6. „და ნიშნად მისი სიწმიდის | თავზე გვირგვინსა უწნავენ...“ (იქვე, 387);

7. „არად მიაჩნის ნანინა | იმედნეულის დედისა!..“ (იქვე, 387);

8. „კამკამ-ნეტარებს ლურჯი ცა, |ძილად მზადდება სოფელი“ (იქვე, 388);

9. „ვარსკვლავნი მოკამკამენი ცის მრთველად აღარ არიან“ („ზამთარი“, იქვე, 390);

10. „ყანები, მადლით ნათესი, | მოგვმადლო, აგვიბიბინო, | მამათ ანდერძის დაგვარად | ცხოვრება დაგვიგვირგვინო!..“ („ოჰ, ღმერთო ჩემო, ცხოვრება“, იქვე, 395);

11. „მაგრამ კვლავ შევხვდი იმ ყვავილს, სანატრელს, სანარ-ნაროსა“ („როს სიჭაბუკე შემწევდა“, იქვე, 405);

12. „ხანა კვნესიან გულთან ერთად და ცრემლსა ღვრიან,

ხან კისკისებენ, უდარდელად გაიმღერიან“ („ჩანგის სიმები“, იქვე, 406);

13. „იმ ქვეყნის ლამაზს ბუბუს სწოვს, | ანგელოზთ უსმენს ზღაპარსა. | სამოთხის ვარდით გულს იმკობს, | სწმენდს თავის ისრებს ნარ-ნარსა“ („მთას“, იქვე, 411);

14. „ოდეს წინსვლის წმიდა სხივი | იმედს ჰსახავს კაშკაშ ცაზე“ („რას მიქვია მწუხარება“, იქვე, 412);

15. „ჩონგურს ვუწყობ რწმენით სიმებს, | გავღიღინებ მთად და ბარად...“ (იქვე, 413);

სიტყვათა რედუპლიკაცია:

1. „ჰა, ნახე გული, გულიც მეტად გახარებულა...“ („ვარდი“, იქვე, 385);

2. „ურწევს და ურწევს აკვანსა | მზის დარს და ვარდისთა-ნასა“ („ორი სურათი“, იქვე, 387);

3. „ხან ემუქრება, ხან ლოცავს, | ხანაც აფიცებს სიყვარულს“ (იქვე, 388);

4. „ჰკივის და ჰკივის გრიგალი, მხეცებრივ გაგიჟებულა!...“ („ზამთარი“, იქვე, 390);

5. „არე, მკერდ-აყვავებული, | აღარ კვნესს, აღარ გმინავსა!“ („გაზაფხული“, იქვე, 391);

6. „სტირს მთათა თეთრი სამოსი, | დნება და დნება ცრემლადა“ (იქვე, 391);

7. „მიყვარს სიცოცხლე, მიყვარს ცხოვრება, | მიყვარს, მიყვარდა და მეყვარება“ („ოპტიმისტის სიმღერა“, იქვე, 396);

8. „მიყვარს სამშობლო - ეს გმირთა მხარე, | მტრის ზარ-დამცემი, მოყვრის მოყვარე“ (იქვე, 396);

9. „ხვალ ეს ყოველი გაჰქრება, | გაჰქრება მზითა „ვით ბნელი!“ („არ გაგიკვარებთ, სევდებო“, 398);

10. „განქრა, განქარდა შეუმჩნევლად, | განქრა თვით გრძნობის უცხო მხილება“ („თ. გიორგი ერისთავს (სახსოვრად)“, იქვე, 400);

11. „ნუ გინდა ვარდი, ნურც ია, | ნურც განძი ოქრო-თვალისა, | ნურც უკვდავება ზეარსთა, | ნურც სკიპტრა დედოფალისა; || ნურცა სალამი ცბიერთა, | ნურც ცრუ აშიყთა გალობა: | შენ შენი ეშხიც გეყოფის | და შენი კარგი ქალობა!..“ („ნუ გინდა ვარდი, ნურც ია“, იქვე, 401-402);

12. „ნუ, ნუ მოშლი ჭექა-ქუხილს, | გვირგვინით სული აჰყვავდების“ („მდინარეს“, იქვე, 404);

13. „ბრძოლა შეიქმს სულის ძალსა, | სულის ძალა - სიყვარულსა, | სიყვარული - სამართალსა, | სამართალი - სიხარულსა!..“ (იქვე, 404);

13. „შორს, შორს ცის კიდეს მივჩერებოდით“ („გახსოვს, მაცდურო, შენ ის საღამო“, იქვე, 408);

14. „ახლა? ოჰ, ახლა?.. ღმერთს გეფიცები | ხან და ხან შხამად გარდვიქცე მინდა; | მინდა მოვიმხრო ბელზებულები, | მაცდური, შმაგი, თვით არაწმინდა“ (იქვე, 408);

15. „რა იციან, თუ მგოსანი | რას ჰფიქრობს და რას იგონებს“ („დასცინიან მგოსანს, მის ჩანგს“, იქვე, 410);

სიტყვათა რედუპლიკაცია (ხმარებული შერწყმულად და დეფისით შეერთებული). მაგალითები ერთად:

1. „და ნიშნად სიბრალულისა | ხელ-უხლებ გვირგვინს უწნავენ...“ („ორი სურათი“, 389);

2. „დადიხარ კარის-კარ მარად“ („მესტვირეს“, იქვე, 392);

3. „არას გთხოვ ნაცვლად... მხოლოდ კი | ხანდახან მომიგონებდე“ („სიდგან მოფრინდი, სად, ვისთან?“, იქვე, 397);

4. „ოდეს სახელი, დიდი ოჯახი | და ძველთა-ძველი წეს-წყობილება“ („თ. გიორგი ერისთავს (სახსოვრად)“, იქვე, 400);

5. „ენა მდიდარი, შეფერხებული, | ხელახლად შეჰქმნა აყვავებული“ (იქვე, 401);

6. „ჩვენგან მადლობა და სიყვარული | საშვილიშვილოთ მოეხსენება!.. (იქვე);

წინადადებათა რედუპლიკაცია.

გრიგოლ აბაშიძე თავის პოეზიაში იყენებს აგრეთვე წინადადებათა რედუპლიკაციებს, ლექსში მთლიანი წინადადება ზოგჯერ რამდენიმეჯერ მეორდება. მაგალითები: ლექსში „ოპტიმისტის სიმღერა“ გამონათქვამის - „მიყვარს სიცოცხლე, მიყვარს ცხოვრება, | მიყვარს, მიყვარდა და მეყვარება“ ხდება გამეორება, - პირველად იგი ლექსის დასაწყისშია და შემდეგ ლექსის ბოლო ორი სტრიქონის წინ (იხ. ქართ. პოეზია, ტ. 10, თბილისი, 1978 : 396).

წინადადების რედუპლიკაცია აქვს გამოყენებული პოეტს ლექსში „სიმღერა“. ეს არის ექვსსტროფიანი ლექსი, სადაც ყოველი სტროფის ბოლო სტრიქონის გამეორება ხდება: „შენ შემოგევლე, შენი ჭირიმე!“, ოღონდ მეექვსე სტროფის ბოლო სტრიქონი ოდნავ შეცვლილი აქვს ასე: „ერთი მიტირე, შენი ჭირიმე!“ (იქვე, 399-400).

§ 56. რედუპლიკაციური ფორმები ვახტანგ, მიხაკო და ალექსანდრე ორბელიანების და სხვათა პოეზიაში

ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში მეტწილად არის მარცვალ–თა და სიტყვათა რედუპლიკაციები:

1. „გარნა ბულბული ნაზად და წყნარად | სტვენდა სიყვარულს მარად და მარად“ („ბულბული“, ქართ. პოეზია, ტ. 10, თბილისი, 1978 : 26);

2. „მშვიდობით, ველნო, საყვარელნო, ზურმუხტნო ველნო! ბორცვნო, ჭალაკნო მშვენიერნო, ტურფა არენო, ... | წყალნო ალმასნო, მოცინარნო, მოკამკამენო! | მშვიდობით, ჩემო გამომზრდელო, ჩემო მამულო! | მშვიდობით, მაგრამ შენთან მრჩება ოცნება ტკბილი ... | სადა გინდ ვიყო, რაც გინდ ვიყო, ვარ შენი შვილი!“ („გამოსალმება“, იქვე, 25);

3. „იყავ დიდებულ და დიდებულთ იყავ შვენება, | ჩემის სამეფოს გვირგვინისა შენ ხარ დიდება! | ვინ იყო იგი და რა იყო იმის სახელი? | ის იყო შოთა დიდი შოთა რუისთაველი!“ („ობოლი“, იქვე, 62).

მიხაკო ორბელიანი მის ერთადერთ უსახელო ლექსში იყენებს სიტყვათა რედუპლიკაციას: „ჩუენ რასა ვბაძავთ ფილო–სოფოსთა, | ან ჩუენ რადა ვთვლით მაღლა ვარსკვლავთა - | იმათი დღენი სიბრძნით ტანჯულნი | განვლიან მწარედ ამა სოფლადა“ (იქვე, 151).

პოეტი ალექსანდრე ორბელიანი თავის პოეზიაში ძირითა–დად იყენებს კითხვითი სიტყვების რედუპლიკაციას. კითხვითი სიტყვები ზოგჯერ მონაცვლეობენ უარყოფით ნაწილაკებთან: „რას დამცინი? რას კოხტაობ? რას ტრაბახობ? რას ბაქბუქობ? | ნუ დამცინი, ნუ კოხტაობ, ნუ ტრაბახობ, ნუ ბაქბუქობ“ („მოხუცე–ბული ყმაწვილკაცს (ექსპრონტად)“, იქვე, 171). სხვა შემთხვევაში პოეტი იყენებს მარცვალთა რედუპლიკაციას:

1. „თვალნი მოშავნი, მოჟუჟუნარნი | მომკვლენ თვის წინა გაუკითხავნი“ („მშვენიერას ქართველას“, იქვე, 168);

2. „პირბადრსა შენსა და ტანს ნაგებსა | მონარნარ ნაზსა ვეტრფიალები“ (იქვე, 168).

სოლომონ რაზმაძე ნაკლებად იყენებს პოეზიაში რედუპ–ლიკაციას. რამდენიმე მაგალითია სიტყვათა, სიტყვათა შეხამებებისა და წინადადებების რედუპლიკაციისა:

1. „ეჰა მამულო, ეჰა მამული! | გაჰქრი, რად მინდი უმისოდ სულო!“ („მამულს“, იქვე, 142);

2. „ვაიმე დედავ, ვაიმე დედავ! | ვგოდებ ნიადაგ, რომ ვერა გხედავ!“ (იქვე, 142);

3. „მისმან მახვილმან მგმიროს და მგმიროს“ („სოფელს“, 145).

მიხეილ თუმანიშვილმა პოეზიაში გამოიყენა მარცვალთა, სიტყვათა და სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციები:

1. „კამკამ წყარონი ხეივანთ შორის | იდუმალ დენით მობუტბუტებენ“ („ღამე“, იქვე, 154);

2. „რად დამდე ჯაჭვი დამონების? რად მიმიზიდავ ... („სალამური“, იქვე, 153);

3. „იყო დრო, ოდეს მშვენიერი ესე ბუნება ... | იყო დრო ... მაგრამ, ჰე მაცთურო ამაოებავ“ (იქვე, 153).

პოეტი გრიგოლ რჩეულიშვილი ალექსანდრე ორბელიანის მსგავსად პოეზიაში იყენებს კითხვითი სიტყვების რედუპლი–კაციას:

„ნუთუ, ტურფავ, უძლიერეს უცებ გიწყო ძგერა გულმა?
ნუთუ, მართლა ყინულის მთა გარდაგიდნო სიყვარულმა?
ნუთუ, ტანჯვა სიყვარულის უზრუნველმან იცის უკვე?
ნუთუ, ამა ტკბილმა გრძნობამ აღგიშფოთა სიჭაბუკე?“ („... სადმი“, იქვე, 180);

რჩეულიშვილის პოეზიაში გვხდება აგრეთვე სიტყვათა რედუპლიკაციებიც:

1. „მესალმე, ჩემო თვალის სინათლევ, | მესალმე, ჩემო ბედნიერებავ, | ჩემო იმედო, ჩემო სიცოცხლევ, | გესალმი შენცა, კეთილცხოვრებავ!“ („გამოსალმება“, იქვე, 177);

2. „ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო, | მსურს ჩემი ტანჯვა შენც გაგიბედო“ („მთვარე“, იქვე, 179).

პოეტი და დრამატურგი, ჟურნალ „ცისკრის“ გამომცემელ-რედაქტორი გიორგი ერისთავი (1813-1864) თავის პოეზიაში მეტწილად იყენებს სიტყვათა რედუპლიკაციებს, რომლებიც იწერება ცალ-ცალკე და ერთად, ზოგჯერ - დეფისით:

1. „მერე უთხრას ხმა ნაზით: გეტრფი, გეტრფი და გეტრფი!..“ („რეცეპტი“, იქვე, 186);

2. „ჰოი, სიჭაბუკევ, სიჭაბუკევ! ვითარ ხარ ტკბილი“ (იქვე, 203);

3. „აჰა, ერთმანეთს მოეხვევიან | და უბნობისგან დადუმდე-ბიან“ (იქვე, 203);

4. „ჰყვეს მხნე ბიძინა განშიშვლებული, | ჰქმნეს ნაწილ-ნაწილ დაწვლილებული“ (იქვე, 195).

შენიშვნა: ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ფორმის „ხანდახან“ გვერდით იხმარებოდა ფორმა „ხანდისხან“: „არის ღამე ბნელი. ხანდისხან მთვარე | დახედავს ღრუბლით ველისას გარეთ“ (იქვე, 204).

ქართველი პოეტი, მწერალი მთარგმნელი და სახელოვანი მოღვაწე ივანე კერესელიძე (1829-1892) თავის პოეზიაში საკმაოდ უხვად იყენებს სხვადასხვა ტიპის რედუპლიკაციებს:

მარცვალთა რედუპლიკაცია:

1. „მდიდარი, გლახა, დიდი, პატარა, | ...| ქვეყნად მოვიდა და დაემყარა“ („ერთია კაცი ბუნებისათვის“, იქვე, 206);

2. „ჩვენ მამა-პაპათ მოსაგონებლად, | ზედ ამჩნევია გმირუ-ლი ღვაწლი“ („ძმაო ქართველო, ძმობასა ვფიცავ“, იქვე, 209);

3. „ზამთარია, ყინვისაგან ვცახცახებ“ („ჩემს მეგობარს“, იქვე, 212);

4. „ფრინველნი მოჰყვნენ ჭიკჭიკით ფრენას“ („გაზაფხული“, 217);

სიტყვათა რედუპლიკაცია:

1. „ტურფავ, დაჰკა, დაჰკა გრძნობით!“ („სიმღერა“, იქვე, 207);

2. „აგერ, მოვიდა კვლავ გაზაფხული, |ტურფა სტუმარი, ტურფად მორთული“ („გაზაფხული“, იქვე, 217);

2. „შველის ნაცვლად რომ ძმა ძმას სჭრის ყელსა“ („ელეგია“, 222);

4. „მკითხველო! ჩემს სახლს რას დააცქერდი, | რას ჩამომ–ყურებ დაფიქრებული?“ („ჩემი ეპიტაფია“, 217);

5. „ამ ახალთ წელთა წყნარ-წყნარ შემისვეს“ („ახალი წელი“, იქვე, 220).

წინადადებათა რედუპლიკაცია:

1. „ბევრს დაეძებ შიმშილითა ცხვირწინ მოძმე თუ გიკვ–დება!“ (მოცემულია ლექსის დასაწყისში და მის ბოლოს) , („დაიძინე, ჩემო ძმაო!“,იქვე, 211-212);

2. „ხომ იცი, რომ ეს გული ტახტად მარად შენია!“ (ლექსის „ჩემო თვალის სინათლევ“ დასაწისი, იქვე, 215 და ლექსის ბოლოს: „კიდევ გეტყვი, ეს გული ტახტად მარად შენია“ (იქვე, 216);

3. „მაშ, რათ მიხარის ახალი წელი?..“ (ლექსში „ახალი წელი“ ეს გამონათქვამი სამჯერ არის გამეორებული, იქვე, 219-221);

ტექსტის რედუპლიკაცია (იგულისხმება მთლიანად სტრო–ფის გამეორება):

„ძმაო ქართველო, ძმობასა ვფიცავ,

რომ მოიარო მთელი ხმელეთი,

ჩვენი სამშობლო ქვეყნისა მსგავსი,

შენ ვერ შეგხვდება კუთხე ვერც ერთი!“ (ამ სტროფის გამეორება ხდება ლექსში „ძმაო ქართველო, ძმობასა ვფიცავ“, იხ. იქვე 208 და 210).

კონტრასტული რედუპლიკაცია:

1. „გამვლელი და გამომვლელი მიყურებს, | ძლიერ მშია, მათ სიცილს ყურს ვინ უგდებს“ („ჩემს მეგობარს“, იქვე, 212);

2. „ჯერ პირველად გაიარ-გამიარა“ (იქვე, 213);

3. „ტრფობით ნაკადნი აქა-იქ დენას, | უხარის ყველას და გააქვს მღერა“ („გაზაფხული“, იქვე, 217)

და ერთი მაგალითი გვაქვს კვაზი-რედუპლიკაციაზე: „მყუდროს მოუცავს გარს არემარე“ („მშვიდობიანი სურვილი“, 214).

პოეტ გიორგი ჭალადიდელის (ქოჩაკიძე) (1847-1898) ლექ–სები სასიმღეროდ იქცნენ მას მერე, როცა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში შევიდნენ ისინი. მისი ლექსები რედუპ–ლიკაციათა ნაირსახეობითაა მოსილი, ისე როგორც ეს გამოიყენა რაფიელ ერისთავმა. მოგვაქვს რამდენიმე მაგალითი:

1. „ამფერუმ მისსა შრომას,
ქება იმისს ოფლის წვეთს,
ქება მისს მუშურსა ხმას
და მისს მარტოხელა ბედს“ („ქება შრომას“, რომელშიც აღნიშნული სტროფი მეორდება ყოველი სტროფის შემდეგ როგორც მისამღერი, იხ. იქვე, 304–305);

2. ლექსის „ნეტარ არს კაცი“ ყოველი სტროფის დასაწყისი იწყება სიტყვათა შეხამებით „ნეტარ არს კაცი“ (იქვე, 307-308);

3. „მაშ ისევე ტყეს საყვარელს | გავძახებ და გამოვძახებ!..“ („გამოხმობა“, იქვე, 309);

რედუპლიკაციური განსხვავებანი:

1. „მიყვარს ფაცხა მე მეგრული,
მთა-კორტოხზე წამოდგმული,
უფიცრო და უყავარო,
წვრილის წკნელით ჩახლართული!“ („ფაცხა“, იქვე, 313) და

2. შეცვლილი ვარიანტი: „და მისი ვარ მეც ერთგული, | მორჩილი და მოყვარული, | ვისაც უყვარს ჩვენი ფაცხა, | წვრილის წკნელით ჩახლართული“ (იქვე, 315).

ალექსანდრე ყაზბეგი (1848–1893) პოეზია მოხევთა ხალხურ შემოქმედებას დაედო საფუძვლად. ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება უნდა განისაზღვროს არა მარტო მისი პოეზიით, არამედ (ძირითადად) - პროზით. მისი ნაწარმოებები „ხევისბერი გოჩა“, „ელგუჯა“ და სხვ. ბრწყინვალე შედევრებია (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). ახლა კი მოგვყავს რამდენიმე მაგალითი ალ. ყაზბეგის პოეზიიდან:

1. „მაშ მითხარ, რაღას კაშკაშებ,
რაღას ციმციმებ, მთვარეო?
შენის ცქერითა ნაღველი
ჩუხ-ჩუხით გადმოვღვარეო!“ („მთვარეს“, 319) - ბრწყინვალე რამაა!;

2. „მთვარევ, განმშორდი, ტიალო!
გაბრუნდი, გამეცალეო,
არა მწამს შენი ალერსი,
სიკვდილი დამაცალეო“ (იქვე, პირველი სტროფი, 318-319) და

3. „მთვარევ! გეყოფა, გაბრუნდი,
განმშორდი, გამეცალეო,
სულთმობრძავს სულის ამოსვლა,
სიკვდილი დამაცალეო!..“ (იქვე, 319-320)

შენიშვნა: ორივე სტროფში სრული დამთხვევა გამოყოფილია შავი შრიფტით.

1. „წუთს და წუთს ზეცას სჭვრეტდა,
ვინ იყო მასთან ნამყოფი“ („მეფე ერეკლეს გლოვად (მიბაძვა)“, იქვე, 325);

2. „ზუზუნებს, სწივის ქარია“ (იქვე, 324);

3. „მტერთან პირდაპირ მტრობასა,
მოყვასთან მეგობრობასა“ (იქვე, 326).

ნიკო ლომოურის (1852-1915) ერთადერთი ლექსი „ყინვა და პატარა მოწაფე“, რომელიც დაიბეჭდა ქართული პოეზიის მეათე ტომში, თითქმის ყველა სახის რედუპლიკაცია არის მოცემული:

1. „ჩქარი ნაბიჯით, ცოცხალი სახით
მიცუნცულებდა ის სკოლაშია“ (გვ. 330);

2. „ესმის ყველა ეს პატარა ბავშვსა,
სცივა და მთელი ტანით ძაგძაგებს“ (იქვე, 330);

3. „არსაიდამა არ მოისმოდა
არც ნადირთა ხმა, არც კაცთ ძახილი“ (იქვე, 329);

4. „მირბის პატარა, მირბის და ... აგერ
სკოლის ფანჯარა, ცეცხლის შუქიცა!“ (იქვე, 331);

5. „და ამ სიჩუმით მოცულს მინდორში
ყინვა თანდათან ძლიერდებოდა“ (იქვე, 329);
6. „ხან აღმა მთებზე და ხან ჩამოღმა
იგი მეფურად დაბრძანდებოდა (იქვე, 330);
7. „სულ დაავიწყდა მაშინვე იმას
ყინვაც და იმის ბაქი-ბუქიცა“ (331).

იოსებ ბაქრაძის (1850-1904) პოეზიაში აღწერილია სამშობ–ლოს სიყვარულის გრძნობა და მშრომელი ადამიანისადმი უდიდესი პატივისცემა. იგი უცხო თხზულებების თარგმანებზეც მუშაობდა. ამდენად მისი პოეზია საკმაოდ დატვირთულია რედუპლიკაციური ფორმებით:

1. „აღმოციმციმდა ბადრი მთოვარე
და თვის სხივებით მთლად განანათლა“ („დარდი“, იქვე, 380);
2. „უშტვენს და გალობს ნაზი ბულბული“ (იქვე, 381);
3. „დაბლის წინ წევას, მაღლის წინ დრეკას
ნანინანათა ეუბნებიან ...“ (იქვე, 382);
4. „და სურნელოვან ყვავილებითა
მოსილს მდელოებს აბიბინებენ“ (იქვე, 383);
5. „წყალი ანკარა | მორბის ჩქარ-ჩქარა“ („საღამოს სურათი“, იქვე, 368);
6. „ვითა წყალ-წყალა, | ჩიტი ცქრიალა, | დასტრფის მდინარეს...“ („სატრფოსადმი“, იქვე, 372);
7. „ამგვარად გაუკითხავი | დავწანწალობ ქუჩა-ქუჩა“ („გლა–ხის სიმღერა“, იქვე, 378);
8. „ერთმანერთ ხელი-ხელს გადახვიეს
და სიმღერითა სახლებს მიმართეს“ („დარდი“, იქვე, 380);
9. „გაჰქრეს, გაჰქრეს საუკუნოდ,
აღიგაოს მისი კვალი“ (იქვე, 376);
10. „თესლი კეთილი ვთესოთ და ვთესოთ“ (უსახელო, იქვე, 377);
11. „მშიან, მშიან, მშიან, | გულ-მუცელი მეხრაკება“ („გლა–ხის სიმღერა“, იქვე, 378);

12. „დღეს მე გავძეხ ... მაგრამ ჯალაბს ... | შიანთ, შიანთ, შიანთ, შიანთ...“ (იქვე, 379);

13. „ოხ, მიყვარს, მიყვარს, როს ბადრი მთვარე
წყლის წმინდა ზვირთებს ეთამაშება“ („დარდი“, იქვე, 380);

14. “ოჰ, ღმერთო! ღმერთო! ამ ბუნებაში
კაცი რაღათა სუნთქავს ძნელათა“ (იქვე, 383);

15. „შევთხოვე გამვლელს და გამომვლელს
მომიგდონ ლუკმა პატარა“ („გლახის სიმღერა“, 378);

16. „და თვის სხივებით მთლად განანათლა
დაბნელებული არე და მარე“ („დარდი“, 380).

შენიშვნა: 1. ისე, როგორც მე-19 საუკუნის სხვა პოეტები იყენებენ ძველ ფორმას „ხანდისხან“ და არა „ხანდახან“ იოსებ ბაქრაძემაც გამოიყენა ამ სიტყვის ძველი ფორმა: „მხოლოდ ხანდისხან გრიგალი ქარი | მეგლოვთა ნაცვლად ზუის, ღრიალებს“ („დარდი“, იქვე, 381). 2. პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ კი გამოიყენა თავის პოეზიაში ახალი სალიტერატურო ფორმა „ხანდახან“.

ბაჩანა (ნიკო) და თედო რაზიკაშვილების - ვაჟა-ფშაველას ძმები - პოეზიაში საკმაოდ ბლომად იყენებენ რედუპლიკაციურ ფორმებს. მაგრამ ბაჩანა (ნიკო) რაზიკაშვილი რედუპლიკაციის უფრო მეტ ნაირსახეობას იძლევა, ვიდრე თედო რაზიკაშვილი. მოგვყავს ბაჩანა რაზიკაშვილის პოეზიიდან მაგალითები:

1. „რომ მიწაც გულ-გახეთქილი | ზეზეევე ამოაგდებდა!“ (ქართ. პოეზია, ტ. 10, უსახელო ლექსი, იქვე, 424);

2. „იტყვიან: ერთხელ მელამა | კაკაბი დაიჭირაო“ („მელია და კაკაბი“, იქვე, 425);

3. „რა საზარელი გამხდარა! | დიდია, დიდი, ვეება“ („ღრუბელი“, 435).

სიტყვათა რედუპლიკაცია (ერთიანი სიტყვით, დეფისით და ცალ-ცალკე გადმოცემული):

1. „თავს დაჰსტრიალებს ყორანი | დაჰჩხავის ზედიზედაო?!“ („ვინა ჰთქვა საქართველოზე ...“, იქვე, 422);

2. „ზღვას გაჰცდა, მთები გადავლო, | მიდის იქით და იქითა“ („ღრუბელი“, 434);

3. „სხვა დანარჩენი სულ მონა, | მონა და მისი ნაშენი“ („ღრუბელი“, იქვე, 437);

4. „მერე ავმდგარვარ, არაგვის პირ-პირ შევავლევ ჰუნესა“ („სიზმრად“, იქვე, 438);

5. „ისევ მქონიყო სამშობლო, | მისი მთა, მისი ბარია“ (იქვე, 439);

6. „პირზედ ამბორის ყოფითა, | ჩვენც „ვაშა“, „ვაშას“ ვაყრიდით“ (იქვე, 440);

7. „გულში ღრმად ჩამეპარეო, | ნუ დახვალ გარე-გარეო“ („სიყვარულის სამეფოში“, იქვე, 428);

8. „იმდენი გამოიცვალა, | იმდენ ნაღველით აივსო“ („ღრუბელი“, იქვე, 434);

კონტრასტული და კვაზი რედუპლიკაციები:

1. „და გარდი-გარდმო მრისხანედ | შუბლზედ შეჰკვრია კოპები“ („ღრუბელი“, იქვე, 435);

2. „ზევით პირიმზე გაჰღვივის, | გაღმა-გამოღმა გორითა“ („არჯაკელი“, იქვე, 441);

3. „გამავალ, გამომავალმა | იმ ადგილს დაისვენოსა“ („ჭაბუკის ნატვრა“, იქვე, 444);

4. „ბნელ ხევხუვს, პირმზითისაკე, | ერთის ნაზოვრის პირასა“ („არჯაკელი“, იქვე, 440);

5. „უთქვეფავ ზვავსა ბექ-ბუქი, | გამოქანულა შორითა“ (იქვე, 441);

6. „არ ივლებ ბაიბუადა | ხალხის უღმერთოდ ჭრასაო“ („მუხა“, 443);

7. „იყო დრო გაზაფხულისა, | ჰყვაოდა არე-მარეო“ („ვუძღვნი ჩემი ძმის ვაჟა-ფშაველას ხსოვნას, სამარესთან ყოფნის გამო“, იქვე, 449).

ამგვარად, მე-19 საუკუნის პოეზიაში პოეტები რაფიელ ერისთავი, გრიგოლ აბაშიძე, ივანე კერესელიძე, გიორგი ჭალა–დიდელი, ალექსანდრე ყაზბეგი და იოსებ ბაქრაძე თავიანთ

პოეზიაში საკმაოდ უხვად იყენებდნენ რედუპლიკაციათა ნაირსახეობას, განსაკუთრებით ამას უფრო მოხდენილად და მიმზიდველად აკეთებდნენ რაფიელ ერისთავი და გრიგოლ აბაშიძე, რომელთა ყოველი ლექსი, სადაც რედუპლიკაციათა ფორმები გვაქვს, უფრო სასიამოვნო აღქმადია, მაღალფარ–დოვანია და მეტად ხატოვანი. რედუპლიკაციური ფორმებით „შემოსილი“ ლექსი განსაკუთრებით მოსაწონია ბავშვების თვალში. ისინი აღიქვამენ მას დიდი ხალისითა და აღტაცებით, ერთი მხრივ, და ამგვარ ლექსებს სწავლობენ ძალიან ადვილად, მეორე მხრივ.

შენიშვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ მე–19 საუკუნეში კვაზი-რედუპლიკაციები იწერებოდა დეფისით. თანა–მედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში კვაზი-რედუპლი–კაციები იწერება ერთად, დეფისის გარეშე.

მე–19 საუკუნეში ორი ფორმა იხმარებოდა „ხანდისხან“ და „ხანდახან“. ჯერ კიდევ ამ საუკუნის პოეტები რაფიელ ერისთავი, გიორგი ერისთავი, იოსებ ბაქრაძე და სხვები იყენებდნენ ფორმას „ხანდისხან“, ხოლო გრიგოლ აბაშიძემ პირველად გამოიყენა ფორმა „ხანდახან“, რომელიც შემდგომში დამკვიდრდა სალიტე–რატურო ენაში როგორც ნორმა.

თავი მერვე

ილია, აკაკი, ვაჟა – და ძართული მწერლობა

§ 57. ილია ჭავჭავაძის გულის ტკივილი

ილია ჭავჭავაძე (1837-1907) - დიდი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ერის კაცი, ქართველი მწერალი და პოეტი, - თავის პოეზიასა და პროზაში აღწერს საქართველოს ისტორიას, ქართველი ხალხის შინაგან სულიერ ცხოვრებას, მის ბუნებას, ადათ-წესებს და გულისტკივილით საუბრობს იმ შურის შესახებ, რაც იმდროინდელ ქართველობას ახასიათებდა.

შოთა რუსთაველის ეპოქაში ქართველი ხალხი უფრო მეგობრულად ცხოვრობდა, მათ იცოდნენ ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, თავმდაბლობა და კეთილსინდისიერება, მოკრძალება ერთმანეთის მიმართ და დიდი პატივისცემა და ყურადღება. ამიტომ იყო საქართველო ტერიტორიულად ვრცელი და მძლავრი ქვეყანა.

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ეპოქაში საქართველო მეტად დასუსტებულ, მტრებისაგან განადგურებულ და გადაბუგულ ქვეყანას წარმოადგენდა. მეორე მხრივ, საქართველოს უფრო მეტად ანადგურებდა შიდა შუღლი. ილია ჭავჭავაძე ვერა და ვერა! ვერ ეგუებოდა შინაურ მტრობას, შუღლს, ურთიერთშეხლას და შემოხლას. პოეტს თავის ლექსში „კითხვა-პასუხი“ აღწერილი აქვს სამშობლოსადმი სიყვარული და ამასთან ერთად გამოთქვამს იგი დიდ გულისტკივილს. მოგვყავს „კითხვიდან“ და „პასუხიდან“ თითო-თითო სტროფი და მკითხველი ნათლად წარმოიდგენს, თუ რა მდგომარეობაში იყო იმ დროს საქართველო. „კითხვა“:

„გიმზერ და მზერა კვლავ სწყურიან თვალს,
გისმენ და სმენით ყური ვერ ჰძღება;
მაგრამ რამდენადც საყვარელი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.“

„პასუხი“:

„მე მდიდარი ვარ და თქვენ კი, თქვენ კი...
ლუკმა-ნატრულნი ერთმანეთსა სჭამთ,
მე ტკბილ ცხოვრების წყაროსა გაწვდით,
და, ვაი, თქვენ კი ძმა ძმის სისხლსა სვამთ!..“ (ქართ. პოეზია, ტ. 7, თბილისი, 1977, გვ. 212-214)

ილია ჭავჭავაძის პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ კარგად გვამცნობს, რომ ქართველები წინათ სულ სხვა ვიყავით და ახლა კი სულ სხვანი ვართ. ბრმა მეფანტურე უყვება ახალგაზრდებს წარსულის ამბავს:

„იმ დროს, როცა ქართვლის ბედი
ჩვენ ქართველთვე გვეპყრა ხელში,
როცა მამულის-შვილობა
სასახელოდ იყო ჩვენში,
შვილნო, თქვენნი წინაპარნი
ეგრე გულქვად როდი იყვნენ...
ძმა ძმასა და მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწირავდნენ.
შვილის ყოლა გლეხს თუ თავადს
მარტო მისთვის გვიხაროდა,
რომ მამულსა მეომარი
მით ერთი ემატებოდა.
ტკბილსა ძუძუს დედა შვილსა
იმ იმედით აწოვებდა,
რომ სიცოცხლით ან სიკვდილით
ის მამულს ასახელებდა.“ (იქვე, 297)

და ბრმა მეფატურეს გამოაქვს ასეთი დასკვნა:

„ეხლა რა ვართ? საწველ ფურად
თავი ჩვენი გადვიქციეთ.
ის სახელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავაქციეთ...
რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით...“ (იქვე, 298).

§ 58. ილია ჭავჭავაძის პოეზია და რედუპლიკაციური ფორმები

ილია ჭავჭავაძემ თავის პოეზიაში გამოიყენა რედუპლიკა–ციათა ფორმების თითქმის ყველა ხერხი. მის ლექსში ვერ მოვიპოვეთ მხოლოდ რიცხვითი რედუპლიკაციები. სხვა ხერხებს პოეტი დიდი წარმატებით იყენებს და მის მიერ გამოყენებულ რედუპლიკაციურ ფორმებშიც გამოიხატება ის გულის ტკივილი, რომელიც ასე აწუხებდა სახელმწიფო მოღვაწეს.

ილია ჭავჭავაძეს თავის პოეზიაში უფრო მეტად გამოყენე–ბული აქვს მარცვალთა, სიტყვათა და წინადადებათა რედუპლი–კაციები. მოგვყავს მაგალითები ყველა სახის რედუპლიკაციაზე.

პირველი ჯგუფი: მარცვალთა რედუპლიკაციები.

1. „იგი არ იყო შიშის ჟრჟოლა, შიშის კანკალი“ (ილია, 2012, „ყვარლის მთებს“, იქვე, 3);

2. „იქ მე ვნატრობდი, ... | ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა“ (იქვე, 3);

3. „ბეღურა იქ ჰმღერს, | ბულბული აქ სტვენს“ („გაზაფ–ხული“, იქვე, 9);

4. „იქავ კურკურით, | ჩუმის ჩურჩულით, | წყარო ჩამორბის | ლხენით, ჩუხჩუხით“ (იქვე, 9);

5. „ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა | უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“ („ქართვლის დედა“, იქვე, 28);

6. „ჰე, ძმანო! ნეტავი ჩვენა. | ჰარიარალი, | დღეს მოგვეცა შვება-ლხენა, თარიარალი!“ („ჩემი თრიალეთი“, იქვე, 33);

7. „ნანა, შვილო, ნანინა! | ნეტა რამ შეგაშინა“ („ნანა“, იქვე, 40);

8. „ჩუმი ღიღინი შენი ხშირად გულს მიწყალებდა“ („მუშა“, იქვე, 50);

9. „ოფლი წურწურით პატიოსან შუბლით გეღვრება“ (იქვე, 50);

10 „მაგ შენ ყოფაზედ იწყო უგრძნოდ მაღლა ხარხარი...“ (იქვე, 51);

11. „როცა ყაყანი ქვეყანისა სრულად მისწყდება | და აღარ ისმის ბოროტების ხმა მოსაწყენი“ („ღამე“, იქვე, 68);

12. „თეთრ-წითელი ვაშლსავითა, | ხაშხაშ ლოყა, მსუქანია“ („გამოცანები“, იქვე, 81);

13. „ჯილდოსთვის ბევრი დაქსაქსა | მან საქართველოს შვილია“ („კიდევ გამოცანები“, იქვე, 85);

14. „მას აქეთ დავწანწალებდი, | ვერსად დავიდე ბინაო...“ („ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“, იქვე, 113);

15. „ხონელიდამ ზოილამდე | რაღა დიდი მანძილია“ (იქვე, 114);

16. „დავბერდი, დავჩაჩანაკდი, | წვერი შემექნა ჭაღარა...“ (იქვე, 115);

17. „ვნახოთ, - რა ძაძას ჩაიცმენ, | როცა რომ მნახვენ მკვდარსაო?“ (იქვე, 115);

18. „ამას ვამბობ და ვღაღადებ, ისმინეთ ჩემი თხრობილი“ (იქვე, 121);

18. „მაგრამ ისეთი მშვიდი, ნარნარი | იყო იმ დღისა ლამაზი დილა“ („აჩრდილი“, იქვე, 127);

19. „დაბლად ღუღუნი დაღონებული“ (იქვე, 138);

20. „შორნი მნათობნი მოკამკამენი | იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ“ („რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, იქვე, 158);

21. „მის ბუტბუტს მარტო მთაი მდუმარი | დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა“ (იქვე, 158);

22. „ახ ნეტავი შენ!.. - წაიდუდუნა | ... | თვისი სიმღერა დაიღუღუნა“ (იქვე, 160);

23. „ვერ მოითმინა, დაიხვიხვინა | და პატრონს ძილი დააფრთხობინა“ (იქვე, 161);

24. „წამოხტა კაკო ლომივით ზეზე, | თოფი მოზიდა და შეაყენა“ (იქვე, 161);

25. „დრო გადიოდა და თან მოჰქონდა | მამი-ჩემისა უბედურობა, | მამა თანდათან მიბერდებოდა“ (იქვე, 169);

26. „საყდრის წინ ხალხი ჯგუფად იდგა და ჰყაყანებდა“ („მეფე დიმიტრი თავდადებული“, იქვე, 179);

27. „უსუსურს ბავშვებს ძნად ჩაშლის | და ზედ კალოს ალეწვინებს“ (იქვე, 188);

28. „ვით ჯინჭველა ჰფუსფუსებდნენ | შინა-ყმანი სასახ–ლისა“ (იქვე, 192);

29. „მოჰყავთ ცახცახით, ხანხალით | ჩაჩანაკი და ბებერი“ (იქვე, 195);

30. „დასუსტდა და წაბარბაცდა, | როგორც ერთი დაბნედი–ლი“ (იქვე, 207);

31. „იდგა დ უცებ ძრწოლით, კანკალით | პირქვე დაემხო ღვთის-მშობლის წინა“ („განდეგილი“, იქვე, 227);

32. „ეს რა ჰხარხარებს! ეს რა დასცინის!“ („განდეგილი“, იქვე, 227);

33. „გაიხარხარა იმის სენაკში ... | აწ იმა ხარხარს ვეღარ გაუძლო | და როგორც გიჟი გავარდა კარში“ (იქვე, 228);

34. „ეს ვინ ჰრბის, დაძრწის? ეს ვინ ჰტანტალებს | იმ კლდეებშია თმააბურძგნული?“ (იქვე, 229).

მეორე ჯგუფი. რედუპლიკაციური ფორმების მეორე ჯგუფს შეადგენენ სიტყვათა რედუპლიკაციები, რომლებიც ქმნიან ერთიან სიტყვას და იწერებიან ან ერთად ან დეფისით. ეს ხერხი საკმაოდ პროდუქტიულია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში:

1. „შენს პირდაპირა იგი მორბის დაუდევნელად“ („მუშა“, იქვე 50);

2. „აიშალნენ მეფეთ ძენი | და ერთმანეთის შურითა | სულ ძირს დასცეს ქართლის ბჭენი“ („რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“, იქვე, 74);

3. „თავი მოსწონს მხოლოდ იმით, რომ | ზედიზედ მოსდის ჩინია“ („კიდევ გამოცანები“, იქვე, 86);

4. „პირველ კაცთათვის უშენოდა არარა იყო“ („ქართვლის დედა“, იქვე, 150);

5. „ვაჟკაცის გამომჩენელიც | მტერთან გულდაგულ ომია“ (იქვე, 153);

6. „შენი ამბავი, ეხლა მართალი, | ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს“ („რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, იქვე, 164);

7. „შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი“ (იქვე, 164);

8. „მამა თანდათან მიბერდებოდა“ (იქვე, 169);

9. „თქვენ თავთან იყო თითქმის ძლივ-ძლივ გასწორებული“ („ყვარლის მთებს“, იქვე, 3);

10. „აგერ თქვენც ჰქრებით თან-და-თანა ... თქვენსა მწვერვა–ლსა“ (იქვე, 4);

11. „შანდლისა თავზე ძლივ-ძლივღა ბუუტავს“ („სანთელი“, იქვე, 5);

12. „და ჩემს ჯიბეს ნელ-ნელ ვზრდიდი“ („ხმა სამარიდამ“, იქვე, 6);

13. „მეც მინახავს თვის სიბნელით თვალნი, | ვითა წყვდიადი ისე ღრმად-ღრმანი“ („მეც შავს თვალებს“, იქვე, 17);

14. „უფრო და უფრო დავრჩე ხშირ-ხშირად?“ (უსახელო ლექსი, იქვე, 32);

15. „მეც უდრო-უდროთ გამერია თმებში ჭაღარა ...“ („ალაზანს“, იქვე, 47);

16. „მყის თავის-თავად ლაღი, უბრალო“ („წუხილი“, იქვე, 66);

17. „- ჩვენც ლამაზად სულყველასა, | თვითო-თვითოდ ვღალატობდით“ („რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ...“, იქვე, 74);

18. „ქვეშ-ქვეშაა, მელაძუა, | მორიელი, ფრთხილი, წყნარი“ („გამოცანები“, იქვე, 81);

19. „ჩვენი მტერია ზოგ-ზოგის | ფლიდობა და თვალთმა–ქცობა“ („კიდევ გამოცანები“, იქვე, 88);

20. „არას ვნაღვლობ, თუ რამე ვთქვი | უმსგავსო და შორი-შორი“ („ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“, იქვე, 117);

21. „ალღო აიღო ქვეყანამ ძველმა, | რომ დღე-და-დღე მის წყობა ირღვევა“ („აჩრდილი“, იქვე, 137);

22. „და რიგ-რიგითა ყველა ძმურადა | ვყარაულობდით ძროხასა ღამე“ („ქართვლის დედა“, იქვე, 166);

23. „რა ოხრობასა აქნევდი მაგ ხმალს, | რომ ნაჭერ-ნაჭერ ხმლით არ აჰკუწე“ („რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, იქვე, 176);

24. „ნუ, ნუ გვაჭმევ ემაგ სირცხვილს, | წამყოლს შვილის-შვილამდიე“ („მეფე დიმიტრი თავდადებული“, იქვე, 186);

25. „ისმოდა ქება წმიდა-წმიდათა“ („განდეგილი“, იქვე, 210);

26. „განდეგილა და ამ ყინულებში | სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა“ (იქვე, 211).

მესამე ჯგუფი: მესამე ჯგუფის რედუპლიკაციებს შეადგენენ ისევ სიტყვათა რედუპლიკაციები, მაგრამ მეორე ჯგუფისაგან განსხვავებით, ამ ჯგუფში სიტყვები იწერება ცალ-ცალკე, ზოგ–ჯერ რედუპლიკაციური სიტყვები ერთმანეთთან დგანან გვერდიგვერდ ან განცალკევებულად, მათ შორის სხვა სიტყვებია ჩართული. რედუპლიკაციის ეს ხერხი ილია ჭავჭავაძეს ყველაზე მეტად აქვს გამოყენებული:

1. „თქვენნი მწვერვალნი აღარ სჩანან და მშვენივრად ცას | აღარ უმკობენ ერთნაირსა ციაგს კამარას!..“ („ყვარლის მთებს“, იქვე, 4);

2. „აგერ ოთახსაც ჩრდილმან გადაჰკრა, | ... | აგერ სანთელიც შანდალში ჩაქრა ...“ („სანთელი“, იქვე, 5);

3. „ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე, | ისე მოვკვდი ვერ გავტენე“ („ხმა სამარიდამ“, იქვე, 6);

4. „ვიშ, გაზაფხული | მოდის მორთული, | მოდის და მოაქვს | ცით სიხარული“ („გაზაფხული“, იქვე, 9);

5. „ყველა ჰყვავდება, | ყველა ახლდება“ (იქვე, 10);

6. „ჩემია წერა: | მღერა და მღერა, | ლხენა, გალობა, | თავისუფლება“ („ჩიტი“, იქვე, 11);

7. „მე ჩემის ჭირის, ჩემი წუხილის, | ჩემის კაცობის გულის დუღილის“ („გუთნის-დედა“, იქვე, 14);

8. „ვეძებ და ვეძებ აქ მე შავს თვალებს“ („მე შავს თვალებს“, იქვე, 17);

9. „ქვეყნის დიდებას, ქვეყნის სიმდიდრეს, | რისთვისაც კაცი თავ-კისერს იმტვრევს“ (“ლოთის რჩევა“, იქვე, 22);

10. „მის შორის ვლაღობ ძვირად და ძვირად?“ (უსახელო ლექსი, იქვე, 32);

11. „ვეტრფი და ვეტრფი სულ ერთს ვარსკვლავსა?“ (იქვე, 32);

12. „ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუწუნე“ („გავსწორდეთ, ბედო!“, იქვე, 37);

13. „ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, | როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ („ელეგია“, იქვე, 43);

14. „მისმინე აჯა, მისმინე, მტკვარო, | იმ დროთ გარდაეც ეს ჩემი კვნესა!“ („მტკვრის პირას“, იქვე, 44);

15. „მან დამინგრია წმინდა გრძნობის წმინდა ტაძარი...“ (უსახელო ლექსი, იქვე, 45);

16. სიტყვა „ხან“ ლექსში „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ ილია ჭავჭავაძემ გამოიყენა 6-ჯერ (იქვე, 53);

17. „ბაგე ბაგეს ჩავაკონოთ | და ჩავართათ სულთან სული!“ („ს...ჩ...სას“, იქვე, 56);

18. „მაშინ ციდამ ნაპერწკალი | თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა, | მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ“ („პოეტი“, იქვე, 58);

19. „მესმის, მესმის სანატრელი | ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“ (უსახელო ლექსი, იქვე, 59);

20. „ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი | გამაგონე ჩემს მამულში!“ (იქვე, 59);

21. „ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი, | არ ხარ ისე მშვენიერი“ (უსახელო ლექსი, იქვე, 62);

22. „აყვავებულა მდელო, |აყვავებულან მთები; | მამულო საყვარელო, | შენ როსღა აყვავდები?“ („გაზაფხული“, იქვე, 69);

23. ხუთსტროფიან ლექსში „1871 წელი, 23 მაისი“ ხდება სიტყვის „კვლავ“ 8-ჯერ გამეორება (იქვე, 72);

24. „ის მაშინვე წაეჩრება, | ვითომც მეც ნახირ-ნახირო“ („გამოცანები“, იქვე, 86);

25. „სხვას თავს ევლის, სხვას შეჰხარის, სხვას ეტრფის“ (უსახელო ლექსი, იქვე, 98);

26. „სად წარვიდე, ვის შევჩივლო, ვის ვუთხრა? | ვინ განმიღებს დახშულს კარსა ბედისას? | ვინა ჰკურნებს უკურნებელსა სენსა | სამუდამოდ წაწყმედილ იმედისას?“ (უსახელო ლექსი, იქვე, 98);

27. „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს“ („ქართვლის დედა“, იქვე, 149);

28. „ვიღა დამმარხავს?.. წადი... წადი... ნუ გვიანდები“ (იქვე, 157);

29. „ - შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი, | შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა“ („რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, იქვე, 162);

30. „ჭამა-სმა გვინდა, გვინდა ცხოვრება...“ (იქვე, 174);

31. „და, რო ყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარი!“ | ... | და შეუნგრია გულის-ფიცარი“ (იქვე, 177);

32. „მძიმე რახტით დატვირთულნი | თითო-თითო სოფლად ჰღირდა“ („მეფე დიმიტრი თავდადებული“, იქვე, 193);

33. „-კაცი ვარ, კაცი!.. მომეცი ბინა, | მიხსენ, ღვთის მადლსა, სიკვდილისაგან“ („განდეგილი“, იქვე, 215);

34. „ - უჰ, უჰ, რა ცივა!.. - სთქვა მან სტუმარმან: - | ლამის გავშეშდე სიცივისაგან“ (იქვე, 217);

35. „არა და არა!.. არ აიყრის მადლს“ (იქვე, 227);

36. „ხატის ხილვა სწყურს და იგივ... იგივ...“ (იქვე, 228).

მეოთხე ჯგუფი. ილია ჭავჭავაძე თავის პოეზიაში ახდენს წინადადებათა რედუპლიკაციას, ეს იქნება მარტივი, შერწყმული თუ რთული წინადადება. ზოგჯერ მთლიანად სტროფის რედუპ–ლიკაცია ხდება, პოეტი იძლევა მას ხან უცვლელად, ხან ოდნავ შეცვლილი სახით. წინადადებათა რედეუპლიკაცია საკმაოდ პროდუქტიული ხერხია ილია ჭავჭავაძესთან:

1. „ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე, | ისე მოვკვდი, ვერ გავტენე“ („ხმა სამარიდამ“, იქვე, 6) და ოდნავ შეცვლილი სახით: „ეს წყეული ვტენე, ვტენე, | აჰა, მოვკვდი, ვერ გავტენე...“ (იქვე, 8);

2. „ციურნო ხმებო, | ოჰ, საკვირვლებო!“ - ეს გამონათქვამი ორჯერ მეორდება ლექსში „ციურნი ხმები“ (იქვე, 39);

3. „არ შემიდრკე მაშინა, | ნანა, შვილო, ნანინა!“ (სამჯერ გვხვდება ლექსში „ნანა“(იქვე, 40-41), დანარჩენ შემთხვევაში გვხვდება შეცვლილი სახით: „მაშ, რაღამ შეგაშინა | ნანა, შვილო, ნანინა!“; „მე ისე არ წავხდები, | ნანა, შვილო, ნანები!“; „შენ ისე არ წახდები, | ნანა, შვილო, ნანები!“; ნუგეშს ვიცემ მაშინა, | ნანა, შვილო, ნანინა!“; „გაიხარებ მაშინა, | ნანა, შვილო, ნანინა!“; „ნანა, მამულის მსხვერპლო, | პაწაწინა ქართველო!“ (იხ. იქვე, 40-43);

4. რედუპლიკაციური წინადადების ნაწილის ამგვარი შეცვლა ლექსს ხდის ძალიან მიმზიდველს. ამ შემთხვევაში მას აქვს სხვადასხვა დატვირთვა ტექსტში;

5. პოეტი ახდენს მთლიან სტროფში სტრიქონების გადაადგილებას. ასეა, მაგ., ლექსში „ქართველ სტუდენტების სიმღერა“. ვიძლევით ორივე სტროფს:

„დედამ რომ შვილი გაზარდოს, -
ემაგრე ჩვენისთანაო;
ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო“ (იქვე, 60) და
„ეგრე გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო:
თუ დედამ შვილი გაზარდოს, -
ემაგრე ჩვენისთანაო“ (ბოლო სტროფი, იქვე, 61);

6. „ან შენ მაშინ რა იცოდი, | ან შენ გიჟმა რა იცოდა“ (უსახელო ლექსი, იქვე, 64);

7. „აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე | არც სიძულვილში, არც სიყვარულში“ - შეუცვლელი რედუპლიკაციაა უსახელო ლექსის პირველ და უკანასკნელ სტროფებში (იქვე, 65);

8. „ჩვენისთანა ბედნიერი | განა არის სადმე ერი?!“ - ეგ `მარტივი წინადადება სამჯერ გამეორდა ლექსში „ბედნიერი ერი“ (იქვე, 78-79);

9. „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?..“ - სამსტროფიანი უსახელო ლექსის ყოველი სტროფის ბოლოს ხდება გამეორება (იქვე, 97);

10. „ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს | ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას“ ლექსში „კ. ბ.-სას“ ამ რთული წინადადების გამეორება ხდება: ლექსის დასაწყისში და ბოლო სტროფის დასაწყისშივე (იქვე, 99);

11. „თუ ესე არის, ნეტა მას“ ლექსში „ბაზალეთის ტბა“ მეორდება ორჯერ ბოლო ორ სტროფში („ბაზალეთის ტბა“, იქვე, 101);

12. „მაგრამ რამდენადც მშვენიერი ხარ, | იმდენად უფრო მიკვდება გული“ (ლექსში „კითხვა-პასუხი“ ეს რთული წინადა–დება ყოველი სტროფის ბოლოს (მის პირველ ნაწილში - „კითხვა“) მეორდება, მაგრამ ოდნავ შეცვლილი სახით. ვიძლევით რედუპლიკაციის შეცვლილ სახეებს:

1. „მაგრამ რამდენადც საყვარელი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება“.
2. „მაგრამ რამდენადც მადლით სავსე ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული“.
3. „მაგრამ რამდენადც მდიდარ-უხვი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.
4. „და რამდენადც შენ ცხოველ-მყოფელ ხარ -
იმდენად უფრო რად კვდება გული?“ (იქვე, 106);

1. „დავბერდი, დავჩაჩანაკდი, | წვერი შემექნა ჭაღარა...“ (სრული რედუპლიკაციაა ლექსის „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტის“ ქვესათაურში „აკაკი“; ეს წინადადება მოცემულია დასაწყისში და ამავე ქვესათაურის ბოლოდან მეორე სტროფის დასაწყისში. იხ. გვ. 115-116);

2. „შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე. კაცთ ბუნებისა (ქართვლის დედა“, 150: სიტყვათა შეხამების რედუპლიკაციაა „შენ ხარ“);

3. „ქართველო, ხელი ხმალს იკარ, | გათენდა დღე დიდებისა, | თოფ-იარაღი აისხი, | დრო მოდის გამარჯვებისა“ - პოემაში „ქართვლის დედა“ - კერძოდ: ჯარების სიმღერიდან

გვაქვს მთლიანი ტექსტის (ანუ სტროფის) უცვლელი რედუპლი–კაცია (სიმღერის თავში და ბოლოში, იხ. გვ. 153).

მეხუთე ჯგუფი. მეხუთე ჯგუფში ვიხილავთ კონტრასტულ რედუპლიკაციებს:

1. „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით“ | - რუსეთისკენ სახვეწნელად | გავრბოდით და გამოვრბოდით“ („რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუ–ნისა“, იქვე, 74);

2. „- შერცხვენილნი და დამწვარნი | აქა-იქა ვჩურჩულო–ბდით“ (იქვე, 75);

3. „ბევრჯერ გაძვრა და გამოძვრა, | მაგრამ ვერ გახდა გრაფია“ („კიდევ გამოცანები“, იქვე, 84);

4. „მიდის, მოდის ეგ ბატონი“ („ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“, იქვე, 121);

5. „ბევრს აქეთ-იქით თავს ახლის, | ჩლუნგია, არა მჭრელია“ (უსახელო ლექსი, 125);

6. „საყდრებსა და მონასტრებსა | დააქცევს, მიანგრ-მოანგრევს“ („მეფე დიმიტრი თავდადებული“, იქვე, 188);

7. „ქუხვა და ჭექა, ელვა და სეტყვა, | არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა“ („განდეგილი“, იქვე, 214).

მეექვსე ჯგუფი. რედუპლიკაციის მეექვსე ჯგუფს ქმნიან კვაზი-რედუპლიკაციები. ილია ჭავჭავაძის პოეზიაში დავაფიქ–სირეთ შვიდ-შვიდი მაგალითი კონტრასტული და კვაზი-რედუპლიკაციებისა:

1. „მას ბრაგა-ბრუგს დავუწყებდი“ („ხმა სამარიდამ“, იქვე, 7);

2. „ვსთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?“ („იანიჩარი“, იქვე, 63);

3. „ტყუილ ფრაზების რახა-რუხს, | გულის მართალსა ძგერასა, | ჭკვათა-მყოფელთა მოძღვრებას, | სულელთა უგვანს ჟღერასა“ („ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“, იქვე, 112);

4. „ისტორიულ აბდა-უბდას | გიორგი წერეთლისასა“ (იქვე, 113);

5. „ჰხედავ ფაცა-ფუცს და ყველგან ჟღივილს“ („აჩრდილი“, 139);

6. „ქარმა დაჰღმუვა ხევ-ხუვსა, მთებსა | ბუქი სვეტსავით აატრიალა“ (იქვე, 145);

7. „და ის ადგილი, ის არე-მარე | ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა“ („განდეგილი“, იქვე, 210).

§ 59. აკაკის, ვაჟას, ილიას, ყაზბეგის ეპოქა

მეოცე საუკუნის დიდი მგოსანი გალაკტიონ ტაბიძე თავის ლექსში „საუბარი ლირიკის შესახებ“ გვიხსნის, თუ რატომ უწოდებენ საქართველოს „მგოსანთა მხარეს“ და იძლევა ნაწყვეტ-ნაწყვეტ კომენტარებს: „უძველეს ხნიდან | დაწყებული | რუსთაველამდე, | რუსთაველიდან | ჩვენამდე რეკს| ივერთა ჩანგი, | რომ რიცხობრივად პატარა ერს მტერი „ყოველმხრივ შემორტყმული“ აჩანაგებდა, მაგრამ „მაინც გადარჩა, | და გადარჩა | ის, როგორც ერი“ (ქართული პოეზია, ტ. 13, თბილისი, 1982 : 407-409). თუ რატომ უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს, გალაკტიონ ტაბიძემ ამ კითხვას ასე გასცა პასუხი: „აქ პოეზია | იყო მისი | შემჭიდროება, | ანკარა წყარო,| მომჩქეფარე | იმ ხალხის გულით, | მის სასიცოცხლო| ძალთა ძალა | და საზრდოება, | აი, ლირიკა | მთელი მისი |დიდი წარსულით. | აი, რად უყვართ | საქართველო |მსოფლიო ქნარებს, | რად უწოდებენ | საქართ–ველოს | მგოსანთა მხარეს“ (იქვე, 409-410).

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი და მეოცე საუკუნის დასაწყისი ქართული პოეზიისა და პროზის აღმავლობის ეპოქა იყო. სწორედ, აკაკის, ვაჟას, ილიას და ყაზბეგის ეპოქა გალააკტიონ ტაბიძემ ასე დაგვიხასიათა: „ცხარე ბრძოლის ხმა | ეპოქასთან | გადაზრდილია, | ხმა სიყვარულის, | ხმა მონობის | წინააღმდეგი, | ცეცხლი - აკაკი, | გმირი - ვაჟა, | ბრძენი - ილია, | რამდენი გმირი | და რამდენი | კიდევ ყაზბეგი!“ (იქვე, 413-414).

როგორც შოთა რუსთაველმა თავისი უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ უბოძა ქართველ ერს და შემდგომში მსოფლიო

მნიშვნელობის ნაწარმოები გახდა, ასევე აკაკი წერეთელმა თავისი ბრწყინვალე პოეზია მიუძღვნა ქართველ ერს, სამშობლოს სიყვარულს, მის კუთხეს, ქალაქსა და სოფელს. როცა აკაკის ლექსებს კითხულობს ყოველი ქართველი, გარდა იმ თბილი სიამოვნებისა, გრძნობს, რომ ნებისმიერი ლექსი, მისი „პოეზიის მადლი თითოეული ჩვენგანის ბუნებაში თითქოს გაჩენის დღიდანვე არსებობს, როგორც მემკვიდრეობით გადმოცემული, ერთ-ერთი ყველაზე უფრო კეთილშობილი გენი - აუცილებელი ამქვეყნად ადამიანური ცხოვრებისათვის, სიმდიდრე სულისა, რომელიც ჩვენს პიროვნულ ზრდასთან ერთად იზრდება“ (თამაზ ჭილაძე, „აკაკი წერეთლის პოეზია“, იხ. ქართული პოეზია, ტ. 8, გვ. 5).

„აკაკი წერეთელი იმ ბედნიერ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე დაიპყრეს მკითხველის ყურადღება და შემდგომ მუდამ საზოგადოების სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემო–სილნი. მის ნაწერებს ხალხი დაბეჭდვისთანავე იტაცებდა, იზეპირებდა, მღეროდა. სიცოცხლეშივე ასეთი დიდი პოპულა–რობა საქართველოში იშვიათად ღირსებია ვინმეს“ (აკაკი წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული თვრამეტ ტომად. ტ. 1, ლექსები, თბილისი, 1991, იხ. სტატია „რედაქციისაგან“, გვ. 5).

კითხულობ აკაკი წერეთლის ყოველ ლექსს და გრძნობ, რომ იგი თითქოსდა შენი სულის შესაბამისად იყოს დაწერილი, თითქოსდა ყოველი სტროფი შენთვის ცნობილია და აღიქვამ ისე, როგორც ცხოვრებაში ხდება, რომ ოდესღაც განგიცდია მისი სულისკვეთება.

§ 60. აკაკის პოეზია და რედუპლიკაციური ფორმები

აკაკი წერეთლის პოეზია მთლიანად დატვირთულია რედუპლიკაციის სხვადასხვა ტიპის ფორმებით, რომლებიც მკითხველს უაღრესად დიდ სიამოვნებას ანიჭებს. პოეტის რედუპლიკაციური ფორმების ნაირსახეობა, ვფიქრობთ,

ნორმირებული ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების საფუძველია. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სრულად თუ არა, მეტწილად განვიხილოთ მაინც აკაკის პოეზიის რედუპლიკაციათა სახეები.

ა) ბგერათა რედუპლიკაციები:

1. „მაგრამ მის სივრცეს დააკლო ვერრა“ (აკაკი ლექსები, თბილისი, 1991: 15);

2. „წყნარად დაჰქროლა დილის ნიავმა | და სუნნელება ქვეყნად მოჰფინა“ (იქვე, 25);

3. “ससि! მურა, მაგას უკბინე! | სერი გადაარბენინე!“ (იქვე, 78);

4. „სამეფოო ძველთა ძველო, | დღეს სნეულო, გულის მწველო“ (ქართული პოეზია აკაკი წერეთელი, ტ. 8, თბილისი, 1978, „ძველ სამეფოს“, გვ. 61);

5. „დეე დამგმოს ქვეყანამ, | გამიმეტოს, გამკიცხოს!“ („პასუხი მეგობარს“, იქვე, 76);

6. „გავსწორდეთ ანგარიშში“ („ალლა-ვერდი“, 83);

7. „რომ სხვისი ვერრა ისწავლონ, | თავისიც დაავიწყდესთო“ („ახლანდელი პოლიტიკა“, იქვე, 179);

ბ) მარცვალთა რედუპლიკაცია. აკაკი წერეთლის პოეზიაში ხშირია მარცვალთა, როგორც ერთიანი სიტყვის, რედუპლიკაცია. მარცვალთა რედუპლიკაციებიდან მრავალჯერაა გამოყენებული შემდეგი რედუპლიკაციები: ბულბული, პეპელა, ციცინათელა, წამწამი, ჭიკჭიკი, ნანა, დიდი და სხვ. მოგვაქვს მარცვალთა რედუპლიკაციის მაგალითები:

1. „შიმშილისაგან რძე უშრება, | წივის შვილი უსუსური!“ („მუშური“, იქვე, 51);

2. „იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო! | გაფურჩქნულო ახალ-ნორჩო, შენ პაწაწინაო! | აგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო! | იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!“ (აკაკი, ლექსები, 1991, „იავნანა“, 56);

3. „ჰოოპ! ჰოოპ! ჰერი! ჰერი! | ჩუ გამოხტა აგერ მწყერი“ (იქვე, „სიმღერა მკის დროს“, 65);

4. „არც ლხინში ვარგხართ, არც ჭირში, | ზარმაცი ენატარ–ტარა“ (უსახელო ლექსი, იქვე, 65);

5. „ერთსა ფილოსოფოსსა მიუახლოვდა ვირი, | უკრიჭა, გაუცინა, ჩამოუგდო ქვიქვირი“ („ვირი და ფილოსოფოსი“, იქვე, 58);

6. „ძუძუებში ჩაგივლია პაწაწა ხელიო!“ („იმერული ნანინა“, ტ. 8, 1978 : 62);

7. „მაშ რად მინდა პეპელა, |უგნურად თავის მკვლელი, | და როგორ არ მერჩიოს | მასაც ციცინათელი?“ („ციცინათელა“, იქვე, 71);

8. „ნეტავ რას ჩავცივებივართ | ამ ბებერს გამომხრჩვალსაო“ („ფოთი“, იქვე, 92);

9. „მე ჩიტივით მეჭიკჭიკოს, სხვებს ზარის ხმით შეუძახოს“ („სხვადასხვაგვარი სიყვარული“, იქვე, 106);

10. „დაგხვიხვინებს თავს მერანი!..“ („დედის სიმღერა“, იქვე, 117);

11. „პატარა საყვარელო, | რისთვის მომიკალ გული? | გალიაში გაგზარდე, | ვით მაისის ბულბული“ („იმერული ნანინა“, იქვე, 124);

12. „დედას ცრემლი უნებურად | წამწამებზედ შეუჩერდა“ („ქართველი ქალი“, იქვე, 148);

13. „ჯერ ჭყლოპინებს ბარტყ-ცახელი | ... | მოღუღუნე რაფაელი“ („მწერების ფერხული“, იქვე, 153);

14. „თითქოს ტკბილ სევდას ივსებსო გულსა!.. | მოკაშკა–შენი, | მოთამაშენი“ („ქებათა ქება“ იქვე, 154);

15. „ჟუჟუნა წვიმამ ზედ დაგკრა, | ალერსით აგამწვანაო“ („მუშური“, იქვე, 177);

16. „რას წუწკუნებს ის პატარა მურია?“ („პატარა მურია“, იქვე, 183);

17. „ხავერდივით მწვანე ბალახს | აბიბინებს სიო ნაზად“ („გაზაფხული“, იქვე, 195);

18. „ძველ საყდარს დაქათქათებდა“ („ხალხური“, იქვე, 198);

19. „დადუმებულა მთაწმინდა, | ისმენს დუდუნსა მტკვრი–სასა“ („განთიადი“, იქვე, 202);

20. „და გულის-პასუხს ნარნარად | უმღერის ტურფა მხარესა“ (იქვე, 203);

21. „შენ აგუზგუზებ, ბუხარო, | დაბალ ნაკვერჩხალს, მაღლა ალს...“ („მიმკვლევა“, იქვე, 208);

21. „გამოძღენ ... გამოსისინდნენ, | წითელი ღვინით თვრებიან...“ („სტუმრები“, 210);

22. „გულამღვრევით რას ბუტბუტებს, | გადასული დროს მომგონი?“ („ქუთაისი“, იქვე, 214);

23. „რა არის მაშინ მწერალი, | თუ არ წუწუნა გოშია?“ (უსახელო ლექსი, 217);

24. „სულს ნუ ამომხდი, მაცალე | დახამხამება თვალისა!..“ („ავადმყოფი მგოსანი“, იქვე, 218);

25. „ამბობენ: დიდი ხანია | ხელი აიღო რჯულზეო“ (უსახელო ლექსი, იქვე, 220);

26. „და საიდუმლო პარპალით | ბნელს ჰფანტავს მისი ნათელი“ („ხატის წინ“, იქვე, 224);

27. „დასტური მომცა ციმციმით, | სხივები გადმომაყარა“ („სულიკო“, იქვე, 230);

28. „დამავიწყდება ქართული, | ჟუჟუნა, შავი თვალები!..“ („ქართული პატრიოტობა“, იქვე, 234);

29. „იქ კი გასწირავს და გასცემს, | გაუშანშალებს დანოსსა“ („ჩვენებური ლხინით“, იქვე, 259);

30. „მოცლილ ხალხის მუქთახორას, | ამ ქვეყნად რომ დაწანწალებს“ („ინტერნაციონალი“, იქვე, 270);

31. „გადაქცეული სიტყვად, | ვასაქსაქებთ ენასა“ („დამარ–ხვა“, იქვე, 278);

32. „რუსთაველმა მაქო და მისი | ნათქვამი ყველა დიდია“ („ბაასი“, იქვე, 280);

33. „ძილო! შენით სულს იდგამს | ზეცა და ქვეყანაო! | მოუსვენე მამასაც, | ნანა-ნანა-ნანაო!“ (უსახელო ლექსი, 297);

34. „დამწუნებელო ბულბულის, | გიყვარს კაჭკაჭი სხვა მხრისა!..“ („უკანასკნელი ლექსი“, 309);

35. „და შეუქმნივართ ჩვენ მხოლოდ | ამ სოფლის მაჩანჩალადა!..“ („თორნიკე ერისთავი“, 319);

36. „ჩემი სიტყვები რომ ვიგულისხმო, | ხალხის ღაღადსაც დაუგდე ყური!..“ (იქვე, 352);

37. „მათი გუგუნი, მათი კიჟინი | ზე ეფინება ირგვლივ მთა და ბარს“ (იქვე, 355);

38. „ვითა ეთერი მზეთუნახავი, | საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს“ (იქვე, 361);

39. „ციური ნიჭის მისაღებელად | ვარდმა კოკობმა თავი ახარა“ (იქვე, 362);

40. „და, როგორც იმათ მხედრების გულში. | ისე არც იმათ გულშია შიში“ (იქვე, 363);

41. „მაშინ მოესმა აფრანიკის ხმა | და სიხარულმა აცახცახა“ (იქვე, 367);

42. „ჩიფჩიფით ამბობს ამ სიტყვებს | ჩაცვივნული აქვს კბილები“ („ორი ქართველი“, 402);

43. „ჯორზე იჯდა, ღიღინებდა, | არაფრის არ ჰქონდა ჯავრი!“ (იქვე, 410);

44. „მოუქნია ხმალი, თავი | წააცალა, როგორც წიწილს“ (იქვე, 411);

45. „წელში ვიწროა, წერწეტი, | ბეჭებში განიერია“ („ნათელა“, 428);

46. „ზეზე წამოდგა მთავარი, | შემკრთალი გაოცებითა!“... (იქვე, 444);

47. „ქალმა გადიძრო პირბადე ... | ნოინმაც გადიხარხარა!“ (იქვე, 472);

48. „ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს |თითი, თვალთან მიტანილი!..“ („გამზრდელი“, იქვე, 476);

49. „მოტრიალდა და აღმართი | ძლივს ბარბაცით აიარა“ (იქვე, 490);

50. „გაუზომელო, სივრცით უძირო! | თვით უკვდავების კამკამო წყარო“ („პატარა კახი“, იქვე, 505);

51. „ხომ დაგვწიწკნიდნენ სულ ლუკმა-ლუკმად | და გავხდებოდით ყვავ-ყორნის მსხვერპლად?“ (იქვე, 508);

52. „(დედოფალს) ერთად სიცოცხლე, ერთად სიკვდილი, | ჩემის გვირგვინის გვირგვინო, თამარ!“ (იქვე 594);

§ 61. შერწყმულად ხმარებულ სიტყვათა რედუპლიკაციები აკაკის პოეზიაში

აკაკი წერეთლის პოეზია დატვირთულია სიტყვათა რედუპლიკაციებით. აქ შეიძლება რამდენიმე ქვეჯგუფი გამოვყოთ. პირველი ქვეჯგუფის რედულიკაციები ქმნიან ერთიან სიტყვას, როგორც მთელს ანუ ერთ ენობრივ ნიშანს. ისინი ერთმანეთთან შეერთებულია ან „და“ კავშირით, ან სხვადასხვა ბრუნვის ნიშნებით, ან დეფისით. მოგვყავს ამ ქვეჯგუფის რედუპლიკაციები, რომლებიც ქმნიან ერთიან სიტყვას, გარდა დეფისით შეერთებული სიტყვებისა:

1. „ეცდება კიდეც, რომ ზედ ააგოს | საშვილიშვილო წმინდა ტაძარი!..“ („კოლხიდელს“, იქვე, 120);

2. „რა ღვთის რისხვაა?“ - შრიალით | ერთმანეთს ეუბნებიან“ („გიორგობისთვის დღე“, 199);

3. „ია და ვარდი დამჭკნარი | ხელახლად გამიხარეო!..“ („განთიადი“, 204);

4. „რომ ქართველი ქართველ გმირად | გამოზრდიდეს შვილიშვილსა“ („სიზმარი“, იქვე, 239);

5. „და ამ გალობით ძალთაძალს | აღმაღლებულად ამკობენ“ („თორნიკე ერისთავი“, იქვე, 333);

6. „არ ასვენებდნენ დღითიდღე | ემატებოდათ მნახველი“ (იქვე, 342);

7. „და გაიელვა ზედიზედ მტრებზე | მისმა მახვილმა ძველებურადა“ (იქვე, 373);

8. „ხომ ხედავ ამდენ ვაჟკაცებს, | გმირთაგმირს, ლომთალო–მებსა?“ („ნათელა“, იქვე, 443);

9. „ხან მაქვს წყალი და პური, | ხანდახან მშიერი ვარ“ („უდარდო კაცი“, იქვე, 67);

10. „გაბედული უნდა იყოს, | პირდაპირი, ვით შურდული!“ („სხვადასხვაგვარი სიყვარული“, იქვე, 105-106);

11. „სხვებზედ პირდაპირ მიმსვლელი | თვით დაიჭირეს ქურდულად“ („არწივი“, 187);

12. „ჯერჯერობით კმაყოფილი, | რაღას ეტყვი მაშინ შვილებს“ („თანამედროვე გმირი“, იქვე, 305);

13. „და ორბელაძის საპირდაპიროდ | თვით აფრანიკე გამოსულია...“ („თორნიკე ერისთავი“, იქვე, 364);

14. „სახელდახელოდ ტრიალ მინდორზე: | ზოგან იბრძვიან ერთად, ჯგუფ-ჯგუფად“ (იქვე, 366);

15. „მოღუნეს მშვილდი, მოსდვეს საცერე | და ერთმანეთსა სტყორცნეს ისარი“ (იქვე, 368);

16. „მოჩხუბართ მხოლოდ ბრაზს უმატებდა | და ედებოდათ თანდათან ალი“ (იქვე, 368);

17. „მოპირდაპირემ აღარ აცალა“ (იქვე, 368);

18. „ხმის გასაწმენდად პაპია | მოჰყვა ძალდაძალ ხველასა“ („ორი ქართველი“, იქვე, 403);

19. „მაგრამ ერთმანეთზე მისვლა | ხმალდახმალ არ დაიზა–რეს“ (იქვე, 409);

20. „შიგადაშიგ გამოუჩნდა | ძმას მისივე მოძმე მტერი!“ („ნათელა“, 424);

21. „ისე როგორც სხვადასხვაა | ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა“ („გამზრდელი“, იქვე, 482);

22. „და წინდაწინვე ვიცი, ამ რჩევას | რომ ვერ უარჰყოფს ვერა ქართველი“ („პატარა კახი“, იქვე, 534);

23. „ცხენდაცხენ რატომ არავინ მოდის?“ (იქვე, 542);

24. „თუ წინ წამძღოლი ვინმე გვეყოლა, | გულდაგულ მივალთ!.. ყველა მზადა ვართ!“ (იქვე, 567);

25. „მართლაც თათრებთან პირდაპირობა, | უნდა გამოვტყდეთ, საეჭველია!..“ (იქვე, 574);

26. „ნუ გეშინია ... იმას ამ დროშიც | გამოუჩნდება მოპირდაპირე“ (იქვე, 588);

§ 62. დეფისით შეერთებულ სიტყვათა რედუპლიკაციები

აკაკი წერეთლის პოეზიაში სიტყვათა რედუპლიკაციები, რომლებიც შეერთებულია ერთმანეთთან დეფისით, ცალკე ჯგუფად გამოვყავით, რადგან ამ ჯგუფში არის გაერთიანებული დეფისით დაწერილი ისეთი სიტყვებიც, რომლებიც თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში იწერება ერთად. ისინი აკაკის პოეზიაში შეადგენენ საკმაოდ დიდ ჯგუფს. მაგალითები:

1. „ჩემო ციცინათელა, | სადღა ჰფრენ ნელა-ნელა? | შენმა შორ-შორ ნათებამ | უდროოდ დამანელა!“ („ციცინათელა“, იქვე, 72);

2. „შალომა დილ-დილობით | ჩამოუვლის კნეინებს“ („ალლა-ვერდი“, იქვე, 82);

3. „ქვეშ-ქვეშ შტერი, ტკბილად მმღერი!“ (უსახელო ლექსი, იქვე, 90);

4. „დედამ უნდა შვილისათვის | თავის-თავი დაივიწყოს!..“ („დედის სიმღერა“, 116);

5. „როცა ილევა, ნელა-ნელა ცხრება“ (მთვარე) („კოლხიდელს“, იქვე, 120);

6. „აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად“ („აღმართ-აღმართ“, იქვე, 123);

7. „დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით!“ (იქვე, 123);

8. „შაქრით მყავდი გაზრდილი, | შენთვის ვლე კიდის-კიდე!“ („იმერული სიმღერა“, 124);

9. „ვიცი მხოლოდ ერთად-ერთი...“ („უცხო მხარე“, იქვე, 127);

10. „დღე-დღე ვერ ჩნდება სირცხვილით | და მუდამ ამას წრიპინობს“ („ღამურა“, იქვე, 139);

11. „ქვეყნით ბუნება | ბანს ეუბნება | და ეს ბანია „ქებათა-ქება“ („ქებათა-ქება“, იქვე, 155);

12. „შენ ერთად-ერთო იმედო | მტრისაგან გამოხსნისაო!..“ („ხანჯალს“, 161);

13. „ - ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ | ამ ეზოში დილ-დილასო!“ („სოფლური“, იქვე, 170);

14. „მთვარე ერთია, ერთი მზე, მურზაყანც ერთად-ერთიო“ („მურზაყან შავ-სევდიანი“, იქვე, 176);

15. „ამევსო გული წვეთ-წვეთად | ნაღვლითა და შხამითა“ („ჭაღარა“, იქვე, 181);

16. „მხარ-მკლავი ამირანისა, ამირან მძლეთა-მძლისაო“ („მურზაყან შავ-სევდიანი“, იქვე, 176);

17. „მხარი-მხარს მივსცეთ, ხელი-ხელს“ („ჭაღარა“, იქვე, 183);

18. „გალიაშია მზეგნელი | მარტოდ-მარტოკა ის ობლად“ („არწივი“, იქვე, 187);

19. „მათთვის გაშლილა ბუნება, | ფერად-ფერადად მკულიო“ („ჩიტი გალიაში“, იქვე, 196);

20. „წვერ-წვერა გამცემლიძესა | უქებენ მოსახლ-კარობას“ (უსახელო ლექსი, იქვე, 219);

21. „საღაცა დადის ღამ-ღამით, | მელიათ მიიპარება“ (იქვე, 219);

22. „დილ-დილით გასაღვიძებლად | შაშვმა მისტვინოს ზევსური“ („ანდერძი“, იქვე, 226);

23. „ცალ-ცალკე და ყველა ერთად | სიცოცხლე და ნეტარება!“ („სიზმარი“, იქვე, 238);

24. „ვინც კი კაცად-კაცადია | და სიმართლით გული უხურს“ („მეგობარს“, იქვე, 244);

25. „ყველასათვის ერთად-ერთი, | როგორც ერთი მზე და მთვარე“ („ალბომში“, იქვე, 254);

26. „ბოლოს შეგხვდი ერთადერთს, | მაგრამ რაღა დროისია?“ („წარწერა წიგნზე“, იგივე, 254);

27. „მოუსხდნენ სუფრას რიგ-რიგად, | თავ-თავის შესაფერადა“ („ჩვენებური ლხინი“, იქვე, 257);

28. „მხოლოდ შიმშილით მოკლეს და შემდეგ | პირში აყრიდნენ მუჭა-მუჭა ფლავსა“ („უკანასკნელი“, იქვე, 262);

29. „ხორა-ხორა ეგება | გვირგვინების კრებული!“ („დამარხვა“, იქვე, 278);

30. „და, შემბღალავი წმინდა-წმინდათა, | იორკეცებდი თვით საძაგლობას?“ („ილიას მოკვლის გამო“, იქვე, 277);

31. „მე უბრალო მიზეზი ვარ დღეის-დღის“ („იუბილე“, იქვე 287);

32. „კარგი აქოს, ავი დაჰგმოს, დადიოდეს სოფლით-სოფლად“ („პასუხი“, იქვე, 298);

33. „შორი-შორსა ვართ, ვით ცა და მიწა“ („პასუხი ახალგაზრდას“, 300);

34. „დასხდნენ რიგ-რიგად ყველანი...“ („თორნიკე ერისთავი“, იქვე, 321);

35. „ჰგლეჯენ მას ნაწილ-ნაწილად | და ერთმანეთში იყოფენ“ იქვე, 337);

36. „მათ-მათ შესაფერს თვითოეულად, | და სახვალიოდ ჯარებს ამზადებს“ იქვე, 358);

37. „მხოლოდ გუნდ-გუნდად დაჰყავით ჯარი, | რომ ერთმანეთსა გამოუნაცვლოთ“ (იქვე, 361);

38. „ჭიხვინ-ჭიხვინით, ტორების ცემით, | ძუა-ფაფარშლით აცქვეტენ ყურებს“ (იქვე, 363);

39. „ზოგან იბრძვიან ერთად, ჯგუფ-ჯგუფად| და ზოგან ერთი მიდის მის სწორზე“ (იქვე, 366);

40. „იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..“ (იქვე, 382);

41. „გზას გაუდგა ნელა-ნელა“ („ორი ქართველი“, იქვე, 411);

42. „და, რომ გაჰყვეს ის საუნჯე, | თითო-თითო ყველას გახვდათ!... „ (იქვე, 420);

43. „დღე-დღეზე მიდის, თვე-თვეზე, | გარბიან წელიწადები!“ („ნათელა“, 429);

44. „ჩანგურს სიმები გავუბი, | მოვმართე ნელა-ნელაო; | შევუხმატკბილე ერთმანეთს: | ოდელა - დელა - დელაო!“ (იქვე, 447);

45. „ხომ დაგვწიწკნიდენ სულ ლუკმა-ლუკმად“ („პატარა კახი“, იქვე, 508);

46. „ნელ-ნელ შეპარვით, ერთხელვე დასდო“ (იქვე, 526);

47. „შორს-შორს გვიძევს, შვილო, საზღვარი!“ (იქვე, 545);

48. „დღეს და ხვალობით ცოტ-ცოტად სენი | გაუჯდა მხარეს რბილში და ძვალში“ (იქვე, 582);

49. „დაჰყო ცალ-ცალკე გუნდებად ჯარი“ (იქვე, 582);

50. „შეიქნა ქვების ზუზუნ-ზუზუნი“ (იქვე, 608);

51. „ყურცქვიტა და კუდგრძელა, | მოცუნცულებს ნელა-ნელა“ (აკაკი, ლექსები, 1991, „ნადირობა“, 78).

თანამედროვე ქართულ ენაში, სხვა ენებისაგან განსხვავებით, გვაქვს რიცხვითი სახელების რედუპლიკაცია (ორ-ორი, ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი და მისთანები). სხვა ენაში ეს ხერხი არ გამოიყენება (იხ. ზემოთ). აკაკი წერეთელმა თავისი პოეზიით შექმნა საფუძველი ქართულ ენაში ჩამოყალიბებულიყო რიცხვით სახელთა რედუპლიკაციები. ეს ხერხი ქართული ენისათვის სპეციფიკური ხერხია, იგი ინდოევროპულ ენებში და სხვა აგლუტინაციურ ენებშიც (აზერბაიჯანული, ყაზახური, თურქული და მისთ.) არ გამოიყენება (იხ. ზემოთ).

აკაკი წერეთლის პოეზიაში ოთხჯერ შეგვხდა რიცხვითი რედუპლიკაციური ფორმები. ეს ფორმები, როგორც წინამდებარე მაგალითები, იწერება დეფისით. რიცხვითი რედუპლიკაციები ქართულ ენაში შეიძლება ვაწარმოოთ ანალოგიურად, აკაკის მაგალითების შუქზე, ნებისმიერი რიცხვითი სახელისაგან (შდრ. ორას-ორასი, ხუთას-ხუთასი, ათას-ათასი და სხვ.). მაგალითების სიმცირის გამო რიცხვით რედუპლიკაციებს ვათავსებთ ამავე პარაგრაფში, რადგან ყველა შემთხვევაში ისინი დეფისით არიან შეერთებული ერთმანეთთან:

1. „ურცხვად შვიდ-შვიდ პარასკევსა | მითვლიან მე ერთ კვირაში!“ (უსახელო ლექსი, იქვე, 142);

2. „კომლზე სამ-სამი თუმანი | ადვილად გაუწერია...“ („გლეხის საჩივარი“, იქვე, 273);

3. „ხელი მოვკიდოთ ორივემ ორ-ორს!“ („თორნიკე ერისთავი“, 369);

4. „ას-ასობით სძღვნიდენ ყურებს, | იმტკიცებდენ მით გმირობას“ („ორი ქართველი“, იქვე, 420).

§ 63. კონტრასტული რედუპლიკაციები

როგორც წინამდებარე ნაშრომის შესავალში აღინიშნა, თანამედროვე ქართულ ენაში უხვადაა საპირისპირო მნიშვნელობის, ანუ როგორც ჩვენ ვუწოდეთ, „კონტრასტული რედუპლიკაციები“, რომლებიც ქმნიან ერთიან სიტყვას, ისინი დეფისით არიან ქართულ ენაში შეერთებული. სხვა ენაში ამგვარი ფორმები ძალიან იშვიათად მოგვეპოვება. ამიტომ ქართული ენისათვის კონტრასტული რედუპლიკაციებიც რიცხვითი სახელების რედუპლიკაციების მსგავსად სიტყვათწარმოების სპეციფიკური ხერხია.

აკაკი წერეთლის პოეზიაში მიმობნეულია კონტრასტული რედუპლიკაციები, რაც წინა პოეტების ნაწარმოებებში იშვიათი მოვლენა იყო. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ აკაკი წერეთელმა ხელი შეუწყო ქართულ ენაში დამკვიდრებულიყო კონტრასტული რედუპლიკაციის ეს ახალი ხერხი. მოგვყავს მაგალითები პოეზიის შესაბამისად:

1. „რაც ჩასძახა, მოვჰკარ ყური, | რომ ჭურმაც ის ამოსძახა“ („ჭური“, იქვე 59);

2. „თუ დაგვეკარგა ის წყალი, | ჩვენ „ვაის“ „უის“ შერთვასო!“ („ფოთი“, იქვე, 92);

3. „დამიჯერე, არ გატყუებ | მიმავალი მომავალსა!“ („ბობოლაების ბაიათი“, 111);

4. „ჩიტებმა ახედ-დახედეს, | სთქვეს: „ვინ მოსულა ესაო?“ („ღამურა“, იქვე, 138);

5. „დაჰყღივლეს, ჩაუნისკარტეს, | გაჰკრეს-გამოჰკრეს ბრჭყალები“ (იქვე, 138);

6. „კუდიან თუ უკუდო | ტანსაცმო სულ ერთია!“ („ფრაკი“, იქვე, 169);

7. „აქ ბარი „ვაი“-ს იძახის ... მთა „უი“-ს იძახოდისო!..“ („მურზაყან შავ-სევდიანი“, 176);

8. „გადასკუპ-გადმოსკუპდები, | დაჰფრენ, ვით ჭრელი პეპელა“ („ალბომში“, იქვე, 205);

9. „ეს სულ სიტყვის მასალაა, | მითქმა-მოთქმა და უბნობა!“ („ცხოვრება“, 235);

10. „კიდით-კიდე სასწაული | მიაფინა, მოაფინა“ (იქვე, 236);

11. „მაგრამ აქეთაც, იქითაც | უპარპალებენ თვალებსა“ („ჩვენებური ლხინი“, 259);

12. „მაღლიდან ჩამოტანილის | ციური მიხვრა-მოხვრისა!“ („დიდება მაღალთა შინა“, 271);

13. „არა, არა!.. მითქმა-მოთქმა | ეს, მშიშარა, ტყუილია...“ („ილიას მოკვლის გამო“, იქვე, 274);

14. „ვის არ უნახავს მის ბედის | წაღმა-უკუღმა ტრიალი?..“ („თორნიკე ერისთავი“, 336-337);

15. „წაღმა, უკუღმა, მარჯვნივ თუ მარცხნივ, | ყოველი მხრისკენ სჭრის მისი თვალი“ (იქვე, 363);

16. „ხან აქ და ხან იქ სისხლი იღვრება...“ (იქვე, 365);

17. „იმას ეძებდა და აქეთ-იქით | სხვადასხვა რაზმში მიჰქრი-მოჰქროდა“ (იქვე, 367);

18. „კვნესა მოისმა აქა-იქ მწარე“ (იქვე, 375);

19. „ერთად არეულ-დარეულებში | ვეღარ არჩევდნენ მოყვარეს და მტერს!“ (იქვე, 375);

20. „და მიიხედ-მოიხედა, | ოთხსავ კუთხეს ავლო თვალი“ („ორი ქართველი“, 406);

21. „ხიდი წახვეტა, რაც იყო, | შეჰკრა გზა გაღმა-გამოღმის!..“ („ნათელა“, 431);

22. „ჭირიც და ლხინიც საერთო - | კავშირი იმერ-ამიერ!!..“ (იქვე, 446);

23. „გზა მიუძღვის საცალფეხო, | მიხვეული, მოხვეული“ („გამზრდელი“, 474);

24. „მინგრეულს და მონგრეულსა | ჰხედავს იქვე მის ქვეშაგებს!!...“ (იქვე, 484);

25. „გადაეღუნოს, გადმოეღუნოს | და მოეთხაროს სულ ძირიანა“ („პატარა კახი“, იქვე, 512);

26. „სადღაა ის დრო, ჯეირანივით | აქ რომ ავირბენ-ჩამოვირბენდი?!“ (იქვე, 551);

27. „ვაი და უი! ამ დღის მოსწრებას!“ (იქვე, 605).

§ 64. სიტყვათა რედუპლიკაციები, რომლებიც იწერება ცალ-ცალკე

აკაკი წერეთლის პოეზია დატვირთულია ისეთ სიტყვათა რედუპლიკაციით, რომლებიც იწერება ცალ-ცალკე. ასეთი სიტყვები ლექსში ან გვერდიგვერდ მდებარეობენ, ან - განცალკევებულად, ე.ი. მათ შორის არის სხვა სიტყვები. მოგვყავს ნაწილი მაგალითებისა:

1. „საიდუმლო ბარათო! | მექმენ... მექმენ მარადო“ („საიდუმლო ბარათი“, იქვე, 44);

2. „არა! ვგონებ კი მეღირსოს ნახვა! | ნახვა! რა ნახვა? ის იქნება სხვა!“ („ქართლის სალამი“, 46);

3. „რამ დაგაღონა? რამ შეგაშინა?“ (იქვე, 46);

4. „ხან სპარსელნი აკვნესებენ, | ხან თურქები აოხრებენ, | ხან სკვითები, დროს შერჩევით, | მყუდროებას უშფოთებენ! “ („სალამური“, 49);

5. „იგი გრძნობით შენია, | შენია და შენია“ (აკაკი, ლექსები, 1991, „მ...ს“, 50);

6. „არ მინდა ღენერალი!.. | შორს!.. შორს ჩემგან, თავადო!...“ („ნინოს სიმღერა“, იქვე, 52);

7. „არ მოსწონს სალამური, არც თარი, არც ჩონგური“ (ქართ. პოეზია, ტ. 8, „აპელაციის მცოდნე“, გვ. 53);

8. „მაგრამ გააქანე თავი, | მომაყვირე: ვერა! ვერა!“ (აკაკი, ლექსები, თბილისი, 1991, „ახ...ს“, გვ. 54);

9. „ჰოოპ! ჰოოპ! ჰერი! ჰერი! | ჩუ, გამოხტა აგერ მწყერი“ (იქვე, 65);

10. „ახ, მეზურნევ, დაჰკა! დაჰკა! | გამაგონე ეგ სევდის ხმა!“ (ქართ. პოეზია, ტ. 8, „შიქასტა“, იქვე, 57);

11. „ჩემი თავი ჩამეწერა, | მაგრამ გააქნიე თავი, | მომაყვირე: ვერა! ვერა!“ („ან...ს“, იქვე, 60);

12. „სამეფოო ძველთა ძველო, | დღეს სნეულო, გულის მწველო“ („ძველ სამეფოს“, იქვე, 61);

13. „გაიღვიძე, დროს ნუ კარგავ, | თუ რომ გინდა ნეტარება! | თვით სიცოცხლე სიფხიზლეა, | გაიღვიძე, გვეჩქარება“ (იქვე, 61);

14. „დიდებაო ძველის ძველო! | დღეს წყეულო, საეჭველო!“ (იქვე, 62);

15. „მოგვასწარ, რომ ვიძახოდეთ: | „ვაშა! ვაშა! საქართველო!“ („იქვე, 62);

16. „ამ სიტყვებმა, დობილო, | მომიმატეს ჭირი ჭირს!.. „ („პასუხი მეგობარს“, იქვე, 74);

17. „ერთმანეთს ადებენ ბრალს, | ერთმანეთს იმდურებენ“ („ალლა-ვერდი“, იქვე, 85);

18. „ჰაი გიდი, ჩვენი ერი!.. | ჰერი! ჰერი! ჰერი! ჰერი!“ (უსახელო ლექსი, იქვე, 90);

19. „ჩუ, ჩუ და ჩუ, მშვენიერო, | ნუ ამბობ: „ვარ მე ლამაზი!“ („ჩუ, ქართველო!“, იქვე, 68);

20. „ოჰ! ოჰ! რა დიდი სვავია, - | უზომოდ ფულის-ყლაპია!“ („ფოთი“, 92);

21. „ჯილდო შეგვექნა ჭკუის საწონი | და ძმობის ნაცვლად - შური და შური!..“ („აღარ გვაქვს გრძნობა“, 96);

22. „სად ვერც იტყვი, ვერცა ისმენ, | ვერც რას ნახავ საამურსა“ („ახალი გზა“, 132);

23. „ჩემს სამშობლოს კარგად ვიცნობ, | მომივლია კიდით კიდე; | მართლის თქმით და გულ-წრფელობით | ჭირი ჭირზე გადვიკიდე!“ (იქვე, 132);

24. „დღეს მერცხალი შემოფრინდა, | ჭიკჭიკითა გადმომძახა: | „გაზაფხული! გაზაფხული!“ | გულს იმედი დამესახა“ („გაზაფხული“, იქვე, 150);

25. „და ბულბულიც გამაგონებს | მისებურად: „ტია, ტიას!“ (იქვე, 151);

26. „ჩუ! მალული, - ფრთხილად, ფრთხილად | გეპარებათ კუდა-მელა“ („მწერლების ფერხული“, იქვე, 153);

27. „გლესავ და გლესავ, ხანჯალო, | ამოგიფერავ გულსაო!“ („ხანჯალს“, 162);

28. „ჭირიმე, შენი ჭირიმე, | მტერს აუტირე დედაო!“ (იქვე, 162);

29. „ - ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ“ („სოფლური“, 170);

30. „ქუცი, ქუცი! კუდქიცინა მურია!“ („პატარა მურია“, იქვე, 183);

31. „თათი, თათი, სალახანავ მურია“ (იქვე, 183);

32. „გუნდი და გუნდი ვარსკვლავი, | მოკაშკაშ-მოელვარეო“ („განთიადი“, იქვე, 203);

33. „ადექ!.. ადექ!.. კარში გადი | მაბეზღარო, შენ იუდა!“ („იუდა“, იქვე, 207);

34. „ჰკარ! მოჰკალ! შეჰკარ! შეიპყარ!“ | იძახდნენ ჩვენი ძველები...“ („ახლანდელი სიმღერა“, იქვე, 213);

35. „მოთმინება!.. მოთმინება!.. | სევდით გული არ აივსო!..“ („ქუთაისი“, იქვე, 215);

36. „ჩონგურო, ჩემო ჩონგურო! | ოცნების ზღვაში მცურავო!“ („ავადმყოფი მგოსანი“, 218);

37. „ზღვაო, აღელდი, აღელდი, | ქარტეხილს დაემორჩილე!“ („ზღვაო, აღელდი, აღელდი!“, იქვე, 220);

38. „ბეკეკავ! ჩემო ბეკეკავ! | შენ ჩემო კარგო ბელაო!“ („ჩემი თხა“, იქვე, 229);

39. „მრავალ-ჟამიერ! ჟამიერ, | ჩვენს ტურფა საქართველოსა!“ („ქართული პატრიოტობა“, 234);

40. „აიტაცა შუქმა შუქი | და მას გაჰყვა თანვე ყველა!..“ („სიზმარი“, იქვე, 239);

41. „თუმცა ეს მსხვერპლი საიდუმლო | საიდუმლოდ იწვის ჰქრება“ (უსახელო ლექსი, იქვე, 241);

42. „ამბობს: „ჩემი ხომ ჩემია?! | რაც შენია, სულ ჩემია?!.. („მეგობარს“, იქვე, 244);

43. „ჩვენ მოვუვლით ისევ ჩვენს თავს, | არ გვინდებხარ - „ძირს და ძირსო!“ („ძირს“, იქვე, 265);

44. „მაგრამ ჯერ კი აკვანში ხარ, - | გაიზარდე მალე, მალე!“ („გურული ნანინა“, იქვე, 267);

45. „შეერთდით, ძმებო! შეერთდით!.. | ხელი ხელს მიეცთ ძმურადა“ („რჩევა მოძრაობის დროს“, 268);

46. „არც მყვარებია, არც მიყვარს, | არც მდომებია, არც მინდა, | არც მწამებია, არცა მწამს | შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!“ („დიდება მაღალთა შინა“, 271);

47. „დიდება, მაღალთა შინა“... დიდება, ვინც შენ შეგამკო!!“ (იქვე, 271);

48. „დედა ხარ!.. დედა ობოლი“ (იქვე, 271);

49. „გავიგონებთ თუ არა, | მოკვდა „ესე და ესო“ („დამარხვა“, იქვე, 278);

50. „ველით და ველით მესიას, | გვიგვიანდება ვადები“ („ურიული მოთქმითი ტირილი საქართველოში“, იქვე, 283);

51. „ვაშა! ვაშა, სათაყვანო მომავალს!“ („იუბილე“, იქვე, 287);

52. „შორის ოხვრით, შორის ბნედით | მიყვარს! მიყვარს სულით! გულით! („მოხუცის სიყვარულით“, 295);

53. „ამ ქვეყნად თუ გულს გული არ ერგო, | სულს შეუერთდეს იმ ქვეყნად სული!“ („პასუხი ახალგაზრდას“, იქვე, 300);

54. „სად ჟენევა? სად საჩხერე? | ვინ ლიზა და ვინ აკაკი?!“ („პასუხი ლ. თარხნიშვილის ქალს“, იქვე, 301):

55. „გამწირა!.. იმან გამწირა, | ვისაც შევწირე ყოველი! | სიცოცხლე მიმაჩნს სიკვდილად, | სიკვდილს სიცოცხლედ მოველი!“ („გოდება“, იქვე, 307);

56. „არც მომკლა, არც დამარჩინა, | არც სული დამალევინა“ („ჩემი სიმღერა“, 308);

57. „კაცსა კაცად აფასებდენ, | ადიდებდენ ღმერთსა ღმერთად“ („თორნიკე ერისთავი“, იქვე, 315);

58. „ასე იმღერის გუნდად და გუნდად | შეუპოვარი ქართველთა ჯარი“ (იქვე, 355);

59. „ჩვენ ორში უნდა ერთი და ერთი | მოკვდეს, გათავდეს მითი ომიო!“ (იქვე, 367);

60. „ერთ გუნებაზე იდგა და იდგა... (იქვე, 387);

61. „ხმალსა ხმალი მიაგება, | არ ჰზოგავდა თვისსა ძალსა“ („ორი ქართველი“, 409);

62. „სხვა ლეკი იყო ის ლეკი, | სხვა ხმლისა და სხვა ხელისა!“ (იქვე, 415);

63. „აღარც ძმობა, აღარც ყმობა, | აღარც სიტყვა, აღარც პირი!..“ („ნათელა“, იქვე, 423);

64. „ოხვრით ჰკითხა: „მერე? მერე? | რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა?“ („გამზრდელი“, იქვე, 491);

65. „ - მესმის, მესმის და პასუხიც | ჩემი მხოლოდ ეს არიო“ (იქვე, 492);

66. „აჰ! არა! არა!.. წადი... გამშორდი!..“ („პატარა კახი“, იქვე, 506);

67. „ჰო! წადი... წადი... მომშორდი მალე!“ (იქვე, 506);

68. „ნუ! ნუ! ხომ ხედავ?! არ შეიძლება!..“ (იქვე, 506);

69. „ჰო! მაგრე! მაგრე! თქვენ დაგენაცვლეთ!“ (იქვე, 537);

70. „ვიცი!.. ვიცი, რომ არ მომატყუებ“ (იქვე, 563);

71. „თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, თქვენი“ (იქვე, 567);

72. „შენი გამჩენის ჭირიმე, შენი“ (იქვე, 568);

73. „გაჰყვა ვიღაცა ... მაგრამ, ჰო! ჰო! ჰო! | მისვლის უმალვე ძირს ჩამოვარდა“ (იქვე, 597);

74. „მარად ვიცნობდი და მარად ვგრძნობდი | მე იმათ ძალებს“ (აკაკი, ლექსები, თბილისი, 1991, „მოხუცის მოგონება“,27);

75. „ცხადად ვერ ვფრენთ, და ოცნება | წამს იშვა და წამსვე გაჰქრა“ (იქვე, „ალექსანდრა“, 30).

§ 65. სიტყვათა შეხამებებისა და წინადადებათა რედუპლიკაციები

აკაკი წერეთლის პოეზიაში საკმაოდ ბევრი მაგალითი მოგვეპოვება სიტყვათა შეხამებებისა და წინადადებათა, ზოგჯერ მთლიანი ტექსტის რედუპლიკაციებზე. მაგალითები:

ლექსში „უდარდო კაცი“ ყოველი სტროფის ბოლოს მეორდება სიტყვათა შეხამება „ბედნიერი ვარ!“ მთლიანად კი ამ ლექსის ყოველი სტროფის ბოლო სტრიქონი ასე ფორმდება:

1. „და მით ბედნიერი ვარ!“ („უდარდო კაცი“, იქვე, 66);
2. „ისეც ბედნიერი ვარ!“ (იქვე, 66);
3. „მხედავთ? ბედნიერი ვარ!“ (იქვე, 66);
4. „ვარ და ბედნიერი ვარ!“ (იქვე, 67);
5. „მაინც ბედნიერი ვარ!“ (იქვე, 67);
6. „მაგრამ ბედნიერი ვარ!“ (იქვე, 67);
7. „ჩემით ბედნიერი ვარ!“ (იქვე, 67);
8. „ვარ და ბედნიერი ვარ!“ (იქვე, 67).

ყოველი გამონათქვამი რეალურად შეესაბამება სტროფის სხვადასხვა შინაარსს. ამგვარად, რვავე სტროფი სხვადასხვა შინაარსისაა, ოღონდ მეოთხე და მერვე სტროფების ბოლო სტრიქონების რედუპლიკაცია ერთნაირია, ე.ი. აქ საქმე გვაქვს არა სიტყვათა შეხამებასთან, არამედ ეს უკვე წინადადების რედუპ-ლიკაციაა. ლექსი „უდარდო კაცი“ მკითხველს დიდ სტიმულს აძლევს და სიამოვნებასაც ანიჭებს.

1. სიტყვათა შეხამებები გვაქვს ლექსში „ციცინათელა“: „ჩემო ციცინათელა! | რად მიჰფრენ ნელა-ნელა? | შენმა შორით ნათებამ | დამწვა და დამანელა!“, - (პირველი სტროფი), ხოლო მეათე სტროფში ხდება პირველი ორი სტრიქონის რედუპლი-კაცია ოდნავი ცვლილებით: „ჩემო ციცინათელა, | საით ჰფრენ ნელა-ნელა?, მაგრამ მომდევნო ორი სტრიქონის შინაარსიანი ცვლილებაა: „მე ვარ შენი ერთგული , | სხვა მოგატყუებს ყველა“; ხოლო ლექსის ბოლო სტრიქონი თითქმის ემთხვევა პირველ სტრიქონს. შევადაროთ: „ჩემო ციცინათელა, | სადღა ჰფრენ ნელა-

ნელა? | შენმა შორ-შორ ნათებამ | უდროოდ დამანელა!..“ („ციცინათელა, იქვე, 69-72).

2. ლექსში „ჩანგური“ ხდება რთული ქვეწყობილი წინადადების რედუპლიკაცია: „მე ჩანგური მისთვის მინდა, | რომ სიმართლეს მსახურობდეს, | განამტკიცოს აზრი წმინდა | გულს სიწმინდით ახურებდეს!“ („ჩანგური“, იქვე, 77) და ამავე ლექსის ბოლო სტროფის პირველი სამი ხაზი სრულიად ემთხვევა, ხოლო მეოთხე სტრიქონი ოდნავ შეცვლილი სახით გვეძლევა: „და გულს წრფელად ახურებდეს!“ (იქვე, 79).

3. უსახელო ლექსის დასაწყისში და ყოველი მომდევნო სტროფის შემდეგ გვაქვს მთლიანი სტროფის (ანუ ტექსტის) რედუპლიკაცია:

„ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიმგერია,
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..“ (იქვე, 79-81). (ტექსტის გამეორება მოხდა ხუთჯერ).

4. ლექსში „ალლა-ვერდი“ ასევე მთლიანი ტექსტის რედუპლიკაციას ახდენს პოეტი, სადაც ლექსის პირველი და ბოლო სტროფის მთლიანი დამთხვევა გვაქვს:

„ალლა-ვერდი ჩვენს ქალებს!
ალლა-ვერდი კნიაზებს!
ალლა-ვერდი „კნიაჟნებს“!
უმანკოების ვაზებს!“ („ალლა-ვერდი“, იქვე, 81 და 85).

5. ლექსი „ხარაბუზა ღენერალს“ დიდი შემართებით იკითხება, რადგან შიგადაშიგ ჩართულია მთლიანი ტექსტის რედუპლიკაცია ოდნავი ცვლილებებთ, რაც ლექსს უფრო მიმზიდველს და სასიამოვნოს ხდის:

„იარანალ-ხარაბუზა,
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,
დაგიკარგავს შენი მუზა!
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!“ (იქვე, 85) და ვიმლევით იმავე ტექსტს შეცვლილი სახით:

„ვაი, ჩვენო ხარაბუზა,
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,
რად გაჰკიცხე შენი მუზა?
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!“
„რადგან ერთ დროს იყავ კაცი
გულმტკიცი და გულმამაცი,
აკაკია არას გკადრებს,
ბაკაკიამ გითხრას: „აცი!“
რომ მოსძებნო ისევ მუზა,
იარანალ-ხარაბუზა,
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,
დაიბრუნე შენი მუზა!
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!“ და სხვა (იხ. იქვე, 86-90).

6. ლექსში „ჩიტუნიები“ აკაკი წერეთელი სახეშეცვლილი რედუპლიკაციის მეშვეობით ახდენს თემა-რემის გაშუქებას. იგი აფრთხილებს ჩიტუნიებს, რომლებიც საკუთარ სახლში ღომს იწუნებენ და სხვის სახლში შაქარს „მიირთმევენ“, რომ ამით არ გახდნენ ისინი უგუნურები. ასეთი სულით ცხოვრება აუტანელი იქნება სხვისთვის, ამას ვერ „გაიტანს“ ვერც ძმობა, ვერც დობა და ვერც მეგობრობა. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ეგ უგუნურები გამოაბრძანონ სხვისი კარიდან და უჩვენონ მათ საკუთარი კარი. ლექსის პირველი სტროფი მიუთითებს, თუ რა თემაზეა მასში საუბარი: „ჩიტო! ჩიტუნიებო! | შინ ღომის წუნიებო, | სხვის სახლში შაქრის ჭამით | არ გახდეთ უგუნებო!“ („ჩიტუნიები“, იქვე, 99). ხოლო ლექსის ბოლო სტროფის პირველი ხაზი შეცვლილია ამგვარად: „მაშ, სჯობს, ჩიტუნიებო“, | შინ ღომის წუნიებო,“ (იქვე, 100) და ა. შ. - ერთდაგვარი დასკვნითი ნაწილია, რადგან პოეტი ერთხელ კიდევ აფრთხილებს ჩიტუნიების სახით ისეთ ადამიანებს, რომლებიც მიჩვეული არიან სხვაზე ლუკმის წართმევას.

7. ლექსში „მუხამბაზი“ სიტყვათა შეხამების რედუპლიკაცია გვაქვს: „მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირი და „მაგრამ მაინც ვიცინი სამნაირად“ („მუხამბაზი“, იქვე, 100–101);

8. მეორე ლექსში „მუხამბაზი“ პირველი სტროფის დასაწყისი რთული წინადადებაა: „რომ იცოდე ჩემი გულის დარდები, | გეფიცები, ტურფავ, შეგიყვარდები!“ მეორდება ოთხჯერ („მუხამბაზი“, 125-127);

9. ლექსში „აღმართ-აღმართ“ რედუპლიკაცია ხდება სიტყვათა შეხამებისა: „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“ (იქვე, 122) და „აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად“ (იქვე, 123);

10. „კინტოს სიმღერა“ იწყება და მთავრდება მთლიანი სტროფით უცვლელად: „საყვარლისა ეშხითა | ღვინო დამილევია, | მის ხსოვნა-სიყვარულში | სულიც დამილევია!..“ („კინტოს სიმღერა“, იქვე, 131);

11. ლექსში „ავადმყოფი“ პირველი სტროფი თემის საკითხს ეხება, რომელშიც ნათქვამია, რომ ვინც ავადმყოფის სიკვდილს ნატრულობს, უფალი მას დაამიწებს, ხოლო იგივე, მაგრამ ოდნავი სახით შეცვლილი, რემის შინაარსს მოიცავს. შევადაროთ ისინი:

„არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს	„არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..	და როდესაც გაიღვიძებს,
ვინც შენატვრის იმის სიკვდილს,	მოიგონებს იმათ სახელს,
უმალ მასვე დაამიწებს!“ (135)	ვინც დღეს იმას არ ივიწყებს“ (136);

როგორც შედარება გვიჩვენებს, პირველ სტროფში ნაგულისხმევია ის ადამიანები, რომლებიც ნატრულობენ ავადმყოფის სიკვდილს, მაგრამ პოეტი ადასტურებს იმას, რომ ასეთ ადამიანებს უფალი არ დაინდობს. ხოლო ბოლო სტროფში, - პირიქით, იგულისხმება კეთილი ადამიანები, რომლებსაც ავადმყოფი მოიგონებს იმათ სახელებს და არასოდეს დაივიწყებს მათ.

1. ლექსის „სურვილი“ ყველა სტროფის (სულ ოთხი სტროფია) დასაწყისი იწყება სითყვათშეხამებით: „მინდა, რომ“ ... (141);

2. თერთმეტსტროფიან ლექსში „განთიადი“ ყველასათვის ცნობილი გამონათქვამის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, | ჩემო სამშობლო მხარეო“ გასამმაგება ხდება. იგი ნათქვამია:

მეხუთე, მეცხრე და მეთერთმეტე სტროფების დასაწყისში (იხ. 203 და 204) და ლექსი იკითხება დიდი აღფრთოვანებით;

3. ლექსში „მიმკვლევა“ მოცემულია აკაკის მიერ საახალწლო მილოცვა, როცა ბუხართან დასხდებიან და მხიარულობენ. პირველი და ბოლო სტროფი (ნაწილობრივი ცვლილებებით) ეხება, თუ რა როლს თამაშობს ბუხარი მთელი ოჯახის წევრების გაერთიანებაში:

„გამხიარულდი ბუხარო!
გულჩახვეული ნუ ხარო!..
მცივანა ზამთარს უყვარხარ,
და არც ცხელ ზაფხულს სძულხარო!“ (იქვე, 207)
„გამხიარულდი ბუხარო,
დაფიქრებული ნუ ხარო!
ჩვენს მოყვრებს ყველას უყვარხარ!..
მტრებს ხომ სძულხარ და სძულხარო“ (იქვე, 209):

4. უსახელო ლექსი, რომელიც იწყება ასე: „სანამ ვიყავ ახალგაზრდა | და სიამით სძგერდა გული, | ვნატრობდი და არ მეღირსა | ბედუკუღმართს სიყვარული“ (იქვე, 211), რომელიც გამოსვლისთანავე ხალხურ სიმღერად იქცა. ყოველი მომდევნო სტროფის ბოლო სტრიქონის გამონათქვამი: „გინდ იყოს და გინდა არა!“ მოცემულია უცვლელად მეორე, მესამე და ბოლო სტროფებში, ხოლო ოდნავ შეცვლილი სახით - მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სტროფების ბოლო სტრიქონზე: „გინდ მყავდეს და გინდა არა!“ | „გინდ მაქონ და გინდა არა!“ | „გინდ მიტირონ, გინდა არა!“ (იქვე, 212); ამდენად, ეს უსახელო ლექსი მეტად მიმზიდველი და სასიამოვნო საკითხავია.

5. ლექსში „თქვენი ჭირიმე“ სათაურის სიტყვათშეხამება ყოველი სტროფის ბოლოს მეორდება დამატებითი იერსახეებით, რომლებიც თითქოსდა, ერთი მხრივ, ყოველი სტროფის დასკვნას წარმოადგენს, მეორე მხრივ, ყოველი გამონათქვამი თავისებურ მოწოდებას შეიცავს და პოეტის ფიქრებსაც მოიცავს („თქვენი ჭირიმე“, იქვე, 263-264);

აკაკი წერეთელი აღნიშნულ ლექსში მოუწოდებს ახალგაზრდობას შრომისა და ბრძოლისაკენ. მას ახალგაზრდების დიდი იმედი აქვს, რომ ისინი ამ იმედს არ გაუცრუებენ პოეტს, ამიტომ იგი მომავლის იმედით ცოცხლობს და იცინის:

1. „გამოდით, თქვენი ჭირიმე!" („თქვენი ჭირიმე", იქვე, 263);
2. „სთქვით რამე, თქვენი ჭირიმე!" (იქვე, 263);
3. „გამტკიცდით, თქვენი ჭირიმე!" (იქვე, 264);
4. „დაჰბარეთ, თქვენი ჭირიმე!" (იქვე, 264);
5. „მაგრამ თან თქვენი იმედი
მიმყვება, თქვენი ჭირიმე!" (იქვე, 264);
6. „ნუ გამიმტყუნებთ იმედსა
ხომ ხედავთ, აღარ ვსტირი მე!
დრო მოდის - ერთად ვიცინოთ!
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე!" (იქვე, 264);

1. აკაკი წერეთლის პოეზიაში გვხდება ისეთი ლექსებიც (მაგრამ ეს იშვიათობაა), რომლებშიც ყველა სტროფის ბოლო სტრიქონი მეორდება ერთი და იმავე წინადადებით. ასეთია, მაგალითად, ლექსი „გურული ნანინა", რომლის სტროფის ყოველი ბოლო სტრიქონი მთავრდება წინადადებით: „ოი, ამას ვენაცვალე!.." (იქვე, 266-267). ლექსში საუბარია აკვანში ჩაკრულ პატარაზე, რომელზედაც პოეტი დიდ იმედს ამყარებს, რომ გაიზრდება პატარა და ყოველი დანაშაულის ჩამდენს შესაბამის პასუხს აგებინებს:

„რაც მე მტანჯავს, ნუღარ მკითხავ,
ის ოდესმე შენ დასთვალე,
და პასუხიც აგებინე!.."
ოი, ამას ვენაცვალე!.." (იქვე, 266)

ლექსი დიდ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს.

2. „ახა, ნარინჯო, | შე, ბროწეულო, იაო!" („ურიული მოთქმითი ტირილი საქართველოში", იქვე, 281). ეს გამონათქვამი მოცემულია ლექსის დასაწყისში, შემდეგ შიგადაშიგ, ალაგ-ალაგ ჩართულია იგი სხვადასხვა ადგილას (იქვე, 281-285).

§ 66. კვაზი-რედუპლიკაციები აკაკი წერეთლის პოეზიაში

აკაკი წერეთლის პოეზიაში ბევრი მაგალითი გვხვდება, ისე როგორც თანამედროვე ქართულ ენაში, ე. წ. კვაზი-რედუპლიკაციებისა. დიდი მგოსანი არის ამ ტიპის რედუპლიკაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი:

1. „ბანს გვეტყვიან ნაღვლიანად | არემარე, მთა და ბარი!“ („მუშური“, იქვე, 52);

2. „ბედნიერი ჩანჩურა! შვილი ჰყავს მას საქები“ („აპელაციის მცოდნე“, იქვე, 53);

3. „ლეკური ეზიზღება, მოსწონს ტანცი-მანცია“ (იქვე, 53);

4. „მას გაჰყვა ქარი-მარი, | და აწ ვეღარ შეგვაცდენს | შენისთანა სტუმარი“ („განჰქრენ ჟამნი“, იქვე, 98);

5. „ეკალს და ბალახ-ბულახს, მტრის გულზედ ამოსულსა“ („ნატვრა“, 129);

6. „რომ გასწყვიტოს ჭია-ჭუა, | ქვეყნის დამამხობელიო!“ (უსახელო ლექსი, იქვე, 158);

7. „და ჩახაჩუხის ხმა გულსაზარი | არეულია და ფეხით გააქვთ“ („თორნიკე ერისთავი“, იქვე, 366);

8. „მაგრამ აწ უნდა გასინჯო ჩემიც | სიკისკასე და მკლავის ძალიო!“ (იქვე, 367);

9. „ჩაცვინდენ წყალში კისრა-კოსრითა“ (იქვე, 374);

10. „მივდექ სარკმელს, გადვიხედე,| არემარე მესხვაფერა!“ („გაზაფხული“, იქვე, 150);

11. „გავმარგლავთ ბალახ-ბულახსა, | გაგთოხნით ყოველგანაო!..“(„მუშური“, იქვე, 177).

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი დასკვნის მაგიერ:

1. აკაკი წერეთელი თავის პოეზიაში ზოგჯერ ქმნის სპეციფიკურ რედუპლიკაციებს. ასე, მაგალითად, ლექსში „ხარაბუზა ღენერალს“ მან შექმნა მარცვალთა სპეციფიკური რედუპლიკაცია: „დაგიკარგავს შენი მუზა! | ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!“ (ქართ. პოეზია, ტ. 8, თბილისი, 1978 : 89);

2. მარცვალთა რედუპლიკაციების ზოგიერთი მაგალითი აკაკის დროს ჯერ კიდევ იწერებოდა დეფისით: „დაიძინე, იავ-ნანა, ვარდო-ნანინაო! | იავ-ნანა ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო“ (აკაკი, ლექსები, თბილისი, 1991 : 56 (შდრ. თანამედროვე ქართულთან: იავნანა, ვარდო, ნანა);

3. სიტყვათა რედუპლიკაციის ზოგიერთი მაგალითი აკაკის დროს ასევე იწერებოდა დეფისით, მაგალითად: „წამის-წამს ახსენებს უფალს“ (იქვე, 43) (შდრ. ამჟამად: წამისწამ); „ვიცი მხოლოდ ერთად-ერთი: | ოცნებისა სამთავროში, - | იმას ჰქვია ... სიზმარეთი!..“ („უცხო მხარე“, იქვე, ტ. 8, თბილისი, 1978 : 127); „შენ ერთად-ერთო იმედო“ („ხანჯალს“, იქვე, 161); თანამედროვე ქართულ ენაში სიტყვა „ერთადერთი“ იწერება უდეფისოდ.

4. აკაკის პოეზიაში გვხდება ისეთი რედუპლიკაციური ფორმები, რომლებიც შეერთებულია „და“ კავშირით და იწერება დეფისით: „იხედება თვალ-და-თვალა“ (უსახელო ლექსი, იქვე, 91); „ხან სიცოცხლეს სრულად სწირავ, | ხან უდგები გან-და-განა“ („იმერული სიმღერა“, იქვე, 125); „მტერთან აბეზღებს მართ-და-მართ“ (უსახელო ლექსი, იქვე, 145);

5. აკაკი წერეთელი თავის სახელთან დაკავშირებით ლექსში „ხარაბუზა ღენერალს“ იძლევა სპეციფიკურ კვაზი-რედუპლი-კაციას: „რადგან ერთ დროს იყავ კაცი | გულმტკიცი და გულმამაცი, | აკაკია არას გკადრებს, | ბაკაკიამ გითხრას: „აცი!“ (იქვე, 89-90);

6. შოთა რუსთაველის ეპოქისათვის დამახასიათებელი კონტრასტული რედუპლიკაციის მაგალითები მოყავს აკაკი წერეთელს თავის პოეზიაში. ეს არის „მიმო-„ თავსართის მეშვეობით ნაწარმოები მაგალითები, თუმცა იმ განსხვავებით, რომ რუსთაველთან ზმნისწინები მი და მო ზმნისაგან განცალკე-ვებით იწერებოდა: „იქ იხატება ყოველი | მიმოძრაობა სულისა“ („N-ს“, იქვე, 161); „მიმოვავლე გარს თვალები | ... | სხვა ხალხი, სხვა ქალები!“ („სიზმარი“, იქვე, 239).

ამგვარად, აკაკი წერეთელმა თავისი პოეზიით მოგვცა რედუპლიკაციურ ფორმათა უამრავი მაგალითი, რომელიც

დაედო საფუძვლად თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკას.

§ 67. ვაჟა-ფშაველა როგორც ბუნების უდიდესი მგოსანი

მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე (და მას შემდეგაც) ჩვენ არ ვიცით მეორე შემოქმედი, რომელიც დაჯილდოვებული ყოფილიყოს განუსაზღვრელი ფანტაზიითა და დიდი პოეტური ხედვით. ვაჟა-ფშაველა იყო ბუნების უდიდესი მგოსანი არა მარტო ქართული მასშტაბით: „მის ანალოგს ვერ ვპოულობთ უკანასკნელი საუკუნის (მეოცე საუკუნის, - ავტ.) მსოფლიო ლიტერატურაშიც...“ (აკაკი გაწერელია), (იხ. ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად, ტ. 9, თბილისი, 1977 : 10 - თამაზ ჩხენკელის სტატიიდან „ვაჟა-ფშაველას პოეზია“). ტერმინი „ლირიკა“ ზუსტად ესადაგება ვაჟას ლექსებს, მის მთლიან პოეზიას. თომას ელიოტი თავის სტატიაში „პოეზიის სამი ხმა“ (კემბრიჯი, 1956), აღნიშნავდა, რომ თანადროული პოეზიისათვის შეუფერებელია ვიხმაროთ ტერმინი „ლირიკაო“, რადგან ის მედიტაციური ხასიათისაა, ხოლო ლირიკა მუსიკასთან კავშირს გულისხმობსო (დაწვრ. იხ. თამაზ ჩხენკელი „ვაჟა-ფშაველას პოეზია“, ტ. 9, თბილისი, 1977 : 10).

ლირიკის შესაბამისად ვაჟას პოეზია იმითაა აღსანიშნავი, რომ მისი ბევრი ლექსის სათაურია „სიმღერა“. დიდი მგოსნის რვამარცვლიანი ლექსები მეტწილად სიმღერის საფუძველია და მათი გასიმღერება დღესაც ცნობილია არა მარტო ფშავ-ხევსურეთში, არამედ მთელ საქართველოში (დაწვრილებით იხ. თამაზ ჩხენკელის სტატია „ვაჟა-ფშაველას პოეზია“, იქვე, 5-30). „ვაჟა უნივერსალური ბუნების კაცი იყო“ (იქვე, 25).

§ 68. რედუპლიკაციური ფორმები ვაჟა-ფშაველას პოეზიაში

პირველი ჯგუფის რედუპლიკაციები: ბგერათა და მარცვალთა რედუპლიკაცია.

როგორც აკაკი წერეთლის, ასევე ვაჟა-ფშაველას პოეზია მდიდარია რედუპლიკაციური ფორმებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რედუპლიკაციური ფორმები ვაჟას პოეზიაში იმდენად არ არის გამოყენებული, რამდენადაც ამას ვხედავთ აკაკის პოეზიაში. მოგვყავს მაგალითები ბგერათა და მარცვალთა რედუპლიკაციებზე:

1. „ნამდვილის ვარდის მაგივრად | იხარეთ ეკალ-ჯაგითა! | „გაზაფხულდაოს“-ს ძახილი | არ მოიშოროთ ბაგითა“ (ვაჟა-ფშაველა, ტ. 9, თბილისი, 1977 : 196);

2. „ბევრს ქისტს მააჭრა მარჯვენა, | სცადა ფრანგული ფხიანი“ („ალუდა ქეთელაური“, იქვე, 295);

3. „ამ პაწაწინა არსებას | უცხო რამ დაუჟინია“ („ამირანი“, იქვე, 35);

4. „პეპელასავით რომ ფრინავ, - | შენ გეკითხები, ქალაო“ („ნეტავი გამაგებინა“, იქვე, 38);

5. „დევებსა აქვის ქორწილი, | დიდი დარბაზი ზრიალებს“ („დევების ქორწილი“, იქვე, 40);

6. „ნუ დაიწყებენ ჩამოშლას ... | არწივთ მოზარდონ წიწილნი, | დაჰბრუნონ ჩემსა სამარეს, | მალ-მალ მაიღონ ბიბინი“ („ისევ შენ, ისევ, ქალაო“, იქვე, 41);

7. „ე გოგო - ჩემი სიცოცხლე - | არაფრით დამიზიანო!“ („მწყემსი ქალი“, იქვე, 43);

8. „ზედ იფარფარონ ონხებზედ | სვავთა, უმსგავსო ფრთიანთა“ („დაე აყროლდეს სოფელი (სიმღერა)“ , იქვე, 55);

9. „კლდიდამ გადვვარდე წყალშია, | მორევს რომ გააქვს ლიკლიკი“ („უფროც დაბნელდი, ღამეო“, 74);

10. „გიგი სადა გყავთ, ფშავლებო, | ან იმის ცხენი ტიალი?“ („გიგი“, იქვე, 78);

11. „ბევრი გვინახავს წინათაც | სპარსის და თათრის ქაქანი, | მაგრამ გაჰხდიათ ოხრადა | ფარი, ხმალი და ჩაჩქანი, | მათ ლეშზე აგვიტეხია | უმსგავსო ყვავთა ყაყანი“ („ვის ემუქრება“, იქვე, 88);

12. „ქორმა წიწილა წაიღო, | იმახდა წიავ-წიავსა, | წიწილის თეთრი ბუმბული | ველად გაჰქონდა ნიავსა...“ („წიწილა“, იქვე, 88);

13. „ტყისთვისაც ძაძა ჩაუცვამს | სიბნელეს დანატევებსა“ („ღამე მთაში“, იქვე, 94);

14. „როცა კი შემობინდდება, | კისკისი ისმის ალისა“ („დაუსრულებელი კვნესა“, იქვე, 97);

15. „რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ; | ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! - | მძინარიც იმას ვდუდუნებ. | საწყალთ საწყლობა რო მესმის, | იმათ ვარამზე ვწუწუნებ; | არც როს უსაქმო არა ვარ, | მუდამ ვკოწიწობ, ვჩუჩუნებ. | ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები, | ბეჩავთაც გავუზიარებ. | სიკეთისათვის სიკეთეს | არავის დავუგვიანებ. | ავის თქმით, ავის ქცევითა | გულს არვის დავუზიანებ. | ხარს ვგევარ ნაიალაღარს, | რქით მიწას ვჩხვერ, ვბუბუნებ: | ღმერთო სამშობლო მიცოცხლე! - | მძინარიც იმას ვდუდუნებ; | საწყალთ საწყლობა რო მესმის, | იმათ მაგივრად ვწუწუნებ; | ხანდახან ჟინი ამიღებს, | სიმღერას დავაგუგუნებ“ („სიმღერა“ (ვუძღვნი ახალგაზრდა მგოსნებს)“, იქვე, 132-133);

როგორც ვხედავთ, ლექსის ამ პატარა მონაკვეთში ვაჟა-ფშაველამ ათი რედუპლიკაციური ფორმა გამოიყენა. ამიტომ მკითხველს ეს „სიმღერა“ დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

16. „თავს დამყეფს შავი ყორანი, | მიყაშყაშებენ სვავები“ („ზმანება“, 160);

17. „სხვაც მრავალია ჩემფერა, | ..., | წყევლას უბარებს ტერტერა“ („დამსეტყვე, ცაო (სიმღერა)“, იქვე, 164);

18. „ვინც ჩვენგანი ორპირობს, | ჰრისხავდეს ცათა ძალები! | ვაჰ, რომ არ მოვლენ მოწმადა | მამა-პაპათა ძვალები!“ („მოგენდო, ისიც მაშინებს (სიმღერა)“, იქვე, 198);

19. „შენ, ეი ძმობილო, თმაგრძელო, | ტვინთხელო, წვერებ-ცანცარა“ („თმაგრძელა - ჭკუათხელა“, იქვე, 202);

20. „ეგონოს სიცილ-ხარხარი, | დენა ცრემლისა - ხორხოშა“ („კაი ყმა (ხევსურულ ჰანგზე)“, იქვე, 207);

21. „წინ მიუძღოდეს არწივი | ხმით მოყაშყაშე, ფრენითა“ (იქვე, 207);

22. „ჩემის კაცობის გვირგვინო, | ჩემო სამშობლო მხარეო!“ („ჩემის კაცობის გვირგვინო (სიმღერა)“, იქვე, 210);

23. „მალ-მალ რო დაგეფარება. | ... | ცად მოტანტალე ცივა-და“ (უსახელო ლექსი, იქვე, 217-218);

24. „შენის ცრემლებით მოვხარშე | ჩემის გრძნობების ფა-ფაო“ („დავით გურამიშვილის ხსოვნას“, იქვე, 232);

25. „ფიქრით შინა ვარ ... საჩეჩლის | კბილების მესმის წკრია-ლი“ („ფშაველი ჯარისკაცის წერილი“, იქვე, 247);

26. „ობოლის სულის ბაღშია | ბულბულის სტვენა მსმენოდა, | იმის ყეფით და „ტია-ტით“ | თუნდა მრავალიც მწყენოდა“ (უსახელო ლექსი, იქვე, 256);

27. „დასტრიალებდნენ მერცხლები, | ენა აქვთ ჭიკჭიკიანი (იქვე, 256);

28. „ხანდახან დაიბუბუნებს, - | ჭერი დაიწყებს ნძრევასა“ („გოგოთურ და აფშინა“, იქვე, 279);

29. „ეხლა მე მერტყას წელზედა | შენი ზიკზიკა ხმალია“ (იქვე, 287);

30. „დროა ვარსკვლავთა ჟიკჟიკის, | მცვრევა ბალახზედ ნამისა“ („ალუდა ქეთელაური“, იქვე, 306);

31. „რამდენს ფრაშ-ფრაშში არიან, | ცას ვერ გაავლეს კვა-ლია“ (იქვე, 308);

32. „მამით არ მოდის ანდერძი, | პაპითა-დ' პაპისპაპითა“ (იქვე, 311);

33. „გაივსო რძითა მთათ ძუძუ, | დაუშრომელად რძიანი“ („ბახტრიონი“, 333);

34. „ადგა და ჯოხზე დაეყრდნო | ხანხალით, ძალისძალითა“ (იქვე, 338);

35. „რა დაასრულა კვირიამ, | ჩაიკასკასა ტკბილითა“ (იქვე, 359);

36. „ზედ იჯდა ბერი ქედანი, | დამღუღუნებდა თავზედა“ (იქვე, 359);

37. „ხშირის ბალახის ბიბინი, | ტიალის ობლის ნიავის | გულისმგმირავი სისინი“ (იქვე, 375);

38. „სხლოვანს ატირდა ბებერი, | მოსთქვამს ზარს ზარიანადა“ (იქვე, 390);

39. „უცქირეთ, ერთი უცქირეთ, | არ ახამხამებს თვალსაო!“ („სტუმარ-მასპინძელი“, იქვე, 415);

40. „ბილიკზე მოსუნსულებდა | სასაფლაოსკე მყეფარი“ (იქვე, 421);

41. „ - იმიტომ, უჭკო დიაცო, | რომ სწუწუნებდი, სჩიოდი...“ („გველის მჭამელი“, იქვე, 457);

42. „მინდიას გაუმარჯოსო“, - | ერთხმად ასტეხენ ჟიჟინსა“ (იქვე, 445);

43. „ბალახი იწყებს ბიბინსა | და მერე სათითაოდა | ყველა მოჰყვება ტიტინსა“ (იქვე, 445);

§ 69. სიტყვათა შერწყმული რედუპლიკაციები ვაჟას პოეზიაში (მეორე ჯგუფი)

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში მეტწილად გამოიყენება სიტყვათა რედუპლიკაცია, რომელიც იწერება ერთად. სიტყვა მთლიანი ერთეულია. აღნიშნულ ხერხს მგოსანი ყველაზე მეტად და ძალიან მოხდენილად იყენებს თითქმის ყველა ლექსში. ამიტომ მისი ლექსები სიმღერას ემსგავსება და ისინი ძალიან მიმზიდველია. გრამატიკული აგებულების მიხედვით ამგვარი რედუპლიკაციების ერთმანეთთან შეერთება ხდება სხვადასხვა ხერხით. სიტყვის პირველი ნახევარი უერთდება მეორე ნახევარს ან სხვადასხვა ბრუნვის ნიშნებით, ან ისინი შეერთებულია „და“ კავშირით ან ყოველგვარი ნიშნის გარეშე (ე. ი. მიერთება ხდება ფუძის სახით). პირველი და მეორე ჯგუფის რედუპლიკაციებს ჩვენ ვუწოდეთ აბსოლუტური რედუპლიკაციები:

1. „კარგ გულს არა ჰკლავს ბუნება, | თან დააქვს ძველის-- ძველადა!“ („მრწამს, მარად მიწამებია“, იქვე, 76);

2. „დროდადრო ამოიხვნეშებს | მანუგეშებლად თავისად“ („იმედი რაზიკაული“, იქვე, 90-91);

3. „ხანდახან ჟინი ამიღებს, | სიმღერას დავაგუგუნებ“ („სიმღერა“, 133);

4. „სუქდება ჩვენი ვართანა, | მუცელს ისქელებს თანთანა“ („ვართანას“, იქვე 196);

5. „არ მიღალატო, ოცნებავ, | მნახოდი მალიმალეო“ („ჩემი კაცობის გვირგვინო (სიმღერა)“ , იქვე, 210);

6. „ერთი წელი და ათასი | ბარდაბარია ჟამისა“ („მთამ სრულიად სხვა სთქვა“, იქვე, 211);

7. „მზევ, ნუ გაშინებს, ღრუბელი | მალმალ რო დაგეფარება“ (უსახელო ლექსი, იქვე, 217);

8. „ვერა გრძნობს, თავს აზარალებს | მზისა ხანდახან ჯობნითა“ (უსახელო ლექსი, იქვე, 218);

9. „შაჰყარა ერთმანერთზედა | იმ ურჯულოთა ცხედარი“ („გიგლია“, იქვე, 271);

10. „ხანდახან დაიბუბუნებს - | ჭერი დაიწყებს ნძრევასა“ („გოგოთურ და აფშინა“, იქვე, 279);

11. „ზედ მიჰვარდება ცხენდაცხენ, | უდივრად შაიგინება“ (იქვე, 284);

12. „პირდაპირია აფშინა, | ვაჟკაცს არ უყვარს პარება“ (იქვე, 284);

13. „ხელი მაჰხვიეს ერთმანერთს | გულახდით, არა ძალადა“ (იქვე, 290);

14. „ხევიხევ შამოყრანტალებს | ყორანი ავის ხმისაო“ („ალუდა ქეთელაური“, იქვე, 300);

15. „მამით არ მოდის ანდერძი, | პაპითა-დ' პაპისპაპითა“ (იქვე, 311);

16. „გორიგორ შასდევს დამთხვრისა | გრძელი ნაფრენი ირმისა“ („კოპალა“, იქვე, 323);

17. "ჩადის, ჩატირის ხევიხევ | ტალღა ნაკადის ცივისა" (იქვე, 323-324);

18. „წინ მაეგებნენ მაცილნი, | პირისპირ შაიყარნიან" (იქვე, 326);

19. „(ადგა და ჯოხზე დაეყრდნო | ხანხალით, ძალისძალითა)" („ბახტრიონი", იქვე, 338);

20. „უნდა ჩავუდგე სოფლებსა, | ვიარო კარიკარაო" (იქვე, 348);

21. „წავიდა გულჩათუთქვილი, | მივალის ძალიძალადა ... (იქვე, 366);

22. „ქალთან პირდაპირ მივიდა, | ვით ამოწვდილი მახვილი" (იქვე, 367);

23. „ამ პირობაზე დამდგარნი, | ორნი გორიგორ ჩადიან" (იქვე, 370);

24. „იჟიჟრიბადა, ცისკარი | სულს ჰლევს, თანდათან ჰქრებოდა..." (იქვე, 372);

25. „ზეზვამ მყის იცნო ძმობილი, | ვეფხვი ხმალდახმალ წავიდა" (იქვე, 380);

26. „ის როდი იცით, თავთავნი | როგორ მიწყებენ ხვეწნასა" („გველის მჭამელი", იქვე, 447);

27. „კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ | თავთავნი ოქროსფერანი" (იქვე, 448);

28. „ხევსურთ შაჰხედეს ერთმანეთს | გაოცებულის თვალითა" (იქვე, 453);

29. „ერთი წესია, ორიცა, | შენ ხვეწნა მეტისმეტია" (იქვე, 466);

30. „დროშიონთ მოსდევს მხარდამხარ | ამომავალი მთვარია" (იქვე, 479);

§ 70. დეფისით შეერთებული რედუპლიკაციური ფორმები (მესამე ჯგუფი)

ვაჟა ფშაველას პოეზიაში საკმაოდ ბევრია დეფისით შეერთებული რედუპლიკაციური ფორმები. სიტყვა აქ წარმოადგენს, როგორც მეორე ჯგუფის რედუპლიკაციები, ერთიან ცნებას, მთელს. ამიტომ ამგვარი რედუპლიკაციური ფორმებიც შეიძლება გავუტოლოთ აბსოლუტურ რედუპლიკაციებს. მაგალითები:

1. „ჩემის სამშობლოს ქვიშანი | ხშირ-ხშირად მომაყაროდი“ („ისევ შენ, ისევ, ქალო (სიმღერა)“ , იქვე, 41);

2. „დაჰბრუნონ ჩემსა სამარეს, | მალ-მალ მაიღონ ბიბინი“ (იქვე, 41);

3. „ამ ტყის ანგელოზს გოგონას | ტკბილს ძილს არა-რა ურლვევსო“ („მწყემსი ქალი“, იქვე, 42);

4. „რად-რა დავკარგავ იმედსა? | რად-რა ჩავიცვამ შავებსა“ („ფშაველის სიმღერა“, იქვე, 44);

5. „თავ-თავქვე ჩამომჩქერლები | აქა-იქ იხედებიან“ („თქვენი ჭირიმე, ჰოი, მთებო (სიმღერა)“, იქვე, 46);

6. „თოფნი ლუჭ-ლუჭად ტყვრებიან“ (იქვე, 46);

7. „ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნისლები | ხევებში სდგამენ გორასა“ („არაგვს“, 58);

8. „გასწვრივ-გასწვრივი შხაპუნი, | პირქაფიანი ტრიალი“ („უფროც დაბნელდი, ღამეო (სიმღერა)“, იქვე, 74);

9. „ფშათი, იმ წმინდაწყლიანთი, | წვეთთა წკაპ-წკაპი, წკრიალი...“ (იქვე, 75);

10. „ქორმა წიწილა წაიღო, | იძახდა „წიავ-წიავსა“ („წიწილა“, 88);

11. „ხშირ-ხშირად მხედრის მიმტანსა | ავის დაღისტნის კარადა...“ („იმედი რაზიკაული“, იქვე, 93);

12. „გორით-გორს ბუვი გასძახის, | თრთიან ყვავილნი მთებისა“ („ღამე მთაში“, იქვე, 94);

13. „წყევლას უბარებს ტერტერა | ... | ხან შავაბიჯებ სერ-სერა“ („დამსეტყვე, ცაო (სიმღერა)“, იქვე, 164);

14. „კი არ მიმუხთლო, შემომწყრე | იარე გარე-გარეო“ („ჩემი კაცობის გვირგვინო“, 210);

15. „კაინს აბელთან რა უნდა, | რომ ედგეს გვერდისგვერ-დადა?!“ (იქვე, 225);

16. „ჩუმ-ჩუმად კიდეცა ვტირი“ („დავით გურამიშვილის ხსოვნას“, იქვე, 232);

17. „ბულბულის სტვენა მსმენოდა, | იმის ყეფით და ტია-ტით“ (უსახელო ლექსი, იქვე, 256);

18. „არაგვის პირ-პირ აჩქამებს | გიგლიას ცხენი ნალებსა“ („გიგლია“, იქვე, 266);

19. „მალი-მალ გამაჰხედნებენ | ყელსა ახადის მთისასა“ (იქვე, 267);

20. „თინიბექაანთ ბიჭები | სუ ლუკმა-ლუკმა ასჭრესო“ (იქვე, 267);

21. „საყორნის ყელში გამოჩნდა | ჯგუფ-ჯგუფად ხალხი რეული“ (იქვე, 270);

22. „გულს ჩაიმჯიღავს მალი-მალ, | მოთქომი სიტყვის მწარისა“ (იქვე, 274);

23. „აფშინამ ყანწი აავსო | და ილოცება წინ-წინა“ („გოგო-თურ და აფშინა“, იქვე, 290);

24. „ამბობენ, ქვითინი მოდის | ღამ-ღამ ბლოსთავით კაცისა“ (იქვე, 294);

25. „თავ-თავის სახლებს მიჰმართეს | ჭერხოთით კარიანითა“ („ალუდა ქეთელაური“, იქვე, 304);

26. „რამდენს ფრაშ-ფრაშში არიან, | ცას ვერ გაავლეს კვალია“ (იქვე, 308);

27. „მალ-მალე შავი ჯანღები | თავზე რომ დაეფარება!“ („ბახტრიონი“, იქვე, 374);

28. „ღამ-ღამ ზღაპარსაც უამბობს | ორის ობოლის ძმისასა“ (იქვე, 394);

29. „ჰყვირიან, თანაც ნელა-ნელა | ყელში ურჭობენ ხმალ-საო“ („სტუმარ-მასპინძელი“, იქვე, 415);

30. „ხედნებ-ხედნებით ამოვლო | ხევის კლდიანი ნაპირი“ (იქვე, 419);

31. „სთქვა ეს აღაზამ და ქვებსა | ესროდა ხშირა-ხშირადა“ (იქვე, 422);

32. „შუაღამის დროს აღაზამ | თან-თან მოიცა გონია“ (იქვე, 423);

33. „ღამ-ღამ ჰხედავენ სურათსა | ზვავისგან ნაგალს გორაში“ (იქვე, 437);

34. „ცოტ-ცოტად, ნელაობითა | დავიწყე თავის რწმენასთან | მოქცევა მელაობითა“ („გველის მჭამელი“, იქვე, 458);

35. „წუხელაც ცუდ სიზმარ ვნახე, | რა-რა იქნების ნეტავი?!“ (იქვე, 475);

§ 71. ცალ-ცალკე მდგომ სიტყვათა და სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციები

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში წინა ჯგუფებთან შედარებით მეოთხე ჯგუფის სიტყვათა და სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციები, რომლებიც ტექსტში იწერება ცალ-ცალკე, ნაკლები რაოდენობისაა, ვიდრე აკაკი წერეთელთან ან ილია ჭავჭავაძესთან:

1. „თუ მამკლავ, ისევ შენ მამკლავ, | ქალავ, თავდახრით მცინარო“ (ქართ. პოეზია, ტ. 9, თბილისი, 1977 , „თუ მამკლავ, ისევ შენ მამკლავ“, იქვე, 59);

2. „მიდით, იქ მიდით, სადაცა | ხალხი ხალხზედა ღელავდეს“ (ვაჟა, 1985, „კაი ყმა“, იქვე, 205);

3. „წავიდეთ, ერთად წავიდეთ, | მოვშორდეთ მშობელს მხარესა“ („ხევზედ მოდიან ნისლები (სიმღერა)“, იქვე, 49);

4. „შავი ზღვის შავი ვეშაპი | პირღია დაგვეღირება“ („ღამე მთაში“, იქვე, 95);

5. „იმღერე, ისევ იმღერე, | ჟინი მოიკალ გალობით...“ („ერთი რამ მინდა სათქმელად (სიმღერა)“, იქვე, 108);

6. „მონა ვარ, მონა ბუნების | ღონე არა მაქვს დავისა“ („გაზაფხული“, იქვე, 145):

7. „და შენი ბედი, ბედი შავბედი, | რად შემოსილა სულ მუდამ შავით?“ („მძულხარ - მიყვარხარ“, იქვე, 145);

8. „ტიალი წუთისოფელი | მიდის, მიდის და მიდისა“ („ცაზე იარე, მთვარეო“, იქვე, 123);

9. „ხმალი მტერს, ხმალი, ბიჭებო, | გულბრაზიანი შეტევა!“ („ირაკლი ბრძოლის წინ“, იქვე, 220);

10. „ადვილ ნუ იტყვით სიტყვასა, | ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცზე“ („ალუდა ქეთელაური“, იქვე, 309);

11. „ვინ ემსახუროს, მაშ, ხატსა, | მაშ, ვინ დაუნთოს სანთელი, | მაშ, ვინ დაგვიკლას საკლავი, | ვინ მოაკმიოს საკმელი?“ („ბახტრიონი“, იქვე, 341);

12. „- ზეზვაი, ძმაო, ზეზვაი, | მთელის თუშების დარია“ (იქვე, 387);

13. „ზოგი სად ეგდო, ზოგი სად, | ფრინველთ ნაჯიჯგნი ფრიალით“ („სტუმარ-მასპინძელი“, იქვე, 432);

14. „ცეცხლი მწვავს, ძმაო, ცეცხლი მწვავს | უალო, მოუდეგარი“ (იქვე, 434).

ამგვარად, ვაჟა-ფშაველა თავის პოეზიაში იშვიათად მიმართავს ისეთ ხერხს რედუპლიკაციისა, რომლის დროსაც რედუპლიკაციური სიტყვები დგანან განცალკევებულად ერთმანეთისაგან - გვერდიგვერდ და შორი-შორს. გარდა ამისა, მის პოეზიაში იშვიათად თუ შევხდებით სიტყვათა შეხამებებისა და წინადადებებისაგან შემდგარ რედუპლიკაციებს. აღნიშნული ხერხი ძალიან პროდუქტიულია აკაკი წერეთლის პოეზიაში, სადაც ზოგჯერ მთლიანი სტროფის რედუპლიკაციაც კი ხდება.

§ 72. კონტრასტული და კვაზი-რედუპლიკაციები ვაჟას პოეზიაში

ვაჟა-ფშაველა თავის პოეზიაში იყენებს როგორც კონტრასტულ, ასევე კვაზი-რედუპლიკაციებსაც, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რამდენსაც მარცვალთა და სიტყვათა რედუპლიკაციებს. ამიტომ კონტრასტულ და კვაზი-რედუპლიკაციებს ვიხილავთ ერთად, არა მარტო სიმცირის გამო, არამედ ამ ორი ჯგუფის რედუპლიკაცია ახლოს დგას ერთმანეთთან და ძველ ქართულში ისინი ორთოგრაფიულად გადმოიცემოდნენ ერთნაირად - დეფისით:

1. „გავაცხე ნისკარტს წვერზედა | მიჭრილ-მოჭრილი ლეშია“ („ყორანმა ყორანს გასძახა (სიმღერა)“, იქვე, 52);

2. „ეგება წაღმა ვიფიქრო | სოფლის უკუღმა ტრიალი!“ („სიმღერა“ (პასუხად), იქვე, 59);

3. „მზეო, მისდიხარ-მოსდიხარ, | ცით მიწის მანათობელი“ („მუდარა“, იქვე, 80);

4. „გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ, | შუაზე მოდის მდინარე“ („გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ (სიმღერა)“, იქვე, 118);

5. „ცაზე იარე, მთვარეო, | მზეო, აბძანდი-დაბძანდი,...“ („ცაზე იარე, მთვარეო“, იქვე, 123);

6. „ობობაც, თითქოს შარაა, | მიდ-მოდის მეფის ყბებზედა“ („სიზმარი“, იქვე, 147);

7. „ამდენის სალამ-ქალამით | და ჩემ საამო ლხინითა“ (იქვე, 148);

8. „გამომეღვიძა. შევცქერი: | კვნესიან აქეთ-იქითა“ (იქვე, 149);

9. „პალტოთ და ქოლგაით დადის, | ისწავლა დრასტი-დრუსტები“ („ვართანას“, იქვე, 197);

10. „მომთმენი, აუჩქარები, | ამწონ-დამწონი საქმისა“ („მთამ სრულიად სხვა სთქვა“, იქვე, 211);

11. „გვიან აყვავდეს, იგი სჯობ, | ხილ-ხული ჩემსა არესა“ (იქვე, 211);

12. „გაღმა-გამოღმა გრილები | ტყეს და მთებს უდგმენ ტაბლასა“ („გიგლია“, 267);

13. „აქა-იქ მოჩანს ნათალი | მწყვეტი წვერები მთებისა“ (იქვე, 269);

14. „დგება, იღვიძებს სოფელი, | მგზავრი მიდ-მოდის გზებზედა“ („ალუდა ქეთელაური“, იქვე, 308);

15. „გამოჩნდნენ შავნაბდიანნი, | გაღმა-გამოღმა კლდიდამა“ („კოპალა“, იქვე, 320);

16. „ხშირნი მოდიან ღურბელნი, | ლაღად მიდგიან-მოდგიან“ (იქვე, 328);

17. „ვნახე ... ძლივ სადამ ვიცანი | მიხვრა-მოხვრაზედ, ტანშია“ („ბახტრიონი“, იქვე, 479);

18. „შავის მანდილით შეკრულა | ხევხუვი, მთისა ყელები“ („მთათ ძილი“, იქვე, 71);

19. „ქართველის ერის ... აგვიკლო | უსაზღვრო ბაქი-ბუქითა“ („ამოცანა“, იქვე, 161);

20. „დღეიდან ოხერმოხრები | მას ვერ გასთელენ ფეხითა“ („შენდამი“, იქვე, 192);

21. „ერთი წელი და ათასი | ბარდაბარია ჟამისა“ („მთამ სრულიად სხვა თქვა“, იქვე, 211);

22. „არ მომწონს ფაციფუცობა, | სულსწრაფთ, უმეცართ ხელობა“ (იქვე, 212);

23. „ვაკეს ვინ აქებს, თუ არ ავივლით | ოღრო-ჩოღრო გზებს აღმართიანსა“ („საასპარეზოდ მოგვცა უფალმა (სიმღერა)“, იქვე, 213);

24. „აჰყეფდი ქოფაკივითა, | აბდაუბდაობ შტერადა“ („სტუმარ-მასპინძელი“, იქვე, 410);

25. „ძახილძუხილი დიდია: | გააგებინეთ, სად არის | გველის მჭამელი მინდია“ („გველის მჭამელი“, იქვე, 463).

§ 73. შედარებითი დასკვნები

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებლებია. მათი პოეზიაც და პროზაც (პროზაში შეიძლება დავასახელოთ ალექსანდრე ყაზბეგიც) თანამედროვე ქართული ენისა და გრამატიკული ფორმების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ამიტომ მკითხველისათვის საინტერესო იქნება, როგორ გამოიყენეს თავიანთ პოეზიაში რედუპლიკაციური ფორმები ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ, ვინ რომელ ხერხს იყენებდა უფრო პროდუქტიულად:

1. სამივე პოეტმა თავიანთ პოეზიაში უხვად გამოიყენა მარცვალთა რედუპლიკაციები (ილიასთან გვაქვს 34 მაგალითი, აკაკისთან - 52, ვაჟასთან - 41). მეცხრამეტე საუკუნეში მარცვალთა რედუპლიკაციები უკვე ჩამოყალიბებული იყო და ისინი იწერებოდა, როგორც თანამედროვე ქართულში, - ერთად, შერწყმულად, უდეფისოდ.

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას პოეზიაში ფშავური დიალექტიზმების გამოყენებას, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ფილოლოგიისათვის, კერძოდ, ქართული დიალექტოლოგიისათვის. ფშავური დიალექტების ზოგიერთ ფორმას რაღაც საერთო უნდა ქონდეს აჭარულ დიალექტთან.

2. აბსოლუტური რედუპლიკაციები, რომლებიც გადმოიცემა ერთიანი სიტყვით (დეფისით თუ უდეფისოდ), სამივე პოეტი იყენებს საკმაოდ პროდუქტიულად. მაგრამ ილია ჭავჭავაძის პოეზიაში ამგვარი მაგალითები 26-მდეა, აკაკისთან კი გვაქვს 77, ხოლო ვაჟასთან - 62 მაგალითი.

3. სიტყვათა რედუპლიკაციები, რომლებიც იხმარება ცალ-ცალკე როგორც გვერდიგვერდ, ისე განცალკევებულად, ე.ი. მათ შორის არის სხადასხვა სიტყვები, ვაჟას პოეზიაში ეს იშვიათი ხერხია. ჩვენ მოვიპოვეთ მხოლოდ 14 მაგალითი; ილია ჭავჭავაძესთან ეს ხერხი საკმაოდ პროდუქტიულია (36 მაგალითი) და

უფრო პროდუქტიულია იგი აკაკი წერეთელთან (სულ 71 მაგალითი).

4. კონტრასტულ და კვაზი-რედუპლიკაციებს სამივე პოეტი საკმაოდ პროდუქტიულად იყენებს პოეზიაში: ილიასთან ორივეს ჯამი შეადგენს 14 მაგალითს, აკაკისთან - 38, ხოლო ვაჟასთან - 25.

სამი პოეტის რედუპლიკაციური ფორმების შედარებამ გვიჩვენა, რომ რედუპლიკაციას, როგორც სიტყვათწარმოების ერთ-ერთ ხერხს, აკაკი წერეთელი უფრო ხვავიანად იყენებს (სულ 264 მაგალითი), ვიდრე ილია (125 მაგალითი) და ვაჟა (142 მაგალითი).

5. აკაკი წერეთელმა თავის პოეზიაში, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველასაგან განსხვავებით, გამოიყენა აგრეთვე რიცხვითი რედუპლიკაციები (სულ 4 მაგალითი).

6. აკაკი წერეთელი თავის პოეზიაში იყენებს ისეთ რედუპლიკაციებსაც, რომლებიც ძველ ქართულში იწერებოდა დეფისით (მაგ., იავ-ნანა, ვარდო-ნანა, წამის-წამს, თვალ-და-თვალ, გან-და-განა). ასეთი ფორმები არ შეგვხვედრია არც ილია ჭავჭავაძისა და არც ვაჟა-ფშაველას პოეზიაში.

რედუპლიკაციური ფორმების გამოყენება პოეზიაში დადებითი მოვლენაა. ისინი ლექსის წყობას და მის ტემბრს ალამაზებენ, დიდ მხატვრულობას ანიჭებენ, მეტად სასიამოვნო საკითხავს ხდიან. მათი ჩართვა ყოველ ლექსში ახდენს დიდ შთაბეჭდილებას მკითხველზე.

რედუპლიკაციურ ფორმებს განსაკუთრებით ემოციურად აღიქვამენ ბავშვები, რომლებიც დიდი სიხალისით ეწაფებიან ასეთ ლექსებს და სწავლობენ ძალიან ადვილად და სწრაფად.

თავი მეცხრე

რედუპლიკაციურ ფორმათა თავისებურებანი გალაკტიონის პოეზიაში

§ 74. გალაკტიონ ტაბიძე მეოცე საუკუნის უდიდესი მგოსანი

საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე (1891-1959 წ. წ.) მეოცე საუკუნის მსოფლიო პოეზიის უდიდესი მგოსნის სახელს ატარებს.

გ. ტაბიძის შემოქმედების დასაწყისი მეოცე საუკუნის 10-იან წლებზე მოდის, როცა მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა ჟურნალში „ჩვენს კვალს“ და გაზეთში „ამირანი“ 1908 წელს. იმ დროს ლირიკაში კვლავ ბატონობდა აკაკი წერეთლის ბრწყინვალე პოეზია და ავტორიტეტი, მაგრამ ქართული პოეტიკა დიდ განახლებას ელოდებოდა, ძველი ლექსის ახლით ჩანაცვლებას. უხვად მომადლებული პოეტური ნიჭის წყალობით ამ მისიის შესრულება, სწორედ, შეძლო გალაკტიონ ტაბიძემ. „მან თავისებურად ახალ ხარისხში აიყვანა ა. წერეთლის პოეტური ვირტუოზობა და ქართულ ლექსს უაღრესად თანამედროვე ჟღერადობა შესძინა“ (ქართ. ენც. , ტ. 9, გვ. 634).

1914 წელს გამოქვეყნებულმა ლექსთა კრებულმა „არტისტული ყვავილები“ და განსაკუთრებით მისმა შემდგომმა ლექსებმა: „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „სილაჟვარდე“, „მერი“ და სხვ. მოუტანეს გალაკტიონ ტაბიძეს საყოველთაო აღიარება „გენიალური გალაკტიონისა“ და „პოეტების მეფის“ სახელი (იქვე, 634).

გალაკტიონ ტაბიძის სახელი ჯერ კიდევ ქართველმა ერმა პოეტის სიცოცხლეშივე ჩაწერა „უკვდავთა თანავარსკვლავედში“. მან სრულიად ახლებურად წარმოუდგინა მკითხველს მეოცე საუკუნის პოეტური სამყარო, ქართული ბგერის საუცხოო კეთილხმოვანება, სიტყვის მოქნილობა, ლექსის რიტმული ტონისა თუ ნახევარტონის გათვალისწინება, მეტაფორული სიუხვე და რედუპლიკაციური ფორმების თავისებური ხედვა,

რამაც ლექსი აქცია ძლიერ ხატოვან, მეტად მიმზიდველ შემართებულ და სიამოვნების მომგვრელელად.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე თაობები იზრდებოდნენ და კვლავადაც გაიზრდებიან. დიდი მგოსნის პოეზია, უკვდავი ლექსები სამარადისოდ აღბეჭდილია ჩვენს სულსა და გონებაში.

§ 75. რედუპლიკაციურ ფორმათა თავისებურება გ. ტაბიძის პოეზიაში

გ. ტაბიძის პოეზიაში გამოყენებულია თითქმის ყველა სახის რედუპლიკაცია, მაგრამ დიდი მგოსანი მაინც თავისებურად იყენებს რედუპლიკაციურ ფორმებს. აქ იშვიათად ვხედავთ მარცვალთა და სიტყვათა რედუპლიკაციებს, რომლებიც წარმოადგენენ ერთიან სიტყვას. რაც შეეხება ისეთ სიტყვათა რედუპლიკაციებს, რომლებიც შეერთებულია ერთმანეთთან დეფისით ან იწერება ცალ-ცალკე, ან სიტყვათა შეხამებებისა და წინადადებების რედუპლიკაციები, მის პოეზიაში ძალიან პროდუქტიულია და თავისებური. უნდა აღინიშნოს, რომ „ქართული პოეზიის“ მე-13 ტომში სულ დაბეჭდილია ტაბიძის 529 ლექსი. აქედან მხოლოდ 21 ლექსში ვერ შეხვდებით, ე.წ. რედუპლიკაციურ ფორმებს, დანარჩენ - 508 ლექსში უხვად გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის რედუპლიკაციური ფორმები. ისინი მხატვრულობასთან ერთად ყოველ ლექსს ანიჭებენ დიდსულოვნებას, ზედმიწევნით მხატვრულობასა და მიმზიდველობას. ისინი დიდი სიხალისით ისწავლება ბავშვების მიერ. რედუპლიკაციურმა გამოთქმებმა და მრავალფეროვნებამ დიდი მხატვრულობის ძალა შესძინა გალაქტიონ ტაბიძის ლექსებს.

რით გამოიხატება გ. ტაბიძის პოეზიაში რედუპლიკაციურ ფორმათა თავისებურება? ეს იმით აიხსნება, რომ პოეტი ლექსის გაძლიერების მიზნით ახდენს რედუპლიკაციური ფორმების მოშველიებას, ზოგჯერ ტექსტში შეგნებულად აწარმოებს რედუპლიკაციურ სიტყვათა შენაცვლლება-გადაადგილებას, რაც ლექსის ხატოვნებას უფრო და უფრო ძლიერს და მიმზიდველს

ხდის. ასეთია, მაგ., პოეტის უსახელო ლექსი, რომელიც მოგვითხრობს წელიწადის ოთხ დროზე. ვიძლევით ლექსს მთლიანად:

„შარშან ჩვენი სახლის წინ იდგა ოთხი აფთარი:
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.
საშინელი რამ იყო კარზე მათი მოდგომა, -
გაზაფხული, ზაფხული, ზამთარი, შემოდგომა.
ო, ეს წელი გულს გლეჯდა, როგორც მიწას აფთარი, -
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.
მათ გზა ჰქონდათ ლხენისა და მე კი დაზაფრული, -
ზამთარი, შემოდგომა, ზაფხული, გაზაფხული“ (ქართული პოეზია, ტ. 13, თბილისი, 1982 : 488-489).

ასევე მთლიანი რედუპლიკაციური წინადადებაა გადანაცვლებული ლექსში „საღამო“: „ილაპარაკეთ, გევედრებით ... ოღონდ ქართულად ...| ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ ... (იქვე, 71).

დიდი მგოსანი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ამ ქვეყნად არაფერი არსებობს უსიყვარულოდ, რომლის გარეშე ყველაფერი დაჭკნება და დაიღუპება, რომ სიყვარული სულ სხვაა, სულ სხვაა როგორც შემოდგომის ყვავილი: „უსიყვარულოდ | მზე არ სუფევს ცის კამარაზე, | სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება | სასიხარულოდ ... | უსიყვარულოდ არ არსებობს | არც სილამაზე, | არც უკვდავება არ არსებობს | უსიყვარულოდ“ („უსიყვარულოდ“, იქვე, 31).

ლექსის ბოლო სტრიქონები რედუპლიკაციური ფორმების კულმინაციური გამოხატულებაა, რაც ლექსს კიდევ უფრო ძლიერ მიმზიდველსა და ხატოვანს ხდის: „და ჭკნება, ჭკნება სიყვარული | უკანასკნელი, | ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ | უსიხარულოდ. | და არ არსებობს ქვეყანაზე | თვით უკვდავება, | თვით უკვდავებაც არ არსებობს | უსიყვარულოდ!“ (იქვე, 32).

გ. ტაბიძე დიდ პატივს სცემს აკაკი წერეთლის შემოქმედებას, რომ იგი მგოსნის ლანდსაც კი აფასებს და რომ „თეთრი ჭაღარით მოსილი თმების ელავდა ელვის ელვა-ციმციმით.“ სიყვარულის დიდი გრძნობა ჩააქსოვა გ. ტაბიძემ ლექსში „აკაკის ლანდი“, სადაც რედუპლიკაციური ფორმებით გამოხატავს ამ

დიდ სიყვარულს. თუ როგორ შეაფასა დიდმა მგოსანმა აკაკის შემოქმედება, ნათლად ჩანს აღნიშნული ლექსის ბოლო ორ სტროფში:

„იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,
იქნება ჩვენთან მარად და მარად,
ჩვენი სიზმრების სიდიადეში,
ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიავქარად.
არ მოგვაკლებს მადლს და შუქს უსიტყვოს
მისი, პოეტის მაღლით ანთება.
კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს,
კურთხეულ იყოს ეს მოლანდება!“ („აკაკის ლანდი“, იქვე, 59-60).

რედუპლიკაციური ფორმების მეშვეობით პოეტი სულ ახლის ძიებაშია. ძველ ჟურნალებსა და გაზეთებს იგი ხოტბას ასხამს, მაგრამ ამასთან ერთად ითხოვს ახლის მოცემას. ძალიან ოსტატურად შედგენილია ლექსის „ძველი ჟურნალები“ ტექსტი და დიდი სიამოვნებით იკითხება იგი:

„მას ახსოვს აკაკის „კრებული“ –
აღელვებული, დაფიქრებული.
შლიდა ჟურნალებს დღის მყუდროება,
მას ახსოვს გაზეთი „დროება“.
მას ახსოვს ცაზე მნათობი ბადრი,
ვასო აბაშიძის გაზეთი „თეატრი“.
და მთელი რიგი, მთელი სერია:
„იმედი“, „კვალი“, „ივერია“,
„ცისკარი“, „მოამბე“, „ნობათი“, -
მაგრამ მოვიდა უფრო სხვა მყოფადი.
და გვესმის ძველების მედგარი ძახილი:
ახალი, ახალი! მოგვეცით ახალი!“ (იქვე, 102-103).

ლექსში ჩამოთვლილმა ძველმა ჟურნალ-გაზეთებმა დიდი საქმე გააკეთეს ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. მაგრამ პოეტს კარგად ესმის, რომ მოდის ახალი დრო „უფრო სხვა

მყოფადისა“, რომ საჭიროა შეიქმნას რაღაც ახალი და სწორედ ეს ახალი დიდი მგოსნის ცოცხალი პოეზიაა.

გ. ტაბიძის პოეზიაში მუქთად არ ჩაუვლია 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დღეებსაც. ამ მოვლენას პოეტმა რედუპლიკაციებით დატვირთული ლექსი „დროშები ჩქარა“ მიუძღვნა. იგი დიდი აღმავლობით იკითხება და თანადროულია ყოველი ახალი ეპოქისა. ეს ლექსი შეიძლებოდა გამოგვეყენებინა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ლექსი დატვირთულია სიტყვათა და სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციებითა და გასამმაგებული გამონათქვამებით:

„გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა ...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს ... წყარო ანკარა ...
დროშები ჩქარა!
დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გაწირა, ვინც სისხლი დაღვარა.
დროშები ჩქარა!
დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას!..
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები ... დროშები ჩქარა! (იქვე, 151).

კავკასიის დიდ ქედზე მიჯაჭვული ამირანის კვნესა ესმოდა დამწუხრებულ პოეტს. მან კარგად იცოდა, რომ ეს კვნესა სამშობლოს კვნესა იყო, ქვეყნის წუხილი და დარდი: ლექსი შემკულია რედუპლიკაციური ფორმებით და ამიტომ იკითხება იგი დიდი შემართებით. მოგვაქვს ლექსის „მშობლიური ეფემერა“ პირველი და უკანასკნელი სტროფები:

„ვეღარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს -
ზამთარს ბილიკი დაუტანია ...
„დიდი ხანია?“ - მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: დიდი ხანია...“
„შეხავსებია კლდეები კლდეებს,

იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ - კვლავ ვკითხავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: ამირანია!..“ (იქვე, 240-241).

უიმედობაში ჩავარდნილი პოეტის „ნისლიან ფიქრებს“ ქარი ჰფანტავს და ცრის. პოეტი წუხს, რომ ჯერ კიდევ ახლად შექმნილი სოციალისტური სახელმწიფო ფეხზე ვერ დადგა. ამ ნაღვლიან ფიქრებს მიუძღვნა მან 1924 წელს ლექსი „ქარი ჰქრის...“, რომელშიც აღბეწდილია რედუპლიკაციური ფორმების სულისკვეთება. აი, ეს ლექსიც:

„ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?...
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს ... ვერასდროს!
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!..
შორი ცა ნისლიან ფიქრებს ცრის ...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!“ (იქვე, 244).

სამშობლოსადმი სიყვარული პოეტისათვის უპირველესი მოვალეობაა. სამამულო ომის წინა წლებში დაწერილი ლექსი „სამშობლოს“ (1938) გვამცნობს იმის შესახებ, რომ სამშობლოსადმი სიყვარული ეს უპირველესი მოვალეობაა თითოეული ჩვენგანისათვის. მგოსანი ამ სიყვარულში მოელის თავისი ჩანგის გამარჯვებას, რომლის გამარჯვებაში მას მედგარი ბრძოლა მოელის:

„სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი,
მზის მხურვალება გარს რომ ავლია,
აი, პირველი, აი, პირველი -
რის სიყვარულიც მე მისწავლია.
შენს გამარჯვებას, ჩანგო, მოველი,
ოჰ, შენთან დღენი ჩემნი წარვლიან,
მედგარი ბრძოლა! აი, ყოველი,

რის სიყვარულიც მე მისწავლია.
გავშლი ძვირფასი ლექსების კონებს:
რა სიუხვეა, რა სიმრავლეა!
გადამასწავლოს, - ნურავინ ჰგონებს, -
რის სიყვარულიც მე მისწავლია!“ (იქვე, 398).

სამშობლოსადმი სიყვარულს პოეტი არასოდეს ივიწყებს და იგი მას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ახსოვს. ასეთი აზრია ლექსში „სიმღერა სამშობლოზე“ გატარებული:

„არ იქნება რომ სამშობლო
გალაქტიონს არ ახსოვდეს,
არასოდეს, მეგობრებო,
არასოდეს, არასოდეს!“ (იქვე, 507).

გ. ტაბიძე თავდადებული იყო ბრძოლაში. მას ისე უყვარდა პოეზია, როგორც საკუთარი სამშობლო. ოთხსტროფიან ლექსში „პოეზია - უპირველეს ყოვლისა!“, ერთი მხრივ, იგი გამოხატავს სამშობლოსადმი სიყვარულს, მეორე მხრივ, პოეზიისადმი იჩენს დიდ სულისკვეთებას. ლექსში ყოველი სტროფის მეოთხე სტრიქონის რედუპლიკაციას ახდენს პოეტი და ამით გამოხატავს უდიდეს სიყვარულს პოეზიისადმი. მოგვაქვს ამ ლექსის ბოლო სტროფი: „თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, | მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის. | სიმღერები ხალისის და ბრძოლისა: | პოეზია - უპირველეს ყოვლისა!“ (გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბილისი, 1973 : 3).

რედუპლიკაციური ფორმების ზოგადი დახასიათების შემდეგ, მოგვაქვს ამ ფორმების ის ჯგუფები, რომლებიც პროდუქტიულად გამოიყენა პოეტმა.

§ 76. ცალ-ცალკე მდგომ სიტყვათა რედუპლიკაციები გ. ტაბიძის პოეზიაში (პირველი ჯგუფი)

გ. ტაბიძის პოეზიაში ყველაზე მეტად მოგვეპოვება სიტყვათა რედუპლიკაციები, რომლებიც იხმარება ცალ-ცალკე

(გვერდიგვერდ ან განცალკევებულად). მოგვყავს ნაწილობრივ ამ ჯგუფის მაგალითები:

1. „აღარ არის ის ჭალები, | ის მდინარე, ის სანავე“ (ქართ. პოეზია, ტ. 13, თბილისი, 1982 : „შეხვედრა“,იქვე, 13);

2. „მაშ შორს მტვერი, შორს, შორს მიწა! - ის ცის უარმყოფელია...| წადი ... წადი მონასტერში! მონასტერში, ოფელია!..“ („ჰამლეტის ქნარით“, იქვე, 14);

3. „თმას გაიშლის, დაემხობა და ცრემლები სცვივა, სცვივა...“ („მესაფლავე“, იქვე, 17);

4. „გესმის, გესმის, როგორ კვნესის დაღლილი და უბედური?“ (იქვე, 17);

5. „უსაზღვროა მისი სევდა, უსაზღვროა მწუხარება“ (იქვე, 17);

6. „ო, ეს ქალი, ალბათ, დარდით ყვავილივით ჭკნება, ჭკნება“ (იქვე, 18);

7. „სახე თაფლის სანთელს უგავს, სანთელივით დნება, დნება“ (იქვე, 18);

8. „უძიროა კაცის სევდა, უძიროა კაცის გული“ (იქვე, 19);

9. „რა ვუყოთ, რომ იმ ვაჟმა ქალს მოუტანა ნორჩი ვარდი | და მწუხარედ წასჩურჩულა: „შემიყვარდი, შემიყვარდი“ (იქვე, 19);

10. „ქალიც ასე მოიქცევა? მე მგონია - არა, არა...“ (იქვე, 19);

11. „განისვენეთ, განისვენეთ, დავიწყებულ არსთა ძვლებო... | თქვენს ყოფნაში არ ერევა ცოცხალთ ფიქრი საარსებო...“ (იქვე, 20);

12. „არ ვიცი! მაგრამ უმიზნო დღეებს | ვითვლი და ვითვლი ყმაწვილურ ჟინით“ („სად?“, იქვე, 21);

13. „წინ, მეეტლევ, | ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!“ („გურიის მთები“, იქვე, 24);

14. „ვხედავ სურებს, ვხედავ დაფნარს, ვხედავ მდუმარ ნასაკირალს“ (იქვე, 25);

15. „მაშ გარეკე ეგ ცხენები, | სადმე შორს, შორს წამიყვანე, | გამაქანე, გამაქანე!“ (იქვე, 25);

16. „წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა | და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა“ („წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა“, იქვე, 26);

17. „ხან კარებს უკან ატირდებოდა, | ხან დარაჯობდა სარკმელის წინა.| გადამიშალა თვალწინ წარსული | და მწარედ, მწარედ ამაქვითინა“(იქვე, 26);

18. „მიუწვდომელი სანთლები კი ბრწყინავს და ბრწყინავს...“ („სანთლები“, იქვე, 30);

19. „ო, გული, გული, რანაირად | მტკივა კვლავ გული! | ვინ მოგიტანა შენ თაიგული“ („პირველი ვარდი“, იქვე, 49);

20. „ძვირფასო, ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს“ („თოვლი“, იქვე, 72);

21. „მე ვიხდი ნიღაბს! მომგვარეთ რაში! | შენთან ! ნუგეშთან! ო, ჩქარა, ჩქარა!“ („მწუხარება შენზე“, იქვე, 114);

22. „გულმა მიიღოს გულისა, | ხვალემ იზრუნოს ხვალისა. | ღვინომ მიიღოს ღვინისა, | წყალმა წაიღოს წყალისა“ („ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ იქვე, 116);

23. „და მეძახის, მეძახის! და არ არის საშველი! | და დაჰქრიან ფარდებში ოცნებებად აშლილი“ („ძველი რვეულიდან“, იქვე, 189);

24. „ხან სროლა ქუხილნაირი, | ხან რხევა სამაისარი, | ხან საკვნესარი დაირი, | ხან ჩანგი მოდაისარი“ („ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, იქვე, 388);

25. „დაუძინარი და უჩინარი, | ... | მარად და მარად ტყდება ჩინარი“ („ისევ ეფემერა“, იქვე, 230);

26. „მხოლოდ გული, ოჰ, გული! | ახსოვს დიდი ხანია“ („მხოლოდ გული...“, იქვე, 233);

27. „გატაცებები სხვები და სხვები | იფანტებიან მოგონებაში“ („გადავიარეთ მრისხანე ზღვები“, იქვე, 257);

28. „და თეთრი, თეთრი ღრუბელი | თითქოს მარდი ქაფია“ („სამი ღრუბელი“, 261);

29. „მზის გადასვლამ სივრცეები დაწმინდა, | იბინდება, იბინდება მთაწმინდა“ („ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების“, იქვე, 266);

30. „ყვითელო, ჩემო ყვითელო ვარდო, | შთენილხარ მარტო, სრულიად მარტო“ („ავადმყოფს“, იქვე, 271);

31. „მე გავცივდი, ავადა ვარ, | ძლიერ, ძლიერ ავადა“ („დღე გაფითრდა იაგუნდის, იქვე, 277);

32. „ო, შვიდი ... ო, შვიდი წელი | ოქროსფერ, ოქროსფერ ნავით“ („ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი“, იქვე, 290);

33. „გესალმებოდა მძაფრი რიონი, | იყო სალამი, იყო მშვიდობით... | ვაი, დრონი, დრონი!“ (უსახელო ლექსი, იქვე, 305);

34. „შრიალი ვერხვის, შრიალი ყანის, | უდარებელი სამშობლო მხარე!“ („ეს წინათ იყო“, იქვე, 307);

35. „დღეს უსათუოდ, ო, უსათუოდ | მე სასახლეში ვნახავ სიხარულს“ („მთელი დღე ვგრძნობდი“, 319);

36. „ქარი ქანაობს ქნარად, | ... | წყნარად, წარსულო, წყნარად!“ („ქარი ქანაობს ქნარად“, 342);

37. „ცაზე ნელდება რული | ფერად ძოწ-აბრეშუმად - | არ გამართლდება გული? | ჩუმად, წარსულო, ჩუმად!“ (იქვე, 342);

38. „არა და არა! მრავალი ტანჯვა, | მრავალს დაუფრთხო სიმშვიდის ძილი“ („ქალაქი წყალქვეშ“, იქვე, 352);

39. „თითქოს სხვა მესმის იდუმალება, | ... | სულ ახლო, ახლო რომ იმალება“ (იქვე, 353);

40. „რაღაცასი გახსენება სურდა | და - ვერასგზით ... და ვერა და ვერა“ („ერთხელ საღამოთი“, იქვე, 359);

41. „ეპოქა არის ნამგლის, ქურების, | ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა, | ეპოქა ძველის განადგურების, | ინდუსტრიული დროის ეპოქა“ („ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“, იქვე, 377);

42. „ტოვებს ბრძოლის ველს და გარბის, გარბის“ (უსახელო ლექსი, იქვე, 382);

43. „აფხაზეთის არის | ერთი ტბა - რიცა | და იქ ხომ გახსოვს | შენცა და მეცა: | ზეცა, ვით ზეცა“ („რიცა“, იქვე, 453);

44. „აწ იგი დრო მიდის, მიდის, | იჩქარის და იჩქაროდა, | მაგრამ ძებნა მარგალიტის | მიხარის და მიხაროდა...“ (უსახელო ლექსი, იქვე, 455);

45. „გვექნება წელი - თქვენ ნახავთ, ნახავთ!“ (უსახელო ლექსი, იქვე, 468);

46. „კვლავ კიდევ | და კიდევ | ახადე ბნელს რიდე! | იდიდე, მშვიდობავ, | იდიდე“ („იდიდე, მშვიდობავ“, იქვე, 489);

47. „თუთუნს, ღვინოსაც დავტოვებ მალე | ტომები ჩემი ვთვალე და ვთვალე ...“ („უძილო ღამეები“, იქვე, 492);

48. „ძველი პური, ძველი ღვინო, | ძველი სტუმარ-მასპინძელი“ (უსახელო ლექსი, იქვე, 496);

49. „ახ, მტერი, მტერი! ის ტყისკენ იხევს“ (უსახელო ლექსი, იქვე, 499);

50. „ცრემლიც არ არსებობს, ყველა, ყველაფერი | მიდის უდაბნოში. | გასაოცარია, გასაოცარია, | გასაოცარია!“ („ვარსკვლავია“, იქვე, 519);

51. „ო, ნავი, ნავი, ნავი მწყურია, | ერთიც ნიჩაბი - | სხვა არაფერი“ (უსახელო ლექსი, 524).

§ 77. სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციები (მეორე ჯგუფი)

გალაკტიონ ტაბიძე თითქმის ყველა ლექსში იყენებს სიტყვათა რედუპლიკაციებს, რომლებიც იწერება ცალ-ცალკე (იხ. პირველი ჯგუფი). პოეტი ასევე პროდუქტიულად იყენებს სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციებს, რომლებიც ყოველ ლექსს უფრო მიმზიდველს და უფრო სასიამოვნოს ხდის:

1. „ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი | ასეთი ცისფერი? („ვინ არის ეს ქალი?“, იქვე, 123);

2. „მხოლოდ გაგონება ჰანგის უნაზესის | დაგრჩა მოგონებად: არ ღირს გამოდგომა. | ... | შენ და შემოდგომა, შენ და შემოდგომა“ („შენ და შემოდგომა“, იქვე, 206);

3. „სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული. | სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას...“ („ეფემერა“, იქვე, 228);

4. „ცხენთა შეჯიბრებაზე! ცხენთა შეჯიბრებაზე! | ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო!“ (იქვე, 229);

5. „ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს, | მაინც მწვერვალებს ედება ქარი“ („ისევ ეფემერა“, იქვე, 229);

6. „ხევიდან ხევზე იკივლებს მეხი, | ხევიდან ხევზე წავა ქუხილი“ („ჩვენ პოეტები საქართველოსი“, იქვე, 254);

7. „დაფნა და ვარდი მოჰქონდათ ქალებს, | შემოდგომების დაფნა და ვარდი“ („შემოდგომის ყვავილები“, იქვე, 268);

8. „მე კიდევ წავალ, მე კიდევ ვივლი“ (იქვე, 268);

9. „მე მდუმარე გენია ვარ, | და გენია რიმანელი“ („ვარ გენია რიმანელი“, იქვე, 285);

10. „არ შეუძლია იყოს პირფერი, არ შეუძლია მტვერი არ იყოს“ („სასაფლაონი“, იქვე, 288);

11. „ეს ადვილია, ვინემ | შველად მოვიდეს ვინმე. | ეს ადვილია უფრო, | ვინემ ღამეა კუპრი“ („დროა“, 307);

12. „მოვა თუ არა, მოვა თუ არა? | ოხვრით კითხულობს ცეცხლის შიშინი“ („შრიალებს ჩალა“, იქვე, 308);

13. „მე ვდგავარ მთაზე, მე ვდგავარ მარტო, | დამთვრალი ახალ სანახავითა“ („ჩემო იარალი“, იქვე, 317);

14. „გაოცდა უფრო, გაოცდა უფრო, | თვალები უფრო გადაიარა“ („გაოცდა უფრო“, იქვე, 334);

15. „ყველა საქმეები მივეცი ნიავქარს, | ყველა საქმეები მივეცი ქაოსებს“ („ყველა საქმეები“, იქვე, 335);

16. „არ მეგონა, არ მეგონა, | არ მეგონა, გულო, | თუ ამგვარი გახდებოდი, - | ცივი, უმამულო“ (უსახელო ლექსი, 393-394);

17. „მხარე მისი გულია, | მხარე - მისი მგრძნობელი“ („სუროშემოხვეული“, იქვე, 403);

18. „იბრწყინე მარად, დიადო მზეო, | იბრწყინე მარად!“ („პუშკინი პარიზში“, იქვე, 420);

19. „მაშ დიდება მზეს, | ახალსა და მწველს - | მრავალ ახალ წელს, | მრავალ ახალ წელს!“ („მაშ დიდება მზეს“, იქვე, 448);

20. „კვლავ გამოცოცხლდა ია-ვარდი ოცნების ნავზე. | ოცნების ნავზე სიხარული დაჰქრის ვედრებით“ („მზის ამოსვლა ზღვაზე“, იქვე, 449|;

21. „მზის ამოსვლისებრ მოგონებაც მარადი გზაა, | მარადი გზაა იმედების და შეხვედრების“ (იქვე, 450);

22. „არ დაგავიწყდეს ოქროს საღამო, | არ დაგავიწყდეს მზის ჩასვლა ზღვაზე“ (უსახელო ლექსი, იქვე, 450);

23. „არა ჩემს გარეთ, | არა რამე სხვა - | ახმაურდა ზღვა, | ზღვა ახმაურდა“ („ზღვა ახმაურდა“, იქვე, 461);

24. „შეხედე, რა ცაა! - | ეს არის, რაცაა. | შეხედე ამ მხარეს! - | ზღვით დილა გვახარებს. | შეხედე, რა ზღვაა! - | ო, ეს ზღვა სულ სხვაა. | გულია, მიწაა ... | რა ცაა, რა ცაა!“ („რა ცაა!“, იქვე, 461);

25. „ფრთები, ფრთები გვინდა, | კიდევ ფრთები გვინდა, | კიდევ ფრთები გვინდა, | გვინდა დავეუფლოთ | სივრცეს, ნიკორწმინდა!“ („ქებათა ქება ნიკორწმინდას“, იქვე, 466);

26. ათსტროფიან ლექსში „ჰიმნი ქართულ ანბანს“ ყოველი სტროფის ბოლო სტრიქონზე ხდება სიტყვათა შეხამების - „ოცდაექვსი საუკუნის წინათ ... || ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ“- რედუპლიკაცია (იქვე, 466-468);

27. „წარვიდა, განქრა დაფიქრება | სხვა რაიმეზე, - | აი, მიზეზი, გულო ჩემო, | აი, მიზეზი!“ („1950“, იქვე, 481);

შენიშვნა: ლექსში „1950“ გამონათქვამი „აი, მიზეზი, გულო ჩემო, აი, მიზეზი“ მეორდება მრავალჯერ (იქვე, 478-485);

1. „მიყვარს ყველაფერი სადა, | მიყვარს ყველაფერი ძველი“ (უსახელო ლექსი, იქვე, 496);

2. „ჰეი, ჩქარა და ჩქარა, | ჰეი, ჩქარი და ჩქარი, | კავკასიონის ქარი, კავკასიონის ქარი!“ (უსახელო ლექსი, იქვე, 513);

3. „ტირის: რად გინდა, რად გინდა ლექსი | და ალის ჭიქა?“ („დაბმული ჭინკა“, იქვე, 521);

4. „დღეს მეზიზღება მყუდრო ნაპირი - | სხვა არაფერი. | ქარი მწყურია მე პირდაპირი - | სხვა არაფერი“ (უსახელო ლექსი, იქვე, 524);

§ 78. წინადადებისა და მთლიანი სტროფის (ტექსტის) რედუპლიკაცია (მესამე ჯგუფი)

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში საკმაოდ ხშირია როგორც ცალკეული წინადადებების, ისე მთლიანი სტროფის (ამ შემთხვევაში ტექსტის) რედუპლიკაცია. მოგვყავს ზოგიერთი მაგალითი:

1. „წყალმა წაიღოს დიდება, | ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ ; „გულმა მიიღოს გულისა, | ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ - წინადადების რედუპლიკაციაა („ხვალემ იზრუნოს ხვალისა“, იქვე, 116, ტ. 13);

2. ლექსში „ალაზანთან“ პირველი სტროფის პირველი სტრიქონი „მთვარეში შავი შრიალებს ჩალა“ მეორდება ამავე სტროფის მეოთხე სტრიქონში და მეორე სტროფის მესამე სტრიქონში. ხოლო წინადადება „შავი ლეჩაქი დაეცა შარებს“ გვაქვს პირველი სტროფის მეორე სტრიქონში და მეოორე სტროფის მეოთხე სტრიქონში. რაც შეეხება მესამე და მეოთხე სტროფებს, აქ გვაქვს რთული წინადადების რედუპლიკაცია, მაგრამ ოდნავ შეცვლილი სახით, რაც ლექსს უფრო მიმზიდველს ხდის: მესამე სტროფში (მეორე სტრიქონი) გვაქვს „რაც დაიკარგა, ის აღარ მოვა“, ხოლო მთავრდება ამგვარად: „ის დაიღუპა. ის აღარ მოვა“ („ალაზანს“, იქვე, 219);

ამგვარად, ლექსი „ალაზანთან“ მთლიანად აგებულია რედუპლიკაციურ წინადადებებზე, რითაც იგი იკითხება მეტი მხატვრულობითა და მიმზიდველობით.

4. „შავმა ნისლმა დანისლა | მთები დაღესტანისა. | აიმართენ კოშკები | ცისა და ნესტანისა“ (პირველი სტროფი). მეხუთე სტროფში გვაქვს: „შავმა ნისლმა დანისლა | მთები დაღესტანისა, | ეცემიან კოშკები | ცისა და ნესტანისა“ (თითქმის მთლიანი

ტექსტის რედუპლიკაცია ხდება ოდნავი ცვლილებით) („ეს მშობლიური ქარია“, იქვე, 221);

5. „როდესაც მთვარე ანათებს დღისით. | როდესაც მთვარე ანათებს დღისით | და სიხარული სცემს გრძნობით თვისით, | არ არის ღამე დედამიწაზე, | როდესაც მთვარე ანათებს დღისით“ („როდესაც მთვარე ანათებს დღისით“, იქვე, 275);

6. „ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ, | ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ“ („ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ“, იქვე, 302);

7. ოთხსტროფიან ლექსში „ჩემი სიმღერა“ ყოველი სტროფის ბოლო სტრიქონის გამეორება ხდება: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ (იქვე, 383-384);

8. „რის სიყვარულიც მე მისწავლია“, - ამ წინადადების გამეორება ხდება ყოველი სტროფის მეოთხე სტრიქონზე („სამშობლოს“, იქვე, 398);

9. „მშობლიურო ჩემო მიწავ, | შენს საყვარელ სახელს ვფიცავ, | რომ დავიცავ შენს დიდებას, | წინაპართა ძვლებს დავიცავ!“ - აღნიშნული სტროფის გამეორება ხდება ლექსში „მშობლიურო ჩემო მიწავ!“ - მეორდება თხუთმეტჯერ, მაგრამ ყოველი სტროფის ბოლო ორი სტრიქონი შეცვლილი სახითაა და სხვა შინაარსის მქონე, რაც ლექსს რედუპლიკაციის წყალობით ამაღლებული გამოხატულება ეძლევა და მკითხველს დიდ სიამოვნებას ჰგვრის (იქვე, 422-429).

გ. ტაბიძის ლექსი-პოემა „მშობლიურო ჩემო მიწავ!“ დაწერილია სამამულო ომის წინა დღეებში, 1940 წელს. იგი ერთდაგვარი მოწოდებაა თითოეული მოქალაქისადმი, რომელ-საც ევალება სამშობლოს სიყვარული და მისი უშუალო დაცვა. რედუპლიკაციური ფორმები სტიმულს აძლევს მკითხველს შეასრულოს პოეტის მოწოდება.

10. ლექსში „არაგვი“ პოეტი იხსენებს სამასი არაგველის თავდადებულ ბრძოლას, გიორგი სააკაძისა და ერეკლე მეფის მძაფრ პერიოდს. ლექსის პირველი და ბოლო - მეოთხე სტროფის რედუპლიკაცია ხდება, მაგრამ ორივე სტროფის მეორე ხაზი

ოდნავ შეცვლილია ამგვარად. ვიძლევით შესადარებლად ორივე სტროფს:

„მიძებნია, მომინახავს,
განმიცდია ზვირთთა ნანა,
მაგრამ ქვეყნად არ მინახავს
მე მდინარე შენისთანა.“

„მიძებნია, მომინახავს,
მომივლია მთლად ქვეყანა,
მაგრამ ქვეყნად არ მინახავს
მე მდინარე შენისთანა“ (იქვე, 436);

11. „მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა | „მუმლი მუხასა“ და „ლილეოსი“, | ეს გმირთა ჩვენთა არის სიმღერა, - | ეს სიმღერაა საქართველოსი“. - აქ ყოველი სტროფის მეოთხე სტრიქონის - „ეს სიმღერაა საქართველოსი“ - გამეორება ხდება როგორც მარტივი წინადადებისა („მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა“, იქვე, 455-456);

12. „წამყე ბეთანიისაკენ, იქ, სადღაცა, ახლომახლოს | იყო ორბელიანების და ირაკლის სამოსახლო“ - ეს წინადადება მეორდება ლექსის „წამყე ბეთანიისაკენ“ დასაწყისში და მის ბოლოს: (იქვე, 470);

13. ლექსში „ეგ არის და გორის ციხე!“ (ლექსის სათაური, რომელიც წინადადებას წარმოადგენს) ყოველი სტროფის ბოლო სტრიქონი მეორდება გამონათქვამით „ეგ არის და გორის ციხე“ (იქვე, 477-478);

14. უსახელო ლექსში ყოველი სტროფის ბოლო სტრიქონის რედუპლიკაცია ხდება გამონათქვამისა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ (იქვე, 491). მაგრამ ამ ლექსის პირველი სტროფი ასე ფორმდება:

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს,
მთა მთას შეხვდეს, მზე მთის იქით მოხვდეს,
ვარდი დაჭკნეს, როს ბულბული მოსხლტეს, -
ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ (იქვე, 491);

„ჯერ კიდევ არ ჩანს ფერები ლომის,
უკანასკნელი დღეა ზაფხულის,
აგვისტოს კრთომის, სისავსის, ნდომის -
უკანასკნელი დღეა ზაფხულის,
უკანასკნელი დღეა ზაფხულის!“ (უსახელო ლექსი, იქვე, 523).

გალაკტიონ ტაბიძე წინადადებებისა ან მთლიანი სტროფის რედუპლიკაციისას იშვიათად მიმართავს იმ ხერხს, რომლის დროსაც რედუპლიკაციური გამონათქვამები სრულიად უცვლელი რჩება ლექსში. ლექსთა უმრავლესობაში პოეტი ხშირად უცვლის სახეს რედუპლიკაციურ გამონათქვმებს და ამით უფრო მიმზიდველს და შინაარსიანს ხდის ყოველ ლექსს.

§ 79. მარცვალთა, სიტვათა და სხვათა რედუპლიკაციები გ. ტაბიძის პოეზიაში

გალაქტიონ ტაბიძეს, გარდა ზემოაღნიშნული რედუპლიკაციის სამი ძირითადი ჯგუფისა, თავის პოეზიაში გამოყენებული აქვს რედუპლიკაციის მრავალფეროვნება, რომელიც დამახასიათებელია ქართული სალიტერატურო ენისათვის. პოეტი რედუპლიკაციის თითქმის ყველა ხერხს მიმართას, რათა მისი პოეზია გახდეს მეტად მიმზიდველი, უფრო ხატოვანი და წარმატებული. მოგვყავს რედუპლიკაციის ნაირსახეობათა ნაწილი მაგალითებისა, რომლებიც ასახულია ტაბიძის პოეზიაში:

ა) ბგერათა და მარცვალთა რედუპლიკაციები.

1. „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა | და ყვავილები გიიადონა“ (უსახელო ლექსი, იქვე, 226);

2. „და სასტიკია, როგორც გეენა“ („ისევ ეფემერა“, იქვე, 232);

3. „შორს ერთადერთი ენთო სანთელი, | უუძველესი ბაღის ტოტებით“ („მე ერთადერთი მქონდა წუხილი“, იქვე, 240);

4. „მღვრიე ქუჩები, ხიდეები, | ნისლი, ზარები...“ („ქარი ამწევი ფარდის“, იქვე, 253);

5. „წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრად | ასსანტიმეტრის მკაცრი სახელი“ („ჩვენ პოეტები საქართველოსი“, იქვე, 255);

6. „ჩვენ ეხლავ ვიცით, სად დადგებიან | კლოდელი ჟამმი, სიუარესი...“ (იქვე, 255);

7. „მოშორდნენ ტახტებს: ვილჰელმი, კარლოს, | ნიკოლოოზი და ფერდინანდი“ („პროლოგი 100 ლექსის“, იქვე, 256);

8. „ო, დროო, გამახსენდება | შენი გზა სიზმარეული“ („სამი ღრუბელი“, 261);

9. „უუძველესი ციხის | ჩანს ნანგრევები შორი“ („მგზავრის სიმღერა“, იქვე, 328);

10. „ბევრი ნაბიჯი არის ტაატი...“ („ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“, იქვე, 376);

11. „მრავალ წამწამებს და მრავალ ისარს | გრძნობს დაღალული თვალი თეატრში“ („საახალწლო ეფემერა“, ტ. 13, იქვე, 215);

12. „და ატივტივდა იქ ნაფოტივით | კლავიში ერთი, შეულეველი“ (იქვე, 215);

13. „აჰა, შორით მოისმის ქვეყნიური გუგუნი“ („ეფემერა“, იქვე, 228);

14. „არა! - ჩურჩულებს ქალი | კარგი! - ამშვენებს ვაჟი“ („ქალავ!“, იქვე, 245);

15. „რაღაც კარგზე და მშვენიერზე ატარებს ძაძას“ („ო, გადავეშვათ უფიქრებლად“, იქვე, 263);

16. „ხევში, ხრამებში ატყდა ხარხარი და წამოვიდა წვიმა ჩქარ-ჩქარი“ („ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა...“ , იქვე, 273);

17. „უცებ მოისმა სიშორეში მძლავრი ზუზუნი“ („სამხედ-რო გზაზე“, იქვე, 280);

18. „მე არაერთი მინახავს ბავშვი, | პატარა, როგორც ოქროს წიწილი“ („ბავშვები კაფეში“, იქვე, 291);

19. „მახლობელ დემონს მიგრძნობ უეცრად | და შიშის ჩრდილით აკანკალდები“ („იარე, შენ კაცი აღარ გქვია“, იქვე, 294);

20. „შუქი ზვირთებზე მიდის ლივლივით“ (უსახელო ლექ-სი, იქვე, 511).

ბ) სიტვათა რედუპლიკაციები, რომლებიც შეერთებულია უდეფისოდ ან დეფისით:

1. „ის ძველისძველი ციხეა, | იქ კიდევ წინანდალია“ („ეს მშობლიური ქარია“, იქვე, 222);

2. „დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია“ | ... | და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია“ (უსახელო ლექსი, იქვე, 124);

3. „ისმოდა ხმები ახალ-ახალი, | ტყე ტაძარივით იყო მაღალი“ („ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა ...“, იქვე, 273);

4. „იარე! გაჰყევ გზას შორით-შორისს“ („იარე, კაცი შენ აღარ გქვია“, იქვე, 294);

5. „მაგრამ ხანდახან დაუნდობელ გრძნობებზე ტირის“ („პოემა ვეფხვისა“, იქვე, 297);

6. „მივალ, გადავკოცნი | ჩემსა მთვარესა, | სიტყვებს გადავ-ტყორცნი მწარე-მწარესა“ („მივალ, გადავკოცნი“, იქვე, 317);

7. „მაღალ მთაზედა ავაგე | სასახლე ახალთახალი“ („მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალთახალი“, იქვე, 378);

8. „უფრო და უფრო, სულ მაღლა-მაღლა | იწევდეს მნათი პირმშვენიერი“ („ისტორიის ახალი გვერდი“, იქვე, 390);

9. „დგას დილდილობით | შეურხეველი | უნარნარესი | ალვათა წელი“ („ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“, იქვე, 441-442);

10. „ჩვენ შავი ზღვა გვაქვს პირველთ-პირველი“ („ცა გაქვთ ისეთი“, იქვე, 451);

11. „არა სიმშვიდით, და ნაპირ-ნაპირ, | ... | ჩვენ მივცურავ-დით ქარის პირდაპირ“ (უსახელო ლექსი, იქვე, 462);

12. „არის მზიური ნამის თოვება, | რაც დღესდღეობით მოგვეპოვება“ (უსახელო ლექსი, იქვე, 488);

13. „ილაპარაკე, ტალღავ, დენი-დენ, | ელაპარაკე ნანგრევთა შქერებს“ (უსახელო ლექსი, იქვე, 511);

14. „შუქი ზვირთებზე მიდის ლივლივით“ (უსახელო ლექ-სი, იქვე, 511);

15. „ქარი მწყურია მე პირდაპირი - | სხვა არაფერი“ (უსახელო ლექსი, იქვე, 524).

გ) კონტრასტული და კვაზი-რედუპლიკაციები:

1. „არც ვწუხვარ, არც მერიდება | მიმავალ-მომავლისა“ („ხვალემ იზრუნოს ხვალისა“, იქვე, 116);

2. „მიწერ-მოწერა ძველი | და უბედური წამი“ („ქრონიკა ერთი დღის“, იქვე, 125);

3. „დემონიური არევ-დარევით | ყოველი მხრიდან ავარდა ალი“ („ისევ ეფემერა“, იქვე, 230);

4. „და სპარსეთიდან ლექსების კონა | მიმოდის, როგორც ტოტი ქარისი“ („ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“, იქვე, 287);

5. „მიინგრ-მოინგრა, სცივათ კახურებს, | ... | მატარებლების კივილს გაჰყურებს“ („ჩემო იარალი“, იქვე, 317);

6. „როს თოფების ატყდა ჭახჭუხი...“ („ერთხელ საღამოთი“, იქვე, 359);

7. „მოწმეა რბევის და თარეშის ხვადგურის | ბინდბუნდი საზიზღარ რკინიგზის სადგურის“ („უკანასკნელი მატარებელი“, იქვე, 393);

8. „კარგი მიდამო | აღმართ-დაღმართით“ („ვით არ მიყვარდეს საშობლო ჩემი“, იქვე, 440);

9. „წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ, | დარჩნენ ქვიშანი“ („დარჩნენ ქვიშანი“, იქვე, 458);

10. „და როცა მოჰქარგა, | შიგ მიჰკარგ-მოჰკარგა“ („ქებათა ქება ნიკორწმინდას“, იქვე, 465);

11. „არა აქა-იქა | გადაჭიმულია | ტუნდრა და ტაიგა“ („ლარიქს სიბირიკა“, იქვე, 472);

12. „ჰეი, ჭრელთვალა გოგო. | ცეკვა გცოდნია ჩქარი, | მიმოაქროლებ, როგორც | კავკასიონის ქარი“ (უსახელო ლექსი, იქვე, 513).

§ 80. გ. ტაბიძის პოეზიის თავისებურება და ზოგადი დასკვნები

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. იგი ლექსის რიტმული აგებისათვის ზოგჯერ იყენებს დიფთონგებს, რომელთა საფუძველზე აღწევს ლექსის თანაბარზომიერებას. როგორც ცნობილია, ენათმეცნიერებაში ყოველი დიფთონგი ქმნის მხოლოდ ერთ მარცვალს. ეს კანონი გაითვალისწინა დიდმა მგოსანმა ლექსის რითმისას. ასე, მაგ., ლექსში „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“ დამავალი დიფთონგი ჰეი პოეტს მიჩნეული აქვს როგორც ერთი მარცვალი

და ამის გათვალისწინებით არის ლექსის სტრიქონები აგებული: „მოდის ზამთარი, მოდის სიცივე, | მოდის სიკვდილი ... ჰეი, ლურჯა რაშო“ („ქართული პოეზია, ტ. 13, თბილისი, 1982 : 163).

პოეტის უსახელო ლექსში გათვალისწინებულია იგივე, რაც გვქონდა წინამდებარე ლექსში:

„ჩრდილი მოსილი მარგალიტებით. (10 მარცვლიანია)

ვაი, დრონი, დრონი!“ (ხუთმარცვლიანია) (იქვე, 304).

ლექსის ტონალობისა და მაღალი მხატვრულობის გაძლიერებისათვის გ. ტაბიძე თავის პოეზიაში მეტწილად იყენებს სიტყვათა რედუპლიკაციებს, რომლებიც იწერება ცალ-ცალკე (იხ. ზემოთ პირველი ჯგუფი). ისინი ყოველ გამონათქვამს აძლიერებენ, ლექსს ძალიან მიმზიდველს ხდიან და დიდი სიამოვნებით აღიქვამს მას მკითხველი.

დიდი აღმავლობით იკითხება აგრეთვე ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც მოცემულია სიტყვათა შეხამებებისა და წინადადებათა (იშვიათად მთლიანი სტროფის ანუ ტექსტის) რედუპლიკაციები. ასეთი რედუპლიკაციები ზოგჯერ ჩართულია ლექსის ყოველ სტროფში (იხ. ზემოთ მეორე და მესამე ჯგუფები).

გ. ტაბიძის პოეზიაში გამოყენებულია აგრეთვე ბგერათა ისეთი რედუპლიკაციები (ხმოვანთა და თანხმოვანთა), რაც სინამდვილეში არ არის დამახასიათებელი ქართული სალიტერატურო ენისათვის. (იხ. მეოთხე ჯგუფის შემდეგი მაგალითები: 1-დან 10 მაგალითის ჩათვლით).

დიდი მგოსნის პოეზიაში ვერ მოვიპოვეთ რიცხვითი სახელების რედუპლიკაციები, როგორიცაა ორ-ორი, ხუთ-ხუთი, ას-ასი და მისთანები. რაც შეეხება სიტყვათა რედუპლიკაციებს, რომლებიც გამოიხატება ერთიანი სიტყვით ან იწერება დეფისით, ტაბიძის პოეზიაში საკმაო რაოდენობისაა. ასევე გვაქვს კონტრასტული რედუპლიკაციებიც როგორც მიმო- ზმნისწინით, ასევე მიდა მო- ზმნისწინების დართვით. პირველი ზმნისწინის დართვით სიტყვა ერთიანია (დეფისის გარეშე), ხოლო მი- და მო- ზმნისწინების დართვით რედუპლიკაციური ფორმები დეფისითაა ერთმანეთთან შეერთებული (შდრ. მიმოიხედა და მიხვეულ-

მოხვეული). კვაზი-რედუპლიკაციების მაგალითები იშვიათია პოეტის პოეზიაში, ორად ორი მაგალითი დავაფიქსირეთ მხოლოდ (იხ. ზემოთ § 80).

თავი მეათე

რედუპლიკაციური ფორმები მეცხრამეტე საუკუნის პროზაში

§ 81. ქართული პროზა და კონტრასტული რედუპლიკაციების დამკვიდრება

პროზა პოეზიისაგან განსხვავებით მწერლისაგან არ მოითხოვს ტექსტის რითმულად აგებას. იგი უფრო თავისუფალია პოეზიასთან შედარებით. ამიტომ პროზაში რედუპლიკაციის ნაირსახეობა უფრო მეტადაა აღბეჭდილი, ვიდრე პოეზიაში. განვიხილოთ ამ მიმართებით მეცხრამეტე საუკუნის ოთხი მწერლის - ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის პროზაული ნაწარმოებები, რომლებმაც ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულეს.

ილია ჭავჭავაძე, ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საკმაოდ უხვად იყენებს რედუპლიკაციის სხვადასხვა სახეებს. ამ სახეებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ისეთი კონტრასტული რედუპლიკაციები, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნისათვის იყო სიტყვათწარმოების „ახალი ხილი". მართალია, წინა საუკუნეებში კონტრასტული რედუპლიკაციები აქა-იქ გვხდებოდა და არ იყო ეს ხერხი სრულიად ახალი მეცხრამეტე საუკუნისათვის, მაგრამ ამ პერიოდისათვის იგი მეტად პროდუქტიული აღმოჩნდა, განსაკუთრებით მი- და მო- ზმნისწინების მეშვეობით წარმოებული ფორმები, ეს იყო ახლებური წარმოება

და პროზაიკოსებმა ამ მიმართებით სიტყვათწარმოების „ბუმი“ შექმნეს.

ოთხმა მწერალმა - ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ და ალექსანდრე ყაზბეგმა საფუძველი ჩაუყარეს ქართულ ენაში სხვა ენებისაგან განსხვავებით სიტყვათწარმოების სრულიად ახალ ხერხს, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ კონტრასტული რედუპლიკაციები. მოგვყავს ოთხივე მწერლის ნაწარმოებებიდან მაგალითები არასრული სახით:

1. „რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელკისერა „იმშჩიკის“ ბრიყვი სახე, იმისი ოყრაყული სანახაობა, იმისი მიდუნ-მოდუნებული ზლაზვნა, უადამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრა“ (ილია, 1988, „მგზავრის წერილები, 9);

2. „ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმინდება ხოლმე“ (ილია, იქვე, 13);

3. „იმ გზაზედ ხალხის ფეხი არ მიწყდება, ამვლელ-ჩამვლელი არ დაილევა“ (ილია, იქვე, „გლახის ნაამბობი“, 134);

4.„მე რომ მივათვალ-მოვათვალიერე იქაურობა, ვთქვი ჩემს გულში...“ (ილია, იქვე, 142);

5. „ღმერთო, შენ გაუნათლე იმასაც გზა სააქაოსაც და საიქიოსაც“ (ილია, იქვე, 160);

6. „მიიხედ-მოიხედა და თვალი ვეღარსად ვერ მოჰკრა“ (ილია, იქვე, „სახრჩობელაზედ“, 227);

7. „იმდენი მიძვრა-მოძვრა ხალხში, რომ გაინაპირა თავი“ (ილია, იქვე, 230);

8. „შვილმა გაიქნივ-გამოიქნივა თავი...“ (ილია, იქვე, 236);

9. „თუმცა თვითონ ქვრივსაც ერთი ათიოდ მანეთი შემოჰ-ხარჯოდა მისვლა-მოსვლაში“ (ილია, იქვე, 240);

10. „ისე გაიფანტებოდნენ აქეთ-იქით, თითქო ალალმა დაჰქროლა წიწილებსაო“ (ილია, იქვე, 241);

11. „ყუისავით თეთრი და ფაფუკი ღრუბელი ნაჭერ-ნაჭერ აქა-იქ მიდიოდ-მოდიოდა წყნარად...“ (ილია, „ოთარაანთ ქვრივი“, იქვე, 264);

12. „მიხვეულ-მოხვეულს სწორე სჯობია“ (ილია, იქვე, 271);

13. „აკი ნათლიდედამ მიხვევ-მოხვევა არ იცისო?“ (ილია, იქვე, 273);

14. „მაშ შენის ფიქრით, ლარი აღმა-დაღმით უნდა დაგვეჭირა თავთავქვესაკენ...“ (ილია, იქვე, 278);

15. „კესოც ადრე ამდგარიყო, მაგრამ მინამ მილაგ-მოლაგდებოდა, ჩაიცვამ-დაიხურავდა, კარგა ხანი გავიდა“ (ილია, იქვე, 284);

16. „ეხლა, ჩემო გიორგი, ამ ადგილს ამისთანა მიხვეულ-მოხვეული გზები უნდა დაუკეთდეს“ (ილია, იქვე, 285);

17. „მიშალ-მოშალა, ჩამოჰყარა ძირს თივა, დაადაბლა სათივე“ (ილია, იქვე, 290);

18. „... თვალი ხელახლად აახილა, წყნარად მიატარ-მოატარა და უეცრად გაუშტერდა“ (ილია, იქვე, 295);

19. „არჩილმა გასწყვიტა ლაპარაკი და წინ და უკან მოჰყვა სიარულს ოთახში“ (ილია, „გლახის ნაამბობი“, იქვე, 304);

20. „გაუქროლ-გამოუქროლა ჩვენებს წინ ცხენი, თითქო ჯირითშია და არა ომშიო“ (ილია, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, იქვე, 318);

21. „... გახალისებულმა გამარჯვებით გაათამაშ-გამოათამაშა ცხენი მოედანზედ“ (ილია, იქვე, 268);

22. „ახლა ვიცი წასვლა-წამოსვლა მოგინდება,...“ (ილია, პიესები „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“, 381);

23. „არეულად მიყრილ-მოყრილი წნული სახლები, ...“ (ილია, დაუმთავრებელი მოთხრობები - „კაკო“, იქვე, 434);

24. „ოჯახში ყოველიფერი არეულ-დარეული იქნებოდა“ (აკაკი, „ჩემი თავგადასავალი“, 1985 : 29);

25. „ასე ჩქარა ყველგან როგორ მიივლ-მოივლიან?“ (აკაკი, იქვე, 62);

26. „აატარ-ჩამოატარა წყლის პირად ცხენი და ბოლოს უკანვე გააბრუნა“ (აკაკი, „ბაში-აჩუკი“, იქვე, 128);

27. "ფარეშები გარბი-გამორბოდნენ აქეთ-იქით" (აკაკი, იქვე, 134);

28. „რამდენჯერმე ჩაუქროლ-ჩამოუქროლა ახალგაზრდამ გოლიათს" (აკაკი, იქვე, 155);

29. „იმათ თვითონ იცოდნენ, რა დროს რაგვარი მიხვრა-მოხვრა იყო საჭირო" (აკაკი, იქვე, 156);

30. „ამდენი ხანია მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცით" (აკაკი, იქვე, 159);

31. „საფლავის პირი მიასწორ-მოასწორა „ (აკაკი, იქვე, 173);

32. „გადაატრიალ–გადმოატრიალა, უსუნა და მერე ისევე შემეშალა" (აკაკი, „ეშმაკები", იქვე, 196);

33. „ამ სიტყვაზე გაკვირვებით შემომხედა და ამათვალიერ-ჩამათვალიერა" (აკაკი, იქვე, 199);

34. „მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ვერავინ ვნახე..." (აკაკი, იქვე, 203);

35. „ეშმაკები მიემატნენ და ადრინდელზე უფრო მეტი ხმაურობა გვესმის გამვლელ-გამომვლელებსო" (აკაკი, იქვე, 211);

36. „წინ მიფენია ქართული სუფრა მაისის სასადილო სამკაულებით: ცხელ-ცხელი პურები, ცივი ღვინო, აქა-იქ ახირებულად მიყრილ-მოყრილი მწვანილი" (აკაკი, „პატრიოტის ახსარება", 229);

37. „მგზავრმა მიათვალიერ-მოათვალიერა და შეხედა, რომ კატა ზედ შუა ჭერზედ გაშხლართულა" (აკაკი, „ღამურა", იქვე, 268);

38. „კიდით-კიდე ზესკნელ-ქვესკნელად მიმოვაფრინე მკვირცხლი ოცნება" (აკაკი, „სამგვარი სიყვარული", იქვე, 303);

39. „სიყვარული „მოგატყუე-მომატყუე"-ს ბურჭალობა და ამიტომაც კიტრად ვაფასებდი" (აკაკი, იქვე, 312);

40. „ლერწამტანის მიხვრა-მოხვრა, თავის აღება-დაღება, გახედვ-გამოხედვა და შეჩერება თვით განხორციელებული მაცდურობა იყო!.." (აკაკი, იქვე, 313);

41. „ხან ბოლოს გაუქნ-გამოუქნევს, ხან ზურგით წაეფხანება და ხან ფრთებით ..." (აკაკი, იქვე, 315);

42. „აქაურობა აურ-დაურია, ქვეყნის საიდუმლო იცის...“ (აკაკი, იქვე, 330);

43. „ეს კაცი ამისთანა-იმისთანაო, ნუ ენდობით“ (აკაკი, 1985, „რაჭის ერისთავი როსტომ“, იქვე, 344);

44. „ყურადღებას არ აქცევდა ქვეყნის მითქმა-მოთქმას, სანამდი ბრალი არ შეემჩნა ერისთავს მეფის ორგულობისა“ (აკაკი, იქვე, 345);

45. „გავსწი-გამოვსწიოთ და ვინც წაართვას, იმას დარჩესო, - უპასუხა ამხანაგმა (ხაჭაპურ)“ (აკაკი, „ბრიყვი და ჭკვიანი“, იქვე, 317);

46. „შუკის პირად გაღმა-გამოღმა მოსახლეები იდგნენ“ (აკაკი, „მოსწავლე და მასწავლებელი“, იქვე, 370);

47. „ირემი იყო თავდაპირველი მიზეზი ქვეყნის არევ-დარევის“ (აკაკი, „გრიგოლ წერეთლის ირემი“, იქვე, 425);

48. „გამვლელ-გამომვლელები მიუჩოქებდნენ და ტიროდ-ნენ“ (აკაკი, იქვე, 426);

49. „ზოგი ეს თქვეს და ზოგი ის“ (აკაკი, იქვე, 426);

50. „თითონ საქართველოში ყოფილა გაყიდ-გამოყიდული“ (ყაზბეგი, 1926, „ელგუჯა“, იქვე, 6);

51. „ცხენოსანს უნაგირზედ გარდი-გარდმო გადებული ნაბადში შეხვეული რაღაც შეამჩნია“ (ყაზბ.; იქვე, 8);

52. „რაკი ბიჭები გაგზავნ-გამოგზავნა, სახლის პატრონმა გამოსწია იმ „საწოლისაკენ, სადაც ტყვე იყო დამწყვდეული“ (ყაზბ., იქვე, 12);

53. „გამტაცებელ სურათებად დაუხატა ქალის მიხვრა-მოხვრა“ (ყაზბ., იქვე, 12);

54. „ვახშმის შემდეგ, როცა ყველანი მიწვნენ-მოწვნენ და ღრმა ძილში შევიდნენ, ელგუჯა გაცურდა იმ მხარისაკენ, სადაც მზაღო იწვა“ (ყაზბ., იქვე, 17);

55. „გვერდით რამდენჯერმე აუარ-ჩამოუარა“ (ყაზბ., იქვე, 22);

56. „ეს ხალხი გაიფანტა და მიეფარა-მოეფარა აქა-იქ გაფან-ტულს ქვებსა და ხრამებს“ (ყაზბ., იქვე, 32);

57. „როდესაც სალდათები დაასაფლავეს, ყველანი წავიდ-წამოვიდნენ“ (ყაზბ., იქვე, 40);

58. „ამან, ზურგზედ ხელებდაწყობილმა, აუარ-ჩამოუარა ქალსა“ (ყაზბ., იქვე, 43);

59. „მიდგომ-მოდგომით არ წარმოსთქვათ ... თორემ ცოდოა ...“ (ყაზბ., იქვე, 70);

60. „ამის შემდეგ კრება დაიშალა და ყველანი გარდაწყვეტილებისამებრ წავიდ-წამოვიდნენ, გზების შეკვრას შეუდგნენ“ (ყაზბ., იქვე, 109);

61. „ჯარის სარდალთან განუწყვეტლივ სხვადასხვა მოხელენი ბრძანების მისაღებად შედიოდ-გამოდიოდნენ“ (ყაზბ., იქვე, 131);

62. „ნაჩალნიკი! ნაჩალნიკი, - მოისმა ხალხის ჩურჩული და ყველამ გაიწ-გამოიწია“ (ყაზბ., იქვე, 159);

63. „მოხუცის მკერდი ძალზედ ადიოდ-ჩამოდიოდა ჩქარის ქშენისაგანან“ (ყაზბეგი, 1986, „მამის მკვლელი“, იქვე, 182);

64. „სალდათმა შეხედა ეჭვნეულად, აათვალიერ-ჩაათვალიერა“ (ყაზბ., იქვე, 191);

65. „აფიცერმა გაიარ-გამოიარა და მიუბრუნდა კიდევ“ (ყაზბ., იქვე, 276);

66. „გაიმართა ისევ ლხინი და თასების გაგზავნ-გამოგზავნა ჩვეულებრივის სმურებით“ (ყაზბ., „ხევისბერი გოჩა“, იქვე, 493);

67. „მოხუცმა შეხედა შვილსა, აათვალიერ-ჩაათვალიერა, შევიდა სახლში და ჩამოჯდა“ (ყაზბ., იქვე, 512);

68. „მაშ ხევში რას აპირებენ? - იკითხეს იქეთ-აქეთ“ (ყაზბ., იქვე, 520);

69. „ყველგან ხალხი მიდი-მოდიოდა“ (ყაზბ., იქვე, 522);

70. „ხალხი დაიშალა და წავიდ-წამოვიდა“ (ყაზბ., იქვე, 528);

71. „ყველა ეს მოხუცს სწრაფად წარმოუდგა გონებაში და მედგრად მიწყვეტ-მოწყვეტა დაუწყო მის გულსა“ (ყაზბ., იქვე, 557);

72. „გამოსვლისთანავე მიიხედ-მოიხედა, ამოიოხრა და მდინარისაკენ გასწია“ (ყაზბ., იქვე, 574);

73. „გამოურკვეველს მოძრაობაში მიქან-მოქანავდა“ (ყაზბ., იქვე, 758);

74. „იქით-აქეთ თვალს ვავლებდი“ (ვაჟა-ფშაველა, 1986, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, იქვე, 5);

75. „მიავლ-მოავლო საზარელი ყვითელი თვალები“ (ვაჟა, იქვე, 5);

76. „ფეხშიშველი, მუცელტიტველი ბალღები ტიკჭორასა-ვით დაბერილები მირბი-მორბიან“ (ვაჟა, „ჩვენი სოფელი“, იქვე, 63);

77. „მე ეს გაღმა-გამოღმა მხარე მიჭირავს“ (ვაჟა, „ტრედები“, იქვე, 94);

78. „შენ უკეთესად იცი ნადირის სადგომი ადგილები გასავალ-გამოსავალი გზები“ (ვაჟა, „დათვი“, იქვე, 102);

79. „მიწვა-მოწვა ხალხი“ (ვაჟა, იქვე, 105);

80. „რამდენიც აღმა-დაღმა ხტოდა, თითქოს ფეხებში მათრახებსა სცემდენო“ (ვაჟა, „საშობაო მოთხრობა“, იქვე, 147);

81. „კაცები ერთმანეთთან მიდ-მოდიოდნენ“ (ვაჟა, იქვე, 145);

82. „არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი ზღაპარიო! - მიუგო პაპას გუგულმა თავის გადაქნევ-გადმოქნევით“ (ვაჟა, „მელია-კუდი გრძელია“, იქვე, 168);

83. „ყვავს მისცეს აქეთ-იქიდან ბანი...“ (ვაჟა, „ჩხიკვთა ქორწილი“, იქვე, 223);

84. „დევებმა ვახშამი გაათავეს და მილაგ-მოლაგდნენ, დაიძინეს თავ-თავიანთ ლოგინში“ (ვაჟა, „ზაფხულის სიზმრები“, იქვე, 310);

85. „ენას არ ალაკლაკებს წაღმა-უკუღმა“ (ვაჟა, „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“, იქვე, 349);

86. „რამდენჯერმე ამოიოხრა, თვალები მიავლ-მოავლო თავის საბრალო ქოხს და განუტევა სული...“ (ვაჯა, „მწყერი“, იქვე, 348);

87. „გაღმა-გამოღმა მრავლისაგან უმრავლესი ხეები იდგა“ (ვაჟა, „ვერხვი“, 353);

88. „აათვალიერ-ჩაათვალიერა ვერხვი ერთხელ კიდევ და შემოჰკრა ცული“ (ვაჟა, იქვე, 357);

89. „მალე ყველანი მიწვნენ-მოწვნენ“ (ვაჟა, „ნაპრალი“, იქვე, 385);

90. „ამხედ-ჩამხედა, ამათვალ-ჩამათვალიერა და მითხრა: ამაღამ აქ უნდა დაჰრჩე, სიზმარს ვნახავ და მერე გიკითხავო“ (ვაჟა, „ცრუპენტელა აღმზრდელი“, იქვე, 492);

91 „დათვმა მიიხედ-მოიხედა“ (ვაჟა, „დათვი“, იქვე, 598);

92. „მხეცთა მიდენ-მოდენამ აუტოკა იმასაც გული“ (ვაჟა, იქვე, 601);

93, „... დიდ ფაცაფუცში იყვნენ, მიდიოდნენ და მოდიოდნენ“ (ვჟა, იქვე, 603);

94, „ბალღები მირბი-მორბოდნენ ტყეში“ (ვაჟა, „გასამართ-ლებული ჩიბუხი“, იქვე, 629);

95, „ამ არემარეს ბევრი გასავალ-გამოსავალი აქვს“ (ვაჟა, „ოჰ, რა კარგი ხარ, ოცნებავ ტკბილო“, იქვე, 657);

96, „ფრინველებში დიდი აურზაური და მითქმა-მოთქმაა!“ (ვაჟა, „შეყვარებული“, იქვე, 833);

§ 82. კვაზი-რედუპლიკაციები პროზაში

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის პროზაულ ნაწარმოებებში საკმაოდ ბევრია კვაზი-რედუპლიკაციები. თუ მე-19 საუკუნემდე პოეზიაში არ იყო ისე მოზღვავებული სახით კონტრასტული და კვაზი-რედუპლიკაციები და პროდუქტიულობის თვალსაზრისით ისინი ბოლო ადგილებს იჭერდნენ სხვა რედუპლიკაციურ ფორმებთან მიმართებაში. მე-19 საუკუნის პროზაში ამ მიმართებით მათ პირველი და მეორე ადგილი დაიკავეს. ეს იმას ნიშნავს, რომ კონტრასტული და კვაზი-რედუპლიკაციების ჩამოყალიბება და საბოლოოდ დამკვიდრება სალიტერატურო ენაში მოხდა სწორედ მე-19 საუკუნეში. მოგვყავს კვაზი-რედუპლიკაციების უამრავი მაგალითიდან ნაწილი:

1. „პოვოსკაში ქვებზედ ხათქა-ხუთქი უკეთესთა ფიქრთა დამიბნევდა ხოლმე“ (ილია, „მგზავრის წერილები“, 1988, იქვე, 13);

2. „დღემ დაიწყო თავისი დაუდეგარი ფაცაფუცი“ (ილია, იქვე, 25);

3. „მთელი ახლომახლო სამღვდელოება, ახლომახლო სოფლები მოიწვია...“ (ილია, „ოთარაანთ ქვრივი“, იქვე, 299);

4. „... არსაიდამ კი ჩამიჩუმი არ იყო“ (ილია, „გლახის ნაამბობი“, იქვე, 309);

5. „გარედ რა გვინდოდა, როცა შინ იმოდენა ხილ-ხული და ტკბილეულობა გვეგულებოდა“ (ილია, „ნიკოლოზ გოსტაშაბი-შვილი“, იქვე, 315);

6. „გადააბრუნეს სუფრა და შეიქნა ერთი კაკა-კუკი“ (აკაკი, 1985, „ჩემი თავგადასავალი“, იქვე, 19);

7. „სანუგეშოდ გადმოჰყურებდა არემარეს“ (აკაკი, „ბაში-აჩუკი“, იქვე, 123);

8. „ცრემლები ღაპაღუპით ეცემოდნენ სპეტაკ წვერებზე“ (აკაკი, იქვე, 127);

9. „ფაცაფუცით გახსნა წიგნი ერისთავმა და დაუწყო კითხვა ჩუმად“ (აკაკი, იქვე, 132);

10. „იყო ერთი ფაცაფუცი და მზადება“ (აკაკი, იქვე, 134);

11. „გამხიარულებული ბუხარი გუგუნებდა და კოპიტის შეშას ტკაცატკუცი გაჰქონდა“ (აკაკი, იქვე, 142);

12. „ბნელი თანდათან იჭერდა არემარეს“ (აკაკი, იქვე, 150);

13. „ცრემლები ღაპაღუპით ეცემოდნენ წვერ-ულვაშზე“ (აკაკი, იქვე, 173);

14. „მომეტებულის რახირუხისაგან ყურთასმენა აღარ იყო“ (აკაკი, „ეშმაკები“ , იქვე, 201);

15. „ნახევარი საათი მეტი მესმოდა რახარუხი“ (აკაკი, იქვე, 203);

16. „მომავლო ხელი ისე ძალუმად, რომ ძვლებმა წაწკა-წუწკი დამიწყეს“ (აკაკი, იქვე, 206);

17. „სულ ლაწა-ლუწი დააწყებია!..“ (აკაკი, „საუბარი ორთა შუა“, იქვე, 223);

18. „ფეხის ხმა არ გამოეპარებოდა იმ მიწყნარებულ არემარეში“ (აკაკი, „გოგია მეჩონგურე“, იქვე, 246);

19. „ამოცუნცულდებოდნენ ჭერზეით და ასეთ ხრაგი-ხრუგს ააყენებდნენ ხოლმე“ (აკაკი, „ღამურა“, იქვე, 265);

20. „მოიყვანა ჭივჭავმაც გუნდი ჭივჭავებისა“ (აკაკი, „მერცხლისა და ჭივჭავის ომი“, იქვე, 274);

21. „მხოლოდ გულს კი გაჰქონდა ბაგაბუგი, თითქოს გულზე ბამბას მაპენტავდნენ“ (აკაკი, „სამგვარი სიყვარული“, 311);

22. „წამდაუწუმ წყალსა ვსვამდი“ (აკაკი, იქვე, 317);

23. „ირიჟრაჟა, განთიადია“ (აკაკი, „რაჭის ერისთავი როსტომ“, იქვე, 346);

24. „აბუნძულდა გაღმით რიყეზე დევი და სულ ლაწა-ლუწი დააწყებინა სიპი-ქვებს“ (აკაკი, „ნაცარქექია“, იქვე, 365);

25. „ამ ახლო-მახლოს ჩემი ხნის ქვაც აღარსად არის!..“ (აკაკი, „გრიგოლ წერეთლის ირემი“, იქვე, 423);

26. „სამაგიეროდ „პრაკი-პრუკიო, პრაკი-პრუკიო“ გაიმეხიან“ (აკაკი, „ყვითელი სანთელი“, იქვე, 430);

27. „პირვით გასწიეს ბურახული ტყისაკენ, რომელიც იქვე ახლო-მახლო იწყებოდა“ (ყაზბეგი, 1986, „ელგუჯა“, იქვე, 18);

28. „აქ ახლო-მახლო სიმაგრე თუ არსად არის?“ (ყაზბ., იქვე, 28);

29. „ამ კრებას წამდაუწუმ ემატებოდნენ ახალ-ახალი მოსულები,...“ (ყაზბ., იქვე, 105);

30. „გულმა ძალზედ დაგადუგი დაუწყო“ (ყაზბ., „ხევისბერი გოჩა“, იქვე, 530);

31. „იქაც გაიმართა თოფების ტკაცა-ტკუცი“ (ყაზბ., იქვე, 136);

32. „რაია, ღვთის მადლსა, სულ მაგის ჩხარა-ჩხური?“ (ყაზბ., „მამის მკვლელი“, იქვე, 181);

33. „(პირი ქარისა) „სხაპა-სხუპით სცემდა პირისახეში“ (ყაზბ., „ხევისბერი გოჩა“, იქვე, 500);

34. „ძიძია იჯდა გამოქარგულს თხელს ახალუხში“ (ყაზბ., იქვე, 501);

35. „გოჩა ... უყურებდა პირბადეჩამოფარებულს ქალს, რომელსაც წამდაუწუმ აერჟოლებდა...“ (ყაზბ., იქვე, 508);

36. „ბინდბუნდი იყო; დღე წყნარადა ჰქრებოდა“ (ყაზბ., იქვე, 545);

37. „მყუდროებას მხოლოდ კბილების ღრჭიალი, იშვიათი დაკვნესება და იარაღის ჩახჩუხის ხმა დაარღვევდა“ (ყაზბ., იქვე, 561);

38. „გელას დაესწავლა რაოდენადვე „შალთაი-ბალთაი“, იცნობდა სხვადასხვა ძალის მქონეთ ...“ (ყაზბ., „მოძღვარი“, იქვე, 594);

39. „ერთბაშად იქავ მოესმა ყიჟინა, ხმაურობა, მუქარა და იარაღის ჩხარა-ჩხური“ (ყაზბ., იქვე, 665);

41. „ ... არ ივლებდა ბაი-ბუიად იმათგან მიტანილს იერიშს“ (ვაჟა-ფშაველა, ტ. 9, 1986, „შთაბეჭდილებანი“, იქვე, 26);

41. „ავიხედე, ნისლებით გაჭედილიყო ხევ-ხუვი“ (ვაჟა, „მთის წყარო“, იგივე, 51);

42. „ლაწილუწი, ფშნატაფშნუტი მომესმა“ (ვაჟა, „მოგონება“, იქვე, 58);

43. „ბაყაყებმაც, ტოტების მხრის ლაპლაპზე სანიაოზე გამოსულებმა, წყალში ჩქლაფა-ჩქლუფი გადიღეს და ხმა გაკმინდეს“ (ვაჟა, „ბაგრატ ზახარიჩის სიკვდილი“, იქვე, 86);

44. „სიცოცხლით სავსე იყო ეს არე-მარე“ (ვაჟა, „ტრედები“, 92);

45. „ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ჩაჩაჩუჩი მოესმათ და დაბლა დაიხედეს“ (ვაჟა, იქვე, 93);

46. „წვიმამ ტყეში ... გორ-გურს ნაზამთრალი ჭუჭყი ჩამოჰბანა“ (ვაჟა, „წიფლისჩიტა“, იქვე, 135);

47. „გაზაფხული დადგა, ამწვანდა მთელი არემარე“ (ვაჟა, „ვირი“, იქვე, 215);

48. „ამ არემარეს ეთხოვებაო ...” (ვაჟა, „სოფლის სურათები“, იქვე, 232);

49. „უნდა გაჩუმდეს და ჩამიჩუმად იმაზე დაიწყოს „კლეუზნობა“ (ვაჟა, „ჩხიკვთა ცხოვრება“, იქვე, 268);

50. „ზოგჯერ იმის გული ჰკვნესოდა, ბაგაბუგი გაჰქონდა“ (ვაჟა, „ზაფხულის სიზმრები“, იქვე, 288);

51. „თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით გადმოსდიოდა“ (ვაჟა, იქვე, 288);

52. „ჩემმა გულმა ფეთქა დაიწყო, მისი ძგარა-ძგური, ხუმრობა თითონ მევე მესმოდა“ (ვაჟა, „სვავი“, იქვე, 336);

53. „ერთი მეორეს გაურბოდა, ჯაგიანებში ჩხლაკა-ჩხლუკი ისმოდა“ (ვაჟა, „ამოდის, ნათდება“, იქვე, 344);

54. „უბელო ცხენს შემოჰხტომია ქალი და მიაქროლებს ოღრო-ჩოღრო ადგილებზე უკრძალავად“ (ვაჟა, „ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი“, იქვე, 370);

55. „ძაღლიკა სალაშქროდ გამზადებულ ხევსურთა „ახალ-უხლებს“ ამას აბარებდა“ (ვაჟა, იქვე, 373);

56. „უფრო ხშირად ამ არემარეს დასტრიალებდა თავს“ (ვაჟა, „ნაპრალნი“, იქვე, 378);

57. „ერთი კვირის შემდეგ ფრინველისაგან ... ტკაცა-ტკუცი და გუგუნი ისმოდა“ (ვაჟა, იქვე, 379);

58. „მიიხურეს ზედ, ვისაც რამ ტყლაპ-ტყლუპები ებადათ საბან-ლეიბად და ტკბილი ხვრინვა გაისმა“ (ვაჟა, იქვე, 385);

59. „ბარისა, ქარჩისა, წერაქვისა ნიჩბების წკაპაწკუპი ისმის ...“ (ვაჟა, „ოცნება“, იქვე, 397);

60. „მოჰყვა დათვი აბდა-უბდას“ (ვაჟა, „დათვი“, იქვე, 490);

61. „ნელადღა გაჩნდა თოფი, ისიც უჩახმახო“ (ვაჟა, „ცრუპენტელა აღმზრდელი“, იქვე, 493);

62. „ფაჩი-ფუჩი მოესმა, ნალეწი გატყდა“ (ვაჟა, „ნადირთა პატრონი“, იქვე, 523);

63. „კარგად რომ გადაჰკრეს, „ჰარუნანო-თარუნანოც“ დასძახეს“ (ვაჟა, „დიდებული საჩუქარი“, იქვე, 569);

64. „ჯერ საქონელი გაულაგა ბაკიდან, რაც კარებზე პანტა-პუნტები ედგა, ის ჩამოლეწა და ახლა სიმინდს მიჰყო ხელი ...“ (ვაჟა, იქვე, 597);

65. „ლომს მოწიწებით ეახლნენ მგელი და მელა, სალამ-ქალამის შემდეგ განუცხადეს მხეცთა დადგენილება“ (ვაჟა, „დათვი“, იქვე, 599);

66. „როგორც ალხანა, ისეთი ჩალხანაო“ (ვაჟა, იქვე, 599);

67. „ცრემლები ჩამოდიოდათ ღაპაღუპით“ (ვაჟა, იქვე, 601);

68. „ცარიელი სიტყვების რახარუხი მას ხომ სასმელ-საჭმელობას ვერ გაუწევდა“ (ვაჟა, იქვე, 602);

69. „ამ დროს ღორების ეშვების კაწა-კუწი ისე ისმოდა, თითქოს რამდენიმე ფოლადის ხმალს ერთმანერთზე სცემენო“ (ვაჟა, იქვე, 608);

70. „შეჰხვდეს ვინმე, რომ ჩვეულებრივი გამარჯვება-გაგიმარჯოს, სალამ-ქალამის შემდეგ მიაგებოს ასეთი სიტყვა: „მოდი ჩამოვსხდეთ, ყალიონი მოვწიოთ!“ (ვაჟა, „გასამართლე-ბული ჩიბუხი“, იქვე, 628);

71. „აღების ღამე იყო, ბერიკეები მომივიდენ სტვირით, ფანდურით, ლხინით, ჰაი-ჰუით“ (ვაჟა, იქვე, 632);

72. „ახლო-მახლო მცხოვრები და იმ კლდის მიდამოებში მფრინავი არწივები ძალიან სწყრებოდნენ ...“ (ვაჟა, „შეყვარებუ-ლი“, იქვე, 832).

§ 83. ბგერით, შორისდებულთა და ხმაბაძვით სიტყვათა რედუპლიკაციების დამკვიდრება ქართულ ენაში

ბგერითი რედუპლიკაციები ენაში იმ დროიდან არსებობს, რა დროიდანაც გაჩნდა ენა. ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შორისდებულებისა და ხმაბაძვითი სიტყვების გაჩენაც უძველესი დროიდან მოდის.მაგრამ შორისდებული, როგორც მეტყველების ნაწილი, არ იყო გამოყოფილი თავდაპირველ ინდურ და ბერძნულ გრამატიკულ სისტემებში. პირველად იგი შემოიღეს რომაელმა გრამატიკოსებმა და აქედან შორისდებული, როგორც მეტყველების ნაწილი, გავრცელდა ყველა ენის გრამატიკულ სისტემაში.

ბგერით, შორისდებულთა და ხმაბაძვით სიტყვათა რედუპლიკაციების განსაკუთრებული ფორმები ძირითადად მკვიდრდება მე-19 საუკუნეში, როგორც პოეზიაში, ისე პროზაშიც. მეტად საინტერესოა ამ მიმართებით ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგისა და სხვათა პროზა, სადაც მრავალი რედუპლიკაციის ფორმაა დაფიქსირებული. მოგვყავს ზემოდასახელებული მწერლების ნაწარმოებებიდან მაგალითები:

1. „ უჰ, უჰ! შენმა მზემ, კარგი რამ მოიგონე“ (ილია, 1988, „კაცია-ადამიანი!“, 70);

2. „მართლა, მართლა, რამ დამავიწყა?!“ (ილია, იქვე, 77);

3. „კაცი მაგისთანა გულჩჩვილი არ არის“ (ილია, „გლახის ნაამბობი“, იქვე, 132);

4. „ჰაი ტა, ტა, ტა... დავბერდი, დავჩაჩანაკდი“ (ილია, „სარჩობელაზედ“, იქვე, 227);

5. „ვუი, ვუი შენს დედას! - იძახოდნენ მანდილოსნები“ (ილია, იქვე, 230);

6. „ი ... ი ... ი ... შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი“ (ილია, „ოთარაანთ ქვრივი“, იქვე, 243);

7. „ე ... ე ... ე! თქვენ, მე ვიცი, პატარა ხანს უკან ქვასაც ჩამოურევთ“ (ილია, იქვე, 272);

8. „ნუ, ნუ!..ნუ ეტყვი უარს“ (ილია, „ოთარაანთ ქვრივი“, იქვე, 272);

9. „ვუი, ვუი, ვუი! - გაისმა ოთახში ბღავილსავით ვიღასიც ტირილის ხმა“ (ილია, იქვე, 298);

10. „ჰაი, ჰაი, ჩავაბარებ დღესვე“ (ილია, ”გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“, იქვე, 334);

11. „ო, ო, ო! ქეიფი იყო, რომ ჩვენ გავწიეთ“ (ილია, „მაჭანკალი“, იქვე, 356);

12. „ე, ე, ე! გულთმისანი ყოფილხართ, მე და ჩემმა ღმერთმა“ (ილია, იქვე, 360);

13. „ - ჰმ, ჰმ, ჰმუუ! - ჩუმ-ჩუმად ჩაიცინებ“ (ილია, დაუმთავრებელი მოთხრობები, იქვე, 401);

14. „ჩუ! აჩუ! აჩუ! ნეტავი რასა ფრთქვენს ის ცხენი?“ (აკაკი, 1985, „საუბარი ორთა შუა“, 212);

15. „ხა! ხა! ხა! ხა! აბა, დავუგდოთ ყური! მოვისმინოთ მათი ბზუილიც - კარგს კილოზედაც იბზუვებენ! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! (აკაკი, „პატრიოტის აღსარება“, 231);

16. „ვიშ! ვიშ ამ ნეტარ ... ოხ! ეს რა დროსია!“ (აკაკი, იქვე, 234);

17. „ქალი? ლამაზი ქალი? ხე! ხე! ხე! ხე! ხე! - ჩაიცინა მოხუცმა“ (აკაკი, იქვე, 235);

18. „აცხა! აცხა! თქვე წყეულებო! აცხა!“ (აკაკი, „ღამურა“, 266);

19. „ვაგრძობ ისევ ჩემს საქმეს: „კრიჭ-კრიჭ!.. ხრიშ-ხრიშ!“ ზემოდამ“ (აკაკი, „კრიჭ და ხრიშ“, იქვე, 294);

20. „აჰ! აჰ! აჰ! ვაი!.. აქ გამომეღვიძა, უეცრად წამოვვარდი, მივიხედ-მოვიხედე და მივხვდი, რომ სიზმარში ვიყავი“ (აკაკი, „სამმაგი სიყვარული“, იქვე, 307);

21. „ააა! ახლა კი მივხვდი! ეს ერთი ხანია ეგ მასკა დადის აქ“ (აკაკი, იქვე, 330);

22. „ვაიმე!.. ვაიმე!.. ნუ!.. ნუ, შენი ჭირიმე! უბრძანე, რომ ისევ აგწიონ“ (აკაკი, „ნაცარქექია“, იქვე, 365);

23. „თუ მაინცდამაინც აღარ იშლი, შენ „ციცუ-ციცუ!“ მიძახე და მე „მიავ-მიაუს“ დაგიძახებო“ (აკაკი, „ბრიყვი და ჭკვიანი“, 367);

24. „მიაუ-მიაუ-მიაუ!“ - იძახოდა ჭკვიანი და თან იტენიდა პირს“ (აკაკი, იქვე, 367);

25. „დიიიაახ! ეგ არის მსოფლიო კანონიო!“ (აკაკი, „სიკვდილი“, იქვე, 407);

26. „ბზუ, ბზუუ, ბზუო, რომ იძახიან მუშაობის დროს, ეს თურმე გალობაა“ (აკაკი, „ყვითელი სანთელი“, იქვე, 438);

27. „ჰაი, ჰაი, რისა გეშინია?“ (აკაკი, „პატარა ტარიელი“, იქვე, 475);

28. „სსსუუ! ნუ გამოვტყდებით!“ (აკაკი, „იმერლები“, იქვე, 603);

29. „ჰაი, ჰაი, რომ დავუხვდებით! - იყო პასუხი“ (ყაზბეგი, „ელგუჯა“, 1986 : 25);

30. „ჰაი, ჰაი, რომ ავასრულებ! მაშ არ ავასრულებ?“ (ყაზბ., იქვე, 79);

31. „ყოჩაღ, ყოჩაღ! - მოუწონეს სხვებმა“ (ყაზბ., „მამის მკვლელი“, იქვე, 269);

32. „ჰო, ჰო, რაი დაგიმალო: ნუნუ გაიტაცეს“ (ყაზბ., იქვე, 283);

33. „ო-ო! ჩამივარდება როდისმე ის უღმერთო ხელში“ (ყაზბ., იქვე, 283);

34. „ჰაი, ჰაი, რომ ვიცი!“ (ყაზბ., იქვე, 387);

35. „სუ-ღა-სუ! უფალს ნუ აწყენ!.. აიღე და ჭამე“ (ყაზბ., „მოძღვარი“, იქვე, 572);

36. „უჰ, ჰუ, ჰუ! ძალუმ არ ცივა!.. წარმოსთქვა შემოსულმა“ (ყაზბ., იქვე, 764);

37. „უცებ „ჩხი!“ „ჩხი!“ მომესმა“ (ჩხიკვის ხმა) (ვაჟა, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, 1986 : 7);

38. „ვაი, ვაი, დედილო, მგელი, დედილოჯან, მგელი!“ (ვაჟა, იქვე, 9);

39. „მოფრინდა „წიაპრანა“ და“წრიპ, წრიპ!“ შესძახა“ (ვაჟა, იქვე, 10);

40. „კარგი, სუ, სუ, ბეჩავო! შენი რა იმედი უნდა გქონდეს“ (ვაჟა, „დარეჯანი“, იქვე, 41);

41. „ჰა, ჰა, ჰაა, - ჩაიცინა ბიძაჩემმა მწარედ, - შენ უფრო კაი მონადირე ხარ, თუ ჭკუას მოიხმარებ, შვილო“ (ვაჟა, „მოგონება“, იქვე, 59);

42. „წიი, წიიო“ შეესმა“ (ძერა წიფლის ტოტზე გასწიოდა)“ (ვაჟა, „ტრედები“, იქვე, 95);

43. „ვაი, ვა, რა ხალხნი ხართ! - ამბობდა გაკვირვებული გიგოლა“ (ვაჟა, „დათვი“, იქვე, 109);

44. „ვაჰმე, ვაჰმე, ჩემო პაპავ, რამდენი წყლულები გქონია!“ (ვაჟა, „შალვას ნახატი ხატი“, იქვე, 142);

45. „აბა- ბა- ბა, რა ძაღლი ყოფილა ეგ დალოცვილი!“ (ვაჟა, „საშობაო მოთხრობა“, იქვე, 148);

46. „დიდ საქმეს აკეთებენ. პა-პა-პა, რაც ისინი ქაღალდსა და მელანს ჰხარჯავენ, რო იცოდეთ!“ (ვაჟა, „სოფლის სურათები“, იქვე, 270);

47, „მუცელა. ვაი ... ვაჰმე, დედავ, ვკვდები, ვკვდები!“ (ვაჟა, „მუცელა (ზღაპარი)“, იქვე, 313);

48. „ჰმ, ჰმ, ჰმ! - გაიღიმა უგემურად“ (ვაჟა, „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“, იქვე, 349);

49. „მეც მანდა ვარ, ყოჩაღ, ქორო, ყოჩაღ!“ (ვაჟა, „კოდალა“, იქვე, 416);

50. „სწორეა, სწორე!.. ვაშა, ვაშა! - დაიგუგუნა ერთხმად ფრინველთა გუნდმა“ (ვაჟა, „ყორანი“, იქვე, 424);

51. „იჰ, იჰ, რა ბიჭი ვარ, ძალიან მოხდენილი ვარ, ძალიან!“ (ვაჟა, „დათვი“, იქვე, 597);

52. „ხა-ხააა! ხა-ხააა! - გადიხარხარა დათვმა“ (ვაჟა, იქვე, 605);

53. „კრრრ ... კრრრ ... ადექი, პატარავ, ადექი, გაიღვიძე!“ (ვაჟა, „ოჰ, რა კარგი ხარ, ოცნებავ ტკბილი!“ , იქვე, 651);

54. „ჩხი-ჩხი-ჩხიიი! - დასძახოდა კაკლის მეორე ტოტიდან ეშმაკი ჩხიკვი, - ადე, ბიჭო, ადე, შე სულელო!“ (ვაჟა, იქვე, 651);

55. „ღუჰ-ღუჰ ... ღუტ!.. - დააგვირგვინა დვრინვით მტრედმა თავისი პასუხი“ (იქვე, 652);

56. „ვაჰმე, ვაჰმე, ქალო, არ გადმოვარდე, ქალო, ქალო! ღმერთო, ღმერთო, დაიფარე! - იძახოდა გიჟივით მონადირე“ (ვაჟა, „შეყვარებული“, იქვე, 823).

§ 84. რიცხვით სახელთა რედუპლიკაციები

რაოდენობითი რიცხვითი სახელების რედუპლიკაცია (ორ-ორი, სამოც-სამოცი და მისთანები), ეს ახალი ხერხი ჩამოყალიბდა სწორედ მე-19 საუკუნის სამწერლობო წყაროებში. სხვა ენებისაგან განსხვავებით ქართულმა ამ მიმართებით რედუპლი-

კაციის სპეციფიკური ხერხი შექმნა, მეტად მოხერხებული, მნიშვნელობით ადვილად გასაგები და ენის მატარებლებისათვის ძალიან ხელმისაწვდომი. განსაკუთრებით ხშირია რიცხვითი რედუპლიკაციები ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლისა და ყაზბეგის ნაწარმოებებში. მოგვყავს მაგალითები:

1. „გასათხოვარმა ქალებმა სწორედ ათ-ათჯერ დაიბანეს პირი“ (ვაჟა, 1986, „სააღდგომოდ“, იქვე, 70);

2. „ხუთ-ხუთი მარცვალი კიდევ შეჭამეს“ (ვაჟა, „ტრედები“, იქვე, 85);

3. „ხალხი ორ-ორ, სამ-სამი კაცი ერთად დადგნენ ფიჩხიანის გარშემო“ (ვაჟა, „დათვი“, იქვე, 112);

4. „ვნახეთ, რომ სამ-სამ, ოთხ-ოთხი კაცი ერთად სხვადასხვა მხარეს გაემართა“ (ვაჟა, „საშობაო მოთხრობა“, იქვე, 145);

5. „სამ-სამი აზარფეშა ყველამ გადავკარით,...“ (ვაჟა, „ქუჩი“, იქვე, 190);

6. „სწრაფად გაბაწრავდნენ ერთ-ერთს ამ არწივის მსხვერპლს“ (ვაჟა, „მოგონება“, 55);

7. „თითო-თითო გაჰყავდა ხელის მომწერლები“ (აკაკი, „ჩემი თავგადასავალი“, 1985 : 59);

8. „ - ხუთ-ხუთ თუმანს თვეში“ (აკაკი, იქვე, 79);

9. „ხუთას-ხუთასს ერისთავებიც ჰპირდებიან“ (აკაკი, „ბაში-აჩუკი“, იქვე, 133);

10. „წინ მოუძღვებოდა ბელადი, შემდეგ ოთხ-ოთხი ჯარად დაწყობილიყვნენ“ (ყაზბეგი, „ელგუჯა“, 1986 : 21);

11. „ის უნდათ, რომ თითო-თითოდ ძაღლებსავით ჩავხოცავთ აქა“ (ყაზბ., იქვე, 24);

12. „სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცი თითქოს ცალ-ცალკე კრებას შეადგენდა“ (ყაზბ., იქვე, 69);

13. „წადით ერთ-ერთმა იაგოს მიხედეთ“ (ყაზბგ., „ელგუჯა“, 318).

§ 85. ცალ-ცალკე მდგომ სიტყვათა რედუპლიკაციები

პროზაში გვხდება სიტყვათა ისეთი რედუპლიკაციები, რომლებიც ტექსტში იწერება ცალ-ცალკე. ისინი ზოგ შემთხვევაში გვერდიგვერდ იმყოფებიან ერთმანეთისაგან, ზოგში კი განცალკევებულად. რედუპლიკაციის ეს ხერხი პროდუქტიულია პოეზიაში, მაგრამ იგი უფრო პროდუქტიულია პროზაში. ზემოაღნიშნული ხერხი ერთ-ერთი უძველესი ხერხია ქართულში და მისი გამოყენება პროზაში თუ პოეზიაში დაკავშირებულია მწერლის ოსტატობასთან. ისინი, როგორც ასეთი, ენაში არ არსებობენ. თვით მწერალი თხრობისას კონტექსტში შეარჩევს სიტყვებს (ნებისმიერს) და ახდენს მათ რედუპლიკაციას. ამ ხერხს მწერლები იყენებენ იმ მიზნით, რომ მათ მიერ შექმნილი მოთხრობა თუ რომანი იყოს უფრო ამაღელვებელი, მიმზიდველი და შინაარსიანი. ისინი უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვენ ადრესატისა და მკითხველის მხრიდან. ამიტომ სხვა ხერხებთან შედარებით ცალ-ცალკე მდგომი სიტყვათა რედუპლიკაციები ყველაზე უფრო პროდუქტიული ხერხია. მოგვყავს მე-19 საუკუნის მწერლების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებიდან ნაწილი მაგალითებისა:

1. „ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ ვუშველო ამ საქმეს-მეთქი“ (ილია, „მგზავრის წერილები“, 1988, იქვე, 20);

2. „როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?..“ (ილია, იქვე, 32);

3. „ორაგულია, ორაგული! - დასძახა კნეინამა“ (ილია, „კაცია-ადამიანი?!“ იქვე, 72);

4. „მართლა, მართლა, რამ დამავიწყა?!“ (ილია, იქვე, 77);

5. „მადლით, მადლით იყვნენ სავსენი იმის ჩაფიქრებული თვალები!“ (ილია, „გლახის ნაამბობი“, იქვე, 154);

6. „მიდიხარ, მიდიხარ, გაბრიელ?! - მითხრა მღვდელმა დაღონებითა“ (ილია, იქვე, 178);

7. „მითხარ!.. მითხარ, გინდივარ თუ არა და შენს გამჩენს დაავალე!“ (ილია, იქვე, 182);

8. „კარგი, კარგი! - გააწყვეტინა სიტყვა, - კარგი! ვიცი, რა მადლიც ტრიალებს თქვენს გულში, ვიცი!...“ (ილია, იქვე, 188);

9. „ბოლოს ვიღაცამ გაიხუმრა: „მოჰყავთ, მოჰყავთო“ (ილია, „სარჩობელაზედ“, იქვე, 229);

10. „ჰმუშაობ, ჰმუშაობ და უცებ გაირინდები ხოლმე“ (ილია, „ოთარაანთ ქვრივი“, იქვე, 261)

11. „ჯადომაც იცის, შვილო, ჯადომაც...“ (ილია, იქვე, 261);

12. „ღამე კი მიდიოდა და მიდიოდა“ (ილია, იქვე, 263);

13. „კარგი იქნებოდა სასხვისოდ არ გაეხადნა თავი, მაგრამ რაც არის, არის!..“ (ილია, იქვე, 272);

14. „ბრძენი დედაკაცი ხარ, ნათლიდედ, ბრძენი!..“ (ილია, იქვე, 273);

15. „მართალი გინდოდა და ეგეც მართალი...“ (ილია, იქვე, 272);

16. „დედი, დედი! ეს რა ამბავია?“ (ილია, იქვე, 274);

17. „გიორგი იქ იყო და იქ!“ (ილია, იქვე, 286);

18. „ცეცხლია, სწორედ ცეცხლი, ე დალოცვილიშვილი“ (იქვე, 290);

19. „ხიფათი რომ იქნება, იქნება, - ანუგეშა ვიღაცამ პეტრე“ (ილია, იქვე, 291);

20. „წყალი, წყალი! - დაიძახა რამდენმამე ხმამ ერთად“ (ილია, იქვე, 295);

21. „მაშ მადლი მადლად, კეთილი კეთილად აღარ უნდა გადიოდეს იმათში?!“ (ილია, „გლახის ნაამბობი“, იქვე, 30);

22. „გული... გული, ესე იგი ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, ...“ (ილია, იქვე, 301);

23. „ყველას ეძინა, ყველას ... ერთის მეტს“ (ილია, იქვე, 308);

24. „იქ იყო, რაც იყო“ (ილია, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, იქვე, 315);

25. „რატომ? რატომ? ცხენი ხომ არ არის, კბილები გაუსინ-ჯონ“ (ილია, „მაჭანკალი“, იქვე, 354);

26. „ - გმადლობ, გმადლობ, სამაგალითო ყმაწვილკაცო!“ (ილია, იქვე, 404);

27. „ადეგ, ადეგ, ბატონი გააღვიძე“ (ილია, დაუმთავრებელი მოთხრობები, იქვე, 424);

28. „ვიცი, ვიცი, მაინც რად სწუხდებოდი“ (ილია, იქვე, 439);

29. „არა, არა! ჯერ არ არის! მაგრე არ იქნებაო!“ (აკაკი, „ბაში-აჩუკი“, 1985 : 155);

30. „დაუკარით, დაუკარითო!“ უცბად შეჩერდა აბდუშაჰი-ლი და აქეთ-იქით დაიწყო ყურება“ (აკაკი, იქვე, 155);

31. „ბოლოს დაიძახეს აქა-იქ: ჰეი, ბაში-აჩუკია, ბაში-აჩუკიო!“ (იქვე, 157);

32. „მითხარი, მითხარი, სიზმარია თუ ცხადი?!“ (აკაკი, იქვე, 174);

33. „ტყვე? ტყვე? ტყვეო? - იკითხეს გაოცებით აქეთ-იქით“ (აკაკი, იქვე, 176);

34. „დედა, დედა! ძიამ ფორთოხალი მომცა და შეწამეო!“ (აკაკი, „ეშმაკები“, იქვე, 197);

35. „ - მაინც საშიშია და მაინც!“ (აკაკი, იქვე, 200);

36. „ძალიან კვდება ხალხი, ძალიან!“ (აკაკი, „საუბარი ორთა შუა“, იქვე, 216);

37. „ეგ კი სწორედ ბეჯითია, თავი ნუ მომიკვდა!.. რაც მართალია, მართალია და მართალია!..“ (აკაი, იქვე, 218);

38. „ნინო, ნინო, კარი გამიღე, გამოდიო“ (აკაკი, იქვე, 222);

39. „დღესაც ზოგიერთები იმეორებენ, იმეორებენ, მაგრამ მათვე შვილებს კი ღიმილი მოსდით“ (აკაკი, იქვე, 223);

40. „შენ ... შენ ... შენ განა კორინთელი ხარ?“ (აკაი, „კორინ-თელი“, იქვე, 244);

41. „დიდხანს, დიდხანს გულსაკლავად წკრიალებდნენ სიმები“ (აკაკი, „გოგია მეჩონგურე“, იქვე, 246);

42. „ზოგს კუდი დააგლიჯა, ზოგს კისერი მიაკვნიტა, ზოგს ტყავი დაატოვებინა და ზოგს ხორცი“ (აკაკი, იქვე, 269);

43. „ჰმ ... ხვალ სწორედ ვეტყვი ... ვეტყვი ... და ვეტყვი!“ (აკაკი, „სამგვარი სიყვარული“, იქვე, 309);

44. „შორით ბნედა, შორით ტანჯვა, ნიადაგ მოგონება და ხილვა!“ (აკაკი, იქვე, 316);

45. „ჰმ!.. კმარა! კმარა! ეს მალულობია!“ (აკაკი, იქვე, 318);

46. „იყო და არა იყო რა, ორი ძმაკაცი იყო „ერთგულა“ და „ორგულა“ (აკაკი, „ქუთათელის სიზმარი“, იქვე, 339);

47. „მოდით, მოდით, მოდით, მოდით, მობრძანდით, მობრძანდით ... მოდით, მოდით, მობრძანდით!.. გაიძახოდნენ ჰატარა ზარები და შიგა და შიგ დიდიც ჩაერეოდა ხოლმე“ (აკაკი, „ყვითელი სანთელი“, იქვე, 428);

48. „მერე და რა მერე! განა ეს სათქმელია?“ (აკაკი, იქვე, 434);

49. „ახლა? ახლა კი ნარმი გროშით უნდა იყიდო თეთრი სანთელი“ (აკაკი, იქვე, 438);

50. „გაჩუმდი! გაჩუმდი! ხმა ჩაიწყვიტე!“ (აკაკი, „ქართული ფულის თავგადასავალი“, იქვე, 458);

51. „იჯექ, იჯექ! დაღალული იქნები, - უთხრა მოსულმა ჩერქეზულად“ (ყაზბეგი, „ელგუჯა“, 1986 : 14);

52. „გადმოხე, აქ გადმოხე! - ადგილი მისცეს ელგუჯას“ (ყაზბ., იქვე, 17);

53. „კარგი, შენი კვნესა-მე, კარგი!“ (ყაზბ., იქვე, 26);

54. „გასწი, გასწი, რაღას უყურებ? - გაჯავრებით დასძახა გაგიმ“ (ყაზბ., იქვე, 28);

55. „აი მშიშარავ, მშიშარავ!.. თუ ეგრე გეშინოდა ჩემი დანახვისა, ქალი რაღად მოიტაცე?“ (ყაზბ., იქვე, 31);

56. „მაშ წავიდეთ, წავიდეთ ჩვენცა, რაღას ვუყურებთ?“ (ყაზბ., იქვე, 36);

57. „გაიარე, გაიარე! - მკაცრად უბრძანა ერთმა სალდათთაგანმა“ (ყაზბ., იქვე, 39);

58. „სცხონდით, სცხონდით, სცხონდით!.. - მერე შეჭმუხნა წარბები, აიღო სამჯერ მიწა და მიაყარა, ...“ (ყაზბ., იქვე, 43);

59. „ქალი კი არა, ცეცხლია, ცეცხლი!“ (ყაზბ., იქვე, 43);

60. „ტუჩებს უყურეთ, ტუჩებს, მარჯანს არ მიუგავს?“ (ყაზბ., იქვე, 43);

61. „ღმერთო, ღმერთო! - ამის მეტი ვერა წარმოსთქვა-რა ქალმა და ჩაეკეცა მუხლები“ (ყაზბ., იქვე, 54);

62. „მიშველე, მიშველე, დამიხსენ ამ გიაურების ხელიდგან!“ (ყაზბ., იქვე, 54);

63. „მართლა, მართლა? - წამოიძახა იმან და მაშინვე დაუმატა: - ელგუჯა, ელგუჯა ცოცხალი იყო!“ (ყაზბ., იქვე, 55);

64. „გაჩუმდი, გაჩუმდი! ექიმმა თქვა, ლაპარაკი გაწყენსო“ (ყაზბ., იქვე, 58);

65. „აგრე, აგრე!.. არას დაგიმალავ ... მზაღო დიაცია, დიაცი კი მალე მოტყუვდების...“ (ყაზბ., იქვე, 64);

66. „იყუჩე, იყუჩე! შენი წაყვანა ეხლა საით იქნების?..“ (ყაზბ., იქვე, 68);

67. „გავწყდეთ, გავწყდეთ! - იყო საერთო პასუხი“ (ყაზბ., იქვე, 115);

68. „სიკვდილი მოღალატეს! სიკვდილი!..“ (ყაზბ., იქვე, 115);

59. „მოსწიე, მოსწიე, გულს მაინც გაგიბრუებს!“ (ყაზბ., იქვე, 166);

70. „მაშ დამკარ და მორჩი!.. მორჩი, მორჩი-მეთქი!..“ (ყაზბ., იქვე, 174):

71. „ჯოჯოხეთი ადგილია, ჯოჯოხეთი, თქვენო ბრწყინვა-ლებავ!“ (ყაზბ., „მამის მკვლელი“, იქვე, 387);

72. „დაღონებული, დაღონებული!.. - მწუხარებით წარმოს-თქვა ჩეჩნელმა, - დაღონებული იქნება, მა რა...“ (ყაზბ., „ელისო“, იქვე, 439);

73. „ელისო, მითხარ, მითხარ, თორემ ნაღველი მისივდების, გული მელევის“ (ყაზბ., იქვე, 439);

74. „ელისო, გესმის? უპასუხე შენ თავად, უპასუხე!“ (ყაზბ., იქვე, 439);

75. „დავმორჩილდეთ?.. არა, არა, არა! - განუწყვეტლად ისმოდა ხალხში“ (ყაზბ., „ხევისბერი გოჩა“, იქვე, 526);

76. „სისხლი, სისხლი! მოძმეთ სისხლი ავიღოთ!“ (ყაზბ., იქვე, 555);

77. „შორს, შორს!.. - დაიძახა იმან და ჰაერში ხელები გაიშვირა. - სისხლი, ხანჯალი ... შვილი, შვილი! რა იქნა ჩემი შვილი!“ (ყაზბ., იქვე, 569);

78. „სტყუი, სტყუი! ღვთის მადლმა“ (ყაზბ., „მოძღვარი“, იქვე, 620);

79. „არა, არა ... შენთვის გონჯი არ მინდა ... არა, ღვთის მადლმა!..“ (ყაზბ., იქვე, 615) და სხვა მრავალი.

80. „გული მიწუხს ... გული ...“ (ვაჟა, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, 1986 : 5);

81. „შვილო! მომყე, მე მომყეო!“ (ვაჟა, იქვე, 6);

82. „ჰო, ეგრე, ეგრე, შვილო! მანამ დედა ცოცხალი გყავს, ნუ შეგეშინდება“ (ვაჟა, იქვე, 8);

83. „ვინ იცის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს“ (ვაჟა, იქვე, 13);

84. „უყურე, უყურე იმ უნამუსოსა!“ (ვაჟა, „დარეჯანი“, იქვე, 39);

85. „გაუშვი, გაუშვი, შენ დამეხილო, შენა, - ეუბნება დარეჯანი“ (ვაჟა, იქვე, 44);

86. „საწყალი კურდღელი! სძინავს, თვალები უჭყეტია, - თუ ფხიზელია, ხომ უჭყეტია და უჭყეტია“ (ვაჟა, „კურდღელი“, იქვე, 46);

87. „უნდა ვიდინო, ვიდინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი“ (ვაჟა, „მთის წყარო“, იქვე, 50);

88. „ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! - გაისმა გრიალით ხმა ხალხისა მღვდლის სიტყვაზე „ქრისტე აღსდგა!“ (ვაჟა, „სააღდგომოდ“, იქვე, 72);

89. „წიფელი დგას, დგას შეუშფოთრად, წარბშეუხრელად“ (ვაჟა, „ხმელი წიფელი“, იქვე, 75);

90. „გაუმარჯოს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს! - იგრიალა ხალხმა“ (ვაჟა, „ტრედები“, იქვე, 98);

91. „ოღონდაც, ოღონდაც! - სთქვა გიგოლამ, - აქამდისაც უნდა გეფიქრა რამე“ (ვაჟა, „დათვი“, იქვე, 101);

92. „მელა, მელა, მელა! - დაიძახა ხალხმა ჩურჩულის ხმით“ (ვაჟა, იქვე, 108);

93. „ადექი, სოსიკო, ადექი, ცოცხალი ხარ, ღმერთის მადლმა, ნუ გეშინიან, ადექი, ბიჭო! - დაჰყვიროდნენ სოსია-ბიჭს თავზე, - შეგშინებია, სოსიკო, შეგშინებია, ვერ დაგბეგვა დათვმა, ვერა!“ (ვაჟა, იქვე, 115);

94. „მოკვდი , მოკვდი, ეგრე მოკვდი!“ (ვაჟა, იქვე, 117);

95. „წიპრია შესძახოდა წვიმას: დაწვიმე, დაწვიმე!“ (ვაჟა, „წიფლისჩიტა“, იქვე, 136);

96. „მოდი, შვილო, მოდი, გენაცვალოს პაპა მაგ ქორივით თვალებში, მოდი, ზურგში დამფხანე“ (ვაჟა, „შალვას ნანახი ხატი“, იქვე, 140);

97. „აი, გაიზარდე, გაიზარდე! წყალობა მოგცესო, - სთქვა პაპაჩემთან ერთად იქ მდგომმა ფშაველებმა“ (ვაჟა, „საშობაო მოთხრობა“, იქვე, 164);

98. „ამინ!“ „ამინ!“ - გაისმა გრგვინვით ხმა აქეთ-იქიდამ“ (ვაჟა, „ჩხიკვთა ქორწილი“, იქვე, 222);

99. „სოფლის მოღალატე ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა დაჰკარგოს, ღმერთმა ამოაგდოს!..“ (ვაჟა, „სოფლის სურათები“, იქვე, 238);

100. „უჩიტელო, ჩაი მინდა, აბა, ჩაი, ჩქარა ჩაი!“ (ვაჟა, იქვე, 240);

101. „აგერ, აგერ, დაიწყო, დაიწყო! - სთქვა გახარებულმა ყორანმა“ (ვაჟა, „სვავი“, იქვე, 339);

102. „ამოდის, ამოდის, ნათდება!“ (ვაჟა, „ამოდის, ნათდება“, იქვე, 342);

103. „ბიჭო, ჭკვიანად, ჭკვიანად! რას სჩადით, თქვე ბრიყვებო?“ (ვაჟა, იქვე, 344);

104. „ერთმანეთს სჭამთ, ერთმანეთსა ჭულეტთ“ (ვაჟა, „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“, იქვე, 349);

105. „ხელი, ხელი გაუშვი თორემ ვაი შენს ტყავს“ (ვაჟა, „ყორანი“, იქვე, 422);

106. „დიახ, დიახ, მაშ არა?! - წამოვიძახეთ ჩვენ ერთხმად, რადგან შეურაცხყოფილად ვიგრძენით ჩვენი თავი“ (ვაჟა, „ცრუპენტელა აღმზრდელი“, იქვე, 484);

107. „დილილმე, დილილმე! - შესძახა სონამ და მიეტანა პაპას ხელებში“ (ვაჟა, იქვე, 505);

108. „ნუ, ნუ! ჰაა, არ ესროლო, ღმერთი არ გაგიწყრეს!..“ (ვაჟა, „ნადირთა პატრონი“, იქვე, 524);

109. „ჰო ვნახე, ვნახე, ის იყო ის...“ (ვაჟა, იქვე, 524);

110. „კი, კი, როგორ არ მინახავს!“ (ვაჟა, „დიდებული საჩუქარი“, იქვე, 543);

111, „უარესად უნდა დავსაჯოთ, უარესად!“ (ვაჟა, „დათვი“, იქვე, 600);

112. „მიდის, მიდის სულ ერთ მხარეს, აღარ იხედება უკან“ (ვაჟა, „შეყვარებული“, იქვე, 828) და სხვა მრავალი.

§ 86. სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაცია

პროზაში ხშირია როგორც სიტყვათა რედუპლიკაცია, ისე (შედარებით უფრო ნაკლები) სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციაც. რაც შეეხება წინადადებათა ან მთლიანი ტექსტის რედუპლიკაციას, პროზისათვის ეს ხერხი იშვიათი მოვლენაა. იგი მეტწილად დამახასიათებელია პოეზიისათვის. პროზისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია სიტყვათა რედუპლიკაცია, რომელიც რამდენიმე ჯგუფად იყოფა: არის სიტყვათა რედუპლიკაცია, რომლის დროსაც სიტყვები იწერება ცალ-ცალკე (იხ. წინა პარაგრაფი), მაგრამ ენაში გვაქვს უკვე დამკვიდრებული მარცვალთა და სიტყვათა ისეთი რედუპლიკაციური ფორმები, რომლებიც წარმოადგენენ ერთიან სიტყვას, ერთიან ცნებას, როგორც სხვა ენობრივი ნიშანი. გარდა ამისა, ქართულ ენაში გვაქვს ისეთი რედუპლიკაციური სიტყვებიც, რომლებიც შეერთებულია ერთმანეთთან დეფისით. ჯერ განვიხილოთ სიტყვათა შეხამებების მაგალითები:

1. „შენს ღმერთს აპატივე, შენს ღმერთს!.. - ჰბღაოდა საცოდავი პეპია, ღმერთი ხომ მოწმეა, შენგან ავი არა გამიგია რა, მაგრამ რა ვქნა? რა ვქნა მე უბედურის დღისამ?“ (ილია, „გლახის ნაამბობი“, 1988 : 189);

2. „გულზედ ლოდსავით დააწვება და თავის თავის დღეში აღარ აეხსნება. აღარ აეხსნება ... აღარ, აღარ!..“ (ილია, „ოთარაანთ ქვრივი“, იქვე, 264);

3. „ღმერთო, მიხსენ! ღმერთო მიხსენ!“ (ილია, იქვე, 263);

4. „ოთარაანთ ქვრივმა დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ... დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი“ (ილია, იქვე, 275);

5. „და ხიდია ჩატეხილი, ხიდი!.. - წამოიძახა ტკივილით კესომ“ (ილია, იქვე, 307);

6. „კიდევ!.. კიდევ მეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!..“ (ილია, იქვე, 310);

7. „მე მახსოვს ეს წინადღე, ეს წინადღე ახალის წლისა...“ (ილია, იქვე, 313);

8. „... იმ დღეს ჩვენთვის აღარც კაკანათი იყო, აღარც თოვლის გუნდა, აღარც თოვლში ხტომა და სირბილი“ (ილია, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, იქვე, 315);

9. „მაშ ვისი ბრალია, მაშ ვისი ბრალია!“ (ილია, „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“, იქვე, 345);

10. „ცოტაა, ცოტაა!.. არ მინდა, არ მინდა, - წაიწუნებდა ხოლმე ბუტიობით და ცხვირჩამოშვებით ბუტია კოლა“ (ილია, „კაკო“, 447);

11. „კარგი, კარგი, თუ ღმერთი გწამს! - გააწყვეტინა სიტყვა დათომა, - კარგი!.. ვიცი, რა შველაც გინდა, ვიცი!.. თუ ღმერთი გწამს, მე მომშორდი“ (ილია, იქვე, 481-482);

12. „სადილი რაც უფრო გრძელდებოდა, უფრო და უფრო ეტყობოდა მხიარულება ყველას“ (აკაკი, „ჩემი თავგადასავალი“, 1985 : 22);

13. „წმინდა არს, წმინდა არს, უფალი საბაო!“ (აკაკი, „ბაშიაჩუკი“, იქვე, 126);

14. „ზოგი რას ამბობდა ჩემზე და ზოგი რას!..“ (აკაკი, „ბაში-აჩუკი“, იქვე, 202);

15. „ღირს არს! ღირს არსო! - დაიძახა ერთხმად სასულიერო კრებამ“ (აკაკი, „ქუთათელის სიზმარი“, იქვე, 343);

16. „ზოგს რა მოჰქონდა და ზოგს რა“ (აკაკი, „ქართული ფულის თავგადასავალი“, 450);

17. „არც რა, არც რა, მაგ მხარეს თუ იწექი და დაგიბუჟდა“ (ყაზბეგი, „ელგუჯა“, 1985, იქვე, 58);

18. „ვინაა ეგეთი, - გაგვშორდეს! ვინაა ეგეთი, - გაგვშორდეს! ვინაა ეგეთი, - გაგვშორდეს“ (ყაზბ., იქვე, 70);

19. „შენს პირს შაქარი, ჩემო ყველავ, შენს პირს შაქარი!“ (ყაზბ., „ხევისბერი გოჩა“, იქვე, 494);

20. „მაშ რაისთვი-ღა მკოცნიდი, რაისთვი-ღა მეხვეოდი ... რაისთვი-ღა მხიბლავდი და იმედს მაძლევდი?“ (ყაზბ., „მოძღვარი“, იქვე, 613);

21. „აბა, თუ კაცი ხარ, ზაალ, აბა, თუ კაცი ხარ, - მიაძახეს სტუმრებმა“ (ვაჟა, „ტრედები“, 1986, იქვე, 98);

22. „კაცი მოკლა, კაცი მოკლა!“ - გაისმა ხმა მონადირეებისა, - უშველეთ, კაცებო, უშველეთ!“ (ვაჟა, „დათვი“, იქვე, 113);

23. „დიდება შენდა, ღმერთო! დიდება შენდა, კვირავ კარავიანო! დიდება შენდა, გიორგი, მუხის ანგელოზო (ლაშარის ჯვარო)! დიდება შენდა, თამარო დედოფალო, ხმელეთის დამრიგებელო! დიდება შენდა, საქართველოს მცველო ანგელო-ზო!“ (ვაჟა, „საშობაო მოთხრობა“, იქვე, 165);

24. „მე სხვა გოგრა მაქვს, მე სხვა კაცი ვარ, მე სხვა ფიქრი, შორს გამჭვრეტელი ფიქრი მაქვსო!..“ (ვაჟა, „სოფლის სურათები“, იქვე, 238);

25. „ოჰ, ღმერთო! ოჰ, ღმერთო! რა სატანჯველში ჩამაგდე შე დალოცვილო?!“ (ვაჟა, „მუცელა (ზღაპარი)“, იქვე, 310).

§ 87. მარცვალთა რედუპლიკაცია სიტყვათწარმოების უძველესი ხერხი

მარცვალთა რედუპლიკაცია (ციმციმი, ხარხარი და მისთ.) ყველა ენის, მათ შორის ქართული ენისაც, სიტყვათწარმოების უძველესი ხერხია. ისინი ბიბლიისა და ძველი ქართული მწერლობის (სასულიერო და საერო) ძეგლებში საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება. მაგრამ მარცვალთა რედუპლიკაცია საბოლოოდ მაინც ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნეში, მეტწილად მწერლებთან (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვები). ამ ოთხი მწერლის პროზაული ნაწარმოებებიდან მოგვყავს მაგალითები:

1. „თითქმის მთელ დღეს გზას მგლურის ძუნძულით სასაცილოდ მოძუნძულებდა“ (ილია, „მგზავრის წერილები“, 1988, იქვე, 26);

2. „ოლოლო შენ ვერ გამოიცან“ (ილია, „კაცია-ადამიანი?!“, იქვე, 43);

3. „ამიცქანცქალდა ობოლი გული, ამიცქანცქალდა ისე, რომ ამოდენა კაცი მოვიყარე და ისე აღარ ამცქანცქალებია“ (ილია, „გლახის ნაამბობი“, იქვე, 180);

4. „ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ...“ (ილია, იქვე, 240);

5. „მაგათში ან დიდი ცოდო ტრიალებს, ან დიდი მადლი“ (იქვე, 259);

6. „ვთაკილობ და გვიანღაა წუწუნი“ (ილია, იქვე, 272);

7. „ჯერ დაუდუღარი მაჭარია და ბუყბუყებს“ (ილია, იქვე, 272);

8. „ჰკითხა კესომ და გულიანად ჩაიხარხარა“ (ილია, იქვე, 279);

9. „გიორგი წაბარბაცდა“ (ილია, იქვე, 285);

10. „მინამ მთის იქიდამ მზე ამოლაპლაპებდა თავის სხივსა, ... კესო ჩაცმულ-დახურულ ბაღში იყო“ (ილია, იქვე, 286);

11. „სოფლის ორღობებში დაიწყეს ჭრიჭინი მძიმედ დადებული თივის ურმებმა“ (ილია, იქვე, 288);

12. „ ... მარტო ქვითქვითით გოდება-ღა ისმოდა“ (ილია, იქვე, 298);

13. „... საბანში ცახცახით გავეხვევი და მივეგდები“ (ილია, „გლახის ნაამბობი“, იქვე, 303);

14. „ეხლა კი ღმუილს წკავწკავიც მოემატა“ (ილია, იქვე, 311);

15. „საცა ჯგუფს დაინახავდა, ან ლაპარაკის ხათხათს ყურს მოჰკრავდა, იქ გარბოდა და მიეშურებოდა“ (ილია, იქვე, 312);

16. „ერთი თავიდამ მომაშორე, ღვთის გულისათვის, ეს ბაჯაჯღანები!..“ (ილია, იქვე, 317);

17. „მამი, მამი! - მოისმა პატარა კარის ბაღჩიდამ ყმაწვილის ხმა...“ (ილია, დაუმთავრებელი მოთხრობები, „უცნაური ამბავი“, იქვე, 545);

18. „თაფლომ იცუცუნა, იცუცუნა და ბოლოს მიწის იატაკზე რაღაც საქმე აიჩინა და ჩიჩქვნა დაუწყო მიწასა“ (ილია, „დედის ანდერძი“, იქვე, 552);

19. „... თვალის დახამხამებამდე ერთმა შემოარბენინა ქვა, ...“ (აკაკი, „ჩემი თავგადასავალი“, 1985 : 19);

20. „აქ გადიხარხარა და თავზე დამისვა ხელი“ (აკაკი, იქვე, 62);

21. „თვალმიუწვდომელ სიშორიდან გველივით მოიკლაკნეზოდა ჩუხჩუხა არაგვი“ (აკაკი, „ბაში-აჩუკი“, იქვე, 123);

22. „ბრჭყალებით ჰგლეჯდა და კბილებით სწიწკნიდა“ (აკაკი, იქვე, 126);

23. „თუ სულ არ ეჩიჩინები თავისთავად არას მოიფიქრებენ“ (აკაკი, იქვე, 127);

24. „სამივე ზეზე წამოდგა გაკვირვებული“ (აკაკი, იქვე, 137);

25. „გამხიარულებული ბუხარი გუგუნებდა...“ (აკაკი, იქვე, 142);

26. „სოფლებში ვეღარ დაფარფაშობდნენ ადრინდულად“ (აკაკი, იქვე, 152);

27. „ერთი-ორი წაილუღლუღა გაუგებრად და ჩაჰკიდა თავი“ (აკაკი, იქვე, 161);

28. „ტერტერას ქვრივს ერთი სიტყვაც მათი ნალაპარაკევი არ გამოჰპარვია“ (აკაკი, იქვე, 163);

29. „დიდხანს იყურყუტა, ბევრი ათვალიერა აქეთ-იქით“ (აკაკი, იქვე, 167);

30. „მიუგო ცაცხანით დედაბერმა“ (აკაკი, იქვე, 169);

31. „გამოქვბულში ისხდნენ ახალგაზრდა ბიჭები ცეცხლის წინ და მწვადებს აშიშხინებდნენ“ (აკაკი, იქვე, 175);

32. (ფოთლებმა) „თითქო საიდუმლო ჩურჩული გამართესო“ (აკაკი, „საუბარი ორთა შორის“, იქვე, 212);

33. „აბიბინდა მდელო“ (აკაკი, იქვე, 212);

34. „არ წაიღო ყურთასმენა ამ ბულბულმა!! ჭიკჭიკობს და ჭიკჭიკობს გაუსხლეტლად“ (აკაკი, იქვე, 219);

35. „ბულბულს ერთხელვე ვარდის სიყვარული აქვს გულში ჩავარდნილი და იმას ეკურკურება, მისთვის ჭიკჭიკობსო!“ (აკაკი, იქვე, 219);

36. „ჩაუყო შუა გულში ნისკარტი და ორჯერ-სამჯერ ჩააჭუკჭუკა...“ (აკაკი, იქვე, 219);

37. „გენაცვალეს“ არ ჩურჩულებდა, მა რა იყო სხვა?..“ (აკაკი, იქვე, 219);

38. „მაგიერად იქვე მოისმა ერთიმეორეზე რაღაც ბუტბუტის, ამოოხვრისა და ხითხითის ხმები“ (აკაკი, „გოგია მეჩონგურე“, იქვე, 247);

39. „ამოცუნცულდებოდნენ ჭერზეით და ასეთ ხრაგი-ხრუგს ააყენებდნენ ხოლმე, ...“ (აკაკი, „ღამურა“, იქვე, 265);

40. „იქით დაახუჭუჭე!, გაასწორე, დაამოკლე და სხვ.“ (აკაკი, „კრიჭ და ხრიშ“, იქვე, 294);

41. „თინათინი მარტოკა იყო სახლში და მიმელოდა“ (აკაკი, „სამგვარი სიყვარული“, იქვე, 309);

42. „მუხლები ამიკანკალდა და ჩავჯექი“ (აკაკი, იქვე, 310);

43. „ქალბატონმაც რაღაცა წაიბუტბუტა“ (აკაკი, იქვე, 311);

44. „კიდევ დაიჭრიჭინა და გაიღო კარები“ (აკაკი, იქვე, 320);

45. „მე იმ კაჭკაჭთაგანი არა ვარ, სხვის სიტყვებს რომ იმეორებენ“ (აკაკი, „სამგვარი სიყვარული“, იქვე, 331);

46. „ისინი არიან თურმე ჩვენი გმირი მამა-პაპების სულები“ (აკაკი, „ქუთათელის სიზმარი“, იქვე, 338);

47. „აძუნძულდა გაღმით რიყეზე დევი და სულ ლაწა-ლუწი დააწყეებინა სიპი-ქვებს“ (აკაკი, „ნაცარქექია“, იქვე, 365);

48. „ახლა კი ძალაუნებურად მაწანწალებენ...“ (აკაკი, „გრიგოლ წერეთლის ირემი“, იქვე, 423);

49. „იქ კლდე იყო გახვრეტილი და გზა ქანქანით გაყვანილი“ (ყაზბეგი, „ელგუჯა“, 1986 : 7);

50. „ქალმა დაინახა თუ არა უცხო კაცი შესული, ცახცახით კედელს მიეკრა“ (ყაზბ., იქვე, 12);

51. „მთის მდინარესავით აუჩუხჩუხა სისხლი“ (ყაზბ., იქვე, 15);

52. „ისინი ვეღარც კი გაჩუჩუნდებიან“ (ყაზბ., იქვე, 33);

53. „გაგის ამხანაგები ჩამოხტნენ ცხენებიდან, იჟღავჟავეს, ილაპარაკეს...“ (ყაზბ., იქვე, 34);

54. „ტუჩები მთრთოლვარეთ უცახცახებდნენ“ (ყაზბ., იქვე, 37);

55. „იმის მიმზიდველი ჟუჟუნა თვალები მეტის მწუხარების ცეცხლით გამშრალიყვნენ“ (ყაზბ., იქვე, 38);

56. „შემდეგ გააცმაცუნა მსუნაგ ძაღსავით პირი“ (ყაზბ., იქვე, 43);

57. „ნაჩალნიკს ისე მაგრა მოეჭირა მაჯაზედ, რომ ძვლებს ჭახჭახი გაჰქონდა“ (ყაზბ., იქვე, 45);

58. „ქალმა შიშით ცახცახი დაიწყო“ (ყაზბ., იქვე, 93);

59. „იმათაც დარიალის ხეობა შეჰკრან და სულიერი აღარ გადმოაჭაჭანონ“ (ყაზბ., იქვე, 109);

60. „მის გარშემო ტყვიებმა ზუზუნი დაიწყეს“ (ყაზბ., იქვე, 137);

61. „თოფის სროლა შესწყდა და მოქანცულმა ხალხმაც შეიქაქანა“ (ყაზბ., იქვე, 137);

62. „საკიდელზედ ჩამოკიდებულს ქვაბს ჩუხჩუხი გაჰქონდა“ (ყაზბ., იქვე, 169);

63. „გაიძრო ხანჯალი და გაბრაზებულის ხარხარით კარებისაკენ გაქანდა“ (ყაზბ., იქვე, 174);

64. „აფიცერი კი ჭიჭინებდა“ (ყაზბ., „ნამწყემსარის მოგონებანი“, იქვე, 465);

65. „ქალს ძვლებმა ჭახჭახი დაუწყეს და ტკივილისაგან კინაღამ შეჰყვირა“ (ყაზბ., „ხევისბერი გოჩა“, იქვე, 499);

66. „ხანგამოშვებით ქვენა ქალი ზუზუნით უბერავდა“ (ყაზბ., იქვე, 499);

67. „მთლად გაყინულხარ ... მთლად კანკალებ“ (ყაზბ., იქვე, 507);

68. „გაბრუნდა და ლასლასით გასწია თავიანთ სახლისაკენ“ (ყაზბ., იქვე, 508);

69. „ჰაერში გაისმა გალობა და ჭიკჭიკი ფრინველებისა“ (ყაზბ., იქვე, 516);

70. „უნდოდა თავიანთი ანკარა წყაროს ჩუხჩუხი გაეგონა“ (ყაზბ., იქვე, 516);

71. „ხალხი ცახცახით უყურებდა ამ სურათს“ (ყაზბ., იქვე, 562);

72. „ხალხი აიშალა, აირია და ყაყანი დაიწყო“ (ყაზბ., იქვე, 567);

73. „ყველა თვალმოჟუჟუნე გოგოს გული სძგერდა“, ყაზბ., „მოძღვარი“, იქვე, 572);

74. „მას უერთდებოდა გახარებული ხარხარი მავნე სულისა“ (ყაზბ., იქვე, 579);

75. „ისმოდა სტვენა, ზუზუნი მოუსვენარი ქარისა“ (ყაზბ., იქვე, 579);

76. „გაიღო კარი და ონისე დამთვრალსავით რაცრაცით შევარდა“ (ყაზბ., „მოძღვარი“, იქვე, 641);

77. „პაწაწა ვარ ობოლი“ (ვაჟა, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, 1986 : 5);

78. „ძუძუს აღარა ვწოვ...“ (ვაჟა, იქვე, 5);

79. „ხშირის ფოთლებიდამ წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა“ (ვაჟა, იქვე, 7);

80. „მაგასაც ის უნდა: მიახტება და თვალებს გამოსჩიჩქნის“ (ვაჟა, იქვე, 8);

81. „ცივი ანკარა ხევი მოჩუხჩუხებდა გალიპულს ქვებზე“ (ვაჟა, იქვე, 8);

82. „ჩიტები ვეღარ ბედავდნენ ჭიკჭიკს, ცელქობას...“ (ვაჟა, იქვე, 10);

83. „იმათ წინ იდგა სამი თუ ოთხი შეკუმშული და აწურწუტებული არყი“ (ვაჟა, იქვე, 12);

84. „პაპა ააყენეს. იმან წაიბუტბუტა“ (ვაჟა, „შთაბეჭდილებანი“, იქვე, 16);

85. „თამარმა პაპა ხალხიდან ხანხალით გაიყვანა“ (ვაჟა, იქვე, 16);

86. „იგი ხანგამოშვებით შააფრაშფრაშებდა მხოლოდ მხრებს და ერთმხრივ მიიწევდა“ (ვაჟა, „პატარა მწყემსის ფიქრები“, იქვე, 26);

87. „ორბს ეწყინა, გველივით სისინი დაიწყო“ (ვაჟა, იქვე, 27);

88. „თანაც კნუსკნუსებს“, - ნამეტნავად თუ მტერი მოსდევს“ (ვაჟა, „ჯურდღელი“, იქვე, 46);

89. „ყველანი ყაყანებდნენ“ (ვაჟა, „სააღდგომოდ“, იქვე, 70);

90. „გავცოცხლდი, მადლი ჩემს გამჩენსაო, - თითქოს დუდუნებს“ (ვაჟა, „ხმელი წიფელი“, იქვე, 74);

91. „მუდამ ჩურჩულით საუბარს დაჩვეული ვეღარ ახერხებდა ხმამაღლა ლაპარაკს“ (ვაჟა, „ბაგრატ ზახარიჩის სიკვდილი“, იქვე, 78);

92. „შუა მინდორზე ლურჯად მოლაპლაპე ტბა მოსჩანდა“ (ვაჟა, „ტრედები“, იქვე, 86);

93. „წვერი მთისა ... მზეზე ვერცხლივით ლაპლაპებდა“ (ვაჟა, იქვე, 91);

94. „მიცუნცულდა ახლოს, ისკუპა და პირდაპირ ნეფე-დედოფლის წინ თხილიანს სუფრაზე დასკუპდა“ (ვაჟა, „ჩხიკვთა ქორწილი“, იქვე, 224);

95. „ერთი კვირაა მშივრები დალასლასებენ“ (ვაჟა, „ამოდის, ნათდება“, იქვე, 341);

96. „ყველანი კბილებს აკაწკაწებდნენ“ (ვაჟა, იქვე, 341);

97. „მთვარე კი ამოვიდა, ... ნათლად კაშკაშებდა“ (ვაჟა, იქვე, 344);

98. „გარეთ ქარი ღუღუნებს, ხან უსტვენს, ხან თითქოს წუწუნებს“ (ვაჟა, „მწყერი“, იქვე, 348);

99. „მის ახლომახლო სხვა ხის ჭაჭანება არ იყო“ (ვაჟა, „ვერხვი“, იქვე, 353);

100. „ნიავს მთისას ხომ მუდამ იმას ჩასჩიჩინებდა“ (ვაჟა, იქვე, 353);

101. „არწივს მაზე გაეკეთებინა ბუდე და მისი მართვების წიწინი გაეგონა“ (ვაჟა, იქვე, 356);

102. „ქარი ზუზუნებდა, წყრებოდა, თუმცა არ იცოდა, ვის უწყრებოდა“ (ვაჟა, „ნაპრალი“, იქვე, 383);

103. „კრამიტებიდან ჩამონადენი წვიმის ცვარი ფანჯრების წინ წკაპწკაპებდა“ (ვაჟა, „ოცნება“, იქვე, 396);

104. „დედა-შვილი რომ ტკბილად ჭუკჭუკებდნენ, სწორედ ამ დროს გაჩნდა დედინაცვალი“ (ვაჟა, „სიზმარი ობლისა“, იქვე, 411);

105. „ამ დროს მისმა მერანმაც დაიხვიხვინა, ...“ (ვაჟა, „სათაგური“, იქვე, 501);

106. „როდის, როდის მოეცა გონება, ადგა ბარბაცით...“ (ვაჟა, „ნადირთა პატრონი“, იქვე, 524);

107. „შენ უყურებ? აბა თუ ერთი ქათმის კურკური ან კაკანი საითმე ისმოდეს?“ (ვაჟა, „დიდებული საჩუქარი“, იქვე, 539);

108. „მელამ ძუნძულით გასწია“ (ვაჟა, „დათვი“, იქვე, 604);

109. „ტანმა რყევა უწყო, ფამფალებდა და ... დაგორდა“ (ვაჟა, იქვე, 609) და სხვა მრავალი.

§ 88. სიტყვათა შერწყმული რედუპლიკაციები

როგორც პოეზიაში, ასევე პროზაშიც უხვად გვაქვს ისეთი რედუპლიკაციები, რომლებიც მარცვალთა რედუპლიკაციების მსგავსად ქმნიან ერთიან სიტყვას, ერთ ცნებას, ანუ საქმე გვაქვს ერთ ენობრივ ნიშანთან. ქართულ ენაში სიტყვათა რედუპლიკაციები ერწყმიან ერთმანეთს სხვადასხვა გრამატიკული საშუალებებით. ეს ხერხებია: რედუპლიკაციურ სიტყვათა შორის მაერთებელი საშუალებები. აქ შეიძლება იყოს დამაკავშირებელი სხვადასხვა ბრუნვის ნიშნები, „და“ კავშირი, ნულოვანი ინფიქსი და ა.შ. მოგვყავს მაგალითები ზემოაღნიშნული მწერლების ნაწარმოებებიდან:

1. „შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულს მყინვარს, რომელსაც ყაზბეგის მთას ეძახიან“ (ილია, „მგზავრის წერილები“, 1988 : 22);

2. „აგურები შიგადაშიგ ამოცვივნულან“ (ილია, „კაცია-ადამიანი?!“ იქვე, 35);

3. „ჰნახა, რომ ლუარსაბმა პასუხი ვერ მოუხერხა, უფროდაუფრო დააყარა თავმოწონებით“ (ილია, იქვე, 73);

4. „გზადაგზა სულ საწყალი პეპიას უბოროტო სიკვდილი მელანდებოდა“ (ილია, „გლახის ნაამბობი“, იქვე, 209);

5. „ამ დროს ხელდახელ გაკეთებული საკაცეც მოიტანეს“ (ილია, იქვე, 133);

6. „ჩვენ კაცები ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“ (ილია, იქვე, 137);

7. „კი, მაგრამ ხანდახან სიფრთხილე სიფრთხილის განაყოფია“ (აკაკი, „ბაში-აჩუკი“, 1985 : 135-136);

8. „მტერი პირდაპირი ისე საშიში არ არის“ (აკაკი, იქვე, 136);

9. „აქ წინდაწინვე სასწაულსა ვხედავთ...“ (აკაკი, იქვე, 138);

10. „ბნელი თანდათან იჭერდა არემარეს“ (აკაკი, იქვე, 150);

11. „მაშინ ცხენდაცხენ გაუშვირა თასი ერთ დიდებულთა-განს“ (აკაკი, იქვე, 157);

12. „რას ჩასციებიხართ მაინცდამაინც იმ ოხერ ქოხს“ (აკაკი, „ეშმაკები“, იქვე, 207);

13. „ის ხანდახან აიღებდა ხოლმე თავს“ (აკაკი, „სამგვარი სიყვარული“, იქვე, 309);

14. „გაიძახოდნენ პატარა ზარები და შიგა და შიგ დიდიც ჩაერეოდა ხოლმე“ (აკაკი, „ყვითელი სანთელი“, იქვე, 428);

15. „ასე ხომ არ ვქნა და ისე ფეხ-და-ფეხ გამოვუდგე კურდღელს“ (აკაკი, იქვე, 444);

16. „მივიდნენ პირდაპირ გაგი ჩიფიკაშვილის კარებთან“ (ყაზბეგი, „ელგუჯა“, 1986 : 9);

17. „ცხენოსნები, რიცხვით ოცდახუთამდე, თანდათან ახლოვდებოდნენ“ (ყაზბ., იქვე, 21);

18. „მიბრძანე და მარტო მე გადავალ ხმალ-და-ხმალ, შენი რისხვა არა მაქვს!“ (ყაზბ., იქვე, 27);

19. „იმას თანდათან აკლდებოდა ძალა“ (ყაზბ., იქვე, 45);

20. „აგრე ... პირდაპირ გეტყვი“ (ყაზბ., „მამის მკვლელი“, იქვე, 289);

21. „ეს სახე ხანდისხან იცვლებოდა...“ (ყაზბ., „ხევისბერი გოჩა“, იქვე, 510);

22. „ხანდახან ნიავისაგან გაფანტულს მტვერში გოჩას დროშა გამოჩნდებოდა“ (ყაზბ., იქვე, 561);

23. „იმის შუა ხანდისხან გამოჩნდებოდა ხოლმე ნუგზარ და რამდენიმე ცხენოსანი“ (ყაზბ., იქვე, 561);

24. „ხანდისხან ნაწყვეტ-ნაწყვეტად და გადაუბმელად წამოიძახებდა“ (ყაზბ., „მოძღვარი“, იქვე, 617);

25. „ონისე მიდიოდა გულდაგულ, დარწმუნებით“ (ყაზბ., იქვე, 656);

26. „ფერი ფერს შეხვდა და ერთმანეთი შეიფერეს“ (ილია, კაცია-ადამიანი?!“, იქვე, 100);

27. „სულ მარტოდმარტო არის“ (ილია, „გლახის ნაამბობი“, იქვე, 132);

28. „მეტისმეტი თავგამოდებული ჰყოფილხარ“ (ილია, იქვე, 170);

29. „ჩემი სისხლი, ჩემი ხორცი!.. ერთადერთი შვილი ცოცხლად მემარხება!..“ (ილია, იქვე, 189);

30. „მაშ, შენის ფიქრით, ლარი აღმა-დაღმით უნდა დაგვეჭირა თავთავქვესაკენ“ (ილია, „გლახის ნაამბობი“, იქვე, 278);

31. „შორიშორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი“ (ილია, იქვე, 300);

32. „მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილდილაობით ჭირხლი ედებოდა“(ილია, იქვე, 307);

33. „ამ დროს ზედიზედ დაიჭექა სადღაც შორს“ (აკაკი, „ბაში-აჩუკი“, 1985 : 127);

34. „თუ სულ არ ეჩიჩინები,თავისთავად არას მოიფიქრებენ“ (აკაკი, იქვე, 127);

35. „გაუდგა გზას მარტოდმარტო“ (აკაკი, იქვე, 163);

36. „ხელიხელჩაკიდებული შევიდნენ უდაბურ ტყეში“ (აკაკი, იქვე, 175);

37. „შვილთა და შვილიშვილებით სავსეა ოჯახი!..“ (აკაკი, „გრიგოლ წერეთლის ირემი“, იქვე, 424);

38. „ბოლოს ყველანი დამშვიდდნენ, დაადგნენ თავთავიანთ საქმეს და მზაღოზედ ზრუნვა კი ჯაჯალას მიანდვეს“ (ყაზბეგი, „ელგუჯა“იქვე, 15);

39. „მაშ, ომი იქნება, უნდა ერთმანეთი დახოცოთ?“ (ყაზბ., იქვე, 25);

40. „მზაღო შეკრთა მეტისმეტი ტკივილისაგან“ (ყაზბ., იქვე, 39);

41. „მტრები სულ ყმაწვილები, ნარჩევი და ერთიერთმანეთზედ ლაზათიანები იყვნენ“ (ყაზბ., „ხევისბერი გოჩა“, იქვე, 491);

42. „რაღაცა უხილავი ძალა ერთმანეთისაკენ იზიდავდა“ (ყაზბ., იქვე, 503);

43. „ჩამოვარდა ისევ წყნარი ჩურჩული და ერთმანერთის დაკითხვა“ (ყაზბ., „მოძღვარი“, იქვე, 652);

44. „ხანდახან ყურებს დაცქვეტდა,...“ (ვაჟა, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, 1986 : 6);

45. „ამ ხუთ წელიწადში ერთხელ ძლივსძლივობით დამითხოვეს დიდყურაანთ შინა“ (ვაჟა, „პატარა მწყემსის ფიქრები“, იქვე, 24);

46. „მხოლოდ დროდადრო მოიხრიდა თავქვე და იქით-აქათ კისერს“ (ვაჟა, იქვე, 26);

47. „პირდაპირ შხაპუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამდის“ (ვაჟა, „ია“, იქვე, 28);

48. „თანდათან გამოვფხიზლდი“ (ვაჟა, „დარეჯანი“, იქვე, 34);

49. „მიდიოდა იმის ხელიდამ ერთადერთიღა იმედი“ (ვაჟა, იქვე, 37);

50. „ერთადერთი თავშესაფარი ჩემი სახლი იყო“ (ვაჟა, „ჯურდღელი“, იქვე, 48);

51. „ერთი მელა ძლივძლივობით დავიჭირეო, - სთქვა ბიძაჩემმა“ (ვაჟა, „მოგონება“, იქვე, 58);

52. „ოთხი დღე ხაფანგი ზედიზედ მეგო“ (ვაჟა, იქვე, 58);

53. „უზარმაზარი დათვი შემდგარა ჩემს კვალზე და კვალდაკვალ მომდევდა, ნება-ნება მოჯოჯავდა“ (ვაჟა, იქვე, 58);

54. „მაინც და მაინც იესომ ქვეყანა არ მოიძულა, მას არ გადაემტერა“ (ვაჟა, „სააღდგომოდ“, იქვე, 71);

55. „რქებს ახვედრებენ ერთმანეთს და ლაწალუწი იმისაგან არის“ (ვაჟა, „ტრედები“, იქვე, 91);

56. „ეს ღალღა მეტისმეტად ალაღებდა“ (ვაჟა, იქვე, 98);

57. „ეს ტყის ვარდი მაინცდამაინც გაიშლება გორ-გორის პირებზე“ (ვაჟა, „წიფლისჩიტა“, იქვე, 135);

58. „თანდათან გულზე ბოღმა შემომაწვა“ (ვაჟა, „ქუჩი“, იქვე, 191);

59. „ჩვენის ღვაწლით მუხა თავმომწონედ ყელყელაობდა“ (ვაჟა, „ფესვები“, იქვე, 202);

60. „დარჩა ვირი მარტოდმარტო ღვთის ანაბრობაზე“ (ვაჟა, „ვირი“, იქვე, 206);

61. „როგორ იქნება, რა ახირებაა მაინც და მაინც?“ (ვაჟა, „ჩხიკვთა ქორწილი“, იქვე, 224);

62. „ჯოგი-და-ჯოგი ირმებისა, შვლებისა, ჯეირნებისა დანავარდობენ იმის კალთაზე“ (ვაჟა, „ზაფხულის სიზმრები“, იქვე, 287);

63. „(დედამ) ამოართვა შვილს სულ ახალთახალი ტანისამოსი“ (ვაჟა, „სიზმარი ობლისა“, იქვე, 410);

§ 89. დეფისით შეერთებული რედუპლიკაციები

დამოუკიდებელი სიტყვის გამეორება პოეზიაში ან პროზაში უძველესი ხერხია ქართული ენისათვის. ეს ხერხი პროდუქტიულად გამოიყენებოდა ბიბლიაში, ძველი ქართული ენის ტექსტებში, „ვეფხისტყაოსანში“, მეჩვიდმეტე-მეცხრამეტე საუკუნეების პოეზიასა და პროზაში და იგი აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ქართულ მწერლობაში. დამოუკიდებელი სიტყვის ანუ ცნების ფუძის სახით გამეორება (რედუპლიკაცია) ოდითგანვე იწერებოდა დეფისით. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში (ასევე ზეპირ მეტყველებაშიც) აღნიშნული ხერხი საკმაოდ პროდუქტიულია.

მოვიყვანოთ ნაწილი მაგალითებისა პროზიდან:

1. „ყველა-ყველა და ამაღამ ვახშმად რა გვაქვს?“ (ილია, „კაცია-ადამიანი?!“, 69);

2. „ერთი-ორიოდჯერ ქუჩა-ქუჩა გავაჭენებ დროშკასაო“ (ილია, იქვე, 75);

3. „ჩვენ თვითონ ღვთის სახისანი ერთი-ერთმანეთს არ ვუთმობთ იმ ადგილსა“ (ილია, „გლახის ნაამბობი“, იქვე, 132);

4. „მე რომ ამოვუარე, ჩუმ-ჩუმად შემომცინა“ (ილია, იქვე, 180);

5. „ყუასავით თეთრი და ფაფუკი ღრუბელი ნაჭერ-ნაჭერ აქა-იქ მიდიოდ-მოდიოდა წყნარად“ (ილია, „ოთარაანთ ქვრივი“, იქვე, 264);

6. „მა რა არის, როცა უდრო-უდროა“ (ილია, იქვე, 265);

7. „უნდოდა მიწა ჭადრაკის ფიცარსავით უჯრა-უჯრად დაეყო“ (ილია, იქვე, 277);

8. „მინამ ერთ-ერთი ვინმე წავიდოდა, თავლიდამ გამოჰრ-ბოდა კიდეც მეჯინიბე“ (ილია, იქვე, 280);

9. „... რა პტყელ-პტყელ ლაპარაკს მოვყვებოდით მე და შენ“ (ილია, იქვე, 305);

10. „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო“ (ილია, „გლეხთა განთავისუფების პირველდროების სცენები“, იქვე, 327);

11. „შორი-შორს სიტყვა კია,...“ (ილია, „მაჭანკალი“, იქვე, 360);

12. „ჰმ, ჰმ, ჰმუუ! - ჩუმ-ჩუმად ჩაიცინებ ...“ (ილია, „დიამბეგობა“, იქვე, 401);

13. „ყველაფერი ცალ-ცალკე და ყოველიფერი ერთად ამის ტანზედ იყო მარტივი, ...“ (ილია, „კოლა“, 425);

14. „ნელა-ნელა, აუჩქარებლად აჰყვნენ შორიახლო თავის ბატონსა“ (ილია, იქვე, 425);

15. „მაგრამ ეგ დალოცვილი მეტი-მეტი მსუნაგია“ (ილია, იქვე, 426);

16. „...მუჭა-მუჭა წილიანი შავი თმები ამოშვერილი ჰქონდა“ (ილია, „კაკო“, იქვე, 446);

17. „საწყალი ძლივ-ძლივ მბჟუტავი ფარანი მაშინვე შემოგ-ჩივლებთ ხოლმე“ (ილია, „პატარა ამბავი“, იქვე, 548);

18. „ახალმოსწავლე პატარები კი ჯგუფ-ჯგუფად კედლებ-თან იყვნენ ატუზული“ (აკაკი, „ჩემი თავგადასავალი“, იქვე, 55);

19. „მხოლოდ ფერად-ფერადი სიზმრები, თითქო სასუფე-ველში ვიყო, ისე დამტრიალებს თავსაო“ (აკაკი, „ბაში-აჩუკი“, იქვე, 161);

20. „ნამუსი ახადეთ და მერე ნაკუწ-ნაკუწად აქციეთ ყველა“ (აკაკი, იქვე, 170);

21. „დიდძალი ასო-ასოდ აქნილი შვლის ხორცი ჩაუწყვეს კალათაში“ (აკაკი, იქვე, 176);

22. „თვითონ კი გადავხტი და ფეხ-ფეხ ავყევი ქუჩას“ (აკაკი, „ეშმაკები“, იქვე, 191);

23. „ეშმაკები არახუნებენ ღამ-ღამ...“ (აკაკი, იქვე, 194);

24. „გუვერნანტკებს იქ გამოჰყავთ ხოლმე საბურთაოდ პატარ-პატარა ყმაწვილები“ (აკაკი, იქვე, 195-196);

25. „გამოვესალმეთ ერთმანეთს და გავბრუნდით ჩვენ-ჩვენი სახლებისაკენ“ (აკაკი, „ეშმაკები“, იქვე, 203);

26. „იმდენი აზრი კიდევ გვაქვს ღვთისაგან მოცემული, რომ შევატყობთ ცოტა-ცოტას ჩვენც“ (აკაკი, „საუბარი ორთა შუა“, იქვე, 213);

27. „ჩაუყო შუა გულში ნისკარტი და ორჯერ-სამჯერ ჩააჭუკჭუკა...“ (აკაკი, იქვე, 219);

28. „იქ ვარდი ამოდის, და იმ ვარდზედ შემომჯდარი ბულბული ღამ-ღამით მათ სულებს უგალობებს“ (აკაკი, იქვე, 220);

29. „მხარ-ბეჭებზე აქა-იქ წმინდა წვეთები პატარ-პატარა ბურთივით მოჰგორავდნენ“ (აკაკი, „სამგვარი სიყვარული“, იქვე, 304);

30. „მე მივალ, მივეპარები ნელა-ნელა“ (აკაკი, იქვე, 311);

31. „მე იქ სანახავი ვნახე: კოტრიალა-კოტრიალა!! ულვაშებიანი ვაუბატონი წამოვარდა ზეზე,...“ (აკაკი, იქვე, 311);

32. „ახალ-ახალი მენატრებოდა და ძველი აღარ მინდოდა!..“ (აკაკი, იქვე, 312);

33. „დაიხარა ძირს ნაცარქექია, ვითომ ქვას ვიღებო, ამოიღო კალთიდან ყველი, მოუჭირა ხელი და სულ წურწკურ-წურწკურით გაადინა წვენი“ (აკაკი, „ნაცარქექია“, იქვე, 365);

34. „დავჭრიდით ციდა-ციდას, ტკაველ-ტკაველას და მიგვიხაროდა ეკლესიისაკენ“ (აკაკი, „ყვითელი სანთელი“, იქვე, 438);

35. „მაშ მოგვიყევი სიტყა-სიტყვით, როგორ იყო და ან რა ნახეო“ (აკაკი, „ოცდაორი თებერვალი, 1898 წ.“, იქვე, 496);

36. „ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახებდა ისე, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა“ (ყაზბეგი, „ელგუჯა“, 1986 : 22);

37. „ელგუჯამ სიტყვა-სიტყვამდე გაიგონა მარტიას და გაგის ლაპარაკი“ (ყაზბ., იქვე, 24);

38. „იმას ეშინოდა, რომელიმე თავხედ ტყვიას მსხვერპლად არ შეეწირა ერთ-ერთი იმათგანი“ (ყაზბ., იქვე, 35);

39. „ელგუჯას თავი წყნარ-წყნარად მოეხარა“ (ყაზბ., იქვე, 37);

40. „ამ უბედურის ტანი და თავი ცალ-ცალკე გაგორდა“ ყაზბ., იქვე, 38);

41. „ყოჩები უკან-უკან წავიდოდნენ“ (ყაზბ., იქვე, 110);

42. „წადით ერთ-ერთმა იაგოს მიხედეთ“ (ყაზბ., „მამის მკვლელი“, იქვე, 318);

43. „ჩქარა-ჩქარა და ძალზედ ქშენა აშკარად ამტკიცებდა, რომ რაღაც აწუხებდა“ (ყაზბ., „ხევისბერი გოჩა“, იქვე, 511);

44. „ამ სიტყვების შემდეგ ხალხიდგან გამოვიდნენ ჯგუფ-ჯგუფად ამორჩეულები“ (ყაზბ., იქვე, 527);

45. „ხანდისხან ნაწყვეტ-ნაწყვეტად და გადაუბმელად წამოიძახებდა“ (ყაზბ., „მოძღვარი“, იქვე, 617);

46. „თამაშობის მსურველნი წყვილ-წყვილად გავიდნენ“ (ყაზბ., იქვე, 662);

47. „მასთან რიგ-რიგად მიდიოდნენ დანარჩენი წყვილები“ (ყაზბ., იქვე, 662);

48. „შეკუნტრუშდა დედაჩემი, შევკუნტრუშდი მეც და გავსწიეთ ზეითკენ სკუპ-სკუპით“ (ვაჟა, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, 1986, იქვე, 9);

49. „წვიმა სვეტ-სვეტად ჩამოდგა გაღმა სერებზე...“ (ვაჟა, იქვე, 10);

50. „ჯგუფ-ჯგუფად ეხვეოდნენ ჩიტები, შაშვები“ (ბალს) (ვაჟა, იქვე, 12);

51. „ისინი ასაფლავიან გვერდ-გვერდ“ (ვაჟა, „შთაბეჭდილე-ბანი“, იქვე, 22);

52. „მე რომ არ მივშველებოდი, სულ ლუკმა-ლუკმად დაგლეჯდა“ (ვაჟა, იქვე, 24);

53. „შავარდენი გაწყრა, წავიდა მაღლა-მაღლა კივილით და ცაში დაიღუპა“ (ვაჟა, იქვე, 26);

54. „გადმონადენი სისხლი წვეთ-წვეთად დაეტყო ფოთლებზე“ (ვაჟა, „ია“, იქვე, 28);

55. „თავზედ ბუხრის ქუდი ახურია, ადგილ-ადგილ ამოგლეჯილი“ (ვაჟა, იქვე, 36);

56. „მომეხვივნენ და-ძმები და ცივ-ცივად გამიტაცეს სახლში“ (ვაჟა, „მოგონება“, იქვე, 53);

57. „ჩუმ-ჩუმად ეკალაძე მაინც ამოქმედებდა როზგს“ (ვაჟა, იქვე, 55);

58. „სწრაფად გაჰბაწრავდნენ ერთ-ერთს ამ არწივის მსხვერპლს“ (ვაჟა, იქვე, 55);

59. „ეხლა კი სულთმაბრძოლს დაჰფერებია, წაქცევ-წაქცევაზეა მიმზადული“ (ვაჟა, „ხმელი წიფელი“, იქვე, 74);

60. „ეს-ეს არის ეხლავე სული უნდა ამოჰხდესო“ (ვაჟა, „ბაგრატ ზახარიჩის სიკვდილი“, იქვე, 78);

61. „თქვენ რომ თავს გიყადრებთ, კიდეც იმიტომ მოუმატეთ სხვილ-სხვილად ფქვასა“ (ვაჟა, „ტრედები“, იქვე, 85);

62. „ჩემთან მოიყარეთ თავი-თავს, აქედამ მე გაგიძღვებით“ (ვაჟა, „დათვი“, იქვე, 103);

63. „სწორედ მესამედ მოვიდა ეხლა წვიმა, აქა-იქ დარჩენილი პატარ-პატარა თოვლები დალახვრა, გააქრო, გააქარწყლა“ (ვაჟა, „წიფლისჩიტა“, იქვე, 135);

64. „ნელა-ნელა ძილი წამომეპარა“ (ვაჟა, „ქუჩი“, იქვე, 194);

65. „სურვილი საღამ-საღამ სეირნობისა ცხენით განქარდა“ (ვაჟა, „სოფლის სურათები“, იქვე, 265);

66. „ამით საბუთი ჰქონდათ ძგერებოდნენ და თავის თანამოძმე ლუკმა-ლუკმა გაეგლიჯათ“ (ვაჟა, „ამოდის, ნათდება“, იქვე, 341);

67. „მარტოდ-მარტოკა იდგა ერთ მწირს გორაზე“ (ვაჟა, „ვერხვი“, იქვე, 353);

68. „ხშირ-ხშირად ჩამოავლებდა თვალს ნაპრალი“ (ვაჟა, „ნაპრალნი“, იქვე, 378);

69. „გარეთაც გორ-გორის პირებზე ისმოდა მგლების ღმუილი“ (ვაჟა, იქვე, 385);

70. „ჯერ დაბლა-დაბლა მიწის პირად მიჰქონდა“ (ვაჟა, „სიზმარი ობლისა“ (ვაჟა, იქვე, 410);

71. „მაშ, ალაგ-ალაგ რამღა შეღება ბალახი წითლად“ (ვაჟა, „ყორანი“, იქვე, 418);

72. „ასე მასლაათით მიდიოდნენ მეგობრები ტყე-ტყე“ (ვაჟა, „დიდებული საჩუქარი“, იქვე, 539);

73. „დათვმა უკან-უკან იწყო დახევა“ (ვაჟა, „დათვი“, 609).

თავი მეთერთმეტე

მეოცე საუკუნის პროზა და რედუპლიკაციური ფორმები

§ 90. რედუპლიკაციური ფორმები კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში

დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია თავის ნაწარმოებებში აშუქებს როგორც გასული საუკუნეების საქართველოს ისტორიას, ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ასევე მეოცე საუკუნის ცხოვრებასაც; გარდა ამისა, მწერალი ეხება სამამულო ომის თემებს, როგორ იბრძოდა ქართველი ხალხი ფაშიზმის წინააღმდეგ. კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში ასახულია რედუპლიკაციურ ფორმათა ნაირსახეობა. ის ფორმები, რომლებიც დაამკვიდრეს მეცხრამეტე საუკუნის მწერლებმა, თუმცა ისინი საკმაოდ მოცემულია ძველი ქართულის საერო და სასულიერო ხასიათის თხზულებებში - „ვეფხისტყაოსანში“, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების ლიტერატურულ ნაშრომებში, მაგრამ მეოცე საუკუნეში რედუპლიკაციური ფორმები უფრო დაზუსტდა, ორთოგრაფიულად უფრო დაიხვეწა და თანაც აღიკვეთა პარალელური ფორმები, გაჩნდა კიდეც ახალი წარმონაქმნები. ყოველივე ეს ნათლად ჩანს კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებში. მოვიყვანოთ მაგალითები ნაწარმოებებიდან „მთვარის მოტაცება“ და „ვაზის ყვავილობა“,

რომელთა საფუძველზე მოვახდენთ შედარებას ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის რედუპლიკაციურ ფორმებთან. ძირითადად გავაშუქებთ მარცვალთა და სიტყვათა რედუპლიკაციებს, კონტრასტულ და კვაზი-რედუპლიკაციებს, რომლებიც ქმნიან ერთიან სიტყვას. რაც შეეხება იმ სიტყვათა და სიტყვათა შეხამებების რედუპლიკა-ციებს, რომლებიც იწერება ცალ-ცალკე, ეს დამოკიდებულია ნაწარმოების თემასთან და თვით მწერლის ბუნებასთან, როგორ და რომელ სიტყვებს იყენებენ მხატვრული სიტყვის ოსტატები ამ ხერხის დროს. ამიტომ აქ შედარებას აზრი არ ექნება, რისთვისაც აღნიშნულ ხერხს არ გავაშუქებთ. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

1. „არ მახსოვს, მერე რა, რომ არ მახსოვს!" („მთვარის მოტა-ცება", კარი მეორე, 44);

2. „ჰო, მაროკოს მივალ, მაროკოს" (იქვე, 64);

3. „ქალი და ვაჟი, ქალი და ვაჟი..." (იქვე, 74);

4. „წიგნები, | წიგნები, | წიგნები" (იქვე, 300);

5. „ხომ გახსოვს, დედი,.." (სამჯერ ხდება ტექსტში გამეორება, იქვე, 322);

6. „ვო, კაც, ვო" (ტექსტში ორჯერ მეორდება, იქვე, 338)

7. „ისევ ვიარე, | ვიარე, | ვიარე" („მთვარის მოტაცება", მესამე კარი, იქვე, 86) და სხვ. სხვა მწერალს სრულიად სხვა სიტყვათა შეხამებები და წინადადებები აქვს გამოყენებული. ამიტომ შედარების შუქზე აქ განხილვა და ანალიზი ვერ ხერხდება.

§ 91. მარცვალთა რედუპლიკაციის მაგალითები:

1. „ქაოსს გაეხსნა ვეშაპის ხახა და ურჩხულების ბობოქარის ლეგიონები მოლაშლაშებდნენ მორეკილნი წყალთ უდაბნოდან" („მთვარის მოტაცება", კარი მეორე, 6);

2. „ეს ფიქრები ისე ზიმზიმებდნენ მის გულში, როგორც ბუდედამდუღრებული კრაზანები" (იქვე, 7);

3. „თათიაც ადგებოდა და მეზობლისას წაყვებოდა რუსის გოგოს - დაშას...“ (იქვე, 8);

4. „იქ დაგოგავდნენ ქათმები, კაკანებდნენ, ქაქანებდნენ... ხორხოცობდა წითელი მამალი...“ (იქვე, 13);

5. „მუხლები აუკანკალდა“ (იქვე, 15);

6. „... ალვის ხეზე მოფარფატე შოშიას დაუწყო ცქერა“ (იქვე, 17);

7. „ან რა ჭკვიანი, ჯიშიანი თავი აქვს. ლაპლაპა თვალები!“ (იქვე, 27);

8. „უცახცახებდა, უთოკავდა მთელი სხეული“ (იქვე, 37);

9. „ვიღაც მაღალი, ახმახი კაცი ხარხარებდა, და ეს ხარხარი ისეთი დიდი გახარების ნიშანი იყო, რომ იგი უნებლიედ აღიზიანებდა გულშემოყრილ არზაყანს“ (იქვე, 41);

10. „ქარხნები ჯერაც მუშაობენ, ელენერგია მათ ვეღარ სწვდებაო, - ლუღლუღებდა მსახური“ (იქვე, 42);

11. „დაბალი, დაბალი ხმით ღიღინებდა ბერიკაცი“ (იქვე, 43);

12. „თათია გაოცებული ყურს უგდებდა ბზუალას ღულუნს“ (იქვე, 59);

13. „ექსტაზმორეული თათია ხითხითს ასტეხდა“ (იქვე, 59);

14. „ჰოლოლო! ეს კარგი ამბავია, ძლიერ კარგი!“ (იქვე, 70);

15, „ახლა წყვილად მოფარფატე გვრიტები სტოვებდნენ მწვანე ბჟოლების მომწვანო ქოლგებს და ლიცლიცით მიაშურებ-დნენ მარტოხელად გამდგარ მუხებს“ (იქვე, 119);

16. „ტყვია წივოდა, ზუზუნებდა ირგვლივ“ (იქვე, 139);

17. „ცეცხლი აგუზგუზდა და გაანათა ხულა“ (იქვე, 162);

18. „მეთოლიები ყიპყიპით დასტრიალებდნენ პორტს“ (იქ-ვე, 176);

19. „ეტლი ლაყლაყებდა... კაროლინა იცინოდა...“ (იქვე, 182);

20. „ევკალიპტი... ქონის ხე... ქინაქინა... ქინაქინა“... (იქვე, 182);

21. „ლოყაზე მოუცაცუნა ხელი“ (იქვე, 197);

22. „კაშკაშებენ ვიტრინების მინები და ავტოს სიგნალიც ისე ამაოდ მოგესმის, როგორც უეცრად დამფრთხალი შაშვის ჭახჭახი ტყეში“ (იქვე, 204);

23. „... შენს გარეშეა ეს უხანო ფუსფუსი...“ (იქვე, 204);

24. „... თვალებით შესცქერი ამ ქოთქოთს,...“ (იქვე, 204);

25. „და როგორც ოკეანის დიდი გემები ბუბუნით, რახრახით, ზუზუნით შემოვლენ პორტში,...“ (იქვე, 210);

26. „მოეწონა მისი მკრივი ძუძუები და შინდისდარი კერტები ძუძუსი“ (იქვე, 232);

27. „ან ვინ გაგაჭაჭანებს ახლა ინსტიტუტში თავადის გვარით, თუ მამაშენს რაიმე დამსახურება არ მიუძღვის რევოლუციის წინააღმდეგ“ (იქვე, 235);

28. „ხერიპსის საოპერაციო ოთახიდან სააბორტე ქალების კივილი და ვიშვიში“ (იქვე, 236);

29. „... თხის კიკინიძილს უფრთხობდა ავადმყოფს“ (იქვე, 241);

30. „საწოლებზე ახლად შობილნი ქოთქოთებდნენ, ...“ (იქვე, 254);

31. „ახლადმოგებულ ლეკვებსავით წკავწკავებდნენ და ჭუტავდნენ უწამწამო თვალებს“ (იქვე, 254);

32. „საოცრად აფახურებდა გრძელსა და შავ წამწამებს“ (იქვე, 257);

33. „დგანდგარით (ხმაურით, - ავტ.) მოდიოდა ფარა, ავსებდა მოედნებს და ქუჩებს“ (იქვე, 262);

34. „ისმოდა მწყემსების ქოთქოთი და კუდბუთქა ნაგაზების ღრენა“ (იქვე, 262);

35. „მიჩაქჩაქებდნენ ნახშირით დატვირთული ვირები ირაკლის ხიდზე, ...“ (იქვე, 263);

36. „შესცქეროდა ელნათურების ღაჟღაჟა შიკრიკი“ (იქვე, 263);

37. „აქლემზე წამომჯდარ ვითომდაც ყეენს წოწოლოკა, ქაღალდის ჩაჩი ახურავს თავზე,...“ (იქვე, 265);

38. „ლოყაზე უცაცუნებდნენ ხელს, მზეს იფიცავდნენ“ (იქვე, 272);

39. „ეს ყვავილები ისე ხასხასებდნენ, თითქოს თოვლზე დაუყრიათო ახლად მოწყვეტილი ვარდები“ (იქვე, 284);

40. „ყოველ მეორე დღეს ამოფამფალდებოდა ბედშავი, გიკითხავდა და გაბრუნდებოდა“ (იქვე, 321);

41. „მეორე ჭიქის შემდეგ ლუკაია უკვე საკმაოდ შეჭიკჭიკებული იყო“ (იქვე, 324);

42. „პატარა ჯამუ მოცუნცულდა“ (იქვე, 333);

43. „ერთი ბუტბუტებს, დანარჩენები ამინს „სწირავენ“ (იქვე, 333);

44. „მისტერ ემერი ფრიად მოექანცა ჯორის ბილიკებზე ცხენით ჩაქჩაქს, ...“ („მთვარის მოტაცება“, კარი მესამე, იქვე, 4);

45. „ზანზარებდნენ მთები“ (იქვე, 19);

46. „იგი ხან ჩიტის ჭიკჭიკსავით მოსწრაფებულია, ხანაც რუსავით მოლიკლიკე,...“ (24-25);

47. „დაეცა დაკოდილი არწივი, წითელი სისხლი წამოწანწკარდა და სვანურ ყველსავით დაჩვლეტილ თეთრ ქვაზე“ (იქვე, 25);

48. „...ორას ვოლტიანი ლამპა ღაჟღაჟებდა ზედ“ (იქვე, 26);

49. „რაზმ-რაზმად, წყვილწყვილად (წყვილ-წყვილად, - ავტ.) აწვებოდნენ ურთიერთს მხარგრძელნი“ იქვე, 26);

50. „ენგურის ღრიალი ისმოდა მათი ხორხებიდან, ... ხან ღვაშ ჯიხვების რქების ჯახუნი, ხანაც ჩალეწილი ფლატეების როხრობი“ (იქვე, 27);

51. „კამკამებდა მოცეკვავეთა თვალებში ხასხასა შუქი“ (იქვე, 27);

52. „არზაყანი მოიხმო, რაღაც უჩურჩულა“ (იქვე, 30);

53. „ისევ დადუმდა ტყე და გვესმის თუ როგორ ეცემა ფიჭვის კოკოლი გატრუნულ მიწაზე“ (იქვე, 33);

54. „მე და ემხვარ ვეხუტებით მძინარე მიწას და გვესმის, თუ როგორ ყივის სადღაც შორეთში მამალი ხოხობი“ (იქვე, 34);

55. „ხითხითებს არზაყან და განაგრძობს ფხანას“ (იქვე, 46);

56. „თემურის დედა გურანდუხტი ჭვიშტარებს გვიცხობს, საურ წრიაპებს უკირკიტებს, ოსმანს მუჯრები მოჰყავს წესრიგში“ (იქვე, 50);

57. „მეზობლის დედაკაცი გარდაცვლილა, თემური თითით მიჩვენებს“ (იქვე, 51);

58. „... ჩქარი ძუნძულით ისე გავიპარენით სოფლიდან, ხორციელი არ შეგვხვედრია“ (იქვე, 52);

59. „... დეკას ბარდებიდან როჭოების კრიახი ისმის, ხანაც ღრუბელებმიწეული ქორების ყივყივი“ (იქვე, 52);

60. „თეთრად მოვარვარე ღრუბლების გემებიდან მათ ვერც კი ამჩნევდა თვალი“ (იქვე, 56-57);

61. „თემური ხან იჭმუხნება, როხროხობს გახარებული,...“ (იქვე, 59);

62. „იმ ხევს გავივლით, იმ წოწოლა მთას შემოვუვლით,...“ (იქვე, 59);

63. „თავს დამქათქათებს მარტოდ დარჩენილს ოქროს ღილებით მოოჭვილი ცა“ (იქვე, 89);

64. „გულარხეინად იცინოდა დედაკაცის წუწუნის გამგონე“ (იქვე, 106);

65 „ნუ გეშინია, ნუ გეშინია, დედიჯან, - ხითხითებს ლიჩელი, - განა ასეთები მოგვილევია“ (იქვე, 107);

66. „ორი შავფრთიანი პეპელა დაფარფატებსო გოგონას თვალების უპეებზე“ (იქვე, 120);

67. „ინანა ძაბულის ოქუმში გადასვლა“ (იქვე, 128);

68. „... წამოაყენებდა ზეზე გასრესილ, ნაგვიანებ ყვავილებს“ (იქვე, 132);

69. „ჩიფჩიფი და ჩურჩული ისმოდა მხოლოდ“ (იქვე, 133);

70. „... როგორც კი გაინძრეოდა, მყისვე აჭრაჭუნდებოდა ტყავის სავარძელი“ (იქვე, 137);

71. „ათუხთუხდა ხუცესი“ (იქვე, 137);

72. „სიტყვა დეპრესია, ძაძად იქცაო თითქოს, ზედ გადაეფოფრა ბაბუა ტარიელის აფორიაქებულ გონებას“ (იქვე, 138);

73. „ვიხოხიალეთ ამ ჭიუხებში, რამდენჯერ სიკვდილს გადამარჩინა თემურმა,...“ (იქვე, 140);

74. „მცივა. კბილები მიკაწკაწებს“ (იქვე, 141);

75. „ანთია ქვაბში შვიდი ლაპლაპა კვარი,...“ (იქვე, 143);

76. „ძევს ჩემს წინაშე მყინვარების ზრქელი სითეთრე, სითეთრე ცივი და ვასვასა სიცალიერე“ (იქვე, 144);

77. „გველისებურ დაკლაკნილა ეს სატევარი და ქარქაშს მისას გველის პერანგში აქვს გადაკრული, ...“ (იქვე, 147);

78. „ზღვას გაქცევიხარ და ტბორებში ყურყუმალობ,...“ (იქვე, 148);

79. „...ორივე ხელი დაუყრდნია მოხუცს მიწაზე და ისე ყანყალებს, თითქოს ლოცულობსო ცეცხლის წინაშე“ (იქვე, 149);

80. „... არზაყანის თაფლისფერი თვალები ელავენ თოვლის კეწკეწა ფონზე“ (იქვე, 154);

81. „ყომრალი ფერები ღაჟღაჟებენ ცისკრის ღაწვებზე დილა-საღამოს“ (იქვე, 173);

82. „... კისერი ცისკენ გაიშვირა და თავი გაასავსავა,...“ (იქვე, 174);

83. „ნერგების ყლორტები შეწითლებულიყვნენ, კუკურები-დან ამოსკდომას ლამობდა მწვანე“ (იქვე, 187);

84. „ისე მიჩვეული ვიყავი მის წიწკინს, მყისვე გამომეღვიძა“ (იქვე, 188);

85. „არზაყანი გაჯანჯლდა...“ (იქვე, 191);

86. „ამბობდა საური, თავათაც შეჭიკჭიკებულიყო საური“ (იქვე, 193);

87. „ეძიძგილავება, ეალერსება ქალწულებს“ (იქვე, 194);

88. „მიწას დასჩერებოდა გურანდუხტ, აცმაცუნებდა ნაზამ-თრალ უნაბსავით დამჭკნარ ტუჩებს, ...“ (იქვე, 205);

89. „იმან მე მესროლა, შე ტუტუცო“ (იქვე, 214);

90. „მამა ჩერქეზეთს გადავიდოდა ცოტა ხნით“ (იქვე, 215);

91. „არზაყანიც წამოატივტივა სისხლმა“ (იქვე, 223);

92. „გამოხტა საათიდან ავტომატური გუგული შვიდჯერ შემოსძახა: „გუგუ“ (იქვე, 265);

93. „არაყი დალია, ბუხრის წინ დაცუცქული ცირუნია ცეცხლს უბერავდა, ნაფოტებს ბუხარში ჰყრიდა“ (იქვე, 274);

94. „თარაშმა კიდევ დალია არაყი და ბურბუშელაზე მოდებულ ალის პარპაშს მიაშტერდა“ (იქვე, 274);

95. „მერმე დიდხანს ესმოდა თამარს წყლის ჩუხჩუხი და ეს ხმა ისე გაძლიერებულად ესმოდა, თითქოს დიზელის მოტორი გიზგიზებსო“ (იქვე, 281);

96. „ვინ მოიგონა ასეთი ბარბაროსული სიტყვები, ცხელი და მწველი,...“ (იქვე, 288);

97. „ბაყაყებს, ჯოჯოებს და გველებს დარჩენიაო თითქოს ჭაობი მუდმივ საუფლოდ“ (იქვე, 305);

98. „პაპა მიქელამ ხელები წაიშინა თავში და ისევ დაბრმავდა ბედშავი“ (გამსახურდია, 1978 : 17);

99. „არა მარტო ყოველივე ამით, ხასიათის ზოგიერთი გამოვლინებითაც ჰგავდნენ გოდერძი და ნუნუ ურთიერთს“ (იქვე, „ვაზის ყვავილობა“, 18);

100. „კორინთელს სიყრმიდანვე სძაგდა ლოყებღაჟღაჟა, მუდამ ნასმურევი რევაზი და მისი ფაშფაშა მეუღლე თამარი,...“ (იქვე, 43);

101. „ნიორთავას ეუცნაურა ეს სახელი და ბარე სამჯერ ჩაიდუდუნა...“ (იქვე, 103);

102. „კარგა ხანს დასუნსულებდა იატაკზე ცხვირჩარგული ძაღლი ...“ (იქვე, 164);

103. „ნაფხვენები ეხებოდნენ მანქანის ფრთებს და ამის გამო ისეთი მონოტონური წიკწიკი ისმოდა, თითქოს უწვრილესი ძეწკვები და ზანზალაკები შეუსხამთო მისთვის“ (იქვე, 167);

104. „...გადამხმარ შტოებში კაჭკაჭის ბუდეებსავით შეყუჟულიყვნენ ფითრის ბუჩქები“ (იქვე, 173);

105. „... სამი თაობის სიცოცხლის მანძილზე მედავითნედ იყვნენ ვახტანგის პაპა, ამ უკანასკნელის მამა, და შორეული პაპის პაპა - კიმოთე, ...“ იქვე, 173);

106. „... აფხორილი წიწილები შრამელის კარის ალაგს აწყდებოდნენ, საცოდავად წივწივებდნენ, აფორიაქებული კრუხი აქეთ-იქით ეხეთქებოდა“ (იქვე, 213);

107. „გოდერძიმ იცნო ნუნუს მამისეული, მტვერისფერი ფაფახი და ტყაპუჭი“ (იქვე, 214);

108. „ეს კაცი მის თვალწინ დალასლასებდა სოფელში, როგორც მუდამ გამომთვრალი უქნარა“ (იქვე, 214);

109. „ამ ფიქალზე იწვა გემის ბაგირივით დაგრაგნილი მაისის გველი, გედის კისერივით ამაყად მზისკენ აეშვირა თავი, ასავსავებდა ციმციმა თვალებს“ (იქვე, 232);

110. „ბოლოს თავისი მშვენიერი დრუნჩით მიწაზე დამხობილი ცხოველი ნაციებსავით შეძაგძაგდა...“ (იქვე, 234);

111. „... გოდერძიმ აიცდინა სილა და ხელუკუღმა ლეწა ისე ძლიერად, რომ კანკრე დაბარბაცდა და ცალი მუხლი დაჰკრა მიწაზე“ (იქვე, 234-235);

112. „ამ ბობღია, თავმოტვლეპილსა და კისერმოკლე მუზმუზელას სუსქიასთვის შემოეხვია ცალი ხელი წელზე, მაგრად იხუტებდა ტანზე მის მოხდენილ, ოდნავ ფაშფაშა სხეულს“ (იქვე, 243);

113. „გაწითლებულ თვალის თეთრონებს უბრიალებდა მის სახეს და ენერგიულად ეჩიჩინებოდა რაღაცას“ (იქვე, 243);

114. „... მერე ისევ შეიმართებოდა გემი და ერთხანს რიტმული ქუსქუსით, ქნეშითა და ბუბუნით გაჰქანდებოდა წინ“ (იქვე, 263);

115. „ძია ნიკო არ მოელოდა ამას. უცნაურად ათუხთუხდა“ (იქვე, 271);

116. „აბრია განაგრძობდა დუდღუნს“ („ვაზის ყვავილობა“, იქვე, 305);

117. „მიბაჯბაჯებდა დარაჯი ნახევრად ბნელში, „ (იქვე, 352);

118. „მერე მოეჩვენა, თითქოს მთელი სხეული დაერღვა, აკაპკაპებდა კბილებს“ (იქვე, 354);

119. „სავსებით თოთო ბალღი დარჩენილა ბედშავი მამაჩემი რევაზ ვაჩნაძის ოჯახში“ (იქვე, 358);

120. „... ყოველი ჩერჩეტი ადვილად გაართმევს მას თავს, ...“ (იქვე, 372);

121. „ყოველ ინსტრუქტორს შესციცინებდა თვალებში, კახპა ქალივით ეკეკლუცებოდა ყოველ ხელმძღვანელს, ...“ (იქვე, 373-374);

122. „როცა კარგ სანადირო ადგილს უახლოვდები, კაჭკაჭები, კირკიტები და ჩხიკვები დაფარფატებენ ჰაერში“ (იქვე, 377);

123. „ოთახში საამურად გუგუნებდა თუნუქის ღუმელი“ (იქვე, 383);

124. „ელნათურები ოდნავ ბჟუტავდნენ, უსუსურ სინათლეს ჰფენდნენ ხარაჩოებიან ახალ ნაგებობებს...“ („ვაზის ყვავილობა“, იქვე, 417);

125. „მართლაც შემოგორდა გაზიზინებული ფრაუ ბერტა, ...“ (იქვე, 573);

126. „პრიალა პენსნეს გადაღმა აპარპალებდა მწითურ წამწამებს,...“ (იქვე, 582).

§ 92. შერწყმულად ხმარებულ სიტყვათა რედუპლიკაციები

ამ ჯგუფში თავსდება „და“ კავშირით შეერთებული სიტყვათა რედუპლიკაციები და ისეთებიც, რომელთა რედუპლიკაციის პირველი ნაწილი მიერთებულია მეორესთან ბრუნვათა სხვადასხვა ფორმით:

1. „... სავსებით მარტოდმარტო უნდა დარჩენილიყო ბაბუა ტარიელ ამხელა სახლში“ („მთვარის მოტაცება“, კარი მეორე, 8);

2. „არაბია გზადაგზა ოჩნობდა“ (იქვე, 149);

3. „თარაშ ემხვარმა სიტყვასიტყვით გადაუთარგმნა კაროლინას ეს ყოველივე“ (იქვე, 200);

4. „სამი წლის განმავლობაში არ ენახათ ერთმანეთი კლასის ამხანაგებს“ (იქვე, 228);

5. „თბილისი დიდი ქალაქების წრეში შედის ნელინელ“ (იქვე, 231);

6. „... ლიწინლიწინი გაჰქონდათ ფიჭვებს, აკაციებს და ალვებს“ (იქვე, 240);

7. „ხანდახან შეპარვით უჭვრეტდა მაჯის საათს...“ (იქვე, 274);

8. „ახალთახალი იყვნენ ეს კაბები, მაინც ეტყობოდა ზედ“ (იქვე, 285);

9. „ხოლო მთა პირდაპირ მაცოფებს“ („მთვარის მოტაცება“, კარი მესამე, იქვე, 20);

10. „ბანაკების შუაგულში ერთადერთი სვეტი იდგა,...“ (იქვე, 26);

11. „კაც ზვამბაია კვალდაკვალ მისდევდა თემურს, ...“ (იქვე, 53);

12. „დევის ქვაბი ძველთაძველი გამოქვაბულია 3560 მეტრის სიმაღლეზე“ (იქვე, 53);

13. „... ისინი ისე მშვენიერი გახდნენ, თითქოს ხელახლა შეუქმნიაო ყოვლისა გამჩენს“ (იქვე, 56);

14. „... არც ფანქრით წერაა მაინცდამაინც კარგი ტონის ნიშანი,...“ (იქვე, 82);

15. „ვხედავ, რაღაც მოდის ჩემსკენ ... გულდაგულ ჩემსკენ“ (იქვე, 86);

16. „არზაყანი აქ მახვშის შვილისშვილს - კომკავშირელ საურს დაუმეგობრდა“ (იქვე, 89);

17. „... ქელეხი გადაუხადეს შვილებმა, შვილისშვილებმა და შვილისშვილის შვილებმა,...“(იქვე, 207);

18. „მთელი დღე სხვადასხვა მიმართულებით გადაიკარგე-ბოდნენ,...“ (იქვე, 208-209);

19. „... ყოველდღე მოაქვს ლუკაიას იაიას წყალი“ (იქვე, 247);

20. „შეუტია ცხენდაცხენ თარაშ ემხვარმა აზღვავებულ სტიქიონს“ (იქვე, 318);

21. „სოფელსა და ალაზანს შორის დიდ მანძილზე თანდათან ვაკდებოდა ძეძვითა და კატაბარდით შემოსილი

მწირი ნიადაგი, ნიაღვრებითა და ხევებით დახრამული“ (გამსახურდია, 1978 : 11);

22. „არც თუ გოდერძი ყოფილა მაინცდამაინც ბედისაგან განებივრებული“ („ვაზის ყვავილობა“, იქვე, 16);

23. „მოვიდნენ და ბერმუხის ქვეშ დასხდნენ აბრია უჯირაული და მისი შვიდი შვილიშვილი“ (იქვე, 17-18);

24. „ტალანში უამრავი ჩემოდანი ელაგა ურთიერთზე დაყრილი,...“ (იქვე, 72);

25. „სათოფურიდან მოთვალთვალემ ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, თითქოს კისერს გადაღმელი ნაწილი უკანა მხრიდან ზეწამოიწია და დააწვა ირმის მოგრეხილ თავკისერს“ (იქვე, 234);

26. „... საბაბი მე თქვენთვის არამცდაარამც არ მომიცია“ (იქვე, 244);

27. „სუფრა შუაში გაიყო თითქმის, მაგიდის საპირისპირო მხარეს დაბალი, დაბალი ხმით საუბრობდნენ თეკლა და სუსქია“ (იქვე, 272);

28. „თავისთავად იგულისხმებოდა, რომ კორინთელი, როგორც განსწავლული აგრონომი და ნიადაგმცოდნე, სათანადოდ შეისწავლიდა ამ საკითხს“ (იქვე, 318);

29. „სახელდახელოდ თათბირი რა მოათავეს, ციხისთავი სტუმრებს წინ წაუძღვა, ...“ (იქვე, 320);

30. „რუს თანამოძმეებთან ერთად მხარდამხარ. განა მარტო დაღესტანში?“ (იქვე, 445).

§ 93. დეფისით შეერთებული რედუპლიკაციები

ამ ჯგუფში არ იგულისხმება კონტრასტული რედუპლიკაციები, რომლებიც ასევე იწერება დეფისით, არამედ აქ ერთიანდება ისეთი რედუპლიკაციები, როცა შერწყმა ხდება ერთი და იმავე სიტყვისა სხვადასხვა ხერხით - ფუძის სახით, „და“ კავშირით, სხვადასხვა ბრუნვის ნიშნით და ა. შ. ამავე ჯგუფში ვაერთიანებთ რიცხვითი სახელით წარმოებულ

რედუპლიკაციებს, რომლებიც ასევე იწერება დეფისით. მაგალითები:

1. „ერთ-ერთი ხანგრძლივად ღმუოდა“ („მთვარის მოტაცება“, კარი მეორე, 38);

2. „ის-ის იყო, ჩემი ბინისაკენ მიდიოდა“ (იქვე, 68);

3. „ტყე ალაგ-ალაგ გაეჩეხათ...“ (იქვე, 119);

4. „ნელა-ნელა სველდებოდა ტანისამოსი“ (იქვე, 178);

5. „და ასე კითხვა-კითხვით მომკვდარა თავადი ორბელიანი“ (იქვე, 221);

6. „მაგრამ ზოგ-ზოგი მამაკაცი კიბოსა ჰგავს“ (იქვე, 234);

7. „... ცალ-ცალკე მიიწევდნენ ოჩანი ხარივით“ (იქვე, 269);

8. „ღვინოს იპარავდნენ, თანაც იცინოდნენ ჩუმ-ჩუმად“ (იქვე, 272);

9. „თორმეტი მალანური ექვს-ექვსად გაიყო და ორივე მხარე ჭოლოკოს დაეჭიდა აქეთ-იქიდან“ (იქვე, 336);

10. „ვთქვათ, კაცს არაფერი უსწავლია და მოძღვართ-მოძღვარის მანტიით დაბრძანდება“ („მთვარის მოტაცება“, კარი მესამე, იქვე, 5);

11. „ოჰ, ეს დიდზე-დიდი ძრწოლაა...“ (იქვე, 7);

12. „... ხშირ-ხშირად ისროდნენ ლაღუმს“ (იქვე, 19);

13. „ძერასფერი, ქორედ-ქორედი მთებიც გამოჩნდნენ, გოტიურ ტაძრებსავით ცაში აშვერილნი“ („მთვარის მოტაცება“, კარი მესამე, იქვე, 23);

14. „... ისევ გაისმის ლაღუმების გრიალ-გრიალი“ (იქვე, 24);

15. „დედაკაცებმა და ჩოხააკეცილმა ვაჟებმა ცხელ-ცხელი ჭვიშტარები და თხის ხორცი მოგვართვეს“ (იქვე, 44);

16. „ასე დაუბრეგულნი მივიპარებით ღრანტიან ბილიკებზე, ტყე და ტყე, მინდორ-მინდორ, ველ და ველ“ (იქვე, 52);

17. „იმ საღამოს სამნი წავედით როჭოზე სანადიროდ, სამ-სამი როჭო მოვკალით“ (იქვე, 55);

18. „მეორე დღეს ნასამხრალამდის ვიარეთ ხევ-ხევ,...“ (იქვე, 58);

19. „სამი ძმა გაზარდა, სამი და გაათხოვა, სულ მაცა-მაცაო, იძახის, ნანასქუა“ (იქვე, 105);

20. „... ხეების ლიწინ-ლიწინი სმენას უხშობდა მზვერავებს“ (იქვე, 172);

21. „... მხოლოდ იქ, სადაც მთა-მთას ეყრებოდა, ზედ ტაფობის თავზე ღაჟღაჟებდა ცისკარი“ (იქვე, 197);

22. „ისევ გაისმა გრიალ-გრიალი, ...“ (იქვე, 198);

23. „... ნაწყვეტ-ნაწყვეტად აგონდება წარსული თამარს“ (იქვე, 242);

24. „მაგრამ თუ ეშვები გინახეს, თუ მგლის ჭანგები აღმოგიჩინეს, მერმე კუთხე-კუთხე ჩურჩულს მოყვებიან“ (იქვე, 254);

25. „სტუმარი შინდის ყავარჯენს ეყრდნობოდა, სვენებ-სვენებით მიყვებოდა განიერ საფეხურებს ბოტანიკური სასახლის კიბისას“ (იქვე, 259);

26. „მერმე აიყოლიებენო ძაღლებს, დადიან ტყე და ტყე, სოფელ-სოფელ, ხარკს ჰკრეფენ,...“ (იქვე, 275);

27. „... სვენებ-სვენებით მიბობღავდა ხანძარი ავრეხითა და ღიჭით დაბურული ხეების წვეროკინებისაკენ“ (გამსახურდია, 1978 : 64);

28. „... გოდერძის ყურადღება მიიქცია პრიალა ტყავის ჩემოდნებმა, მათზე მიკრულმა სასტუმროების ფერად-ფერადმა ეტიკეტებმა და უცხოური საბაჟოების დამღებმა“ („ვაზის ყვავილობა“იქვე, 72);

29. „იქვე ეკიდნენ გენერლისეული ჯიხვის ყანწები, ხოლო მათ ქვემოთ ნაირ-ნაირი ჭინჭილები და აზარფეშები,...“ (იქვე, 73);

30. „ტრამვაების რიხინ-რიხინისა და ავტოების საყვირის ნაცვლად მამლის ყივილი და ძაღლის ყეფა მესმოდეს-მეთქი“ (იქვე, 80);

31. „ხანდახან წვრილმანსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, უქნარა ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს ადვილად ამოეფარება ხოლმე“ (იქვე, 101);

32. „მხნე ნაბიჯებით მიდიოდა კორინთელი აღმართ-აღმართ,...“ (იქვე, 259);

33. „ჯერ თავის ძმას ლუოს გაუარა, რათა მაგარ-მაგარი საყვედურები ეთქვა მისთვის“ (იქვე, 309);

34. „ამ ქვეყნებიდან დიდ-დიდნი იქნებიან წამოსულნი და როგორმე დამაჭერინეო ისინი“ (იქვე, 367);

35. „მაშ ვიღაც-ვიღაცებს მაინც კითხულობ, არა?“(იქვე, 373);

36. „დანარჩენმა სერჟანტებმა კუთხიდან გამოიტანეს რადიომიმღები ... ავტომატები და დუმ-დუმ ტყვიები“ (იქვე, 524);

37. „ახლაც მძიმ-მძიმედ ლაპარაკობდა გოდერძი, ყბებზე კუნთები უკანკალებდა,...“ (იქვე, 636).

§ 94. კონტრასტული რედუპლიკაციები

მაგალითები:

1. „დაშას „პურის“, „წყლისა“ და „მოდი-წადის“ მეტი არაფერი გაეგებოდა“ („მთვარის მოტაცება“, კარი მეორე, 9);

2. „საერთოდ, თარაშის ჩამოსვლამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ...“ (იქვე, 331);

3. „ლიჩელიმ მიიხედ-მოიხედა, ვეღარც მეურმე ნახა და ვეღარც ურემი“ („მთვარის მოტაცება“, კარი მესამე, იქვე, 103);

4. „გაღმა-გამოღმა მთა იყო, ...“ (იქვე, 167);

5. „ადგა. გაიარ-გამოიარა ქვაბში“ (იქვე, 210);

6. „ზოგი მათგანი გველეშაპს ჰგავდა მიღრეცილ-მოღრეცილად მიწის პირზე გართხმული“ (გამსახურდია, 1978 : 12);

7. „კორინთელმა ახედ-დახედა გზის გაყოლებით მდგარ ვერხვებს“ („ვაზის ყვავილობა“, იქვე, 42);

8. „შენ ეს იკითხე, ზამთარში ამ აღმართზე ასვლა-ჩამოსვლა, რამდენჯერ წავქცეულვარ აქ, ამ ადგილას“ (იქვე, 257);

9. „ყოველივე ჯერ თავათ უნდა ასწონ-დასწონო და განსაჯო“ (იქვე, 285);

10. „ქეთუა და მისი ამყოლ-დამყოლნი აგრე ვარაუდობდნენ“ (იქვე, 380);

11. „საბანწამოსხმული ტყვეები ლანდებივით დაღოღავდნენ აქა-იქ“ (იქვე, 568);

12. „დიდხანს იარა „ყორანმა“ მიხვეულ-მოხვეულ შუკებში და ბოლოს მაღალი, შავი ჭიშკარი გააღო ჭაღარა ჟანდარმმა“ (იქვე, 588).

§ 95. კვაზი-რედუპლიკაციები

მაგალითები:

1. „გაუსაპნავი ურმების ჭრიალი მოისმა კანტიკუნტად“ („მთვარის მოტაცება“, კარი მეორე, თბილისი, 212, იქვე, 57);

2. „უღიმღამოდ ილეოდა უმთვარო ღამე“ (იქვე, 58);

3. „პაწია, ბუხუნა ჭიამაია თათიას შემოაჯდა მხარზე“ (იქვე, 60);

4. „თათია ცახცახებდა წამდაუწუმ“ (იქვე, 180);

5. „ეტლი რახრახით მიდიოდა ოღროჩოღრო ქვაფენილზე...“ (იქვე, 183);

6. „ფერადები სიხალისით სავსეა და ხმები - კისკასა სიცოცხლით“ (იქვე, 204);

7. „უპასუხა მედუქნემ სხაპასხუპით“ (იქვე, 264);

8. „ყარყუმის თეთრი მოსასხამი აცვია, ანნას ორდენი ჰკიდია მკერდზე“ (იქვე, 267);

9. „წარამარა ეკითხებოდა თარაშს მათ სადაურობას და წარმოშვების თარიღს“ (იქვე, 274);

10. „საერთოდ ლილიპუტებს აგონდება იგი თარაშს, ევროპის ცირკებისა და სასტუმროების დერეფნებში მოფუსფუსეთ“ (იქვე, 325);

11. „ახალუხები შარვალში ჩატანებული ჰქონდათ, თავზე წითელი ჩაბალახები ეხურათ, ფეხზე უძიროები ეცვათ“ (იქვე, 330);

12. „მკერდდამშვენებული ლუკაია წინ მიუძღოდა ხალხს და „ოისა-გაისას“ ძახილით სამჯერ შემოუარეს ეკლესიას“ (იქვე, 335);

13. „... მხოლოდ აქა-იქ ჭიუხების წყნარ უბეებში დარჩენილია გაფითრებული ალპიური ბალახბულახი“ (იქვე, 58);

14. „... ზღარბი შარიშურობდა ღამე გამხმარ ფოთლებში,..“ („მთვარის მოტაცება“, კარი მესამე, თბილისი, 212, იქვე, 75);

15. „არ გაუჯავრდეთ, თორემ ცხენებს გააპარებს ღამით და ცარიელ-ტარიელი დარჩებით“ (იქვე, 29);

16. „შევდექ, თვით როჭოც ახლომახლო წივოდა სადღაც“ (იქვე, 86);

17. „ერთი აღმართი მოვათავე უზარმაზარი ლოდებით დახერგილი და გადავაწყდი ვრცელ ტაფობს,...“ (იქვე, 86);

18. „ცა ვარსკვლავებივით მოოჭვილია, მყინვარებს ყარყუმის მანტია ჩაუცვამთ, ...“ (იქვე, 99);

19. „ვიღაც „მამაძაღლი ძაგანიას“ გამო ამდენ აურზაურს რად გადამკიდაო ამ წყეულმა დიაცმა“(იქვე, 127);

20. „ეს მე მჩვევია მხოლოდ მაშინ, როდესაც ვინმეს ვაპამპულებ ან მწარედ ვგესლავ“ (იქვე, 146);

21. „სამი გველი ახატია მას კიდეებზე, სამი ზიგზაგად დაკლაკნილი მაისის გველი“ (იქვე, 147);

22. „ბაიბური არსაიდან ისმოდა“ (იქვე, 316);

23. „პროკურორის ხსენებაზე ელეთმელეთი მოუვიდა ქეთუას“ (გამსახურდია, „ვაზის ყვავილობა“, 1978 : 147);

24. „ძია ნიკო ახლა ქინძით, ძმრითა და პილპილით შეკაზმულ ქათმის კუჭმაჭს აქებდა,...“ (იქვე, 183);

25. „ჩამიჩუმი არ ისმოდა“ (იქვე, 214);

26. „... დგახარ და საკუთარი გულის ბაგაბუგი გესმის“ (იქვე, 233);

27. „გოდერძიმ იცნო ლალბაწა, რომელსაც მთლად ჭრელჭრულა, დაბებკილი ძველმანები ჩაეცვა და ოჩოპინტრეს დამსგავსებოდა“ (იქვე, 236);

28. „... არ მიყვარდა ეს ჩანჩურა მამაკაცები,...“ (იქვე, 242);

29. „ნიორთავა ფაცხაფუცხით მიყვებოდა დაკლაკნილ ბილიკს“ (იქვე, 363);

30. „გულის სიღრმეში ღიმღამობდა ასეთი აზრიც...“ (იქვე, 407);

31. „გარიჟრაჟზე ოპერაციისთვის მზადებას მორჩნენ“ (იქვე, 529).

თავი მეთორმეტე

ენისათვის დამახასიათებელი ზოგადი და სპეციფიკური რედუპლიკაციური ფორმები და ძართული ენის უპირატესობა

§ 96. რედუპლიკაცია როგორც სიტყვათწარმოების ზოგადი და სფეციფიკური მოვლენა

რედუპლიკაციურ ფორმათა ანალიზმა ქართულ ენაში, ერთის მხრივ, და ენათა შედარებებმა ამ თვალსაზრისით, მეორე მხრივ, დაგვარწმუნა, რომ რედუპლიკაცია ენებისათვის სიტყვათ-წარმოების ზოგადი და ამასთანავე უმნიშვნელოვანესი ხერხია. სწორად შენიშნავდა თავის დროზე ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი, რომ რედუპლიკაცია ენაში საყოველთაო რამაა, იგი სიტყვათწარ-მოების ზოგადი მოვლენაა (იხ. წინამდებარე ნაშრომის მე-2 პარაგრაფი).

ენაში არსებული რედუპლიკაციური ფორმები შეიძლება იყოს როგორც ზოგადი, ასევე სპეციფიკურიც. ენათა შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ვერც ერთი ენა ვერ იყენებს რედუპლიკაციის ყველა იმ ხერხს, რომლებიც გამოიყენა ქართულმა ენამ. ამიტომ ქართული ენა რედუპლიკაციურ ფორმათა წარმოებისა და მათი პროდუქტიულობის მიხედვით სხვებზე მდიდარი, დახვეწილი და ნორმირებული ენაა.

ყველა ენაში გვაქვს ბგერათა, მარცვალთა (იხ. პარაგრაფები: 3, 4, 5, 6) და სიტყვათა რედუპლიკაციები (იხ. §§: 7, 8, 9), მაგრამ

მათი წარმოების ხერხი სხვადასხვაა. ინდოევროპულ (ფლექსიურ) ენებში ბგერითი (ხმოვანთა და თანხმოვანთა) რედუპლიკაციები უფრო მეტია, ვიდრე აგლუტინაციურ ენებში (იხ. §, §: 28, 29). აგლუტინაციური ენებისათვის მარცვალთა რედუპლიკაცია უფრო პროდუქტიულია, ვიდრე ფლექსიური ენებისათვის. ქართული ენა, თურქულთან შედარებით, უფრო მოხერხებულად აწარმოებს მარცვალთა რედუპლიკაციებს. ისინი ქართულში მხოლოდ შერწყმულად გადმოიცემა, თურქულში კი - შერწყმულად, დეფისით და ცალ-ცალკე.

მარცვალთა რედუპლიკაციები, მართალია, გვაქვს ინდოევროპულ ენებში, მაგრამ ისინი ძირითადად იწარმოებიან სიტყვის ძირზე აფიქსების დართვით, ე. ი. ვღებულობთ შინაარსით რედუპლიკაციურ ფორმებს, ხოლო ფორმალურად - არარედუპლიკაციურს, რაც ვლინდება თარგმანში. გარდა ამისა, მარცვალთა რედუპლიკაციები ზემოაღნიშნულ ენებში ზოგჯერ იწერება დეფისით (იხ. §, §: 5, 6).

სიტყვათა რედუპლიკაციები ენებისათვის ზოგადი ხერხია. იგი სამი სახითაა ენებში წარმოდგენილი: შერწყმული სახით, დეფისით და ცალ-ცალკე. ქართული ენა ამ მხვრივ გამოირჩევა სხვა ენებისაგან, სადაც ყველაზე მეტი რაოდენობის რედუპლიკაცია გვაქვს შერწყმული სახით (იხ. § 7). თურქულ ენაში საკმაო რაოდენობით გვაქვს შერწყმული რედუპლიკაციები (იხ. § 8), ხოლო ინდოევროპული ენები სიტყვათა რედუპლიკაციებს გადმოსცემენ დეფისით ან ცალ-ცალკე (იხ. § 9).

სხვა ენაში, ქართულთან შედარებით, ძალიან მცირე რაოდენობით გვაქვს კონტრასტული რედუპლიკაციები, სამაგიეროდ, ძალიან ბევრი მოგვეპოვება ყველა ენაში კვაზი-რედუპლიკაციები (იხ. პარაგრაფები: 20, 21, 22, 23), ასე რომ, კონტრასტული და კვაზი-რედუპლიკაციები ენებისათვის ზოგად ხერხად უნდა ჩაითვალოს.

კონტრასტულ რედუპლიკაციურ ფორმათა წარმოქმნა ქართულ ენაში განაპირობა იქითა და აქეთა მიმართულების ზმნისწინების არსებობამ (იქითა მიმართულების: მი-, ა-, და-, ჩა-,

შე-, გა-, გადა-, წა-; აქეთა მიმართულების: მო-, ამო- , ჩამო-, შემო, გამო-, გადმო-, წამო-): ასავალ-დასავალი, მიდი-მოდის, გადააბრუნ-გადმოაბრუნებს, მიხვეულ-მოხვეული და მისთანები. ამგვარი ფორმები სხვა ენაში არ მოგვეპოვება (თუ მოგვეპოვება, - ძალიან ცოტა რაოდენობით, ისიც, მათი კომპონენტები სხვადასხვა ძირისაა, მაგ., შდრ. რუს. выпукло-вогнутый ამოზნექილ-ჩაზნექილი). რუსულ ენაში კონტრასტული რედეუპლიკაციები ხშირად იწარმოება არა საპირისპირო ზმნისწინების მეშვეობით, არამედ უარყოფითი ნაცვალსახელის „არ“ გამოყენებით, მაგალითად: видимо-невидимо (бесчисленное множество) „უამრავი“, „აურაცხელი“; воле-неволей „ძალაუნებურად“; жду не дождусь (ფრაზეოლოგიზმია) „მოუთმენლად ველი“ და სხვა. როგორც ვხედავთ, ქართულ თარგმანში არ ჩანს რედუპლიკაცია. ამიტომ ინდოევროპული ენები იშვიათად აწარმოებენ კონტრასტულ რედუპლიკაციებს. რუსული ენა კი ზოგ შემთხვევაში ქმნის დეფისით შეერთებულ ისეთ რედუპლიკაციებს, რომლებსაც სხვა ენაში ასევე შეესაბამება რედუპლიკაციური ფორმები. მაგალითად: такой-сякой „ასეთი და ისეთი“; там-сям „აქა-იქ“; туда-сюда „აქეთ-იქით“; არსებობს ამ მხრივ ფრაზეოლოგიზმიც: тяп-ляп „ჰაიჰარად“ და სხვა.

სხვა ენები, მათ შორის თურქული ენაც, ვერ აწარმოებენ რიცხვით რედუპლიკაციებს ისე, როგორც ამას ახერხებს ქართული ენა (ორ-ორი, ხუთ-ხუთი და მისთანები). თურქული ენა მეტწილად სუფიქსალური ენაა, ამიტომ იგი სუფიქსების მეშვეობით აწარმოებს ზემოთ აღნიშნულ ქართულ რედუპლიკაციებს (შდრ. ორ-ორი ikişer, ხუთ-ხუთი beşer და სხვ.).

ამგვარად, ისეთი რედუპლიკაციური ფორმები, როგორიცაა: ასავალ-დასავალი, მიხვეულ-მოხვეული, ორ-ორი, ას-ასი, შავ-შავი, ალაგ-ალაგ, შიგადაშიგ და მისთანები, ქართული ენის სპეციფიკური ფორმებია. ასევე სპეციფიკურია ქართულ ენაში „და“ კავშირით შეერთებული რედუპლიკაციები (§ 10), ვნებითი გვარის, ზმნიზედური და სხვ. რედუპლიკაციური ფორმები (§,§:

11, 12, 24, 25). სპეციფიკურია აგლუტინაციურ ენებში კომპოზიტური რედუპლიკაციები (§.§: 18, 19).

ენათა შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზოგადი რედუპლიკაციები ორი გზით წარმოიშობიან: პირველი გზა ესაა სესხება და მეორე - ხმაბაძვითი სიტყვების უბრალო დამთხვევა.

სესხების საფუძველზე შეიძლება ერთი ენიდან მეორე ენაში შევიდეს რედუპლიკაციური ფორმა, მაგ., სიტყვა „აგარ-აგარი" (ქიმიური ნივთიერება) გვხდება რუსულ ენაში - arap-arap; თურქულში - agaragar, გერმანულში - Agar-Agar (der) და სხვ.

ბერძნულ-ლათინური ენიდან სხვადასხვა ენის მიერ იქნა ნასესხები რედუპლიკაციური ფორმა bárbaros. იგი გვხდება: გერმანულში- Barbar (der); ინგლისურში- barbarian, barbarism; თურქულში - barbar; რუსულში - варвар; უკრაინულში - варвар, варварство. კიდევ შეიძლება დავასახელოთ სპორტული ტერმინი „პინგ-პონგი", ასევე მწერის სახელი ცეცე (შდრ. რუს. цеце), კროსვორდი და ა.შ., რომლებიც მრავალ ენაზე ჟღერს ისევე, როგორც ქართულ ენაზე და სხვა.

ნასესხებ სიტყვებში შეიძლება შეგვხდეს ცეკვის, მუსიკის, ქიმიური, ფიზიკური, სპორტული, ბიოლოგიური და ა.შ. ტერმინები, რომლებშიც გამოიხატება რედუპლიკაციური ფორმები.

რედუპლიკაციური ფორმები, როგორც ზოგადი სიტყვები, ენებში ჩნდება ხმაბაძვითი სიტყვების საფუძველზეც. მაგალითად: გუგულის გამომხატველი რედუპლიკაციური ფორმაა ხმაბაძვითი სიტყვა გუგუ, რუსულში - ку-ку, თურქულში - guguk, გერმანულში - (der) Kuckuck, ინგლისურში- cuckoo და ა. შ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხმაბაძვითი სიტყვების სრული დამთხვევა ყველა ენაში შეუძლებელია, მაგ., იგივე „გუგუ" (გუგული) უკრაინულად ჟღერს როგორც „зозуля".

რედუპლიკაციური სიტყვები ძლიერ ამაღლებული, მომხიბლავი და მეტად საჭირო სიტყვებია ენაში. ისინი ალამაზებენ და ფრიად საყურადღებოს ხდიან ენაში ყოველ გამონათქვამს.

ქართული ენა, როგორც უძველესი სამწერლობო ენა, მეტად დახვეწილი, ნორმირებული, ყოველმხრივ განვითარებული და უაღრესად მიმზიდველი ენაა. ჩვენ, - ქართველებმა, სვანებმა, მეგრელებმა, ლაზებმა უნდა ვიამაყოთ მშობლიური ქართულით, რომლითაც შეიძლება იდეალურად გამოვხატოთ მსოფლიოს ენებზე არსებული ნებისმიერი აზრი და გამონათქვამი.

§ 97. ზოგადი დასკვნები (მიზეზი და შედეგი)

მე-5-მე-20 საუკუნეების ქართული სამწერლობო ენის ძეგლების (პოეზიისა და პროზის) შედარებითი ანალიზის საფუძველზე აღვნიშნავთ, რომ რედუპლიკაცია სიტყვათწარმოების ერთ-ერთი უძველესი ხერხია, რასაც სხვა ენებიც ადასტურებენ. იგი ჩამოყალიბდა ენებში და შემდგომში განვითარდა ენის სხვა კანონებთან ერთად. თანამედროვე ენაში ბგერათა, მარცვალთა და შერწყმულ (თუ დეფისით შეერთებულ) სიტყვათა რედუპლიკაციები სიტყვათწარმოების უმნიშვნელოვანეს და უძველეს ხერხს წარმოადგენს.

ქართული ენა სხვა ენებთან მიმართებაში რედუპლიკაციური ფორმების გამოყენებისა და წარმოების თვალსაზრისით უფრო მოხდენილი, მეტად დახვეწილი, ნორმირებული და პროდუქტიული ენაა. სხვა ენები, არ იყენებენ რედუპლიკაციის ყველა იმ ხერხს, რომლებსაც იყენებს თანამედროვე ქართული.

რედუპლიკაციურ ფორმათა პროდუქტიულობის თვალსაზრისით ქართულ ენასთან უფრო ახლოს დგას თანამედროვე თურქული ენა, როგორც აგლუტინაციური ენა, ხოლო რედუპლიკაციის წარმოების ხერხების მიხედვით თურქული ენაც საკმაოდ ჩამორჩება ქართულს. ინდოევროპული ენები კი გაცილებით ჩამორჩებიან რედუპლიკაციური ფორმების სიუხვითა და მათი წარმოების ხერხების თვალსაზრისით აგლუტინაციურ ენებს, განსაკუთრებით კი ქართულ ენას.

რა არის ამის მიზეზი?

ქართულ ენაში რედუპლიკაციური ფორმების ჩამოყალიბებას (განსაკუთრებით მარცვალთა და შერწყმულ სიტყვათა რედუპლიკაციებისა), ვფიქრობთ, დიდად შეუწყო ხელი ენაში სახელობითი ბრუნვის ჩამოყალიბებამ. თუ აღნიშნული ბრუნვის გარეშე თავდაპირველად გვექნებოდა, ალბათ, ფორმები: „ჭიკ, ჭიკ“, „ხით, ხით“, „ხარ, ხარ“ ან შეიძლება ყოფილიყო ამგვარად: „ჭიკ-ჭიკ“, „ხით-ხით“, „ხარ-ხარ“ და მისთანები, სახელობითმა ბრუნვამ მსგავსი ფორმები შეაერთა და წარმოგვიდგინა როგორც ერთიანი სიტყვა, ანუ ენობრივი ნიშანი თავისი ლექსიკური მნიშვნელობით: ჭიკჭიკი, ხითხითი, ხარხარი და ა.შ.

თურქულ ენაში, როგორც ცნობილია, სახელობითი ბრუნვა ვერ ჩამოყალიბდა ისე, როგორც სხვა ბრუნვები, მას არ გააჩნია ბრუნვის ნიშანი, რისთვისაც უწოდებენ „გაუფორმებელ სახელობითს“ («неоформленный именительный»). მეორე მხრივ, უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქული ენა სუფიქსური ენაა და რედუპლიკაციური მნიშვნელობის ფორმებს ზოგჯერ იგი ქმნის ჩვეულებრივ სიტყვის ძირზე სუფიქსების დართვით.

საერთოსლავური ენის ბრუნვით სისტემაში მოხდა მრავალი ფონეტიკური და მორფოლოგიური ცვლილებები (ფუძეთა შეკვეცა, ბრუნვათა სისტემის განსაზღვრა სქესის მიხედვით, ხმოვანფუძიან სახელთა გადაკეთება თანხმოვანფუძიანებად და ა. შ.) (დაწვრ. იხ. Куртенэ, 1963 : 19-29), რამაც, ეტყობა, ხელი შეუშალა რედუპლიკაციური ფორმების იმდაგვარად დამკვიდრებას, როგორიც ჩვენ გვაქვს ეს ქართულ ენაში, სადაც გაჩნდა სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი, რომლის წყალობით წრფელობითი ბრუნვის ფორმები „კაც“, „სახლ“ და მისთ. ჩამოყალიბდა როგორც კაცი, სახლი, ხოლო ანალოგიურად - ჭიკჭიკი, ხითხითი, ხარხარი და ა. შ.

ძველი ქართული სამწერლობო ენის ძეგლებში ბგერათა (ხმოვანთა და თანხმოვანთა) რედუპლიკაცია უფრო ხშირია, ვიდრე თანამედროვე ქართულში. მოგვაქვს „შუშანიკის წამებიდან...“ ერთ-ერთი მაგალითი ბგერათა რედუპლიკაციაზე:

„ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტჱსსა, ნუუკუე (ვაითუ, - ავტ.) მტერმან, ვითარცა სრსკლმან საძოვარი პოოს შენ თანა“ (იაკობ ხუცესი, 40).

ძველი ქართული ენის ძეგლებში, როგორც პოეზიაში (იხ. წინამდებარე წიგნის § 33), ასევე პროზაში, გვხდება პირველი რედუპლიკაციური ფორმები როგორიცაა მარცვალთა განმეორება: მამა, დედა, შიში, დიდი, შიმშილი, ძაძა, გვირგვინი, ღაღადი, ნარნარი და სხვა. მაგალითად:

1. „ანუ ვინ არა სტიროდის მას, რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში,...“ (იაკობ ხუცესი, მეხუთე ს., 36);

2. „- ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ“ (იქვე, 40);

3. „და უქადე ჭურჭერი ერთი სამისო...“ (იქვე, 60);

4. „შინაგან ძაძა.. ემოსა და არავინ იცოდა ჩემსა გარეშე, ხოლო გარეგან კაცთა თუალსა ანტიოქიისა პალეკარტი ემოსა“ (იქვე, 65);

5. „... რომელი სიმჴნითა და დიდებითა გჳრგჳნოსან იქმნა ქრისტჱს მიერ“ (იოვანე საბანისძე, მერვე ს., 85);

6. „... კადნიერთა სულითა ღაღად-იყო ქრისტჱს მიმართ“ (იქვე, 97);

7. „ხოლო თავსა მისსა კუკული იხილვებოდა, ვითარცა გჳრგჳნი სამეფოჲ“ (გიორგი მერჩულე, მეათე ს., 158).

რაც შეეხება სიტყვათა რედუპლიკაციებს, ორთოგრაფიულად ისინი გადმოიცემიან სამგვარად: შერწყმულად, დეფისით (მეტწილად) და განცალკევებულად. მაგალითად:

1. „და შენ, ჯოჯიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ, და არცაღა მე - შენი ძმის ცოლი“ (იაკობ ხუცესი, მეხუთე ს., 46);

2. „... ეკლესიით ვიდრე ტაძრამდე მკუდარი მიეთრია და ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძჳ დაეფინა“ (იქვე, 55);

3. „და კუბასტინი (სამოსელი, - ავტ.) შუშანიკისნი და ხორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას“ (იქვე, 55);

4. „არარაჲ აღმოჴდა პირსა მისსა ვაებაჲ, არცა კუნუსაჲ“ (იქვე, 55);

5. „ - ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს“ (იქვე, 44);

6. „მსგავსად მისვე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“ (იქვე, 69);

7. „... უფლისა ჩუენისა, რომლისა.. არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ“ (იოვანე საბანისძე, მერვე ს., 74);

8. „ძჳრ-ძჳრად ზღვეულნი შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ (იქვე, 73);

9. „ჟამ-ჟამად მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ“ (იქვე, 74);

10. „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა?“ (იქვე, 111);

11. „და ყოველთა მათ მახლობელთა ქვეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილდ-ადგილდ“ (იქვე, 120);

12. „და ვითარცა იხილეს ერთმანერთი, განიხარეს ფრიად“ (იქვე, 117);

13. „დიდითა სიმდაბლითა მოიკითხეს ერთმანერთი და დასხდეს“ (იქვე, 128);

14. „და ნებითა ძმათა თჳსთაჲთა და ბრძანებითა მეფისაჲთა მოიღო კურაპალატობაჲ ნაცვლად აშოტ კურაპალატისა“ (იქვე, 146);

15. „შეწუხდა ფრიად, და ამხილა პირისპირ ჴელმწიფე-სა“(იქვე, 163);

16. „კუალად შესძინა ძჳრი ძჳრსა“ (იქვე, 169);

შენიშვნა: ბიბლიასა და ფსალმუნებში რედუპლიკაცია „უკუნისი-უკუნისამდე“ იწერება დეფისით, ხოლო „შუშანიკის წამებაში...“ - ცალ-ცალკე.

მეთორმეტე საუკუნე მთლიანად „დაპყრობილი“ აქვს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, რომელმაც საფუძველი განუმტკიცა საბოლოოდ ენაში რედუპლიკაციური ფორმების

დამკვიდრებას. იგი თავიდან ბოლომდე დატვირთულია რედუპლიკაციური ფორმებით.

რუსთაველის თითქმის ყოველი სტროფი გაჟღენთილია სხვადასხვა ტიპის რედუპლიკაციის მაგალითებით, რომლებიც პოემას მთლიანად მეტად მიმზიდველსა და სასიამოვნოს ხდის. როცა კითხულობ „ვეფხისტყაოსანს“, არ შეიძლება, რომ გზადაგზა ტანში ჟრუანტელი არ დაგიაროს, არ წაიკითხო იგი დიდი ხალისით, არ დაგაინტერესოს მისმა ყოველმა მომდევნო სტროფმა, მისმა თემამ და იდეამ, მთლიანად მისმა შინაარსმა.

რუსთაველის ყოველ სტროფს გამოხატვის სხვა ფორმებთან ერთად დიდ სტიმულს აძლევს რედუპლიკაციური ფორმების გამოყენებაც.

„ვეფხისტყაოსანში“ შოთა რუსთაველი იყენებს რედუპლიკაციის ნაირსახეობას. რედუპლიკაციურ ფორმებს შორის ჩვენ ვხედავთ ბგერათა თავისებურ განმეორებებს. პოემაში იშვიათია მარცვალთა რედუპლიკაციები (ოცამდე მაგალითი). მაგრამ რაოდენობას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ მარცვალთა რედუპლიკაციები დიდ მგოსანს ხშირად გამოყენებული აქვს პოემის გმირების დასახასიათებლად, მათი სილამაზის დასადასტურებლად (იხ.§ 36).

„ვეფხისტყაოსანში“ ყველაზე დიდი რაოდენობით გამოყენებულია სიტყვათა რედუპლიკაციები, რომლებიც წინამდებარე ნაშრომში პირობითად გაყოფილია სამ ქვეჯგუფად. ესენია: სიტყვათა შერწყმული, დეფისით შეერთებული და ცალ-ცალკედ ხმარებული რედუპლიკაციები. ეგ უკანასკნელი ფორმები შეიძლება ტექსტში იდგნენ გვერდიგვერდ ან ერთმანეთისაგან დაშორებული (იხ. პარაგრაფი იგივე).

შოთა რუსთაველი, მართალია, იყენებს სიტყვათა შეხამებების, კონტრასტულ, რიცხვით და კვაზი-რედუპლიკაციებს, მაგრამ პოეტისათვის ეს სამივე ხერხი არ არის პროდუქტიული. საქმე არა მარტო პროდუქტიულობაშია, არამედ იმაში, **რომ შოთა რუსთაველმა ამით საფუძველი ჩაუყარა კონტრასტული, რიცხვითი და კვაზი-რედუპლიკაციების**

ფორმათა დამკვიდრებას ქართულ ენაში (დაწვრ. იხ. § 36). უშუალოდ კონტრასტული რედუპლიკაციების (შდრ. მიხვეულ-მოხვეული, ასავალ-დასავალი და მისთ.) ნაცვლად შოთა რუსთაველი მოხერხებულად იყენებს მი და მო ზმნისწინებს, მაგრამ მეთორმეტე საუკუნეში ეს ზმნისწინები ზმნებთან არ იყო შერწყმული და იმ დროს იწერებოდა ცალ-ცალკე ზმნის გვერდით (იხ. § 36). შენიშვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ მხოლოდ ერთადერთი მაგალითი შეგვხდა მეხუთე საუკუნის ტექსტში, სადაც მიმო- ზმნისწინი იხმარება ზმნასთან შერწყმულად: „მოხუცებულთათა და ყრმათაჲ, მჴედრ მიმოდასდევნინ და მეოტ-ჰყოფნ (გააქცევდა, - ავტ.) მათ ყოველთა“ (იაკობ ხუცესი, 58).

მეჩვიდმეთე-მეთვრამეტე საუკუნეების მხატვრული სიტყვის ოსტატებმა, ერთის მხრივ, თეიმურაზ პირველმა, არჩილ მეორემ, ვახტანგ მეექვსემ, დავით გურამიშვილმა, ბესიკმა, იოსებ სააკაძემ, მამუკა ბარათაშვილმა, დიმიტრი სააკაძემ, გოდერძი ფირალიშვილმა და სხვებმა, მეორე მხრივ, რომანტიკოსმა პოეტებმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა კიდევ უფრო გაამდიდრეს, დახვეწეს და გაამშვენიერეს ქართული ენა რედუპლიკაციური ფორმებით და თავიანთ პოეზიას მეტი სტიმული და სილამაზე შესძინეს.

მეცხრამეტე საუკუნის 40-50-იანი წლების მხატვრული ლიტერერატურა განსხვავდება ამავე საუკუნის პირველი ნახევრის მხატვრული ლიტერატურისაგან, კერძოდ, რომანტიზმის ხანა მივიწყებას ეძლეოდა და წინა პლანზე თანდათან აქტიურდებოდა რეალიზმი, რომელმაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სულიერ კულტურაში, ხდებოდა მხატვრული ლიტერატურის ახალი ხედვა.

მეცხრამეტე საუკუნის პოეზიაში 40-50-იანი წლების შემდეგ რედუპლიკაციური ფორმების უხვად გამოყენების თვალსაზრისით საყურადღებოა რაფიელ ერისთავის და გრიგოლ აბაშიძის შემოქმედება, რომლებმაც თავიანთ პოეზიაში გამოიყენეს

რედუპლიკაციურ ფორმათა ყველა სახე, რამაც მათი პოეზია მეტად მიმზიდველი და ხატოვანი გახადა.

რაფიელ ერისთავი, გიორგი ერისთავი, იოსებ ბაქრაძე და სხვები გრიგოლ აბაშიძისაგან განსხვავებით თავიანთ პოეზიაში იყენებენ რედუპლიკაციის ძველ ფორმას „ხანდისხან“, ხოლო გრიგოლ აბაშიძემ გამოიყენა ამ სიტყვის ახალი ფორმა - „ხანდახან“, მაგრამ იგი ორი სახით დაგვიწერა: დეფისით და განცალკევედულად - „ხანდახან“ და „ხან და ხან“. თანამედროვე სალიტერატურო ენაში გამოიყენება აღნიშნული სიტყვის შერწყმულად დაწერილი ფორმა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისი ქართულ პოეზიასა და პროზაში მთავარი ადგილი დაიმკვიდრეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, ალექსანდრე ყაზბეგმა და სხვებმა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დამკვიდრებას. მათ პოეზიასა და პროზაში უამრავი ახალი (უფრო დახვეწილი და უკვე ნორმირებული) რედუპლიკაციური ფორმები გვხდება, რაც ქართული ენის ლექსიკის სიმდიდრეს წარმოადგენს.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი როგორც პოეზიაში, ისე პროზაში უხვად იყენებენ რედუპლიკაციურ ფორმათა სხვადასხვა ტიპს. მათ საბოლოოდ დაამკვიდრეს ენაში კონტრასტული, რიცხვითი და კვაზი-რედუპლიკაციები, რომლებიც ასახულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

მეოცე საუკუნის დიდმა მგოსანმა გალაკტიონ ტაბიძემ ასე დაგვიხასიათა აკაკის, ვაჟას, ილიას და ყაზბეგის ეპოქა ლექსში „საუბარი ლირიკის შესახებ“:

ცხარე ბრძოლის ხმა
ეპოქასთან
გადაზრდილია,
ხმა სიყვარულის,
ხმა მონობის

წინააღმდეგი,
ცეცხლი - აკაკი,
გმირი - ვაჟა,
ბრძენი - ილია,
რამდენი გმირი
და რამდენი
კიდევ ყაზბეგი!“ (ქართული პოეზია, ტ. 13, 413-414).

ის, რაც აკაკიმ, ილიამ და ვაჟამ გააკეთეს ქართული პოეზიისათვის, წარუშლელ კვალად გაჰყვება ქართველი ხალხის სულიერ და კულტურულ ცხოვრებას. მაგრამ მეოცე საუკუნე მაინც ელოდებოდა ახალი ლექსის დაბადებას, ლექსის ახლებურ ჟღერადობას, ძველი ლექსის ახლით ჩანაცვლებას. ეს ამოცანა ბრწყინვალედ განახორციელა დიდმა ქართველმა მგოსანმა, მეოცე საუკუნის მშვენებამ „გენიალურმა გალაკტიონმა“, რომელმაც დაიმკვიდრა პოეზიაში დიდი სახელი „პოეტების მეფისა“.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია იმიტომ არის საყოველთაოდ აღიარებული, რომ დიდი მგოსანი ლექსის შეთხზვისას ითვალისწინებდა ქართული სიმის კეთილხმოვანებას, ლექსის რიტმული ტონისა და ნახევარტონის გადმოცემას. მან გვიჩვენა ძლიერ მეტაფორული, რიტმიკულ-ინტონაციური, რიტმიკულ-მელოდიკური და რედუპლიკაციურ ფორმათა თავისებური ხედვა, რამაც გალაკტიონ ტაბიძის ყოველი ლექსი აქცია ხატოვნებით მდიდარ, მეტად მიმზიდველ, რიტმულ და ნახევარრიტმულად ამაღლებულ, გაწყობილ და გამართულ ოდენობად.

რედუპლიკაციურ ფორმათა ნაირსახეობის გამოყენება როგორც პოეზიაში, ისე პროზაში დიდ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს - ლექსს - მაღალ მხატვრულობას და დიდ მიმზიდველობას, ხოლო პროზას - დიდ მღელვარებას და დაძაბულობას, ზოგჯერ - მოფერებას, ალერსს და სიამოვნებას.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. აბაშიძე, 2013 : ირაკლი აბაშიძე. პოეზია. პალესტინის დღიური. თბილისი, 2013.

2. აკაკი, 1991 : აკაკი წერეთელი თხზულებათა სრული კრებული თვრამეტ ტომად. თბილისი, 1991.

3. აკაკი, 1985 : ქართული პროზა. წიგნი მეათე. აკაკი წერეთელი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1985.

4. ახალი აღთქმა, 1991 : ახალი აღთქმა და ფსალმუნები. გადამუშავებული გამოცემა. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლომი, 1991.

5. ახვლედიანი, 1999 : გიორგი ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999.

6. ახვლედიანის რედაქციით, 1972 : ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, გ. ახვლედიანის რედაქცდიით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1972.

7. ბასილაძე, 2015 : ნოდარ ბასილაძე, ერისა და ქვეყნის მსახურნი. სს „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2015.

8. გამსახურდია, 1978 : კონსტანტინე გამსახურდია. თხზულებათა ათტომეული, ტომი მეხუთე. ვაზის ყვავილობა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ , თბილისი, 1978.

9. გამსახურდია, 2012 : კონსტანტინე გამსახურდია. მთვარის მოტაცება. ტრილოგია, კარი მეორე. გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2012.

10. გამსახურდია, 2012 : კონსტანტინე გამსახურდია. მთვარის მოტაცება. ტრილოგია, კარი მესამე. გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2012.

11. გრიშაშვილი, 2012 : იოსებ გრიშაშვილი ოთხტომეული, ტომი 1, პოეზია, 1906-1922 წლები. თბილისი, 2012.

12. ვაჟა, 1977 : ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად. ტომი მეცხრე, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1977.

13. ვაჟა, 1986 : ქართული პროზა. წიგნი მეთორმეტე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986.

14. თოფურია, 1998 : ვარლამ თოფურია, ივანე გიგინეიშვილი. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი. მეორე შევსებული გამოცემა. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1998.

15. ილია, 1955 : ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი მეხუთე, „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1955.

16. ილია, 1988 : ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტომი მეორე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1998.

17. ილია, 2012 : ილია ჭავჭავაძე, ექვსტომეული, ტომი პირველი, პოეზია, თბილისი, 2012.

18. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. შემდგენლები თამარ და ისიდორე გვარჯალაძეები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975.

19. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. პირველი რვეული, A. თბილისი, 1995.

20. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. მეორე რვეული, B. თბილისი, 1996.

21. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. მესამე რვეული, C. თბილისი, 1996.

22. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. მეოთხე რვეული, D. თბილისი, 1996.

23. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. მეხუთე რვეული, E. თბილისი, 1997.

24. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. მეექვსე რვეული, F. თბილისი, 1997.

25. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. მეშვიდე რვეული, G. თბილისი, 1998.

26. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. მერვე რვეული, H. თბილისი, 1998.

27. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. მეცხრე რვეული, I. თბილისი, 1999.

28. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. მეათე რვეული, JKL. თბილისი, 2001..

29. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. მეთერთმეტე რვეული, M. თბილისი, 2003.

30. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. მეთორმეტე რვეული, N. თბილისი, 2006.

31. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. მეცამეტე რვეული, O. თბილისი, 2008.

32. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. მეთოთხმეტე რვეული, P. თბილისი, 2012.

33. ლექსიკონი, 1967 : ქართულ-რუსული ლექსიკონი, წიგნი მესამე. შემდგენლები: ქეთევან და არჩილ დათიკაშვილები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1967.

34. ნებიერიძე, 1991 : გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი. გამომცემლობა „განათლება", თბილისი, 1991.

35. რუსთაველი, 1957 : შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სახელგამი, თბილისი, 1957.

36. რუსულ-ქართული ლექსიკონი. ტომი პირველი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1956.

37. რუსულ-ქართული ლექსიკონი. ტომი მეორე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1958.

38. რუსულ-ქართული ლექსიკონი. ტომი მესამე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1959.

39. რუსულ-ქართული ლექსიკონი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1983.

40. ქართული ანდაზები, 1959 : ქართული ანდაზები. შეადგინა ა. კანდელაკმა. საბჭოთა მწერალი, თბილისი, 1959.

41. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), თბილისი, 1950-1964).

42. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული. გამომცემლობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საბჭოთა კავშირიის ენციკლოპედია, თბილისი, 1986.

43. ქართული პოეზია, 1979 : ტომი პირველი. ძველი ქართული პოეზია V-XII ს.ს. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, 1979.

44. ქართული პოეზია, 1974 : ტომი მეორე შოთა რუსთაველი. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, 1974.

45. ქართული პოეზია, 1975 : ტომი მესამე. თეიმურაზ პირველი. არჩილი. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული", 1975.

46. ქართული პოეზია, 1975 : ტომი მეოთხე. დავით გურამიშვილი. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, 1975.

47. ქართული პოეზია, 1975 : ტომი მეხუთე. იოსებ სააკაძე, ვახტანგ მეექვსე, მამუკა ბარათაშვილი, დიმიტრი საკაძე, თეიმურაზ მეორე, ბესიკი, ნარგიზოვანი, მანანა. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1975.

48. ქართული პოეზია, 1975 : ტომი მეექვსე. ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1975.

49. ქართული პოეზია, 1977 : ტომი მეშვიდე. ილია ჭავჭავაძე. სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1977.

50. ქართული პოეზია, 1978 : ტომი მერვე. აკაკი წერეთელი. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1978.

51. ქართული პოეზია, 1977 : ტომი მეცხრე. ვაჟა-ფშაველა. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1977.

52. ქართული პოეზია, 1978 : ტომი მეათე. XIX ს. – XX ს. დასაწყისი. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1978.

53. ქართული პოეზია, 1980 : ტომი მეთერთმეტე. XIX ს. – XX ს. დასაწყისი. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1980.

54. ქართული პოეზია, 1982 : ტომი მეთორმეტე. XX საუკუნის პოეზია. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1982.

55. ქართული პოეზია, 1982 : ტომი მეცამეტე. გალაკტიონ ტაბიძე. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1982.

56. ქართული პოეზია, 1984 : ტომი მეთოთხმეტე. XX საუკუნის პოეზია. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1984.

57. ქართული პოეზია, 1984 : ტომი მეთხუთმეტე. XX საუკუნის პოეზია. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1984.

58. ქართული პოეზია, 1985 : ტომი მეთექვსმეტე. ქალაქური პოეზია. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1985.

59. ქართული პოეზია, 1985 : ტომი მეჩვიდმეტე. ხალხური პოეზია. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1985.

60. ტაბიძე, 1973 : გალაკტიონ ტაბიძე რჩეული. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973.

61. ფსალმუნები, 2009 : ფსალმუნი და ლოცვები, 2009.

62. ყაზბეგი, 1986 : ქართული პროზა. წიგნი მეთერთმეტე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986.

63. ჩლაიძე, 2001 : თურქულ-ქართული ლექსიკონი (ორ ტომად). ლია ჩლაიძის რედაქციით. სტამბოლი, 2001.

64. ქრესტომატია, 1999 : ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია. მეცხრე კლასი. შეადგინეს და კომენტარები დაურთეს მანანა გიგინეიშვილმა, ლაურა გრიგოლაშვილმა, ვახტანგ როდონაიამ. გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1999.

65. ძმები გრიმები, 2013 : ძმები გრიმები. რჩეული ზღაპრები. ლოგოს პრესი, თარგმანი, 2013. თარგმნა აია ბერაიამ.

66. წიგნი 3 : 2010 : 50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ. გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2010.

67. Белошапкова, 1981 : Современный русский язык. Под редак. В. А. Белошапковой. М., «Высшая школа», 1981.

68. Гумбольдт, 1984 : Вильгельм фон Гумбольдт. Избранные труды по языкознанию. Перевод с немецкого языка под редак. и с предисловием докт. филол. наук Г. В. Рамишвили. М., «Прогресс», 1984.

69. Бернштейн, 1974 : С. Б. Бернштейн. Очерк сравнительной грамматики славянских языков. Изд-ство «Наука», М., 1974.

70. Есенин, 1985 : С. А. Есенин. Избранное. Москва «Художественная литература», 1985.

71. Кононов, 1956 : А. Н. Кононов. Грамматика современного турецкого литературного языка. Изд-ство Академия Наук СССР, М.-Л., 1956.

72. Куртенэ, 1963 : И. А. Бодуэн де Куртенэ. Избранные труды по общему языкознанию. Том II. Издательство Академии Наук СССР, М., 1963.

73. Лермонтов, 1979 : М. Ю. Лермонтов. Собрание сочинений в четырех томах. Том первый. Стихотворения 1828-1841. Издание второе, исправленное и дополненное. Ленинград «Наука». Ленинградское отделение, 1979.

74. Маяковский, 1981. Том первый : В.В. Маяковский. Избранные сочинения в двух томах. Москва «Художественная литература», 1981.

75. Маяковский, 1981. Том второй : В. В. Маяковский. Избранные сочинения в двух томах. Москва «Художественная литература», 1981.

76. Немецко-русский словарь. 80000 слов. Под редак. А. А. Лепинга и Н. П. Страховой. Изд-ство «Советская энциклопедия», М., 1968.

77. Пушкин, 1985 : А. С. Пушкин. Стихи и сказки. М., «Детская литература», 1985.

78. Русская грамматика, 1980: Русская грамматика. Т. I. Изд-ство «Наука», М., 1980.

79. Русско-украинский и украинско-русский словарь. 2-е издание, стереотипное. Киев, «Радянська школа», 1989.

80. Турецко-русский словарь. 48000 слов. Изд-ство «Русский язык», М., 1977.

81. Шишкова, 1977 : Л. В. Шишкова, А. В. Детинина, О. А. Бибин. Вводный фонетический курс немецкого языка. Л., «Просвещение», Ленинградское отделение, 1968.

სარჩევი

თავი პირველი
(წინასიტყვაობის მაგიერ) სიტყვათწარმოება და
რედუპლიკაციის რაობა
§ 1. სიტყვათწარმოება როგორც ენათმეცნიერების
ახალი დარგი 3
§ 2. რედუპლიკაციის რაობა 5

თავი მეორე
რედუპლიკაციური ფორმების ასახვა სხვადასხვა ტიპის
ენათა ლექსიკონებში და მათი დაჯგუფება
§ 3. პირველი ჯგუფის რედუპლიკაციური ფორმები ქართულ ენაში.. 10
§ 4. პირველი ჯგუფის რედუპლიკაციები თურქულ ენაში..... 12
§ 5. პირველი ჯგუფის რედუპლიკაციები რუსულ ენაში..... 13
§ 6. მარცვალთა რედუპლიკაციები ინგლისურ ენაში
(პირველი ჯგუფი)..... 17
§ 7. მეორე ჯგუფის რედუპლიკაციები ქართულ ენაში 19
§ 8. მეორე ჯგუფის რედუპლიკაციები თურქულ ენაში 20
§ 9. სიტყვათა რედუპლიკაციები რუსულ და ინგლისურ ენებში
(მეორე ჯგუფი) 21
§ 10. მესამე ჯგუფის რედუპლიკაციები ქართულ ენაში 24
§ 11. მეოთხე ჯგუფის რედუპლიკაციები ქართულ ენაში..... 25
§ 12. მეხუთე ჯგუფის რედუპლიკაციები ქართულ ენაში..... 27
§ 13. მეექვსე ჯგუფის რედუპლიკაციები..... 28
§ 14. კონტრასტული რედუპლიკაციები ქართულ ენაში
(მეშვიდე ჯგუფი) 32
§ 15. აფიქსებით ნაწარმოები რედუპლიკაციები ქართულ ენაში
(მერვე ჯგუფი) 37
§ 16. რედუპლიკაციურ ძირებზე სუფიქსების დართვა
თურქულ ენაში (მერვე ჯგუფი)..... 40
§ 17. რედუპლიკაციურ ძირებზე აფიქსების დართვა
რუსულ ენაში (მერვე ჯგუფი)..... 42
§ 18. მეცხრე ჯგუფის რედუპლიკაციები ქართულ ენაში..... 43
§ 19. მეცხრე ჯგუფის რედუპლიკაციები თურქულ ენაში 44

§ 20. კვაზი-რედუპლიკაციები ქართულ ენაში (მეათე ჯგუფი) 45
§ 21. მეათე ჯგუფის კვაზი-რედუპლიკაციები თურქულ ენაში..... 47
§ 22. მეათე ჯგუფის კვაზი-რედუპლიკაციები რუსულ ენაში..... 49
§ 23. მეათე ჯგუფის კვაზი-რედუპლიკაციები
ინგლისურ ენაში 50
§ 24. რედუპლიკაციური ფორმების საფუძველზე ე-ნიანი და
ი-ნიანი ვნებითის ფორმების წარმოება ქართულ ენაში
(მეთერთმეტე ჯგუფში)..... 53
§ 25. რედუპლიკაციური ძირებისაგან აფიქსების მეშვეობით
ნაწარმოები სახელის, ზმნისა და მიმღეობის ფორმები
ქართულ ენაში (მეთორმეტე ჯგუფი)..... 55
§ 26. ფონეტიკური პროცესებითა და სხვადასხვა აფიქსებით
გამოწვეული მარცვალთა რედუპლიკაციების გართულებული
ფორმები ქართულ ენაში (მეცამეტე ჯგუფი) 56
§ 27. რედუპლიკაციათა ბუდეების შესახებ ქართულ ენაში 57

თავი მესამე
რედუპლიკაციური ფორმების შეფასება და მათი ასახვა
ბიბლიასა და ფსალმუნებში, ძველი ქართული ენის
წყაროებში, ზღაპრებსა და ანეკდოტებში

§ 28. ქართული რედუპლიკაციების მიმართება თურქულ და
სხვა ენებთან..... 61
§ 29. ბგერათა რედუპლიკაცია როგორც სიტყვათწარმოების
ზოგადი ხერხი 64
§ 30. რედუპლიკაციათა ფორმების ლექსიკური მნიშვნელობის
შესახებ..... 67
§ 31. რედუპლიკაციური ფორმები როგორც პოეზიის
სილამაზე 71
§ 32. რედუპლიკაციური ფორმების ასახვა ბიბლიასა და
ფსალმუნებში..... 77
§ 33. რედუპლიკაციური ფორმების ასახვა ძველ ქართულ
პოეზიაში..... 79
§ 34. რედუპლიკაციურ ფორმათა ასახვა ზღაპრებში,
ანდაზებსა და ანეკდოტებში 82

თავი მეოთხე
რედუპლიკაციური ფორმები „ვეფხისტყაოსანში“
§ 35. რედუპლიკაციათა სიუხვე და ნაირსახეობა „ვეფხისტყაოსანში“ 85
§ 36. ბგერათა რედუპლიკაცია (პირველი ჯგუფი) 85
§ 37. მარცვალთა რედუპლიკაცია (მეორე ჯგუფი) 86
§ 38. სიტყვათა რედუპლიკაცია(მესამე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფი) 88
§ 39. სიტყვათა რედუპლიკაციის მესამე ჯგუფის მეორე ქვეჯგუფი..... 89
§ 40. სიტყვათა რედუპლიკაციის მესამე ჯგუფის მესამე ქვეჯგუფი..... 91
§ 41. სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაცია (მეექვსე ჯგუფი)..... 94
§ 42. კონტრასტული და რიცხვითი რედუპლიკაციები..... 95

თავი მეხუთე
რედუპლიკაციური ფორმები მე-17-მე-18 საუკუნეების ქართულ პოეზიაში
§ 43. რედუპლიკაციური ფორმები თეიმურაზ პირველისა და არჩილ მეორის პოეზიაში 99
§ 44. თეიმურაზ პირველის პოეზია და რედუპლიკაციური ფორმები..... 101
§ 45. რედუპლიკაციური ფორმები არჩილ მეორის პოეზიაში..... 103
§ 46. რედუპლიკაციური ფორმები ვახტანგ მეექვსის, მამუკა ბარათაშვილის, ბესიკისა და სხვათა პოეზიაში 110
§ 47. რედუპლიკაციური ფორმები იოსებ სააკაძის პოეზიაში..... 113
§ 48. რედუპლიკაციური ფორმები დავით გურამიშვილის პოეზიაში..... 116

თავი მეექვსე
რომანტიზმის მიმდევრები ქართულ პოეზიაში და რედუპლიკაციათა სპეციფიკურობა
§ 49. რომანტიზმის მიმდევრები ქართულ პოეზიაში 121
§ 50. რედუპლიკაციური ფორმები ალექსანდრე ჭაქვჭავაძის პოეზიაში..... 122
§ 51. რედუპლიკაციური ფორმები გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში.. 123

§ 52. რედუპლიკაციური ფორმები ნიკოლოზ ბარათაშვილის
პოეზიაში 126

თავი მეშვიდე
მე-19 საუკუნის საქართველო და ქართული პოეზიის მიმდევრები
§ 53. საქართველოს საშინაო მდგომარეობა მე-19 საუკუნეში 130
§ 54. რაფიელ ერისთავი და რედუპლიკაციურ
ფორმათა ნაირსახეობა 131
§ 55. გრიგოლ აბაშიძის პოეზიაში რედუპლიკაციურ
ფორმათა ასახვა 138
§ 56. ვახტანგ, მიხაკო და ალექსანდრე ორბელიანებისა
და სხვათა პოეზიაში რედუპლიკაციური ფორმების ასახვა 142

თავი მერვე
ილია, აკაკი, ვაჟა ... და ქართული მწერლობა
§ 57. ილია ჭავჭავაძის გულის ტკივილი 152
§ 58. ილია ჭავჭავაძის პოეზია და რედუპლიკაციური ფორმები 154
§ 59. აკაკის, ვაჟას, ილიას და ყაზბეგის ეპოქა 164
§ 60. აკაკის პოეზია და რედუპლიკაციური ფორმები 165
§ 61. შერწყმულად ხმარებული სიტყვათა რედუპლიკაციები
აკაკის პოეზიაში 170
§ 62. დეფისით შეერთებული სიტყვათა რედუპლიკაციები 172
§ 63. კონტრასტული რედუპლიკაციები 176
§ 64. სიტყვათა რედუპლიკაციები, რომლებიც იწერება
ცალ-ცალკე 178
§ 65. სიტყვათა შეხამებებისა და წინადადებათა
რედუპლიკაციები 183
§ 66. კვაზი-რედუპლიკაციები აკაკი წერეთლის პოეზიაში 189
§ 67. ვაჟა-ფშაველა როგორც ბუნების უდიდესი მგოსანი 191
§ 68. რედუპლიკაციური ფორმები ვაჟა-ფშაველას პოეზიაში 192
§ 69. სიტყვათა შერწყმული რედუპლიკაციები ვაჟას პოეზიაში
(მეორე ჯგუფი) 195
§ 70. დეფისით შეერთებული რედუპლიკაციური ფორმები
(მესამე ჯგუფი 198
§ 71. ცალ-ცალკე მდგომ სიტყვათა და სიტყვათა
შეხამებების რედუპლიკაციები 200

§ 72. კონტრასტული და კვაზი-რედეუპლიკაციები ვაჟას პოეზიაში... 202
§ 73. შედარებითი დასკვნები 204

თავი მეცხრე
რედუპლიკაციურ ფორმათა თავისებურებანი გალაკტიონის
პოეზიაში
§ 74. გალაკტიონ ტაბიძე მეოცე საუკუნის უდიდესი მგოსანი 206
§ 75. რედუპლიკაციურ ფორმათა თავისებურება გ. ტაბიძის
პოეზიაში 207
§ 76. ცალ-ცალკე მდგომ სიტყვათა რედუპლიკაციები
გ. ტაბიძის პოეზიაში (პირველი ჯგუფი) 212
§ 77. სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაციები (მეორე ჯგუფი) 216
§ 78. წინადადებისა და მთლიანი სტროფის (ტექსტის)
რედუპლიკაცია (მესამე ჯგუფი) 219
§ 79. მარცვალთა, სიტყვათა და სხვათა რედუპლიკაციები
გ. ტაბიძის პოეზიაში 222
§ 80. გ. ტაბიძის პოეზიის თავისებურება და ზოგადი დასკვნები 225

თავი მეათე
რედუპლიკაციური ფორმები მეცხრამეტე საუკუნის პროზაში
§ 81. ქართული პროზა და კონტრასტული
რედუპლიკაციების დამკვიდრება 227
§ 82. კვაზი-რედუპლიკაციები პროზაში 234
§ 83. ბგერით, შორისდებულთა და ხმაბაძვით
სიტყვათა რედუპლიკაციების დამკვიდრება ქართულ ენაში 239
§ 84. რიცხვით სახელთა რედუპლიკაციები 243
§ 85. ცალ-ცალკე მდგომ სიტყვათა რედუპლიკაციები 245
§ 86. სიტყვათა შეხამებების რედუპლიკაცია 252
§ 87. მარცვალთა რედუპლიკაცია სიტყვათწარმოების
უძველესი ხერხი 255
§ 88. სიტყვათა შერწყმული რედუპლიკაციები 262
§ 89. დეფისით შეერთებული რედუპლიკაციები 266

თავი მეთერთმეტე
მეოცე საუკუნის პროზა და რედუპლიკაციური ფორმები
§ 90. რედუპლიკაციური ფორმები კონსტანტინე გამსახურდიას

პროზაში 271
§ 91. მარცვალთა რედუპლიკაციის მაგალითები 272
§ 92. შერწყმულად ხმარებულ სიტყვათა რედუპლიკაციები 280
§ 93. დეფისით შეერთებული რედუპლიკაციები 282
§ 94. კონტრასტული რედუპლიკაციები 285
§ 95. კვაზი-რედუპლიკაციები 286

თავი მეთორმეტე
ენისათვის დამახასიათებელი ზოგადი და სპეციფიკური
რედუპლიკა-ციური ფორმები და ქართული ენის უპირატესობა
§ 96. რედუპლიკაცია როგორც სიტყვათწარმოების ზოგადი
და სპეციფიკური მოვლენა 288
§ 97. ზოგადი დასკვნები (მიზეზი და შედეგი) 292
გამოყენებული ლიტერატურა 300
სარჩევი 306

Профессор Чкония Нодар Давидович
Ассистент-профессор Чкония Цира Нодаровна
Ассистент-профессор Чкония Лиана Нодаровна

РЕДУПЛИКАЦИЯ ВАЖНЕЙШИЙ СПОСОБ СЛОВООБРАЗОВАНИЯ В ЯЗЫКЕ
(на грузинском языке)

Издательство «Универсали», Тбилиси, 2015

Редактор: доктор филологических наук профессор Мамиа Пагава

Рецензенты: катдидат филол. наук профессор Омар Мемишиши
доктор филологии профессор Нана Стамболишвили
доктор филологии ассоц. профессор Зеинаб Гваришвили

Издательство "УНИВЕРСАЛ"

Тбилиси, 0179, пр. И.Чавчавадзе №19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com